

K 17 660
4



გასაღები

საქართველოს
შინამრეწველობისა
და ხელოსნობის
ისტორიისათვის



«საბჭოთავადასა» 1963

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი


ქართული
მეცნიერებათა



მასალები

საქართველოს
შინამრეწველობისა და
წერილი ხელოსნობის
ისტორიისათვის

ავტ. ი. ჯავახიშვილის
საერთო რედაქციით

5

ტომად



ტომი

II

ნაწილი

II

ქსოვა ლებვა

ქარგვა



902.7(C)(=99, 962.1)+645



902.7(C 41)

645.4(47—922)(09)902(47.922)

გ 362

ტომში შეტანილია მდიდარი და მრავალფეროვანი მასალები ქართული ხალხური ფეიქრობის, მღებრობისა და ქარჯულობის შესახებ. მასალები შეიცავენ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს სხვადასხვაგვარი საქსოვი მასალის (მატყლის, აბრეშუმის, ბამბის, სელის და სხვ.) შერჩევა-დაბარისების, დამზადების, საქსოვი მოწყობილობის, იარაღების, მათი ნაწილების სახელების, სხვადასხვაგვარი ქსოვილების ქსოვის ტექნიკისა და სხვათა შესახებ.

ძალისა და ქსოვილების შეღებვის, მცენარეული საღებავების შემზადებისა და ღებვის ტექნოლოგიის შესახებ. ქსოვილების სხვადასხვა ხერხითა და ტექნიკით ქარჯვის, სათანადო მოწყობილობის, ქსოვილების დანიშნულება-გამოყენების შესახებ.

„მასალები“ გეაწვდიან ცნობებს საწარმოო პროცესების, ტექნიკის, ტექნოლოგიის მრავალგვარი ხერხის, ხელისნობის კერების, საწარმოო ერთეულობათა და სხვა საკითხების შესახებ. მასალები მდიდარია ქართული ხალხური ტრადიციული ხელოვნებით. ტომს თან ერთვის მრავალრიცხოვანი დოკუმენტური ილუსტრაციები (მათ შორის ფერადი) და საძიებლები.

სარედაქციო კოლეგია: აკად. გ. ჩიტაია (თავმჯდომარე), აკად. პ. გუგუშვილი, აკად. ქ. ლომთათიძე, აკად. წ/კ ივ. გიგინეიშვილი, პროფ. შ. გეგეშიძე (თავმჯდომარის მოადგილე), პროფ. კ. გრიგოლია, მეცნ. კანდ. ვ. ჭაფარიძე (თავმჯდომარის მოადგილე), მეცნ. კანდ. ა. სოხაძე (მდივანი).

II ტომის რედაქტორი ვ. ჭაფარიძე

K 17660

სპობ-2000
შემოქმედების

10604
M 607(06)—82

193—80 © გამოცემლობა „მეცნიერება“, 1982

სპობ. სპობ. სპობ.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ტომში შეტანილია არაჩვეულებრივად საინტერესო მასალები დაკავშირებული ქართულ ხალხურ ფეიქრობასა, მღებრობასა და ქარგვასთან.

სხვადასხვა დანიშნულებისა და სახის ქსოვილებს ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებამდე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ამზადებდნენ. ეს არც არის გასაკვირველი იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, საქართველოში უძველესი დროიდან ფართოდ იყო გავრცელებული მეცხვარეობა. მეაბრეშუმეობა, სელის კულტურა. ამის დამადასტურებელია როგორც სხვადასხვა ხანის არქეოლოგიური მასალები აღმოჩენილი საქართველოში (ქვის, თიხის თუ ძვლის კვირისტაეები, ქსოვილების ნაშთები, საქსოვი დაზვის შვეულები და სხვ.), ისე უძველესი წერილობითი წყაროები კოლხური ვანთქმული სელის ქსოვილების შესახებ და სხვ.

ქართული ხალხური ფეიქრობისა და ქარგულობის ნიმუშები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, მართო იმის დამადასტურებელი როდია, რომ შინაშრეწველობის აღნიშნული დარგები ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში ბოლო დრომდე, არამედ განსაკვიფრებელია თავისი მრავალფეროვნებით, მაღალი მხატვრული დონით, დახვეწილი მხატვრული გემოვნებით.

საქართველოში ქსოვდნენ შალის, აბრეშუმის, ბამბის, სელისა და კანაფის ქსოვილებს, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ჭილოფებს. განსაკუთრებით მრავალფეროვანია მატყლის ქსოვილები; მატყლისაგან ამზადებდნენ სხვადასხვაფერის შალს ტანსაცმლისა და ტანისამოსის ნაწილებისათვის (მაგ., ყაბალახები, პაქიქები და სხვ.). მატყლის ძაფისაგან იქსოვებოდა აგრეთვე: ხალიჩები, ფარდავები, ჯეჯიმები, ხურჯინები, საცალოები, მაფრაშები, ნაირნაირი ზონრები (ჩაფარიშები, ჩახსაკრავები, ლეკვერთხები და სხვ.), ჩანთები, აბჯები, სარტყლები, მანდილები, წინდები, ხელთათმანები, ჩითები და სხვ. ბამბისაგან იქსოვებოდა ქსოვილები თეთრეულისათვის ე. წ. ხამი (ლაინი) ქსოვილი, სხვადასხვა ზონრები და სხვ. აბრეშუმისაგან ამზადებდნენ შესანიშნავ ქსოვილებს ტანსაცმლისათვის, მანდილებს, სხვადასხვა დანიშნულების ზონრებს და სხვ. სელისაგან მზადდებოდა სხვადასხვა დანიშნულების ტილოს ქსოვილი (ტანსაცმლისათვის, პირსახოცებისათვის და სხვ.). ჭილისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა საფენებს. თხის ბეწვისაგან უმთავრესად ამზადებდნენ საბეღს.

ქსოვილების დამზადებას, ქსოვას, ბუნებრივია, წინ უსწრებდა საქსოვი მასალის წინასწარი დამუშავება, დახარისხება, ქსელისათვის სათანადო ღირსების ძაფის შემზადება, დართვა-დაძახვა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა



საქსოვ დაზგაზე სათანადო ქსოვილის მოქსოვა. ეს ეტაპი ფეიქრობისა ნათლად არის ასახული წარმოდგენილ მასალებში.

ასევე სრულიად ცხადად ჩანს ამ მასალების მიხედვითაც, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა ძირითადად ორი ტიპის საქსოვი მოწყობილობა: ვერტიკალური საქსოვი დაზგა, ანუ ბექსაშვერიანი საქსოვი ყდები და პორიზონტალური, ანუ დგომსავარცხლიანი საქსოვი მოწყობილობა. მართალია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი საქსოვი დაზგები იყო გავრცელებული, მაგრამ ზოგიერთ კუთხეში, როგორც ამ მასალებიდანაც ჩანს, ორივე ტიპის საქსოვი დაზგა თანაარსებობდა.

აღსანიშნავია, რომ თუ პორიზონტალურ დაზგებზე მხოლოდ ტანსაცმლისათვის განკუთვნილი შალი იქსოვებოდა, ვერტიკალურ დაზგებზე ქსოვდნენ როგორც შალს, ისე ხალიჩებს, ფარდაგებს, ყეჯიმებს, ხურჩინებს, ტომრებს და სხვ. ამასთან, ცნობილია, რომ ყდაზე მოქსოვილი შალი „უფრო წმინდა და უკეთესი ხარისხის გამოდიოდა, ვიდრე „ოსურ სკამზე ნაქსოვი შალი“¹.

ქართული ხალხური ქსოვილებისათვის დამახასიათებელია არაწვეულებრივი ფერადოვნება, კეთილშობილი შეხამება ფერებისა და მიმზიდველი ორნამენტული მოტივები. ეს მხატვრული სახეები სრულიად სხვადასხვაგვარია ქსოვილების დანიშნულების შესაბამისად და გაცილებას იწვევს თავისი დიდოსტატური შესრულებით. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართული ქარგულობის ნიმუშების შესახებ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამკობდნენ არა მარტო დეკორატიულ ქსოვილებს, ტანსაცმელსა და მის დეტალებს, არამედ ისეთი სამეურნეო დანიშნულებების ქსოვილებსაც კი, როგორც იყო დიდი ტომრები, ე. წ. საცალოები, ან ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი მაფრაშები, ხურჩინები და სხვა. სრულიად ნათლად არის გამობატული ჩვენი ხალხის მისწრაფება — ყველაფერი, რასაც კი ქმნიან, იყოს ლამაზი, მოხდენილი და მიანიჭოს ადამიანს ესთეტიკური სიამოვნება.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც; ისეთი ნაწილები მამაკაცის ტანსაცმლისა, როგორც იყო ჩახსაკრავები და წვივსაკრავები, იქსოვებოდა არა მარტო ფერადი ძაფებით და შემკული იყო სხვადასხვა მოხდენილი სახეებით, არამედ შიგვე ნაქსოვილი იყო ქართული წარწერები, რომელიც უსურვებდა მის პატრონს „სალხინოდ მოეხმარა“ ეს ქსოვილი. ამის შესახებ არაერთი ცნობა მოიპოვება მთხრობელთა ტექსტებში, ხოლო მისი ნივთიერი ზოგიერთი ნიმუში ტაბულებშია მოტანილი.

ფეიქრობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მღებობა; როგორც ზევით აღვნიშნეთ, რაკი ქსოვილები უმთავრესად პოლიქრომული იყო, ამიტომ, ცხადია, საჭირო იყო წინასწარ შეემზადებინათ საქსოვი მასალა, შეეღებათ ძაფები სხვადასხვაფერად. ეს საქმეც მოითხოვდა ცოდნასა და გამოცდილებას. რაკი ქართული მღებობები საამისოდ იყენებდნენ მცენარეულ საღებავებს. ეს თავის მხრივ მოითხოვდა სხვადასხვა მცენარეების თვისებების, მათი სპეციფიკურობის ცოდნას და ღებვის ტექნოლოგიის შემუშავებას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ამ ტომში შეტანილი მასალები; ხალხში, როგორც ჩანს, ფარ-

¹ გ. ჩაჩაშვილი. ქართული ხალხური საქსოვი დაზგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVIII—B, თბ., 1954, გვ. 191.

თოდ ყოფილა გავრცელებული მღებრობა; ხალხი, უპირატესად, თვითონ ემზადებდა სხვადასხვა საღებავებს და თვითონვე ლებავდა ძაფებსა თუ მზა ქსოვილებს გარკვეული რეცეპტის მიხედვით. როგორც ცნობილია და ამ მასალებიდანაც ჩანს, სხვადასხვა ქალაქში არსებობდა სპეციალური სამღებრო სახელოსნოებიც, რომლებშიც სპეციალისტი მღებავები (მღებრები) მუშაობდნენ და გარკვეულ ფასად ლებავდნენ შულოებსა თუ ქსოვილებს. მღებავები მამაკაცებიც იყვნენ. რაც შეეხება ფეიქრობასა და ქარგვას, ეს ძირითადად ქალების საქმე იყო.

ფერადი ქსოვილების ღირსება-ნაკლი იმაზედაც იყო დამოკიდებული, როგორ იყო შეღებილი საქსოვად განკუთვნილი ძაფები, როგორი ელფერისა იყო, რამდენად კეთილფერადოვანი იყო ასეთი ძაფებით ნაქსოვი ესა თუ ის ქსოვილი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც ქართული ხალხური ქსოვილები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ და ფერთა პარმონიული შეხამების ნიმუშებს, ხალხური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

ქართული ხალხური ქსოვილების მხატვრული ღირსება მარტო ამით არ ამოიწურება! ქსოვილების შემკულობაში განსაკუთრებული ადგილი ეკირა სხვადასხვა ხერხით მათ მოქარგვას. საბედნიეროდ მრავლად მოგვეპოვება სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილები მოქარგული სხვადასხვაფერი ძაფებით, ოქროშკედით, ვერცხლშკედით, კლიტებით, ფერადი წვრილი მძივებით და სხვა. ქარგავდნენ ტანსაცმელის დეტალებს — ქართული კაბის სარტყელ-გულისპირებს; სახელოებს, ქალისა და კაცის თავსაბურავებს (ჩიხტებს, ლეჩაქებს, მოსახვევებს, ყაბლახებს, ფაფანაკებს და სხვ.), სარტყლებს, ყაჩჩებს, ბოხჩებს, შეიდიშებს, ქისებს, სათუთუნებს, ჩანთებს, ყაჭრებს, ასალებს და სხვ. ქარგავდნენ როგორც საერო ტანსაცმელს და სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილებს, ისე, განსაკუთრებით, საეკლესიო შესამოსელისა და საღვთისმსახურო დანიშნულების ქსოვილებს (გარდამოხსნები, დაფარნები, სარტყლები და სხვ.). ჩვენ აქ მხოლოდ ქარგულობის საერო ნიმუშები გვაქვს მოტანილი, რომლებიც ხალხში შეკრებილ მასალებთან არის დაკავშირებული, ხოლო საეკლესიო ხასიათის ქარგულობის ნიმუშები ამ ტომში არ არის წარმოდგენილი, თუმცა ამ ხასიათის ქსოვილებიც ჩვენი ხალხის შემოქმედების შედეგია.

საერთოდ, ქართული ხალხური ქარგულობის ნიმუშები მცირე ხელოვნების შედეგებს წარმოადგენენ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა წყობილების პირობებში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ამ მრავალფეროვანი და მდიდარი ნივთიერი მასალის შესასწავლად (დაიწერა ცალკეული გამოკვლევები, სამეცნიერო ნაშრომები, გამოცა ზოგიერთი ქსოვილის ალბომები და სხვ.), ეს შესანიშნავი ქსოვილები, მათი კოლექციები ჯეროვნად მაინც არ არის შესწავლილი; ქართული ხალხური ფეიქრობის ისეთი საინტერესო ქსოვილები, როგორიცაა, მაგალითად, ქართული ხალიჩები, ჯეჩიმები, ხურჩინები, აგრეთვე ქართული ხელსაქმისა და ქარგულობის შესანიშნავი ძეგლები ელიან თავის მკვლევარებს.

ამ ტომში შეტანილი მასალები ქართული ფეიქრობისა, მღებრობისა და ქარგულობის შესახებ ცხადად გვიჩვენებენ რა მდიდარი მასალა მოიპოვებოდა ჩვენ ხალხში ზემოაღნიშნული დარგების შესახებ ჯერ კიდევ შაშინ, როცა

აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა ცნობილი ექსპერტიზის
შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შესაგროვებლად.

ამ ტომის მომზადებამაც დიდი შრომა მოითხოვა იმისათვის, რომ ეს მრავალფეროვანი და მდიდარი მასალა (როგორც ტექსტები და საძიებლები, ისე ილუსტრაციები, განსაკუთრებით კი ფერადი ილუსტრაციები) ჯეროვანად ყოფილიყო მომზადებული გამოსაცემად.

წინამდებარე ტომში შეტანილი მასალები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: 1. ფეიქრობა, 2. მღებრობა და 3. ქარგულობა. ფეიქრობაში წარმოდგენილია ჯერ მატყლის ქსოვილები, შემდეგ ბამბისა, აბრეშუმის და, ბოლოს, სელის თუკი ასეთი ცნობები მოიპოვება ამა თუ იმ კუთხის მასალებში.

მატყლის ქსოვილების ნაწილში ჯერ წარმოდგენილია ცნობები მატყლის დამუშავების, გაპენტვის, დართვა-დაძახვის, სართავი მოწყობილობის და ხელსაწყოების შესახებ, ხოლო ამას მოსდევს ცნობები სხვადასხვა ქსოვილების ქსოვის შესახებ შემდეგი თანმიმდევრობით: ტანსაცმლის შალის, ანუ, როგორც მთაში იტყვიან, ტოლის ქსოვა, შემდეგ ხალიჩების, ფარდაგების, ჯეჯიმების, ხურჩინების, მათრამების და სხვა.

დანარჩენი მასალისაგან (ბამბა, აბრეშუმი, სელი, კანაფი) დამზადებული ქსოვილებიდან, ასევე, ჯერ მოტანილია ცნობები ტანსაცმლისათვის განკუთვნილი ქსოვილების დამზადების შესახებ და შემდეგ სხვა დანიშნულების ქსოვილების შესახებ.

ცალკეა გამოყოფილი სხვადასხვა ზონრების ქსოვა — ჩახსაკრავების, ჩაფარიშების, წვივისაკრავების, ლეკვერთების, მანდილის ფუნჯების, ყაითნების, ხონჯრების, ტოლალების, ღინკილოს და სხვათა ქსოვა. აქვეა შეტანილი ლეჩაქების არშიის ქსოვაც.

ფეიქრობას მოჰყვება მღებრობა. ამ თავში შეტანილია საინტერესო ცნობები ამა თუ იმ ფერის მცენარეული საღებავის დამზადებისა და ქსოვილების ღებვის ტექნოლოგიის შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა თავი ქარგულობის შესახებ. ამ თავში მოიპოვება ცნობები ტანსაცმლის სხვადასხვა ნაწილებისა, ფეხსაცმელების, ყაჭრებისა და სხვა ქსოვილების მოქარგვის შესახებ ფერადი ძაფებით, ოქრომკედით და სხვა. ბოლოშია მესაბლეობა, თოკის გრეხა.

მკითხველი შენიშნავს, რომ ტექსტები დალაგებულია არა მარტო თავებად, არამედ მნიშვნელოვანი ცნობები გამოყოფილია ქვესათაურებით. ასეთი გამოყოფა ყოველთვის როდი მომდინარეობს მასალების შემკრებთაგან, არამედ უმეტესად (ისე როგორც წინა ტომებში) ეს წესი რედაქციის მიერ არის გატარებული. ასეთი სტრუქტურა გაუადვილებს მკითხველებს ამ მასალებით სარგებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათაურებისა და ქვესათაურებისათვის გამოყენებულია მთხრობელთა ტერმინოლოგია და ლექსიკა.

საჭიროდ მივაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ ტომში არ არის შეტანილი ფშავში შეკრებილი მასალები ფეიქრობის, მღებრობისა და ქარგვის შესახებ, რადგან აღნიშნული მასალები დაკარგულია. ამას გარდა გ. ბოჭორიძის მიერ თუშეთში შეკრებილი მასალების ნაწილი ხელწერილით 1953 წ. წაღებული აქვს განსვენებული გ. ბოჭორიძის ქალს ნ. ბოჭორიძეს და აქამდე არ დაუბრუნებია მიუხედავად არა ერთი მიწერილობისა და შეხსენებისა. ყოველივე ამის გამო



თუშეთში შეკრებილი მეტად საინტერესო მასალები მომზადებულია ამ ტომის სათვის არა დედნების მიხედვით, არამედ პირების მიხედვით, რომელიც მეცნიერების ინსტიტუტის მიერ იყო შესრულებული ამ სამი ათეული წლის წინ.

რაც შეეხება ამ ტომის საილუსტრაციო ნაწილს, ამ შემთხვევაშიც რედაქციის განკარგულებაში იყო, ერთი მხრივ, მეტად განსაზღვრული რაოდენობის არაკვალიფიციურად გადაღებული ფოტოსურათები და, მეორე მხრივ, ასეთივე ხასიათის სქემატური გრაფიკული ჩანახატები, შესრულებული ველზე შემკრებთა ერთი ნაწილის მიერ. ამ მასალის იმ სახით გამოქვეყნება, როგორადაც ეს თავის დროზე იყო შესრულებული არასპეციალისტების მიერ, შეუძლებელი იყო. ამიტომ შევეცადეთ დაგვეზადებინა კვალიფიციური ფოტოგრაფების საშუალებით სუსტი ფოტოების გაცხოველებული პირები, ხოლო იმ ფოტოსურათების მიხედვით, რომელთა გამოქვეყნება შეუძლებელი იყო, დამზადდა დოკუმენტური ჩანახატები. რაც შეეხება შემკრებთა ჩანახატებსა და ჩანახატებს, ეს სამუშაოც შეასრულეს კვალიფიციურმა მხატვრებმა არსებული საეეეე ჩანახატების საფუძველზე. ამას გარდა, მათვე შეასრულეს ზოგიერთი საქსოვი დაზგის და მათი ნაწილების თუ საქსოვი ხელსაწყოების ჩანახატები მუზეუმში დაცული ორიგინალებისა, აგრეთვე გამოცემული სამეცნიერო ნაშრომებისათვის თანდართული საილუსტრაციო დოკუმენტური ჩანახატებისა თუ სურათების მიხედვით. ამ გზით შევეცადეთ გეჩვენებინა სხვადასხვა ტიპის საქსოვი დაზგები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო გავრცელებული და რამდენადმე შეეცადათ ის ნაკლი, რომელიც გააჩნდა ხალხში შეკრებულ მასალებში ამ ნაწილში.

ამგვარად, „მასალების“ ამ ტომში წარმოდგენილია ტექსტში შეტანილი ილუსტრაციების სახით სხვადასხვა ტიპის საქსოვი დაზგები (მათ შორის სხვებზე აღრინდელი ტიპი — ჭილოფის საქსოვი დაზგა) გავრცელებული საქართველოში, მათი ნაწილები, ქსოვასთან დაკავშირებული სხვა ხელსაწყოები (მაგ. ჭარები, საუნტელები, თითისტარები, სახრელები, საქსოვი ფირფიტები და სხვა), სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილების ფოტოები თუ ჩანახატები და სხვა. მაგრამ იმ მრავალგვარი ქსოვილების დახასიათებისათვის, რომელსაც ამზადებდნენ თუ ქარგავდნენ ჩვენი შესანიშნავი ქართველი ქალები, სრულიად უკმარისია ეს თითებზე ჩამოსათვლელი ფოტოსურათები თუ ჩანახატები.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ქართული ხალხური ქსოვილებისათვის დამახასიათებელია გასაოცარი მრავალგვარობა და არანაკლებ გასაოცარი ფერადოვნება. ამ მხრივ ის მასალა, რომელიც ექსპედიციის წევრებმა დიდის მონდომებით და სიყვარულით შეკრიბეს ამ ნახევარი საუკუნის წინ, ქართული ქსოვილების ნაირსახეობის, მათი ფერადოვნებისა და მათი მხატვრული ღირსების და დონის მკრთალ სურათს წარმოგვიდგენდა, ჩვენ რომ ამ ნაშრომისათვის არ მოგვეძია და არ შეგვეჩინა ქართული ხალხური ქსოვილების ის თვალწარმტკიანი ნიუშები, რომლებიც, ჩვენდა საბედნიეროდ, მრავლად არის დაცული ჩვენი მუზეუმების ფონდებში. ჩვენ შევეცადეთ ამ მდიდარი საგანძურის ერთი მცირე ნაწილი მაინც შეგვეტანა ამ ტომში გადაღებული ფერად ფირზე და ჩვენი საზოგადოებისათვის გეჩვენებინა ქართველი ქალების შემოქმედების უბადლო ნიუშები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მდიდარი ფონდებიდან. შერჩევის პრო-



ცესში გათვალისწინებული იყო ის გარემოებაც, რომ წარმოგვედგინა კარგად დოკუმენტირებული, ნამდვილად ქართული წარმოშობის ნიმუშები. ამისკენ ფუძეელს იძლეოდა მუზეუმის საცავების საინვენტარო ჩანაწერები და, აგრეთვე, ზოგ შემთხვევაში ქსოვილებში ჩაქსოვილი თუ ქსოვილებზე ამოქარგული ქართული წარწერები და სხვა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ შერჩეული ქართული ქსოვილების ნიმუშები მუზეუმების ქსოვილების მდიდარი ფონდების მთლიანად შემოწმების შედეგი არ არის, არამედ ტომში შეტანილია ის ნიმუშები, რომლებზედაც ხელი მიგვიწვდა და, ცხადია, ჩვენი მუზეუმების ფონდებში მოიპოვება კიდევ მრავალი უნიკალური ქსოვილი, რომელთა გამოქვეყნებასაც ტომები დაჰირდებოდა.

ამას გარდა, ტომის დადგენილი მოცულობა გვაიძულებდა განგვესაზღვრა ილუსტრაციების რაოდენობაც. მიუხედავად ამისა, როგორც ამაში მკითხველებიც დარწმუნდებიან, ტომში შეტანილია ქართველი ხალხის ყოფასა და კულტურასთან დაკავშირებული მრავალი შესანიშნავი, უნიკალური და დამახასიათებელი ნიმუში, რომელთა მიხედვით შეიძლება შევიქმნათ მართებული წარმოდგენა ქართული ხალხური ფეიქრობისა და ქაბადგულობის, აგრეთვე მღებრობის მრავალფეროვნებასა და მხატვრულ დონეზე.

ამ შეუდარებელი მასალის გამოქვეყნება ფერებში შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენთვის დაუზარებელი დახმარება რომ არ გაეწიათ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს. ამ უნაგარო დახმარებისათვის გულითად მადლობას მოვასხენებთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში პროფ. ალ. ჯავახიშვილს, დირექტორის მოადგილეს ფონდების დაცვა-აღრიცხვის დარგში ს. ბოლქვაძეს, ეთნოგრაფიის განყოფილების გამგეს ისტ. მეცნ. დოქტორს გ. ჯალაბაძეს, რომელმაც სრულიად განსაკუთრებული და დაუზარებელი დახმარება გაგვიწია სათანადო ექსპონატების შერჩევაში. მადლობას მოვასხენებთ აგრეთვე ამავე განყოფილების უფრ. მეცნ. თანამშრომლებს ლ. მოლოდინსა და ც. ბეზრაშვილს.

ასევე დიდ მადლობას მოვასხენებთ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს დოც. თ. სანიკიძეს, დირექტორის მოადგილეს ვ. კანდელაკს, მუზეუმის საგანძურის განყოფილების გამგეს უფრ. მეცნ. თანამშრომელს გ. აბრამიშვილს, მუზეუმის უფრ. მეცნ. მ. სვანიძეს, განყოფილების გამგეს ნ. სვანიძეს, უფრ. მეცნ. თანამშრომელს კ. ჯანშიაშვილს, მეცნ. მ. გოქაძეს, რომელთაც ძალიან მძიმე შრომა გასწიეს მრავალი ქსოვილის შერჩევისა და აღრიცხვისათვის.

სრულიად განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის დიდი, შესანიშნავად ორგანიზებული, გამსაკუთრებული პასუხისმგებლობით შესრულებული შრომა, რომელიც გასწიეს საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს (უფროსი პროფ. ი. ციციშვილი) ს. ჭობულაძის სახ. კულტურის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ლ. წილოსანი, მოადგილე თ. კოპალაანი) და მისმა თანამშრომლებმა: მთავარმა ოპერატორმა გ. გერსამიაძემ, ოპერატორებმა ი. დემეტრაშვილმა, ს. დემეტრაშვილმა, შ. უღენტმა და ფოტოთექნიკის გამგემ მ. პეტაშვილმა. ამ ლაბორატორიის მიერ დიდი პასუხისმგებლობით და მაღალკვალიფიკურად შესრულებული სამუშაოს გარეშე შე-

უძლებელი იქნებოდა ქართული ხალხური ფეიქრობისა და ქარგულობის მემკვიდრეობის ძეგლების პუბლიკაცია ფერებში. ჩვენ მოვალედ ვთვლით თავს აღნიშნულთაგან განსაკუთრებული როლი, რომელიც ფერადი ფოტოფიქსაციის საქმეში შეასრულა პატივეცემულმა ო. კოპალიანმა. იგი თავიდან ბოლომდე დაუღალავად, მაღალკვალიფიციურად და პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობდა ამ მუშაობას.

ფოტოფიქსაციის დროს გადასაღები სამუზეუმო ექსპონატების მოკლე აღწერას და აღნუსხვას აწარმოებდა ინსტიტუტის საპრობლემო ჯგუფის უმც. მეცნ. თანამშრ. ლ. სოხაძე.

ამ ტომისათვის მასალები გამოსაცემად მოამზადეს, ტომი შეადგინეს, საილუსტრაციო მასალები შეარჩიეს და გამოსაცემად მოამზადეს, მოკლე ანოტაციები დაურთეს ვ. ჯაფარიძემ და მ. ბაღრიანიშვილმა.

ქვემოჩამოთვლილი კუთხეების ტექსტები ენობრივად შეამოწმეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტებმა: საქართველოს მეცნ. აკად. წ/კორესპონდენტმა ივ. გიგინეიშვილმა (ქიზიყი, შიგნი კახეთი, გარე კახეთი და ერწო-თიანეთი), დოც. რ. ლამბაშიძემ (საინგილო), პროფ. თ. უთურვანიძემ (თუშეთი), პროფ. ა. ჭინჭარაულმა (ხევსურეთი), პროფ. მ. ჭალდანმა (სვანეთი), პროფ. ა. კიზირიამ და კ. გავუამ (სამეგრელო).

ტექსტების შემოწმებას და საძიებლის შედგენას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ქ. ლომთათიძე და მეცნ. აკად. წ/კორესპონდენტი ივ. გიგინეიშვილი.

საძიებლები შეადგინეს: ნ. ქლენტმა, მ. ფერაძემ, ლ. სოხაძემ და ნ. თაქთაქიშვილმა.

გრაფიკული ილუსტრაციები შეასრულეს მხატვარ-არქიტექტორებმა: დ. ელოშვილმა და გ. დავითაშვილმა. ფოტოსურათების პირები მოამზადა ფოტოგრაფმა ი. გილგენდორფმა.

„მასალების“ ორი ტომის გამოცემით შესრულდა იმ საშვილიშვილო საქმის ერთი მესამედი, რომელიც დაკავშირებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელთან და ლეაწლთან. წინ კიდევ დიდი და უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა გასაკეთებელი.

დღეს ყველასათვის ნათელია აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით გაცემებული საქმის უდიდესი მნიშვნელობა. ამ საქმეს ჰქონდა კიდევ უფრო აქტიური და ქმედითი დახმარება სათანადო ინსტანციების მხრივ იმისათვის, რომ კიდევ უფრო არ გაჰიანტრდეს ჩვენი ხალხის ამ განძის გამოცემა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1975 წლის 17 აპრილის დადგენილება შესრულდეს პირნათლად.

ვ. ჯაფარიძე

ს ი ა

იმ პირთა, რომელთაც შეკრიბის მასალები 1935 წელს საპარტიულოს
 შინაგარეშევალოებისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის:

	მასალები შეკრიბა	ქიზიყში
1. სტეფანე მენთეშაშვილი,	"	შიგნი კახეთში
2. ლუბა ბოჭორიშვილი,	"	გარე კახეთსა და
3. იოსებ მჭედლიშვილი,	"	ერწო-თიანეთში
4. ილარიონ პაპიაშვილი,	"	საინგილოში
5. გიორგი ბოჭორიძე,	"	თუშეთში
6. ვასილ ჩოხელაშვილი (ტუქსიშვილი),	"	ფშავეში
7. ალექსი ოჩიაური,	"	ხეცსურეთში
8. ნათელა ოჩიაური,	"	ხევში, მთიულეთ-
9. ვახტანგ ჭაფარიძე,	"	გუდამაყარში და ქართლში მტკვრის ჩრდილოეთით (მდ. ქსნისა და არაგვის ხეობებში) ¹
10. კონსტანტინე კახიანი,	"	ზემო ქართლსა და ქვე- მო იმერეთში
11. ირაკლი ქანაშვილი,	"	ქართლში, მტკვრის სამხრეთით
12. კონსტანტინე გვარამაძე,	"	მესხეთსა და ჯავა- ხეთში
13. ბარბარე (ბაბო) წერეთელი,	"	ზემო იმერეთში
14. აბელ კიკვიძე,	"	ქვემო რაჭაში
15. ნაკოლოზ რეხვიაშვილი,	"	ზემო რაჭასა და ლე- ჩხუმში
16. ფაფალა გარდაფხაძე,	"	ქვემო სვანეთში
17. კონსტანტინე გრიგოლია,	"	ზემო სამეგრელოში

¹ მასალებს I ტომში დაბეჭდილია შეცდომით „მდ. ქსნისა და ლიახვის ხეობებში“ (იხ. გვ. 30).



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

- 18. ანა ხუბუტია, " " ქვემო სამეგრელოში
- 19. სოლომონ ანდლულაძე, " " გურიაში
- 20. ქეთევან ლომთათიძე, " " აჭარაში
- 21. თამარ ანდლულაძე, " " აჭარაში
- 22. იოსებ გრიშაშვილი, " " თბილისში
- 23. ქეთევან გოგიაშვილი, მასალებს კრებდა თბილისში, ქალთა შორის.

ფიქრობა, მღებრობა, ქარბვა

ქიზიყი

ფეიქრობა

მატყლის ქსოვილები

მთხრობლები: კეკა გურგენის ას. შანშაშვილი, 60 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო მაჩხაანი); ანანა ჯაქარიას ას. მენტეშაშვილი, 85 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო მაჩხაანი); ანა ჯამასპიშვილი, 70 წ. (სოფ. ზემო მაჩხაანი) და სხვანი.

ჩეჩვა და რთვა. მატყლი ბატკნისა ყველასა სჯობია. ცხვრის მატყლში გაწაფხულის მატყლი უფრო რბილია და წმინდა, მაგრამ, ნაწამთრის მატყლი როა, მოთელილია, ნაბადივით არის; არჩევა უნდა. **გაწაფხულის მატყლი** ცოტაა ერთი ცხვრის კვალობაზე. **შემოდგომის მატყლი**, მართალია, ბარაქიანია, მეცხვარისთვის არის ხეირი, ბევრი გამოდის ერთ ცხვარზე, მაგრამ სხვილია, ფაქაცია. **შემოდგომის მატყლი** ლოგინისათვის არის კარგი. ფახაცი მატყლი უფრო ცხვრის ჭიშხეა: ზოგ ცხვარს **ფახაცი მატყლი** აქვს, ზოგს — **თიფთიკივით**. თიფთიკი თხსა აქვს შიგნით. ვინც დასდევს, გაკრეპის დროს აარჩევს, მემრე საჩეჩელზე აირჩევა.

მატყლი ჯერ ხელით დაიწეწება, კვირწლი და ნაკრეპი აერჩევა, მემრე საჩეჩელზე დაიჩეჩება. დაჩეჩის დროსაც, რაც კვირწლი და ნაკრეპი შეჰყვა, საჩეჩლის კბილებზე დარჩება, რომელსაც **ნაგულს** ეძახიან. სუფთა მატყლს გამოაგლეჯენ და **ფარობად** აკეთებენ. რასაც ერთჯერობაზე დასჩეჩავენ, ერთ ფაროდ შეიკრება. ფაროს ხელისგულზე აბტყელებენ.

ერთ დღეს ერთი ადამიანი სამ-ოთხ გირვანქას დასწეწავს და დასჩეჩავს კიდევ. დაჩეჩილ მატყლს გიდელაში ან კალათსა, ან გოგროხაში ინახავენ.

დართვა ორნაირად ხდება, ერთი **ტარზე**, ანუ **თითისტარზე** [და მეორე — **ჯარაზე**].

ტარი შინდისაა, ციდამტკაველია ან მტკაველი და ოთხი თითი. თავბოლოს გაწვრილებულია, ბოლოდან **კვირისტავი** აქვს შემოცმული. კვირისტავს ქვემოთ ორი თითის დადება დაპრჩება ბოლო, კვირისტავს ზემოთ მუცელი აქვს ოდნავ გამობერილი. კვირისტავი და მუცელი ამძიმებს ტარს, ახანგრძლივებს ტარის ბზრიალს. ტარი, როცა აივსება ხოლმე დართულით და ისე მძიმდება, რომ თითები ველარ აბზრიალებენ, კვირისტავს წააძრობენ. წვერისაკენ ტარი თანდათან წვერილდება. რთვის დროს მარჯვენა ხელის ცერსა და სალოკს მოავლებენ ტარის წვერს, სალოკ თითს უკან გამოუსვამენ, ტარი დაბზრიალდება მარცხნიდან მარჯვნივ. ტარი ბზრიალებს ბოლოზე. დართული კვირისტავის ძირში ეხვევა მარჯვნიდან მარცხნივ, რადგან ტარი ამ შემთხვევაშიც მარცხნი-



დან მარჯვნივ ბრუნავს. ბაწარს, ე. ი. ნართს წვერზე შემოახვევენ და წვერში ჩააკანძებენ, ცერზე ერთხელ გადაახვევენ და წვერზე ჩამოაცვამენ. ფარულ მარცხენა ხელის სალოკსა და შუათითის შორის უჭირავთ, რთვის აწესრბმებენ წმინდად თუ სხვილად, მარცხენა ხელისავე ცერითა და არათითით. ფარო ბრტყელია. ტარზე დღეში ნახევარ გირვანქას დაართავს. კარგი მრთველი, სხვა საქმე რომ არაფერი აწუხებდეს და მარტო რთვაზე იყოს, 3/4 გირვანქას დაართავს. წმინდას უფრო ნაკლებს დაართავს, მომზოს — მეტს. ჯარაზე უფრო მეტი ირთვება, გირვანქამდეც დაართავს კარგი მრთველი.

ჯარა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: ხის მორგვისხავამ; მორგვს ორი ფთა ჯვარედინად ცალი მხრივ აქვს, ორი — მეორე მხრივ. ფთეებს მორგვის გარეშაშო დახლართული აქვს კანაფი ან დაგრეხილი ბაწარი. კანაფით აქვს ფთა მოშენებული, ხოლო ზედ ქარშიკი აქვს ამოკრული. მორგეცა და ფთეებიც შუაში განერეტილია და დერძი აქვს გაგდებული შვინდისა. დერძს შემოცმული აქვს საჯელური, ხოლო საჯელურში კინთია გაყრილი. კინთზე უე-




სურ. 1. რთვა ჯარაზე და თითის ტარზე

ლიათ ხელი და ისე აბრუნებენ ჯარას. დერძი გაგდებული აქვს ფეხებში და ისეა მორგვი მაღლა შეყენებული. ფეხი ორი აქვს. ფეხები ჩაბნეულია ტაბლაში. ტაბლის მეორე ბოლოშიც პატარა ფეხები აქვს ჯარატარის დასამაგრებლად. ზოგის თქმით, თითქოს ამ ფეხებს თითები ერქვას, მაგრამ უმრავლესობამ უარყო. ამ ფეხებზეა დამაგრებული ჯარატარი. ჯარატარი რკინისაა. ჯარატარს ბოლოდან შემოცმული აქვს კოპის ყური, ხოლო წვერისაკენ — ფთის ყური. კოპის ყური იქითა ფეხშია გაბნეული, ფთის ყური — აქათ, მრთველისაკენ. ჯარატარს წვერი მრთველისაკენ გრძლად აქვს. ჯარატარს ყურებშუა ტიბური აქვს, კოჭივით არის. ტიბურსა და მორგვზეა წამოდებული ლამბი.

ლამბი ცხვრის ნაწლევისაა, მომსხოდ კეთდება. ტაბლაზე პატარა ფეხებთან ქვა დევს, რომ დაბლა დასწიოს და გააჩეროს, იგრე ყირავდება.

ჯარაზე უფრო ბევრი ირთვება, კი მრთველი გირვანქამდე დაართავს.

დაძახვა უკულმე ხდება. ტარს დაძახვის დროს ორსავე სილას [ორივე ხელისგულს] ავლებენ, მარჯვენა ხელს წინ გაუსვამენ, მარცხენას — უკან. ჯარაზე ლამბს ამოუბრუნებენ და უკულმა ატრიალებს ჯარატარს. დაძახვით ან სამი წვერი იძახება, ან ორი წვერი. მიღებულია სამწვერი ბაწარი, ორწვერი თხელი რამეებისათვისა და საბაზროდ კეთდება. რთვის დროსვე ვარაუდობენ, რამდენ წვერს დასძახვენ. როგორც დართვა, ისევე დაძახვაც ბოშადაც შეიძლება და მაგარაც. ბოშად დართულს ჩამოფლავნილსაც ეძახიან.



1974.661
4

სურ. 2. რთვა ჯარაზე

აღწევი ოთხ-ხუთ გირვანქამდე დასძახავს ერთი ადამიანი. დაძახვა ადვილია.

რთვა და ქსოვა ქალის საქმეა.

რაც ერთ ჯარატარზე ბაწარი დაეხვევა, ჰიტი ჰქვიან. დაძახვის დროს ჯარატარზე ნაძვის ლეროს ან ჩალას შემოაცვამენ ხოლმე ზოგჯერ რომ ადვილად წასძვრეს და წამძვრალი ჰიტი ამოკეცვაში არ დაიშალოს. ჰიტებს ამოკეცავენ ხოლმე ან გორგლად, ან ხიფებად.

ზოგჯერ ჰიტისა და გორგლისაგან შეერთებულ სახელს — ჰიტიგორგალსაც ხმარობენ — ჰიტისა და გორგლისათვის.

ზოგი ბაწარს ხვეწავს, უფრო სუფთა გამოდის. ბაწარ მუხლზე მოიდებს ორწვერივ, ჩიხს გადაახვევს და გაუსვამს და გამოუსვამს. მარცხენაზე დახვეწილს იხვევს, ნეკად.

ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა საჭიროებისათვის სხვადასხვანაირად ირთვება: საჯეჩიმე კარგი მატყლისაა და წმინდა, საფარდაც — მოშხო, წინდი-

1. მარტის სტ. სპ.

სა — შუათანა; ორწვერი წინდისა (ბაწარი ორი წვერი ნართია დაძახული) — მომხო, სამწვერი (სამი წვერია დაძახული) — მოწმინდაო.

ჭეჭიმისა და ფარდავის ქსოვა¹. სუფთა ჭეჭიმსა და საგარეო ხურჯინს კარგი მატყლი უნდა, იგრე საყმარებს — სხვილი. ერთი რომელიმე ნაჭრისათვის საყმარისი ბაწარი რომ შეთავდება, მემრე დეიწყობა ქსოვნა. რამსიგჱე ჭეჭიმიც უნდა, იმ ზომაზე საჩხეში ორ პალოს თავში ჩაადგებენ და ორს — ბოლოში. ამ პალოებზე მოსდებენ კეტებს, ერთს — თავში და მეორეს — ბოლოში. კეტებზე დაჰქსელავენ.

საჭეჭიმედ ბაწარი დაფრადებულია. ჭეჭიმს ზოლიანი ფერადი ჭრელი აქვს, რომელიც დაქსელვაში უკეთდება, ე. ი. იქსელება ზოლად და ზოლად სხვადასხვაფერადი ბაწარი. დაქსელვაში იგრე კეთდება, რომ ორი წყება ქსელი ზემოთ არის, ორი — ქვემოთ. სულ რომ დაჰქსელავენ, მემრე ამოსდგომავენ: ერთ წვერ ქსელს დგომში ამოიღებენ, მეორეს ჩაადგებენ. დგომი ბამბის ძაფისაა. ამოდგომამდე ქსელთა შუა დაგრეხილ ბაწარს გაუტარებენ ხოლმე. რომ ქსელი არ აირიოს. ამოდგომის შემდეგ საგორავს გაუჯდებენ ქსელთა შუა, ზოლონდ საგორავი ისეა გატარებული, რომ ის ქსელი, რომელიც ჩავარდნილი იყო დგომში, ზემოთ იქნება, ხოლო ამოდგომული — ქვემოთ, ასე რომ დგომსა და საგორავს შუა ქსელი ერთმანეთს კვეთს. [როცა] საგორავს წინ წასწევს, ქსელი ჩაიკრიფება, ჩაიშლება, გადაჭვარდინებული დგომს გადასცდება წინ, მაშინ ზედას გაატარებენ, მემრე საგორავს მოაგორებენ უკან, ქსელი ამოიკრიფება, გადაჭვარდინებული დგომის უკან იქნება, ზედასთან მოვა, მქსოვნილი დაშნას შეჰყოფს და მოჰბეჭავს, გამოატარებს ზედას და საგორავს წინ წააგორებს, ქსელი კიდევ ჩაიშლება, ხოლო დგომის ქსელი მაღლა ამოვა; გაჰყოფს კიდევ დაშნას და მოჰბეჭავს, გამოატარებს ახლა მეორე მხრიდან ზედას, კიდევ დაშნით მოჰბეჭავს, საგორავს ახლა უკან მოაგორებს, კიდევ ისე განმეორდება და ა. შ.

ქსოვის დროს [მქსოველს] ქვეშ პატარა სკამი უდგას და ზედ პატარა ბალიში უდგეს. რამოდენსამე რომ მოჰქსოვენ, ამოაბრუნებენ. სულ რომ მოჰქსოვენ, მემრე ამოსჭრიან. სიგანე ორი მტკაველი აქვს, რომ ადვილი იყოს საბეჭად, მემრე დასჭრიან და ჩააკერებენ ხოლმე.

დღეში აღლსა ჰქსოვენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამასთანავე ერთად საოჯახო საქმეებსაც ეწევიან და ამიტომ ნაკლებსა ჰქსოვენ. ერთ ჭეჭიმს 6—7 გირვანჯა ბაწარი უნდა. შეკერილი ჭეჭიმის სიდიდე 6×15 მტკაველია.

ხურჯინი და საცალოც ასევე იქსოვება.

ფარდავის ქსოვა. ფარდავის დასაქსელავად ხის ოთხკუთხი უზარმაზარი ჩარჩოა გაკეთებული, რომლის არც ერთი ნაწილის სახელი არ იციან. საგორავი იციან, რომელიც უნდა გაუჯდონ ქსელსა და — სავარცხელი, რომლითაც უნდა ბეჭონ. სოფ. ჯიმითში ჩარჩოს ყდები უწოდეს, როგორც ზორტის ქსოვაში ენახათ, ყდა უნდა ყოფილიყო.

¹ შეიკრებს ამ ქვეთავის მთხრობლები არ ჰყავს დასახლებული, რამდენადაც დღეაში ცნობები ჭეჭიმებისა და ფარდავების ქსოვის შესახებ მისდევს „მღებრობას“. რომლის მთხრობელიც არიან კეკა გურგენის ასული შანშაშვილი და ანანა მენათესაშვილი, სავარაუდებელია. რომ ამ ქვეთავის მთხრობლებიც იგივე პირები იყვნენ. შართალია, იქვე დასახლებულია მთხრობლები საქულა გოდერაძეშვილი, მაგრამ ქსოვის შესახებ, აღბათ, მხოლოდ ქალები მიაწოდებდნენ ცნობებს.

ფარდაგის დაქსელვაც ისევე ხდება, როგორც ჭეჭიმისა, ოღონდ ფარდაგს **ქსელი დაუფერადებელია**, თუთრია. ამისი ზედა დაფერადებული, რადგან ქსოვნაში ზედა ექცევა გარეთ. ხოლო ქსელი გულად რჩება. დაქსელვის შემდეგ ამოსდგომიან. როგორც წესია, საგორავს გაუვადებენ და სხვა. მემრე წინ ნიშუმს დაიდებენ და დაიწყებენ ქსოვას. ერთდროულად რამდენიმე ადამიანი ჰქსოვს. დაყოფენ ნაწილ-ნაწილ და ერთმანეთს ეჯიბრებიან კიდეც. ვინ მეტს მოასწრობსო. ქსოვნაში საგორავი მონაწილეობას არ ლეზულობს. ზელს დაპკრავენ, ერთი წყება ქსელი ამოვა, მოავლებენ თითებს და ქვემოთ მოიტანენ გადაკვეთის ხაზს და გაუბნევენ ზედას, დაპკრავენ ზელს და ამას ჩაშლიან და ახლა ქვემოთებს ამოილებენ და ა. შ.

ერთი ადამიანი მარტო იმდენ ქსელს ამუშავებს, რამდენზეც ერთი ყვავილი გაიმართება, დაუბრუნდება, ახლა მეორეს გააკეთებს და ა. შ. ბეჭვენ სავარცხლით. სახეების სახელები არ იცინა.

ბ ა მ ბ ი ს ქ ს ო ვ ი ლ ე ბ ი

მთხრობლები: ანანა ზაქარიას ას. მენტეშაშვილი, 85 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო მაჩხაანი); ევა იოსების ას. გელაშვილი, 75 წ. (სოფ. კარდანახი).

წინ-წინ კარგი ჭიშის ბამბა მოდიოდა, შავი კურკა ჰქონდა. როგორც კი გადასწევი, კურკა თავისთავად გადმოჰვარდებოდაო, ძარღვიანი იყო, ბზინავდაო. გონია, აპრილში ვთესავდით, რომ არ დაძრესო.

ბამბის კურკას ჩიხრინით არჩევდნენ. ფიცრები იყო, რკინის ღერძი ჰქონდა ერთი და მეორე — ხისა, უფრო სქელი. ატრიალებდნენ თურმე ხელით. ბამბა წინ ვადიოდა, კურკა — უკან, ზემოდანაც ფიცარი აქვს.




სურ. 3. კინთი

ბამბას მემრე გაპენტვა უნდა. საპენტელი აქეთ. მშვილდია ხისა, ცოტა მოხრილი; ზედ ძალი აქვს აბმული ორწვერი ან სამწვერი. გაპენტვის დროს მშვილდს ხელში იჭერენ, მშვილდის ქვეშიდან ისარია გამოტარებული (წვრილი ჯოხია) და ძალზეა დაჭირებული. ძალს ზევიდან კინთსა სცემენ, თუ ისარი არა აქვს, ძალი აიხვევს ბამბას.

„რასაც ერთჯერობაზე გაპენტამდით, იმას იქით მივწევდით, რომ გაპენტავში ხელი არ შეეშალნა და ახლა სხვას გაპენტამდით. ერთჯერობაზე გაპენტელის მჯარს ვეძახოდით. მჯარს გადმოვიღებდით და ქულათ ავახვევდით. მერე ქულას პატარ-პატარას მოვაგლეჯამდით; საფთილე შვინდის ჩხირი გვქონდა, მონაგლეჯ ბამბას ჭარის ქვაზე დავდებდით და საფთილეზე ავახვევდით. ფთილებს ვავაკეთებდით, მემრე დავართავდითო 1/2—1 1/2 ვირვანქას დღეში“.

მთხრობლები: მარიამ გლახას ას. ქიტესაშვილი, 90 წ., უწიგნური (საქონელი ანაგა); მარუსა გიორგის ას. შანშაშვილი, 40 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო ჩხეტი); ანა ჭამასპიშვილი, 70 წ., წიგნიერი (სოფ. ზემო მახაანი).

ბამბას ართავდნენ ჭარაზე. ჭიტებს წააძრობდნენ, ჭალზე ჩამოაცვამდნენ. ჭიტს გულში ჩიხი აქვს. ცხრა ჭალი აქათ იქნებოდა, ცხრა — იქით. ამოკეცამდნენ საშულავეზედა სამწვრად, დასძახავდნენ. ისევ საშულავეზე კიფებად გააკეთებდნენ. დაძფავამდნენ. თუ არ დაფაფეს, ქსოვნაში დაწყდება. ლარობზე (ორკაბა ჯობებია) დაქქელავენ, მემრე დგომში უნდა გაატარონ, დადგომონ, სავარცხელში (ჩიხისა იყო, ეხლა რკინისაა) გაატარებდნენ. რაზედაც მოქსოვილ ხამს ახვევდნენ, ის რვილიწლილი იყო. ჩლები აქვს, ზოგს რამდენი, ზოგს რამდენი, ექვსიდან-ათამდე. დგომი და ჩლა ორივე ერთიანო. ჩლები კვირიტავეებზეა ჩამობმული წყვილ-წყვილად. სავარცხელი საბეჭ ხეშია, ანუ დაჯგამი. საბეჭის აქათ-იქით ყუთებია, რომლებშიც მაქოა. მაქოში ჩიხია, რომელზეც დახვეულია საზედაო ძაფი. საფეიქროს მაღლა თერთმეტი კბილი აქვს საბეჭის გადასანაცვლებლად. ჩლები, ანუ დგომები მობმულია დაბლა ჯობებზე, რომლას სახელი ზოგმა ვერ მითხრა, ზოგმა ჩიტები უწოდა, ხოლო ზოგმა — მახალაკი. მახალაკები იმდენია, რამდენი წყვილიც ჩლაა. ჩლაზე ბერკეტით არის და მახალაკზე ფეხის დადგმით ან აშვებით ჩლა აიწევა, ან დაიწევა და იქსოვება. დაზგას ხელს მოკრავთ. და იბეჭება, იქსოვება.



სურ. 4. საფეიქრო.


ეხლა საფეიქრო მაღლა დგას, ძველათ კი საფეიქრო ამოთხრილი ორმო იყო. ჩავსხდებოდით ორმოშია და მაქოს ხან იქითა და ხან აქათ ვატარებდითო, — თქვა მ. ქიტესაშვილმა. ხამს, ვისაც რამდენი უნდოდა, იმდენს დაქქეს-



ლამდა, ექვს. ათ. ოც ადლს. ერთი ტოლი ხუთი კვერცხია. ფეიქრას სტილს^{სტრუქტურული ინჟინერება} ხუთი ადლი ხამი გამოდიოდაო.

სტილის მოქსოვნა ხუთი შაური და ორი პური ყოფილა. ორი ჯამი კიდევ ფქვილი ყოფილა საფაფავი; ლაინი — შვიდი შაური; მერდინი — ექვსი-შვიდი აბაზი. ზოგის თქმით, ადლი ხამის მოქსოვნა ორი შაური და ერთი პური ყოფილა, ლაინისა — სამი შაური და პური; მერდინისა — აბაზი და ერთი პურიო.

კაი მქსოვნელი დღეში ათ-ცამეტ ადლ ხამს მოქსოვდაო. ხამის სიგანე — ორი მტკაველი და ერთი ცერა რვა ჩლაში იქსოვებოდა, ლაინი — ათ ჩლაში, 2 1/2 მტკაველი სიგანე ჰქონდა. დღეში ექვს-შვიდ ადლს მოქსოვდაო.



სურ. 5. ფეიქრი დაზვასთან

სიღნაღიდან ჩამოქონებით ნართი (ე. ი. ძაფი), უქსოვიათ და ერთი-ორად ისევ ნართი უძლევიათ. სამი სტილი ნართისა თხუთმეტი ადლი ხამი გამოდის. თხუთმეტ ადლში ექვსი სტილი ნართი უძლევიათ. ნართში კიდევ წონანახევარი ბამბა უძლევიათ. „ვხელსაცვლაობდითო, ისინი ბამბას, ნართს გვადლევენენ, ჩვენა ვქსოვდით, ზოგი ართავდა. კაცს რომ არაფერი ჰქონოდა, ხელს გაიმართავდა, თანხას გაიჩენდაო“.

ანაგაში, ვაჭირში კაცებიც იყვნენ თურმე ფეიქრები. მ. ქიტესაშვილი ამბობს: „ჩემს მამამთილს გავაზში მიჰქონდა ხამი გასაყიდათო. ადლი მერდინი მანათი ღირდაო, ლაინი — ხუთი შაური, ხამი — აბაზიო; კარგათ არ მახსოვსო“ (მღრ. მოქსოვნის ფასს, ისიც ასე აქვთ ნათქვამი. ცხადია, აღარ ახსოვთ. — ს. მ.).

ხამი სიღნაღიდან ჩამოტანილი ნართისა ყოფილა, ლაინი — შინდართული-სა, შინაური ბამბისა ყოფილა. ლაინი განიერი, წმინდა იყვის, ხამი — ვიწრო და მომხოო.

ნაალის პირებად ფერადი ხამი უქსოვნიათ. ფერადათ უქსელიათ — ლურ-



ჯად და თეთრად და ზოლიანი ჭრელი გამოდიოდა: ძაფი ყოფილა შეღებოლი და ისე გამოდიოდაო. „**მჩითავეს** ყვაილები გამოჰყვანდათ, ხოლოთ არსტრეოცი, ხატამდენ თუ ბეჰდავდენო“. კაცებისათვის ლილაში უღებნათ და ნიფხვად უყერნათ ხამი. ახალოსადაც იცვამდნენ თურმე, დაჩითული ყოფილა. **ლანსაც** ხმარობდნენ თურმე; საბნები, ქვეშავები სულ ამისი იყერებოდა. მ. ჭიტესაშვილი ამბობს: „ჩემი ქალისთეინ 80 ადლი ლანი მამინდა, იმთენი ფული სადა მქონდა რო მეყიდნა? რო არა მცოდნოდა ქსოვნა, როგო ვიშოვნიდიო“.

მერდინიც ეგრე იქსოვებოდა, როგორც ხამი და ლანი.

აბრაშუმი ჯერ უნდა დაიფაფოს. ათ ჩლაში იქსოვება, წმინდა ძაფია. დღე-ში ოთხ ადლს ძლივ მოჰქსოვს.

მერდინისა ვაეკაცის პერანგი უყერნათ სამკალში სახმარებლად, დედაკაცებიც იცვამდნენ პერანგათ, ნიფხვათ. მზითევში უტანებიათ ქალებისათვის. ეხლა **ირიზოლიან ჯეჯიმებსაც** ჰქსოვენ საფეიქროში. ეხლანდელი საფეიქრო მიწის ზემოთ არის. დაქსელვა ლარების მაგიერ **ლუშმის ხეში** ხდება. თითო წყვილ ლურსმან შუა სამ-სამი წყვილი ბაწარია გატარებულა. ცხრაოცი წვერი ქვევით არის, ცხრაოცი — ზევით. დღეში ექვს-შვიდ არშინსა ჰქსოვს.

ამათ გარდა, სწნავენ **ნეჰასა** და **ქეჩახ**. ქეჩახ მაზარისა და მისთანათა ჩამონაჰრებისას სწნავენ. გაბამენ ქსელსა და მემრე, როგორც წნური ღობე მოწნან, ისე სწნავენ; ასე სწნავენ ნეჰასაც. **ნეჰა ჭილობისაა**.

ტახტებზე გასაშლელად სუფრობის დროს **იარანლები** და **საგორავები** სცოდნათ. **იარანლი** ვიწრო და გრძელი ნაალი ყოფილა, მატყლისა, მითელში შეეკრილი. საგორავი მატყლის ნაბადი ყოფილა, რომელსაც ლეკები სთელავდნენ თურმე. ჯერ საგორავს გაშლიდნენ, მემრე ზედ — იარანალს. ორივე ააგორიან, აახვიიან ხოლმეო.

სულ წინ-წინ **საჩოქე შაღები** არ უქსოვიათ. ომიანობის შემდეგ, უშოვრობის დროს დაუწყევით შაღების ქსოვნა, რომლებსაც ხმარობდნენ საჩოხელა და საშაღვრედ. ორი ჯურა შაღები ყოფილა: ერთი **გაბმულისა**, ჯეჯიმის ყაიდაზე იქსოვებოდა, მეორე — **საფეიქროსი**. ეხლა აღარც ამეებსა ჰქსოვენ.

ლაშლა ქიზიყში იციან, როგორც ქსოვილი კი არა, არამედ, როგორც თოკი. მატყლს ან თხის ბალანს მწყემსები ჩხირზე ართავენ, რა თქმა უნდა, მომზოდ, მემრე ჩხირზევე შეჰკრებენ, მემრე შეიძლება დაწნან კიდევაც; ათთის სისქე გამოდის. ხმარობენ მოსაქრავებად გუდისა, ტომრებისა და მისთანებისათვის. მის სრულ სახელად **ლარძლა** იხმარება, ზოგი **ჩათოსაც** ხმარობს.

ძაძა, როგორც განსაკუთრებული ქსოვილი, არ იციან. ძაძა ეწოდება ზოგადად სათაღზობელ ტანისამოსს, ახლო ნათესავის სიკვდილის შემდეგ **საწახო ტანისამოსს**.

კრეტსაბმელი არ იციან, არც ძოლო. ორხოვა, ანუ ორხუა დიდ ხალიჩას ეწოდებაო. თვითონ არა ჰქსოვენ. თათრებს მოჰქონდათ და იმათგან ვყიდულობდითო როგორც ორხუას, ისე ხალიჩასა, ფარდავსა, მაფრაშასა, ხურჯინსა და საცალოსაცო. თუმცა ეხლა ფარდავისა, ხურჯინისა და საცალოს ქსოვა თვითონაც დაიწყეს.

არ იციან მანდიკი, ვაშკარანი, ჩახუი, გუშლაგი, არც ნარმა.

არ იციან აგრეთვე ლეკვერთხი. წვივისაკრავი ან წვირისაკრავი იგივე ჩახსაკრავიო. ზონარი და ჩაფარიში ერთი და იგივეაო. არც სხეულა, მუყაიში, სინ-



სილი და ზეზი იციან. ოქროს თმა, ანუ ოქროშედი და სირმა ბაფთებისა, ბუჩქნაწილი მენტისა და ჩაფარიშების საქსოვნელად იხმარებოდა.

ზ ო ნ რ ა ე ბ ი ს ქ ს ო ვ ა

მთხრობლები: ანანა ზაქარიას ას. მენტეშაშვილი, 85 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო მახხანანი); შაშო მჭედლიშვილი (პაპახაური), 60 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო მახხანანი); ევა იოსების ას. გელაშვილი, 75 წ., წიგნიერი (ანაგელი ქალია, კარდენახელი რძალი).

ჩახსაკრავების ქსოვა [ფირფიტებით]. თავსა და ბოლოს ბოძებს, პალოებს დაპკრავენ და ზედ დაჰქსელავენ. ფირფიტებში ძაფს დაქსელვის დროს ატარებენ. ფირფიტებს ოთხი ნახვრეტი აქვს. ორ ზევითა ნახვრეტში თეთრებს გააბამენ, ქვევითაში — წითლებს. მეორე შემოვლაზეც ასევე. თხუთმეტ წყვილს გააყეთებენ, ესე რომ ორი წყვილი კიდევ გარეშამო — შავი (ზევით) და ნარგიზი (ქვევით) უნდა ყოფილიყრ. მერე კიდევ ზედა უნდა ატარონ. მქსოვნელი კიდე აბრუნებს. მქსოვნელი შუაში ზის, იქიდანაც მბეჭველია და აქადანაც. პატარა დაშნებია და იმით იბეჭება. სახის მიცემა ფირფიტების ტრიალზეა, თუ გინდა, თეთრებს ამოპყრი ზევით, თუ გინდა — წითლებს. ნაპირებმა სულ წინ უნდა იტრიალოს, გული კი ორჯერ წინ უნდა გადატრიალდეს, ორჯერ — უკან. იციან გამონათქვამები: ჩაბმა, ჩაშლა, ამოშლა, ჩავარდნა თვლისა.

„ჭრელი სათვალავზეა, რამდენი და როგორი ჭრელიც უნდა, ისე დავატრიალებთო. ხერხი პირითვინ სამ წყვილზე ვატრიალებთო“.

ჩახსაკრავს დაწყებისას ჭიკჭიკასა და ცხრილი გულს აძლევენ.

ჩაფარიშიც ჩახსაკრავის ფირფიტაზე იქსოვება. „ბაფთაც შემიკერნია (მთხრ. ე. გელაშვილი), შეიდიშუე იყერებდნენ, პირზე კიდე ჩაფარიშს ავლებდნენო“.

ჩახსაკრავის წერილები:

„ვაზი ვარ მაშვენებელი
გულაშურისა² მტევანი,
სიძე არი საყვარელი სიღედრისა“,

სიღედრი მთართმევს სიძეს ასეთ წერილიან ჩახსაკრავს.

„ტანათ ალვათ, პირათ მზისა,
მთართმევი ვარ ლომისა,
მუხლს ვესურვი...“

„მუხლს ვესურვი, ესე იგი ჩახსაკრავი მთართმევი ვარ, ვანო გეთიაშვილი მთხსა ძე, ტანათ ალვათ, პირათ მზისა, მლოცავი ვარ მადლის ხეთისა, ქალმა მოქსოვა მარომთაო“.

„ჩახსაკრავი ვარ ფორმისა,
მთართმევი ვარ ბროლისა,
პირმოცინარემ მოვქსოვე“.

² დედანში, ივ. ჭავჭავიძის ხელით სიტყვას — „გულაშურისა“ გვერდზე მიწერილი აქვს ასო ბანი (მულაშურისა) კითხვის ნიშნით.

თითონ ვიხმარე ბროლისა,
მისართმევი ვარ შავნისაო... (სახელი)".

„შუხლს ვესურვი, ესე იგი ჩაჩსაკრავი
ვარ ნაქსოვი, ტანათ ალეთ, პირათ შისა,
მისართმევი ვარ ლომისა,
მლოცავი ვარ მაღლის ხეთისა,
ჭალმა მოქსოვა შავანთაო... (სახელი)“.

ზორტის ქსოვა. ზორტის დაქსეღვა აღლის სიმაღლე ყდაზე ხდება. ზორ-
ტის ქსოვნაში ჭერ თვლები ამოიკრიფება ათ-თხუთმეტ საბეჭ ჩხირზე. ერთი
ჩხირი დაბლაა და სულ მუდამ ქვევით იბეჭება, დანარჩენები მაღლაა და იქით
გადაიბეჭება. ბოლოზე ზოგი ოქრომკედლს ახვევდა, ზოგი — აბრეშუმის ძაფს.
ფუნჯს უკეთებდნენ თურმე. ზორტს ხვანჭარასაც ეძახის. [სახელ] ვარდის პრელს
უკეთებდნენ თურმე.

მთხრ. ვეა იოსების ას. გელაშვილი, 75 წ., წიგნიერი (სოფ. კარდენახი).

ყაითნის ქსოვა. ბზით საესე გულა ფეხზე იდგმებოდა თურმე, ზემოთ თავი
პქონდა, რომელზეც ძაფი ებმებოდა და ზედ კოჭები ჩამოებმებოდა; რვა კოჭი
ყოფილა. ძაფი კოჭს ეხვივაო. ძაფი აბრეშუმის ყოფილა. ორ კოჭს აიღებდნენ
თურმე ნაპირიდან, ერთს ორ კოჭს შუა ჩააგდებდნენ და ერთს — სულ ბოლოს.
მეორე იმას თავს გაანებებდნენ, ორ კოჭს სხვას აიღებდნენ მეორე მხრიდან,
ერთს აქათ, ორ კოჭს შუა ავლებდნენ და მეორეს ბოლოს გადაისროდნენ. ჩა-
ვარდნილი კოჭები იქავა რჩება. გადავლებულს სამ კოჭს შუა ჩააგდებდნენ.
შუაზე მოღისო.



სურ. 6. დაშნა



სურ. 7. ორკაპი ჩხირი

დღეში რამდენსამე თოფსა ვქსოვდით, ადვილიოო. თოფში 30 არშინია.

მთხრ. თერძი შაქრო იორდანეს ძე კაბაშვილი, 45 წ., წიგნიერი (ქ. სილ-
ნალი).

ღინ-კილოს კვანძვა. ყაითანს აიღებენ, მარცხენა ხელზე სალოკ თითსა და
ცერ შუა დაიღებენ ან [ორკაპა] ჩხირზე გააკეთებენ, მეორე გადაიხვევენ ორ
თითზე, სალოკს გარედან შიგნით შემოახვევენ და ცერს გამოუტარებენ. ორივე
წვერი შიგნით იქნება, ერთი წვერ ქვეშ და მეორე — ზემოდან. შემდეგ ცერის
ყულფი უნდა გადაეცვას სალოკის ყულფსა, მეორე ქვეშითა წვერი სალოკის
ყულფში უნდა გასტარდეს და მარჯვნიდან მარცხნივ ხელისგულზევე გადმოვი-
დეს. იმავე წვერს ცერისეულ ყულფსა და ამას წინათ ამ წვერის გაკეთებულ
ყულფშივე ერთად გაატარებენ ისე, რომ სალოკის ყულფი გარეთ დარჩეს და



წვერს ხელისგულზევე ჩამოუშვებენ და დასკიმავენ; ეხლა ეს წვერი დაიკეცა და ახლა მეორე წვერს, ზევითას გაატარებენ სულ ზევიდან სალოკის ყულფსა წვერს გასწევენ და ორსავე წვერსა და სალოკის ყულფს აქათ-იქით გასწევენ. მემრე უნდა იპოვნონ ის წვერი, რომელიც სამჭვრ დაამათავრებლად უნდა ამოვიდეს. მემრე საბოლოოდ დიდი ყულფი ამოღის. დასტანდება წვერი; ამის შემდეგ კიდევ — სამჭვრ მეორე წვერი. მემრე უნდა გამოსძიერეს დატანებული წვერი და გათავებულა.

კაცი დღეში გააკეთებს ხუთასს ცალს. ფასობდა კაპიკად მასალიანად.

მ ღ ე ბ რ ო ბ ა

მთხრობლები: კეკა გურგენის ახ. შანშაშვილი, 60 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო მანხაანი); ანანა ზაქარიას ახ. მენთეშაშვილი, 85 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო მანხაანი); მღებარი საქულა გოდერძიშვილი, 63 წ., წიგნიერი (ქ. სიღნაღი, სოფ. მანხაანი).

[ნაამბობი] შემოწმებულია ყველა სოფელში დედაკაცთა შორის.

სოფლებში ბაწრების დაფერადებას დედაკაცები ეწვევიან სხვადასხვა საშუალებებით. ზოგიერთ სოფელში მაგ., ქვემო მანხაანში და ქ. სიღნაღში, სპეციალური სამღებროებია დახსნილი, სადაც მუშაობას დახელოვებული ხალხი ეწვევა, უფრო მამაკაცები, რომელთაც მღებრებს ეძახიან. ამათთან მოაქეთ, ვისაც რა აქვს შესაღები და სასყიდლით აღებენებენ.

ჭვრ განვიხილოთ შინაურული წესით დაფერადება. ბაწრას შემოდგომამდე ფურის დოში და თეთრ შაბში (გირვანქა ბაწარი და 1/4 გირვანქა თეთრი შაბი) დედავენ. შიგ სტოვებენ სამ-ცხრა დღე-ღამემდე. მოადღებენ, მემრე გააშრობენ, გარეცხამენ. გაშრება. ძალიან თეთრდება. შეღებვით, როცა მოესურვებათ, მაშინ შეღებვენ, რა ფერადაც უნდათ. დადევნა შვინდის მტავებშიც ხდება.

თუ წითლად უნდა შეღებონ, ენდროს დასჩეჩკამენ, დაჰფხეკენ. კარგა დაჰფეკამენ, გასკრიან, გაციროს ინახავენ. ანაცერს (რაც საცერში რჩება) ხარშავენ წყალში. წყალი უნდა შემოადგეს ენდროს ზემოთ. ქვაბში ხარშავენ. ბაწარ ცხელ-ცხელში სდებენ. ამოიღებენ, გაციროს ენდროს აყრიან, რაც მეტი დაეყრება, სჯობია. შიგავ ჩაიდება. შიგ უნდა გაცივდეს. მემრე თავისსავე წვერსა და ნაცარში, ნელთბილში დასდედავენ. მაშინვე წაიღებენ წყალზე და გარეცხავენ. მიწანდენი წყალი კარგად რეცხავენ.

ნარინჯად ნარინჯის ზემი (თრიმლის გულში, ოლღუნში) ღებავენ. ხის გულს თლიან, ქვით ჩეჩკამენ. ერთ ღამეს ხარშავენ, მეორე დღეს კიდევ ადუღებენ. მემრე ჩასდებენ ბაწარს, ერთ მუხლს გაღმოდუღებენ და შიგ გააცივებენ, თან უქავრებენ, ე. ი. ამოიღებენ და ჩასდებენ, რომ მალე გაცივდეს. ამასაც ნაცრიოთვე დასდედავენ და წყალზე გარეცხავენ.

ყვითლად შესაღებად ბაწარს ასველებენ ცხელ წყალში. აყრიან ზედ თეთრ შაბს მეოთხედ წილს, ქვეშაც რძიანა ან თავყვითლთა (ბალახია ორივე) ექნება და ზევიდანაც, მოუხარშავი. წყალს ასხამენ პირველიდანვე საკმარისად. ადუღებენ, გაყვითლდება. მემრე უშობელი ძროხის შარდში ან აბრეშუმის, ან ყაპის ნახარში დედავენ, ოქროსფერი გამოდის.



ყვითლად სისვშიც ლებავენ. სისვი გაღმიდან გამოაქვთ კაცებს, როცა შე-
შაზე ან საფეკვაზე არიან. კაჭაჭივით არის. სისვში დადებული ყვითელი
მოღის.

ყვითლად შესაღებად მაყალოს ქერქის წვენშიც დასდებდნენ, ფურცლას
ფოთოლშიც შეიძლება.

ღვინისფერი, ანუ **ხას ყირმიზი**. ხას ყირმიზს ყიდულობდნენ. წვრილ ნა-
ფოტებსა ჰგვანებია. ბაწარს ამ ნაფოტებში ადუღებენ, ბოლოს თავის წვესა
და ნაცარში დედამენ, მემრე წყალზე რეცხენ, როგორც ახალფეროს ბაწარი,
ისეთი გამოდიოდაო.

ლურჯად მღებრები ლებავენ ლილაში (იხ. ქვემოთ).

მწვანედ — შინაურულად ყვითლად დადებდის, მღებრების ლილაში ატა-
რებენ და ისე გამოჰყავთ.

შავად უანგაროში ლებავენ. **კაკლის ფოთოლს**, **შავებლახას** და **თავშავას**
ხარშავენ. შიგ დასდებდნენ ბაწარს, ხან ორჯერ, ხან სამჯერ. გააშრობენ. წვენს
წიდას ასხამენ, რკინა-რკუნას ჰყრიან. მესამე დღეს ჩაჰყრიან ბაწარს საღამოთ.
ბაწარი ღლისით მზეზეა გაშლილი, ხურდება. გახურებული უნდა ჩაიყაროს
უანგაროში. მთელ დამეს შიგ არის; ზევიდან კარგად არის დახურული, თორემ,
თუ მასკვლავებმა ჩახედეს შიგ, არ ვარგაო, ასჭრისო. მეორე დღით ამოიღე-
ბენ, დასწკრეტენ ზედვე და მზეზე გაშლიან ისევ. საღამოთ კვლავ ჩააწყობენ.
ხუთ-ექვს დღეზე გამოვა. მემრე თავშავის წვენშივე დასდებდნენ და გარეცხა-
ვენ. დადებდა ადუღებულში სჯობია, უხუნო გამოღის ბაწარი. ფერისცვალე-
ბამდე უნდა შეიღებოს, თორემ მემრე ფერს იცვლისო. ზოგის სიტყვით, ეანგა-
როში ძაღას უშვებიათ.

ღვიძლისფერად კაკლის წენგოში იღებება. წენგოს მოაღულებენ და ბაწარს
შიგ დასდებდნენ. რამდენსამე დღეს იქნება. შეატყობენ, რომ საყმარისად მოუ-
კიდაო, გააშრობენ, გარეცხავენ.

ხეშავის კურკაში მუქი მწვანე გამოღის.

მატყულადც შეიძლება შეღებვა, მაგრამ შემდეგ დაჩეჩვა ძნელდება. თით-
ქმის ყოველთვის ბაწარადა ლებავენ.

მღებრობა [ჩაწერილი] ს. გოდერძიშვილისაგან: „უწინ მარტო **ლილაში**
ღებავდნენ, თურმე, **ლურჯად**. ლილას აყენებდნენ ქვევრებში (თარღებში).
პირლია. ოცხაფიან ქვევრს წყლით აავსებდნენ და ხუთ გირვანქა ლილას მის-
ცემდნენ. ამას გარდა, აძლევენდნენ **თელის წიდას**. გლეხები სწვამდნენ ცოცხალ,
ფეხზე ნადგომ თელას. ის ჩამოიღვენთებოდა ფისივით და იმას უშვებოდნენ.
ვერხვიც შეიძლებოდაო.

თელის წიდას უშვებოდნენ ექვს გირვანქას, ახალ **ქვაკირს** — სამ გირ-
ვანქას. თუ მასალა მოსჭარბდებოდა, თავლს მისცემდნენ, ნახევარ გირვანქას,
დაატებობდა, ფერს გაუბაცებდა. ზაფხულში ცოც წყალში აყენებდნენ, ზამთარ-
ში — ცოტა გამთბარში და მერე აძლევენდნენ მასალას; ჯერ კირსა და თელას
წიდას აძლევდნენ, მემრე — ლილას. ლილას ჯერ დაწანაყავდნენ ქვაზე, მემრე
წყალს დაასხამდნენ, გაღესამდნენ თალარში, მაწონივით გახდებოდა და მემრე
მისცემდნენ. ორ-სამ დღემდინ დააციდინდნენ გაფუებას, მემრე გაშინჯამდნენ
და შეაზავებდნენ.

რომ ლებავენ, მატერია მასალასა სჰამს; გამოილევა. მასალა რომ გამოი-

ლეოდა, იტყოდნენ: „მღებრებს ლილა გადაუბრუნდათ და ტყუილი გამოუშვესო“. მითამ ტყუილი ლილას გააკეთებსო...

ერთხელ დაყენებული ლილა (ხუთი გირვანქა ლილა და სხვა მასალა) შეიღ გირვანქა (1 : 1 $\frac{1}{2}$) რამეს შეპლემამს. ბამბეული ცოტა მეტი შეიძლება, მერე კი გადაბრუნდება. ლილაში შესალებ ნაჭერს ჩასდებენ, ამოიღებენ, გაანიავენ. ნახავენ, რომ ფერზე არ არის, ისევ ჩასდებენ. ნახევარ საათს შეიღებება. გაშრობენ მზეზე.

ლილაში შეღებილი უხუნო იყო, არც გადადიოდა ფერი. ბამბეული უფრო კარგა იღებოდა, ვიდრე ბაწრეული.

„წინწინდელი ლილა გობი იყო, იტყვი, მიწასავით იყო. თითო გობი $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$ გირვანქა გამოდიოდაო.“



სურ. 8. მღებრები სახლოსთან

უწინ დღეში სამ-ოთხ თუმნისას შეპლემამდა რომ ყოფილიყო. კაბას მაიტანდნენ, 50—60 კაპ. გამოვართმევდით; „ამერიკას“ მაიტანდნენ ბაზაჩები. არშინ ოთხ კაპიკად ვღებამდით. დერკიკები საჩოზე შალებს გვალგებინებდნენ. ერთ საჩოხეში ორ-სამ მანათ ვართმევდით. მუხახის შალი ჩვენი შალეებია. ლეკში ყიდულობდნენ თეთრსა და ჩვენა ვღებამდით. ყვითელს მაიტანდნენ, ლილაში ჩაედებდით, მწვანე გამოდიოდა. წითელ მაიტანდნენ, ჭიგრაფერი გამოდიოდა ლილაში“.

ტიტიბში შეღება. ტიტობს მოადუღებდნენ (ბროწეულის ქერქია), ლოლოსავით მოჰხარშავენ, მემრე ჩაადგებენ შესალებს რამეს მდულარეში, გააცივებენ, დღე და ღამეს დასტოვებენ ისე. ამოიღებენ, ტიტობიანს ვააშრობენ. მემრე რუსულ შაბს მოადუღებენ და იმაში, მდულარეში ჩასდებენ. გადმოიღებენ და გააცივებენ. ამოიღებენ, გააშრობენ, გარეცხამენ, შავი გამოდისო.

ტიტიბში შინაურულადაც ღებავენ დედაკაცები. დატიტიბვას ეძახიან. ორი მეტრისოდნა ნაჭერზე 1 $\frac{1}{2}$ გირვანქა ხმელი ტიტობი უნდა, წყალი იმთენი, რასაც ნაჭერი შეიშრობს.


ეხლა ახალფერო საღებავებით ღებვენ და არაფრად ვარგა, ხუნდებამ და
დადის ფერი.

მესაბლემობა

მთხრობლები: მესაბლე მიხა მახარეს ძე ნადირაშვილი, 63 წ., უწიგნური (სოფ. ნუკრიანი); გიორგი მიხას ძე ნადირაშვილი, 26 წ., წიგნიერი (სოფ. ნუკრიანი); იოსებ სტეფანეს ძე გოგოსაშვილი, 40 წ., ბრმა (სოფ. ნუკრიანი) 30.VII. 35 წ.

მასალად ხმარობენ თხი ბალანს, ხარის ძუას, ცხენის ძუა-ფაფარს, ღორი ჭაგარს. საბლისათვის საჭიროა სხვილი და გძელი ბალანი. დაბახის ტყავის ნღვერი დაბალი ხარისხისაა, ცოცხალი თხის ნაკრევი უკეთესიაო.

ბალანი ხელით იწეწება, შემდეგ ლარებზე პენტამენ, ანუ საპენტით დაპენტავენ, კალთაში ჩაიდებენ და დაართავენ ჩარხზე. დართვის დროს ჩარხი მარჯვნივ ბრუნავს, მარცხნივ დასცერავენ, შემდეგ დაპგრებენ.



სურ. 9. თოკის გრება.

ერთი კაცი ჩარხის დამბრუნებელია, ორი — ართავს. ჩარხს ოთხი ძუძუ აქვს, რთვის დროს მარტო ორ ძუძუს აბია, ორი ძუძუა მუშაობაში. თითო კაცი თითო წვერს ართავს. რადგან ოთხი ძუძუ აქვს ჩარხს, ამიტომ შეიძლება ერთბაშად ოთხი წვერი დაერთათ, მაგრამ არევისა ეშინიათ და თანაც ამდენი ხელი არ არის.

როცა დაართავენ, მერე ორ-ორ წვერს ერთად დაპგრებენ, დასძახავენ. შემდეგ ოთხსავე ძუძუს მომხული აქვს ორწვერა დაძახული და აბრუნებენ ჩარხს მარცხნივ. წვერები გაკიმულია, ბოლოში მომხული აქვს მბრუნავი ჩანგალი,



ცერებში ჩაგდებული აქვს ყალპოტი. წვერები ყალპოტის ღარებში აწვდება ჩარხი ბრუნავს და წვერებსა სცერამს. ბოლოში ჩანგალი ბრუნავს, კალპოტის კაცი წინ მოაცურებს, კალპოტის უკან, ჩანგლისაკენ ივრჩება, წინ — ჩარხისაკენ წვერები იცერება. სამი კაცია საჭირო გრესხში. დღეში თხუთმეტ თოკს დაპგრებენ, თავის გაპენტვით, დართვით, დაცვრვით.

ურში თოკი [და] საურმე საბელიც ათი საყენია.



ჩარხის ნაწილები



სურ. 10. ჩანგალი, ყალპოტი და წვერები

თოკი თორმეტი წვერი უნდა დაირთას, სამი წვერი დაიცეროს და ოთხი — შეივრჩოს (var. 4x2 წვერი). საბელი [შეიძლება დაირთას] 2x4 წვერი, მეგრე 8x4 იქნება. პრევი ხუთი წვერი უნდა. დაწნული საბელი ათი წვერი დაირთება, ორი წვერი დაიცერება და ხუთი წვერი დაიწვნება. თოკი ექვსი წვერი დაირთება, ორი წვერი დაიცერება და სამი წვერი დაიწვნება. აპეური ექვსი წვერი დაირთება, ორი წვერი დაიძახება (დაიცერება), სამი წვერი კიდევ შეივრჩება.

ერთი ფუთი თხი ბალნისა თორმეტი საბელი გამოვა ან ოცდაათი უღელა აპეური, ანუ ხუთი გუთანნი.

თოკი კანაფისაა, ჭინჭრისა. ნართი ძაფი ივრჩება ჩანგლი თოკად. ოთხ წვერ გამოიტანენ და შეპგრებენ ჩანგლი თოკად.

საბელი ივმარება ცხენისა და ჯორის საბმელად, აგრეთვე სხვადასხვა საჭიროებისათვის.

დღეში სამი მესაბლე თხუთმეტ თოკს დაეგრება თავის გაპენტვით, დართვით და სხვა, ან ოთხ ყულაჩ (მხარ) დასწნამს, ე. ი. — ერთ საბელს.

დღეში ოც გირვანქა ბალანს [მესაბლე] გაპენტამს კიდევ, დაპგრებამს და შეპგრებამს კიდევ. გამოვა თხუთმეტი უღელა აპეური. აპეური ყულაჯ-ნახევარია. წყვილი უღელი აპეური აბაზი ღირდა, დაწნული საბელი — ათი შაური.

ბალანი ფუთი ექვსი-შვიდი აბაზი ღირდა; დაბახებში ვყიდულობდითო. ესლა ფუთი თორმეტი თუმანია.

იარალი — ჩარხი; ნაწილები; ძუძუ, ზედადგარი, ჩანგალი, ყალპოტი.

შიგნი კახეთი

შეიქრობა

მატყლის ძსოვილები

მთხრობლები: თებრო აბრამის ას. გელდიაშვილი, 70 წ. (სოფ. ზემო ხო-
 დაშენი); მარიამ ალექსის ას. როსებაშვილი, 80 წ. (სოფ. მარილისა, მატანი);
 ნუცა მისას ას. დარეჯანიშვილი, 50 წ. (სოფ. იყალთო); თეგლე გაბრიელის ას.
 უშიკაშვილი, 75 წ. (სოფ. ახმეტა); პელა მალხაზის ას. ყაველაშვილი, 60 წ.
 (სოფ. კისისხევი).

ქვემოთ წარმოდგენილი ნამუბობი ძირითადად თებრო გელდიაშვილს ეკუთ-
 ვნის; დანარჩენ მოამბეთა დამატებანი ტექსტშია ჩართული.

ფარდაგების ქსოვა. ფარდაგები წინათაც უქსოვნიათ და ეხლაც ბევრი
 ჰქსოვს, ჭეჭიმებსაცა ჰქსოვენ, ხალიჩას კი იშვიათათ თუ მოქსოვდნენ. ერთი
 ხალიჩა მოგქსოვე მე და ოთხი წელიწადი მოუნდი. წინათ გახშირებული იყო
 ხამების ქსოვნა, საჩოხე და საშალურე შალების ქსოვნა, ეხლა კი მარტო ფარ-
 დაგებსა ჰქსოვენ აქეთ სოფლებში, ახმეტისაკენ ფარდაგებსაცა ჰქსოვენ და სა-
 ჩოხე შალების მოქსოვნა ეხლაც იციან.

ჯერ მატყლი უნდა გაირეცხოს, შემდეგ დაიჩეჩება და დაირთვება; ამოვან-
 ვევთ ორწვერათ ან სამწვერათ და დავძახამთ ტარზე. წინათ ჭარაზედაცა ვძა-
 ხამდით ხოლმე, მაგრამ ეხლა ყველას არა აქვს, ზევით სოფლებში კი (ახმეტის-
 კენ) ეხლაც ჯარებზე ჰძახავენ.

ფარდაგისათვისაც და ხალიჩისთვისაც სამწვერს ვაკეთებთ; ორწვერაც
 შეიძლება, მაგრამ არ ვარგა; სამწვერი ბეწიანია და კარგიც მოდის.

დაძახულ ბაწარს, რომელიც გორგალზე გვაქვს დახვეული, დავაშულო-
 ვებთ და შემდეგ ვღებავთ. შულოებს ხიფებსაც ეძახიან. რა ფრათაც გვინდოდა,
 იმ ფრათ შველებადვით ბაწარს; ფარდაგისთვის შვესაცა ვხმარობდით, აღის-
 ფერსაც, წითელს, ვარდისფერს, ლურჯს, ყვითელს, ნარგისს.

ფარდაგი იქსოვება ყდებზე; აქეთ-იქით გძელი ხეები აქვს, თავსა და ბო-
 ლოშიც რვილები აქვს გადებული. დავქსილავთ ბაწარსა და დავახვევთ ზუმბა-
 ზე (როსებაშვილი მარიამი ზუმბის მაგიერ წყებლას იხსენიებს), შემდეგ ამოვ-
 კრეფამთ დგომზე, დგომის ამოკრეფას ვეძახით ამას. ყდებს გაკეთებული აქეთ
 ქიჩები და დგომის ჭოხი იმ ქიჩებზე არის გადებული.

ქსელში გაუკეთებთ საგორავს; საგორავმა ძაფი უნდა გაარჩიოს, რომ
 ტყუპი არ მოგვივიდეს, საგორავმა უნდა შეგვატყუობინოს, თუ სად არის ცუ-
 დათ (საგორავს საშევარცაც უწოდებს). საგორავს თუ მაღლა ავწევთ, მაღლი-



თა ქსელი დაბლა ჩავა და დაბლითა მალა ამოვა, გაუყრით ზედას და ისევ დაბლა ჩამოვწევთ საგორავს, ჩამაიწვევა საგორავი და ქსელებიც შაიცვლებზე სავარცხელივით ხის ბეჭი გვაქვს და ქსოვნის დროს იმითა ვებეჭამთ (უშოკაშვილი თეკლე და როსებაშვილი მარიამი საგორავს გარას სახელწოდებით იხსენიებენ).

ფარდავის ქსელათ წრაცნილი ბაწარი უნდა იყოს, ზედათ წრაცნილი არ ივარგებს. ზედათ დუნეთ შაძახილი ბაწარია კარგი; ქსელი სადა თეთრია, ზედათ კი ფერად-ფერად ბაწრის ჩანჩუხებს ვახმარებთ ხოლმე.

სახე როგორც მათხოვს, იმდენ წყვილ [ბაწარს] ვახმარებთ; ზოგჯერ შეიძლება წითელი ვამუშაოთ ორი წყვილი, ალისფერიც ორი წყვილი, მწვანე — სამი წყვილი, ზოგჯერ ორმოც წყვილსაც ვახმარებთ წითელს. ამას ვეძახით წყვილებას.

ჩანჩუხები ხელებით უნდა გვეყარ-გვემეყაროს ქსელში და თან ჩაიბეჭოს. როცა დავატყობთ, რომ ყვავილი გაზდილაო, მაშინ გადაუმატებთ და როცა გადამატებები გაუთავდება, ყვავილიც დამთავრდება. ფარდაგზე საიაც იქსოვება და ყვაფილებიც. სადაც ერთნაირი ფერით მოქსოვილი დიდი ადგილებია, ის არის საია.

ფარდაგზე, — გაღმოგვეცემენ მოამბენი, — ყველანაირი სახე გამოგვეყვანდა; მთვარიანი ფარდაგები იყო გახშირებული; ესლაც არის მთვარიანი ფარდაგები, ხოლოთ თოხლის თავებიცა აქვს გაკეთებული; როგორც ნამდვილი თოხლის თავი, იგეთია. გაქულებილი მთვარიანი სახეც არის, მეფის გვირგვინიც არის, წვრილ სახიანსაცა ჰქსოვენ, — მაკრატელას ეძახიან წვრილ სახიანს: ხერხის პირსაცა ექსოვდით, ცხრილის გულსაც, კუტი სახეც იყო, წაცვლილი-ზოლიანი და იგრე ზოლიანი ფარდაგებიც იყო, ზოგი ორმთვარიანსა და სამმთვარიან სახესაც გამოყვანდა. ვარსკვლავების გამოყვანაც შეიძლებოდა. „ვენოკიანი“ სახე, მამლიანი და ირმისანი ახალი სახეებია.

ფარდაგი უარშოთ არ მაიქსოვება. თოხლისთავიან ფარდაგს წიწაკის არშის უკეთებდით. წვრილსახიანს ვარდის არშია უხდებოდა. კიდობნის არშიაც იყო, კიპორჩხალასაც ავაყოლებდით ხოლმე არშით, ჭაჭვის არშია იყო, ხრახნილისაც არის, ლენტის ხრახნილის არშიაც არის, ტაროს ხახის არშიაც არის, ტოტიანი ხეც შეიძლება არშით გაუკეთდეს.

შენიშვნა: მონათხრობის ის ნაწილი, რომელიც ფარდავის სხვადასხვა სახეს გვეცნობს, როგორც თვით ტექსტიდანაც ჩანს, ყველა მოამბის ცნობის შემავსებას წარმოადგენს. ზოგიერთ ცნობაში ყველა ეთანხმება ერთმანეთს, ზოგიერთის შესახებ კი აშრთა სხვადასხვაობაა. ზემო-ხსენებული გარემოების ნათელსაყოფად, ცალკეულად აღწინაშეა თითოეული მოამბის გაღმონაცემს. შემოწმებული ფარდავის სახეებიდან გვღელავალი თებრო შემდეგ სახეებს იხსენიებს: ცხრილის გული, ვაგვიანი, მთვარე, ვარსკვლავები.

უშოკაშვილი თეკლე — მთვარიანი სახე, ორმთვარიანი, წვრილსახიანი, გვირგვინიანი, „ვენოკიანი“, წაცვლილ-ზოლიანი ფარდაგი, წიწაკის არშია და ჭაჭვის არშია.

ღარეჯანიშვილი ნუცა — დიდრონიმთვარიანი სახე, „ვენოკიანი“ სახე, კუტი სახე, ზოლიანი ფარდაგი, ლენტის ხრახნილის არშია, იგრე ხრახნილის არშია, ტაროს ხახის არშია და ტოტიანი ხის არშია.

როსებაშვილი მარიამ — მთვარიანი სახე, მთვარიანი სახე თოხლის თავებით, წვრილი სახე, ანუ მაკრატელა, ხერხის კბილის სახე, მანდლის სახე, წაცვლილ-ზოლიანი ფარდაგი, გაქულებილ-მთვარიანი სახე, ხელმწიფის გვირგვინი, ირმისანი და მამლიანი, წიწაკის არშია, ვარდის არშია ხილბანდით, კიდობნის არშია, კიპორჩხალას არშია, ჭაჭვის არშია და ხრახნილის არშია.



ფარდაგი ადვილი საქსოვია, ხალიჩას ბევრი წვალემა უნდა და ძნელი საქსოვია. ხალიჩას ჯერ ბოქო გაუქეთდება და მემრე ზედა გეყურება და კერცხება. დღეში ერთ აქვილს ძლივთა ექსოდი ხოლმე ხალიჩას, ფარდაგს კი ერთ მტკაველზე მეტს მოჰქსოვს ადამიანი.

ნაქრების ფარდაგებსაცა ექსოვდით; ძალიან ადვილია ამისი მოქსოვნა; ქსელი ბაწრისა ჰქონდა და ზედა — ნაწრისა.

ჭევიმის ქსოვა. ჭევიმი სხვანაირად იქსოვება. ისიც ამისთანა უდებზე იქსელება, მაგრამ ჭევიმის ქსელი ჰრელია და ზედა კი სადა არის. ჭევიმისთვის წმინდათ დართულ ბაწარსა ვხმარობთ, ორწვერს. ფარდაგს ქსელი თხელი აქვს და ზედა მეტი უნდება, ჭევიმს კი ქსელი ხშირი აქვს და ზედა — ცოტა. ჭევიმი ვიწრო და ზოლიანი.

ხურჯინის ქსოვა. ხურჯინიც ამ უდებზე იქსელება, ხოლოთ უფრო ვიწროთ დაიქსელება, სიგით კი ამაზე ნაკლები არ უნდა. ხურჯინსაც ფარდაგისთანა ბაწარი უნდა, ტომარას კი უფრო სხილი უნდა. დაიწყებთ ხურჯინის მოქსოვნას და ჯერ მოექსოვთ **ზევითა პირს;** ზევითა პირი **ჰრელი** მაიქსოვება; მემრე ამ პირის **სარჩული** მაიქსოვება და მემრე **უღელს** მოექსოვთ; უღელს ისევ სარჩული მოჰყვება, ხოლოთ ეს **მეორე პირის** სარჩული იქნება. გათავების დროს ისევ **ჰრელს** მოექსოვთ პირათ; სარჩულები და უღელი **ზოლიანი** იქსოვება სიადვილის გულისთვის, პირები კი — **ჰრელი**.

როცა მოქსოვნას გავათავებთ, გადმოუბრუნებთ აქეთ-იქიდან ბოლოებს და **ხურჯინს შავკრამთ.** უუღლებს შიგავე ჩავაქსოვთ ბაწრით და გარშამო **შიში** შემეველება სქელი ბაწრით. ხურჯინის სახეც ეგეთივეა, როგორც ფარდაგისა: ზოგი მთვარეს გაუქეთებს, ზოგიერთი კუტსახიანსაცა ჰქსოვს. ფარდაგის მთვარე დიდია, ხურჯინზე კი პატარათ უნდა გამოვიდეს.

ტომრების ქსოვა. ტომარასაც ამავე ყდაზე დაექსელამთ; ის **ზოლიანი** მაიქსოვება. ტომრის ბაწარი ფარდაგთან შედარებით სქელია. თათრები თხის ბალნისასა ჰქსოვენ, ჩვენ მატყლისასა ექსოვთ, მაგრამ ზოგი ბალანსაც გაურევს! ხოლმე დართვის დროს. შეიძლება, რომ ქსელი გაუქეთდეს ბალნისა და ზედა კი მატყლისა. როცა ტომარა მაიქსოვება, მაიყციება და შაიყერება.

საჩოხე შალის ქსოვა. „საჩოხე შალისთვის, — ამბობს უშიკაშვილი თეკლე, — კრაველის მატყლს ვართავთ. ბატკანი რომ პირველათ გაიპარსება, კრაველი ის არის. თეთრ მატყლსა და შავს გადაურევთ ერთმანეთში, დავჩეჩავთ საჩეჩელზე და ლეგაფერისა გამოვა.“

ჯერ ერთხელ დავჩეჩავთ და **ნაპარსივით შავკრამთ;** თუნდა შავკრამთ და თუნდა ფთილახავით გამოვიდებთ. ფოლს ვეძახით პირველათ დაჩეჩილს. ახლა მეორეთ დავჩეჩავთ, ახლა — მესამეთ და ზოგი მეოთხეთაც ჰჩეჩავს. უნდა დავართათ წმინდათ; ამოვახვევთ ორწვერათ და ჯარაზე დავძახებთ; საჩოხესთვის **წალმა-უყულმა ვძახებთ.**

წალმა როცა გვინდა დაძახება, **ლამბი** გადაჯვარედინებული უნდა იყვეს, უყულმართთ როცა გვინდა, **სწორეთ** უნდა დეხვიოს **ლამბი.**

საჩოხეც ყდაში დაიქსელება, წალმა დაძახულიც ჩეებმება ქსელში და უყულმა დაძახულიც. ზედაში ცალწვერ ყაქს ვახმარებთ, ხან აბრაშუმსაც ვახმარებთ ხოლმე. **ლეგა შალს** ვეძახით ამას, ლეკური შალისთანა რბილი არ არის; ეს საჩოხე შალია, მაგრამ ქულაქასაც შაიყერავს კაცი, შალეარსაც, ხალათათაც გამოდგება“.



ბაზმის ქსოვის შესახებ შედარებით დაწვრილებით ცნობებს ყაველაშვილი. მისი პელა გადმოგვცემს. ის ამბობს: „ქსოვნი, **ბაზმბა**ცა ქსოვდნენ აქ; **ხაზბა**ცა ქსოვდნენ და ლოგინის მითლებსაც.

თითქმის ყველა სოფელში ბაზმა ითესებოდა, ნამეტნავათ სადაც ნამეტნავად აღდილი იყო, იქ მოდიოდა კარგი ბაზმა.

ბაზმას ჯერ **ჩიხრისში** გავატარებდით და **კურკოს** გამოვაცილებდით, შემდეგ **მშვილდ-ისარზედა** გავეტარებდით; რასაც აღამიანი ხელში დაიჭერდა, იმ სისქე ჯოხი იყო მოხრილი და ზედ **ლარი** იყო გაბმული, მოხრილ ჯოხს შუაში სხვა ჯოხი ჰქონდა მიდებული. ოსტატი ჩამოჯდებოდა, ხელში ტაბიკივით ჯოხს დაიჭერდა ხოლმე და **ლარს** აქეთ-იქით გაკრავდ-გამოკრავდა და ბაზმა იპნებოდა. შემდეგ გავაქეთებდით **ბაზმის ფთილებს**: ბაზმაზე გავაგორებდით **ტარსა**, ბაზმა დეცხვეოდა ზედ, გამოვადრობდით და ეს იყო ფთილა; ბაზმისა ფთილა იყო და მატლისა — ფარო. დართვით ან **ტარზე** დავართავდით და ან **ჭარაზე**. წაუღებდით **ფეიქრებსა** და ისინი **საქსოვ** ქარგაზე მოქსოვდნენ ხოლმე“.

აბრაშუმის ქსოვილები

ჯონრეპის და არშიების ქსოვა

მთხრობლები: **კეკო მარტიას** ახ. **არუთინოვი**, 64 წ. (თელავი); **სოფიო თანდილას** ახ. **გურგენაშვილი**, 68 წ. (სოფ. რუისპირი); **თებრო აბრამის** ახ. **გელდიაშვილი**, 70 წ. (სოფ. ზემო ხოდაშენი).

ძალიან გვინტერესებდა ხოლმე, რო **ჭია** მეგვეყვანა და აბრაშუმი გვექონოდა. მოვიყვანდით ჭიასა, **დავარჩევდით** **პარკსა**, წავიღებდით **მემანჯანიცესთან** და შაურს მივცემდით თითო **ხაითის** ამოხვევაში. წამოვიღებდით **ხაია** თებს, გავაშრობდით, გავასუფთავებდით, ჩავაგდებდით **ნოქროსიაში** და ვახვევდით. **ნოქროსია** სატრიალებელი იყო; დავატრიალებდით და **ფირფიტებზე** დავახვევდით — სხვილს ცალკე და წმინდას ცალკე.

სხვილი წვერიდან გამოგვეყვანდა **ყაითანი**, ორთაშუა ძაფიდან — **ჩაფარი** — ში. ხევისურების **მანდილის ფუნჯსაცა** ვქსოვდით და საუკეთესო ხარისხის ძაფი კი **ლენჩაქის** მოსაკერებელი **არშიისთვისა** გვექონდა. **ოთხუთხიანი** შაღების მოქსოვნაც ჩვენი ხელობა იყო; მაქოთი ვქსოვდით ხოლმე.

არშიების ქსოვა. **ქარგლებს** მივცემდი **აბრაშუმსა** და **არშიებს** ვაქსოვინებდით ხოლმე; ხელფასს ვამღევდი და მიქსოვდნენ ხოლმე.

არშისა დაეიწყებდით **მაქოთი** და **ჩიხრით**; **რეასთვალთან** უნდა დაგვეწყო, რო ვექსი არშინი გამოსულიყო და ერთ **ლენჩაქსა** ჰყოფნოდა.

არშისა ერთნაირათ **პტყელს** მოვექსოვდით; შემდეგ დავეჭრიდით **არშიების** სიგანეზე და **კუწუბებს** ამოვიღებდით; იმ მოქსოვილიდან რამდენიმე **არშია** გამოვიღოდა. როცა მოვექსოვდით, გადავავერებდით ერთმანეთსა და გამოვხარშამდით, შემდეგ გავავლებდით წებოში, გადავავარებდით მიტკლებს და გავაუთუებდით; შემდეგ ისევ დავარღვევდით, გავათითოვებდით და რა სახეც გეინდოდა, იგეთს შევკერამდით. ზოგი **ქარგლებს** შააკერინებდა ხოლმე, მაგრამ მე არ მამწონდა იმათი შაკერილი და მე თითონა ვკერამდი.

ყვავილიან არშისაც შევკერამდით, **ჭაქვიანსაც**, **მოჭრილიკლიტიანსაც**,



შაქრილუა უწუბიანსაც, ჩაყრილუა უწუბიანსაც. სწორეთა და დავილილი არშიაც იყუ და ნიავისაც.

მოჭრილკლიტინანს მეტი ჰამაგი ჰქონდა. გაბმული სახის არშია მარჯვე გასაკეთებელი იყო — უნდა მეგვეჭრა და ჩეგვება, მეგვეჭრა და ჩეგვება და მარჯვეთა კეთდებოდა; გაბმულსახიანს ვეძახოდით კვანძხარხინისაც და არ-უწუნსაც. კილიტას ჩიგინსაც ვეძახოდით; თითო ჩიგინი თითო თვალში ავსებული კილიტა იყო. ჯაჭვიანიც გაბმით იკერებოდა, მაგრამ ყველა თვალზე შაკერილი იყო და ჯაჭვივით გამოდიოდა.

ძვირფასიანი არშიებიც იყო და იაფფასიანიც. „ზუბცინი“ არშიები ძნელი გასაკეთებელი იყო და ძვირიცა ღირდა; „ზუბცინი“ აგრამატა და დავილილიც იყო ხოლმე. ყველაზე იაფი ნიავის არშია იყო. ნიავის არშია წვრილია; პტყელი რთმელიც არის, იმას სწორედ და დავილილიც არშიას ვეტყუვით.

წვრიმლის დუქნებში იშოვებოდა ხოლმე ლეჩაქის წებო; გირუნაქა ექვსი აბაზი ღირდა ხოლმე. აუადუღებდით წყალს, ჩავაგდებდით წებოს და ვადნებოდა; მემრე ლილას ვაუარევდით და არშიას ვავაველებდით. ლილას იმისათვის უშერებოდით, რომ პეწი კარგი ჰქონოდა და ყვითელი ფერისა არ გამოსულიყო.

პაჭიჭებს შევაკერებდით ხოლმე ძველ-ახალი ნაჭრისას, რამსიგამც არშია იყო, იმ სიგამე პაჭიჭი უნდა ყოფილიყო. პაჭიჭში ვაუყრიდით მოძიმიე ჭახის — შიმშას; პაჭიჭს წებოიანი არშია უნდა დეეკიშნა, უპაჭიჭით წებო ვახმებოდა და დალეკილი არშია გამოვიდოდა, გაციმული თუ იქნებოდა, პეწიანი და შახიანი გამოდიოდა.

ხევსურული მანდილის ფუნჯის ქსოვა. ხევსურული მანდილის ფუნჯს აბრაშუმისას ვქსოვდით. როგორც ჩვენ ლეჩაქს არშიას ვაკერებთ, იგრე ხევსურები აკერებდნენ მანდილს ფუნჯს. თითო მანდილს ხუთი არშიანი ვყოფოდ; მანეთათ ან ექვს აბაზათ ვყიდდით ხოლმე ხუთ არშინს. დედაკაცებს ვატანდით ხოლმე გასასყიდათ არშიებსაცა და ლეჩაქის ფუნჯებსაც. შეიძლება და რო მთიდან ჩემეველოთ ხევსურებს, შავგვედროდნენ და ეყიდნათ, ან კიდე ალავერდობას წავიდოდით, იქაც ბევრი იყო ფშავი, ხევსურა, თუში და იქაც ბევრს ვასალებდით ხოლმე. არშიები სხვაგან არსადაც არა კეთდებოდა თელავის გარდა; თელავის არშია გათქმული იყო, რუსეთამდინ მიდიოდა ხოლმე.

ყაითნის ქსოვა. ყაითანი და ჩაფარიშიც მიქსოვნია, სოფლადაც იცოდნენ ამეების მოქსოვნა.

დავგრეხამდით მსხვილწვერ აბრაშუმს, გამოვხარშავდით, შევადლებინებდით შავათ და დავახვევდით კოჭებზე. ბზით გატენილ ტიკტორას მივყოფდებდით რამეზე, ჩამოვკიდებდით კოჭებს გატენილ გულაზე და იმეებთა ვქსოვდით. სულ რვა კოჭი იყო და ყველაზე ძაფი ეხვია; თავი-თავს მოუყრიდით რვა ძაფსა და იმ გულაზე მივაბამდით საბნის ნემსით. მანამ კოჭებზე ძაფი დაილეოდა, მანამა ვქსოვდით. ერთი-ორი მტკაველი რო მიიქსოვებოდა, ავკეცამდით ხოლმე; დღეში ერთ თოფსაც მოვქსოვდი და ორსაც. „ყაითანი, — ამბობს სოფლი გურგენაშვილი, — ფერათ შავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თეთრი აბრაშუმისასაცა ვქსოვდი ხოლმე. თავადები და დიდი კაცები თეთრ ჩერქეზულ ჩოხებს იცმევდნენ ხოლმე და იმაზე ივლებდნენ თეთრ ყაითანს“ თებრო გელდიაშვილი ყაითანს ზონარის სახელწოდებითაც იხსენიებს.




ხონჯრის ქსოვა. ხონჯარს ყველა მოქსოვდა, ვინც კი მიინდომებდა. ხონჯარს უღაზე ვქსოვთ, უღა ქარგასავით არის, ოთხკუთხიანია, სიგძიბო ხუთი რეჟია და სიგანიო — სამი. როგორც ფარდაგი, იგრე უნდა დაიქსელოს, ხოლოთ, რაც ვაყკაცს წელი აქვს, იმ სიგანე უნდა დავქსელოთ.

ხონჯარი იქსოვება ხუთმეტი ან ოცი ჩხირით: ამოპკრეფამენ დაქსელოიდან და ჩხირს გაუყეთებენ, კიდე ამოპკრეფამენ და ახლა სხვა ჩხირს გაუყეთებენ: ეგრე ამოპკრეფამენ ყველა ჩხირებზე; მემრე თითო ჩხირს გამაძრობენ და საბეჭით ჩაბბეყვენ; მაიქსოვება და ხელის სიგანე ან სამი თითის დდება დადგება.

ჩაფარიშის ქსოვა ფირფიტებით. ჩაფარიშს აბრაშუმისასაც ვქსოვდით და იგრე ძაფისახაც. ყაითანსაც ერთი აღამიანი ჰქსოვდა და ჩაფარიშსაც. ჩაფარიშს ჩონის ნაყერებზე უყეთებდნენ ხოლმე შიგნიდან, რო ნაყერი არ გამოჩენილიყო და არ გამორღვეულიყო.

ჩაფარიშის დაზგები იყო ორადლიანი. ხან მეზობლებშიაც წავილებდით ხოლმე დაზგასა და იქა ვქსოვდით. დავქსელოვდით დაზგაზე ძაფსა ათი თოფის ვარაუდით და ფირფიტებით გავკქონდა და გამოგვკქონდა ხოლმე. [დაზგა] ხუთმეტრიფიტრიანიც შეიძლებოდა და ოციანიც. ჟერ ფირფიტებზე უნდა ეგვესხა ძაფი და მემრე დაზგაზე გეგვება; სავარცხელს დავაბამდით კანაფით დაზგაზე და თითო ფირფიტას თითო კბილში დავაგდებდით ხოლმე. გვკქონდა ზედის ფირფიტაც; ზედის ფირფიტა უნდა გეგვეყარა და გემეგვეყარა. მემრე ქსელის ფირფიტები უნდა გეღვეგვეტრიანებინა და დაშნას კიდე ჩავკრამდით და ჩავბეჭდავდით.



სურ. 11. ყაითის გულა და კოკები


როცა დაზგა ნაქსოვნიოთ აივსებოდა, მოქსოვილს მაშინვე დავახვევდით და მოსაქსოვს გამოვწვევდით; ეგრე უნდა გვექსოვნა, სანამ ფირფიტაზე დახვეული ძაფი გათავდებოდა, სანამ დაქსელილი ძაფი გვექნებოდა.

ჩაფარიშს ბაზაზებსაც ვაყიდებდით ხოლმე ერთნაირათ, თოფობით და ხევესურებიცა ყიდულობდნენ; ხევესურებში ძალიან მიღებული იყო ჩაფარიში, ჟუბებზე იყერებდნენ; როგორც ჩვენ ზონარით რამე მოვრთათ, იგრე ისინი ჰრთავდნენ ხოლმე ჩაფარიშით თავიანთ ტანისამოსს. აბრაშუმის ჩაფარიში ძვირი ღირდა, უბრალო ძაფისა კი იაფი. თოფი ყაითანი აბაზიცა ღირდა და სამი შაურიც; მსხვილი ყაითანი ძვირი იყო, ვიღრე წმინდა. აბრაშუმის ჩაფარიში თოფი ექვსი შაურიცა ღირდა, ორი აბაზიც, იგრე ძაფის ჩაფარიში კი აბაზი ღირდა ან სამი შაური. თითო თოფში ათი აღლი იყო.

ჩახსაკარავების ქსოვა. არუთინოვი კეკო გაკერით ეხება ჩახსაკარავების

ქსოვას. გურგენაშვილი სოფიო კი დაწერილებით გადმოგვცემს ჩახსაკრავების ქსოვის წესს: „ჩახსაკრავებს, — ამბობს ის, — პაჭიკებზე შამაარტყველ ხოლმე, უიმისოთ არ შეიძლებოდა პაჭიკის ჩაცმა. დაწერილი ჩახსაკრავიც იყო, მარწყვის ფოთლისაც, დაჩითულიც, გილანისაც.

მიწაში მაგრათ დაურკობდი პალოებს — ერთს იქით და ერთს აქეთ, გაბამდი აბრაშუმის ძაფის ქსელსა, სანაპიროთ შავს უზამდით და თეთრითა და წითლით კი დავწერამდით. ქსელი აბრაშუმისა იყო, მაგრამ ზედათ ცალ-




სურ. 12. ყათონის ქსოვა


წვერ ყაქის ძაფს უყრიდით; ზედათ აბრაშუმი არ შეიძლებოდა, აბრაშუმის ძაფით ვერ მაიქსოვებოდა.

ჩახსაკრავი სამ ადამიანს უნდა მეგვექსოვნა; მე ოსტატი ვიყავ და შუაში ვიჯექი ხოლმე, ორი დედაკაცი კი აქეთ-იქით მედგნენ და დაშნები ეპირათ. ჩახსაკრავი თვრამეტი წყვილი ფირფიტით იქსოვებოდა; სამი წყვილი სანაპირო ფირფიტები იყო და ხუთმეტი წყვილი კი გულისა. ფირფიტები ირმის ტყავისა იყო, ოთხკუთხიანები იყო და ყველას ოთხ ალაგასა ჰქონდა გაჩვრეტელი; იმ გაჩვრეტელებში უყრიდით ძაფსა და იგრე ვამუშავებდით. მე ფირფიტებს ვამუშავებდი, ვაბრუნებდი და აქეთ-იქით ვინც მედგნენ, იმათ ვაწვდიდი. ისინი კილე მბეჭავდნენ. როცა წიგნის დაწერა მინდოდა ჩახსაკრავზე, ფირფიტები უნდა მეთვალნა და იგრე დავწერამდი, ნამდვილი ბეჭდური იწერებოდა.

ჩახსაკრავის ქსელი ოთხი არშინი მაინც იქნებოდა, მაგრამ მარტო აქეთ-იქით მაიქსოვებოდა ხოლმე და შუიდან კი ძაფად ამაბურებოდა. შუა ადგილას



სურ. 13. ზონჯრის უღები და ქსოვილის ნიმუში (გადიდებული)



სურ. 14. ჩახსაკრავის ქსოვა ფირფიტებით

ხელს ველარა ვხმარობდი, ველარა ვქსოვდი და თითქმის ერთ არშინამდინ ძაფათ ამოვჭრიდი ხოლმე. იმ ქსელიდან ორი ჩახსაკრავი ამოდიოდა. ერთი ერთ ნაპირიდან ამაიჭრებოდა და მეორე — მეორედან, ხოლოთ ფუნჯები უნდა შეგვერჩინა ზედი. ჩახსაკრავის სიგანე ერთი გოჯი უნდა ყოფილიყო.



ნათლიდენდა დაწერილ ჩახსაკრავს გაუგზავნიდა ხოლმე ნათლის, შვილექსს ჩაუწერამდა და ნათლის გვარსაც გამოიყვანდა: „ეს ჩახსაკრავი გელისაო, მავანისა და მავანისაო (ნათლის გვარს მაიხსენიებდა), მაჯა ვისმარე ბროლისა, თითები მარგალიტისაო“. ბევრნაირი ლექსების დაწერვა იცოდნენ ხოლმე.

ჩახსაკრავსა, — ამბობს გელდიაშვილი თებრო, — აბრაშუმისასა ვქსოვდით; ყველა ფერადი ძაფისა იქსოვებოდა. ქვრივი კაცის ჩახსაკრავს ადგილი შავი ჰქონდა და ლურჯი და თეთრი ძაფით კი ჩივინებს გაუკეთებდით ხოლმე; ჩივინებს პატარა ყვავილებს ვეძახოდით და ეგეთ ჩახსაკრავს ჩივინაან ვეტყუოდით. ჩივინიანს გილანის ჩახსაკრავსაც ვეძახოდით.

ჯეილის ჩახსაკრავს ადგილი თეთრი უნდა ჰქონოდა და ფერადი ძაფებით ან ყვავილები გაუკეთდებოდა, ან დეეწერებოდა. წერილის ჩახსაკრავს უფრო ნათლიებისთვის მამაქსოვინებდნენ ხოლმე.

მოქსოვანში მე ფასს ვიღებდი და მბეჭავებს ამონაპერ ძაფს მივარგენდი ხოლმე.

ტოლადების ქსოვა. ტოლადებიც ჩახსაკრავის ფირფიტებზე უნდა მაიქსოვოს. ჩახსაკრავს ოცი-ოცდაათი წყვილი ფირფიტა უნდოდა, ტოლადებისთვის კი სამოცი წყვილი ფირფიტა მეჭირა. ტოლადებსაც დავაწერდი ხოლმე, რაც მინდოდა. ჩახსაკრავებში და ტოლადებში ქსოვანში ოქრომქედსაც ჩაყატანდი ხოლმე“.

მ ღ ე ბ რ ო ბ ა

მთხრობლები: თებრო აბრამის ას. გელდიაშვილი, 70 წ. (სოფ. ზემო ხოლდაშენი); მარიაშ ალექსის ას. როსებაშვილი, 80 წ. (სოფ. მარილისი, მატანი); ნუცა მიხას ას. დარეჯანიშვილი, 50 წ. (სოფ. იყალთო); თეკლე გაბრიელის ას. უშიკაშვილი, 75 წ. (სოფ. ახმეტა); პელა მალხაზის ას. ყაველაშვილი, 60 წ. (სოფ. კისისხევი).

წინათ ყველაფერს შინაურულათა ვლებავდით; შინაურულათ შალებილი ქიცმაქიცმა რომ ქცეულიყო, მაინც არ გახუნდებოდა.

ენდროში შალებილი და ჭიაფერში გატარებული, მუქი წითელი მოდიოდა. ენდროს გუაჰბობ. მემრე დავჟქვავე ხელსაჟქვავეთ, ჩავყრი ქილაში, დავასხამ ცხელ წყალსა და სამ კვირამდის იგრე იღმებმა. როცა შალებმა მინდა, იმ ენდროს მოვხარშავ, ერთ წონა შაბსა და ერთ წონა ბაწარსაც ერთთ მოვადულებ, მემრე ჩავაგდებ მოხარშულ ენდროში და ვადმოვადულებ, ვადმოვიღებ და როცა ამოცივდება, ამოვალავებ. დარჩენილ წვეწმში ახლა დამბალ ჭიაფერს ჩავყრი, ვავაგლებ შიგ ბაწარსა და ძალიან მუქი წითელი გამოვა.

ყვითლათ კოწახურის ძირში იღებება. კოწახურის ძირი უნდა გაირეცხოს და წვრილათ დაიხეწოს, დაასხამ წყალს და შადულებ, ჩასდებ ბაწარს ან ძაფსა და შაიღებება. ამას არც შაბი უნდა და არაფერი, მშვენიერი ღონისფერი გამოდის. ყველა საღებავი ღამე გამოვლილია კარგი.

ნარჯიზისფერათ თრიმლის ქერქში იღებება. დაჰხეჩავ თრიმლსა და დაალობობ, მოხარშავ, უშამ შაბსა და ჩავაგდებ ბაწარს ჩანჩუხი იქნება თუ აბრაშუმის ხიფი, წამოდულდება, მემრე ამოცივდება და ნარჯიზს ამაიღებ.

მწვანეთ კენკრაში შაიღებება. კენკრა ყურძენით ასხია ხეს. ჯერ კენკრა



მიხარება, მეგრე გადიწურება და იმის წვენში უზამ ძალას, ბაწარსაც ჩასდებ და მწვანეთ შაილებება.

ბრწყინულის ტოტი უნდა მაიჭრას და გაიქერქოს, ფოთოლიც უნდა ფერ-
შორდეს; მერე მოხარება, ძალას უზამ და იმაში შაღებილი მუჭი შავი მგრი
მოდის; სევდაში შაღებულს ეძახიან ამას. ადამიანს რომ ეჩქარებოდეს, ბო-
წყულის ნაყოფის ქერქშიც შაღებავს შავათ. ისიც უნდა მიხარშოს, ძალა და
მკედლის ლამი უნდა უყოს და შავი გამოვა. თუ ძალას უზამ, შავი გამოდის და
თუ შაბს უზამ, ჩაღვიძლებული აგურისფერი გამოდის.

ლურჯათ სახლში არ შაილებნია, თელავში შაღებინებენ ხოლმე ლილა-
ში; ფშავლები და ხევსურებიცა ჰღებავენ ლურჯათ.

ჭერ თუ შაბიან ენდროში ჩააგდებ და მეგრე კიდევ კირწყალში გაავლებ,
მხიარული ენდროსფერი მოვა.

ერთი ბალახი იყო, **ალისარჩულს** ვეძახოდით, ბოსტნებში მოგვეყვანდა ხოლ-
მე და **სამღებროში** ვხმარობდით. ალისარჩულს ყვეთილი ყვავილი აქვს და
ეკალივით ქიჩორი; რამდენი დილაც ვათენდებოდა, გადიშლებოდა ხოლმე,
შავიოდრი ბოსტანში და უმზეოთ უნდა დემეკრიფნა. მერე დავნაყამდი ფილ-
ში, ამოვიღებდი თევშზე და ქვეშიდანაც საფერავის ფოთოლს ვაუშლიდი და
მალღიდანაც დავაფარებდი, დავქეამდი მაგრათ და დილით ვაკეთებელი, სალა-
მოდის უნდა ისე მდგარიყო. საღამოთი ვაგწურამდი და აბრაშუმის ძაფს ჩა-
ვაგდებდი წვენში, **ნარგიზისფერი** მოდიოდა. გაწურულ ჩენჩოს ვაფენამდი
გრილოში და გავახმობდი, გამხმარს შავინახამდი. ყოველ დილა ესე ვაკეთებ-
დი და გამხმარ ჩენჩოს ვაქუჩებდი, შავინახავდი და შამოდგომით შაღებავდი.
ძაფებს **ნაცარწყალში** ეხარამდით და სამღებრო კარგა ეკიდებოდა. პარკში
ჩაყვრიდით დაფქულ ალისარჩულს, ჩაგდებდით ტაშტში და ნაცარწყალს და-
ვასხამდით, ღამე დაღებოდა და მეორე დღეს, როგორც სარეცხი, იგრე უნდა
გარეცხილიყო პარკი. ნარეცხ წვეს ცალკე შავინახამდით, ახლა კიდევ დავას-
ხამდით და გარეცხამდით. ამ წვენსაც ცალკე დავდგამდით. რამდენჯერმე უნდა
ვაგვერეცხა ესე და წვენები ცალკე-ცალკე უნდა შეგვენახა. ბოლოს **საფერავის**
ისვრიმის წვენს დავასხამდით და ვაგრეცხამდით იმაში. პირველ გარეცხაზე
მოდის **ნარგიზისფერი**, მეორე გარეცხაზე **ოქროსფერი**, მესამე გარეცხაზე —
ჩაღისფერი, ისვრიმის წვენში გარეცხილი კი **ალისფერი** მოდის. ისვრიმის წვენ-
ში მეორეთ თუ ვაგრეცხა პარკი, **პირისფერი მოვა**, მესამეთ გარეცხილში —
ანგელოზისფერი; თან უნდა შათებს და ისე შაილებოს.

ყანისოსანი მინდვრის ბალახია; ისიც უმზეოთ უნდა დაიკრიფოს; მერე
დასჩეჩქვამ და უზამ შაბს, ჩააგდებ ძაფსა და ხასხასი **სოსანი** მოვა. ამას ამა-
იღებ და ახლა თუ სხვას ჩააგდებ იმ წვენში, **ბუსტული** გამოვა.

კაკალი რომ დიხეჩება, მაშინ უნდა ვასცალდეს წენგო; წენგოს მოხარ-
შავ, ჩასდებ შიგ ბაწარსა და **წენგოსფერი** მოვა. ძალას თუ უზამ, ძალიან შავი
გამოვა. შეიძლება, რომ წენგო არ მოხარშო, დასჩეჩქო და **წენგოსფრათ** შაპ-
ლებო იმაში, მაგრამ მოხარშული უფრო კარგია.

თავშავაც მიხარება, ძალასა და მკედლის ლამს უზამ და შავათ შაილებე-
ბა. **მუხის ქერქშიც** შავი მოდის, **იფნის ქერქშიც**, მხოლოდ ორივეს ძალა უნდა.

პანტის ქერქში ყვეთილი მოდის, **მაჟალოს ქერქშიცა**, მაგრამ შაბი უნდა
უსათოთოთ. **ფურცლის ფოთოლში** შაღებილი ყვეთილი მოდის, მაგრამ ჭერ



რომ ფურცლის ფოთოლში შაქლებო და შაბი უყო და მეგრე ნაყიდ წყობა
ახალფერში — ყიმი წითელი მოდის.

ვაშიძირას ყვავილი რომ დასჩქო და შაბი უყო, იმაში შალებილი ძაფი
ვაშიძირას ყვავილის ფერი დაღებდა.

წითელი ღვინო როცა დულს, უნდა ჩაჰკიდო ქვევრში ძაფი და ღვინის-
ფერი მოვა. ამ ფერებში სუყველაფერი იღებება — აბრაშუმიცა და ბაწარიც.

დნარჩენი მოამბენიც აღნიშნავენ შეღებვის ზოგიერთ წესს, რომელიც
 თებრო გელდიაშვილის ნამუბობშიც მოხსენებულია, მაგრამ ზოგი რამ, მათი
 ნამუბობიდანაც საყურადღებოა და აღსანიშნავი: „ლილას ვიყიდით და და-
 ვაყენებდით, — ამბობს თეკლე უშიკაშვილი, — შაილებებოდა ცისფრათ; ახლა
 მათაღოს ქერქში შეაღებავდით და დამწვანდებოდა. ლილიდან თუ ძაღლე ამო-
 ვიღებდით, ცისფერი იქნებოდა, თუ დიდხანს დავარჩენდით შიგ, ჩაღურჭდებ-
 ბოდა“.

„ქიაფერში, — ამბობს პელა ყაველაშვილი, — ყუყა წითელფერათ იღე-
 ბებოდა, ეს ფერი ქალაქიდან მოჰქონდათ ბაზაზებს. ჯერ გუნდა უნდა შეგვესვა
 და მეგრე ქიაფერში გატარებულყო. გუნდა დედა იყო ქიაფრისა; გუნდას რომ
 წაუსკამდით, ყვითლდებოდა და ქიაფერში როცა გავატარებდით, წითლათ იღე-
 ბებოდა. ლურჯათაცა ვღებავდით, სამქედურიდან მოვიტანდით წიდას და მო-
 ხარშულ თავშავას დავასხამდით. ყვითლათა ვღებავდით სისვში — ნაზიაში,
 სოსნათ კი — ყანისოსანში. ყვითლათ ფურცლის ფოთოლშიც იღებებოდა,
 თრიმლში კი ნარგიში მოდიოდა.

წითლათ რომ გვღომებოდა შალებვა, ჯერ ენდროში დავდედავდით და
 მეგრე ახალფერში გავატარებდით; ამის გახუნება არ შეიძლებოდა. ყვითელს
 ძალაში დავდედავდით, მეგრე შავ ქვას მოვადუღებდით და დედას ზედ დავას-
 ხამდით; იმაში შალებილი ყუყასავით შავი მოდიოდა. თუ შერცხლის ფთის
 ფერი უნდოდით, ჯერ შავ ქვაში უნდა შევღებნათ და მეგრე ყვითელ ძალაში
 გვეტარებინათ. ჯერ თუ კაკლის ქერქში დავდედამდით და მეგრე იმ წვეწმ
 ახალ კაკლის ქერქს მოვადუღებდით და იმაში საბოლოოთ შევღებავდით, ყავის-
 ფერი მოვიდოდა. მარტო ერთ მოდულებულში რო შეგვეღებნა, ბურნუთის-
 ფერი გამოვიდოდა.

პირისფრათ რომ გვღომებოდა შალებვა, ჯერ თეთრ შაბში დავდედავდით
 და მეგრე აღისარჩულში შეაღებავდით. ისვრში დადებული კი ხანხანა პი-
 რისფერი მოდიოდა.

ქ ა რ ბ უ ლ ო ბ ა

მთხრობლები: ნატო ნიკოს ას. თანდილაშვილი, 57 წ. (თელავი); თებრო
 აბრამის ას. გელდიაშვილი, 70 წ. (სოფ. ზემო ხოდაშენი).

თავსაკრავის მოქარგვა. თავსაკრავს ხავერდისასაცა ჰყერავდნენ და ატლა-
 სისხასაც. მე კი მარტო ხავერდისა მიკერნია. ხავერდის თავსაკრავი ძვირფასი
 იყო და ძვირიცა ღირდა. თეთრ ხავერდზედაცა ვყერავდი, შავზედაც, წითელ-
 ზედაც. ერთი სიტყვით, რა ფერსაც მაინდომებდნენ, იმაზე შეკერამდი.


თავსაკრავი ქარგაზე უნდა შეგვეყერნა. თავსაკრავის ქარგა ხისა იყო, ქარ-
 გის ორი გვერდი გძელი იყო (დაახლოებით ერთი არშინი) და თავსა და ბო-
 ლოშიც მოკლე ჯახები ჰქონდა გადებული. ჯახებზე პაკიჭები იყო წამოცმუ-



ლი (ტილოსი ან სხვა ნაჭრისაგან იყო შეკერილი, ჯოხების ზომის მიხედვით) თავსაკრავს ოთხივე მხრივ ჩითს წავაკერებდით და ჩავაბამდით ქარგაში; მჭკვრელებული ჩითით იყო მიკერებულნი პაჭიჭებზე და ხავერდი აღარა ფუჭდებოდა. ძალიან დაჭიმული და დამაგრული უნდა ყოფილიყო, რო კარგა შეგვეკერნა. ქარგაში [თავსაკრავი] თავიდან ბოლომდე ერთნაირი სიგანისა იყო ხოლმე, მაგრამ შემდეგ უნდა გვეწყეთ ჩიხტის მოყვანილობაზე და, სადაც დასჭირდებოდა, ნაპირებს შაუკეამდნენ.

ქარგას დავიდებდი მუხლზე და ისე ვკერამდი: ზოგს ტოტიანს შაუკერამდი, ზოგს — ვარდიანს. ვარდიანს თუ შაუკერამდი, ხუთმეტნაირი ფერის ძაფი უნდოდა; ვარდს გაუკეთებდი კუქს, მწვანე ფერისას ან ყვითლისას. შაუკერვას რო გავათავებდი, მემრე სუყველა ფერადზე კნეთელს შამოვავლებდი ხოლმე ნემსით.

თავსაკრავს მძივითაც ვკერავდი; მარგალიტით შაკერილი ძვირფასი იყო, მიმროთი შაკერილს კი, უფრო ნაკლები ფასი ჰქონდა. მიმრო წვრილი მძივი იყო. ნემსზე ავასხამდი სამსამ მძივსა და კნეთელით ჩაუბამდი ხოლმე. მძივით შაკერილი ყვავილები შეიძლებოდა, რო ერთმანეთზედაც გედგვება და შეიძლებოდა, რო ერთმანეთისაგან მოწყვეტილები ყოფილიყვნენ.



სურ. 15. ქარგის ჯოხები

კნეთელი ძაფზე არის გაკეთებული: ქვეშ ძაფი არის და ზევიდან კიდე ოქროსფერი აქვს გადაკრული, როგორც წმინდა სანთელს ამაველებენ ხოლმე, იგრე იყო ამოვლებული ოქროსფერში.

კილიტიანი თავსაკრავიც იყო; კილიტი ოქროსფერი იყო და მრგვალი, შუაში გაჩრეტილი ჰქონდა და ხავერდში ჩავაყოლებდით ხოლმე, უბრალო მძივშიაც შეიძლებოდა ჩეგვეყოლებინა.

„თავსაკრავს, — ამბობს თებრო გელდიაშვილი, — ხავერდის ძაფითაც ვკერამდი და აბრაშუმის ძაფითაც, ძაფი დაურთავი უნდა ყოფილიყო, რო კარგა გადაპვნოდა. თავსაკრავის სახე რო მამეწონებოდა, ქალაღდს დავადებდი, დაჩხვლეტავდი და ესე გადავიღებდი თავსაკრავის სახეს.

თავსაკრავს ჩავაბავდი ყდებში (ქარგას ყდებს უწოდებს), მაღლიდან დავადებდი დაჩხვლეტელ ქალაღდს, იმაზე მოუსომდი ნაცრით საესე პარკსა. ნაცარი გავიდოდა დაჩხვლეტელებში და ყვავილის სახე გამოჩნდებოდა; მემრე კოლამივით წვრილი საპონით მოვხაზამდი დაყრილი ნაცრის კვალზე და ყვავილი იხატებოდა; შაუკერავდი იმ ყვავილს ხავერდითაც, აბრაშუმის ძაფითაც და კილიტითაც. კილიტას დავამაგრებდი ძაფით, მემრე ავაგებდი ნემსზე სირიზას და კილიტში ჩავაბამდი ხოლმე; მშენიერათა ბრჭყვიანებდა სირიზა და ძალიანაც უხდებოდა. შეიძლებოდა „კარდონიც“ გემეგურა და სახეთ დემეკერებინა თავსაკრავისათვის, მემრე გადავაფენდი ოქრომკედს და თავსაკრავი შიკერებოდა; ახლა დავგრეხამდი ოქრომკედს და ამ დაგრეხილი ოქრომკედით სახეს შამოვკალმავდი“.

სარტყლის, გულისპირისა და ყურთმაჯების ქარგვა. სარტყელი, გულისპირი და ყურთმაჯები ერთნაირათ უნდა შაკერილიყო.



დახატავდი თხელ „კარდონზე“ რამე სახეს და გამოვჭრიდი, მემრე ეფრემ ნულომ ბლანდავდი სარტყელზე და გავჭიმავედი ქარგაზე, მაქოზე ოქრომკელი მჭიხნდა დახვეული და იმითა ვქარგავდი; საგანგებო ოქრომკელი გამოდიოდა.

როდესაც ქარგიდან ამოვჭრიდი, ნაქარგზე დაფეთარედი ქალაღს და ლორის ეშს უსომიდი, დაუთოვებულივით **გაჯანდრული** გამოდიოდა.

ლეჩაქის ქარგვა. ლეჩაქს ქარგაზე ვკერავდი და ვბასმავდი. ქარგას საცრი-საგან ვაკეთებდი; საცრის რკალს დავალბობდი წყალში, მემრე გავჭრიდი შუაზე და ოთხი თითის სიგანეზე დავაყენებდი; რკალის ორივე ნაწილს ერთმანეთზე გადავბამდი და ისე გავწვევდი, რო სამკუთხიანი ქარგა გამოსულიყო. იმდროსა ქარგა უნდა გამეკეთებინა, რო ორარშინიანი და ერთხარეჭიანი ლეჩაქი ორჯერ ჩემება. რკალს გადავკარავდი ნაჭრეებს, რო ლეჩაქი არ დახეულიყო; გადაეჭი-მავდით ზედ ლეჩაქსა და გარშამო თასმას შამოუჭირებდი. რა სახეც მემეწონე-ბოდა, ვადახატავდი ლეჩაქზე, ჯერ შევეკერავდი **ყაისნალით**; მარჯვენა მკლავს გავჭიმულ ლეჩაქზე დავადებდი და ხელში ყაისნალს დავიჭერდი, ქარგის ქვეშ მარცხენა ხელი მქონდა და ძაფი მეჭირა, თითო თვალში ყაისნალს ჩავადებდი და ძაფს ამოვიღებდი დაბლიდან. მემრე ნემსზე ავაგებდი რამდენიმე წვერშლილ აბრაშუმის ძაფსა და, ყაისნალით ნაკერში, **რუფიას** ვაკეთებდი ნემსით. როცა გავათავებდი შაკერვას, ამოვიღებდი ქარგიდან და ქალაღებს შუა გავაუთო-ვებდი.

ლეჩაქზე ჩიგინებისა და კილიტების ვაკეთება ვიცოდით, მაგრამ ლეჩაქი არ ვაკეთებდობდა. თუ ნაპირში **ხრახნილი** არა ჰქონდა (დაკბილული სახე). ნაპირში ორი ხრახნილის ვაკეთებაც შეიძლებოდა; შეიძლებოდა ერთი ხრახნი-ლი ვაკეთებულიყო და ერთი **წყალი** (სწორხაზოვანი სახე). კუთხეებში მრეგენ-ბივით შაუკერამდით ხოლმე, ამას **ფათას** ვეძახობდით; რომელსაც ფათა ექნებო-და, ჩიგინებიც (პატარა ყვავილები) უნდა ვაჰკეთებოდა. ჩიგინებს **თირთვილის** ყვავილსაც ვეძახობდით.

ლეჩაქზე თუ დიდრონ ყვავილებს შავკერამდით, **დაჯონჯლილს** ვეტყობდით იმას. **ლეჩაქის დაბასმაც** ვიცოდით. ბასმას ვიყიდინდი და წყალში მოვლესამდი, პატარა ჯოხზე ვავაკეთებდი ქინძისთავს, ჩავსველებდი ბასმაში და იმით ვა-მამყავდა ყვავილები. იმას დახატვა არ უნდოდა, დაუხატავათა ებასმიდი. ვისაც შამლება ჰქონდა, დაბასმულებს შუა და შუა ყვითელი **მალათათი** შამაკერი-ნებდა; მალათა **სირმასავით** იყო და ძალიანა ბრწყინავდა.

ლეჩაქის შაკერვა და დაბასმვა სოფლათაც იცოდნენ, მაგრამ თელავში შა-კერილი ლეჩაქი გათქმული იყო. ჩვენი შაკერილი ლეჩაქი დუშეთშიც მიჰქონ-დათ, სიღნაღშიც, კარდანახშიც, რუსეთიდანაც გვიტვლიდნენ ხოლმე ქართვე-ლები, შავკერავთო. უკერამდით და უგზავნიდით. არც გლეხები ჰზოგავდნენ ფულსა; ქალს რო გაათხუებდნენ, ხუთმანეთიან შაკერილ ლეჩაქს იყიდდნენ ხოლმე, არ შეიძლებოდა, რო გვირგვინს ქვეშ ნაკერი ლეჩაქი არა ჰხურებოდა. ვერც მეფე წავიდოდა ქალის მოსაყვანათ, თუ პალავში ნაკერ ლეჩაქს არ წაუ-ლებდა.

ბერე პანთი

ფიქრობა

მატყლის ქრონიკები

მთბრ. ანიკო ანდრიას ას. კაპანაძე, 52 წ. (სოფ. ნინოწმინდა).

აქ იყო საფიქრო. ჰქსოვდნენ: ჭეჭიმებს, შალეულობას, სახიან ჩითებს.

ქსოვა (ანუ საფიქრო). საფიქრო დაზგა შესდგება ორი მთავარი უღისა-
გან: ერთია ძირითა ნაწილი, მეორე — ზევითა ნაწილი. ძირითაც და ზევითაც
ცალ-ცალკე წარმოადგენენ ოთხკუთხედ ჩარჩოს. ოთხკუთხედი ჩარჩო შეკრუ-
ლია დანდლებით, თავისი საგულეთი. ზევითა ჩარჩოებიდან ჰახარაკებით ქვევით
ჩამოშვებულია კიდევ სხვა ჩარჩო, რომელსაც ვუწოდებთ საბეჭს თავისი სა-
ვარცხლით. საბეჭი ჩარჩოს ზევითა დანდალი დვას კბილებზე წინ და უკან გა-
დასანაცვლებლად ქსოვის კვლობაზე. საბეჭი დანდლის წინ, ზევითა ყდებზე
უღელეთით გადადებულია სარვილე უღელი და შიგ გაყრილია მოძრავი რვი-
ლი, რომელიც თავისუფლად ტრიალებს. ზევითა ყდების ბოლოებში დამაგრე-
ბულია სათუნღეები, რომლებშიც ჩადებულია და თავისუფლად ტრიალებს
თუნღელა ქსელით. დანდლები ოთხსავ კუთხივ მაგრდება სოღებით, რომ მუ-
შაობის დროს არ ირყეოდეს დაზგა. დაზგის ქვევითა ნაწილში, დანდლებზე
მიმაგრებულია თექვსმეტამდე საფეხური. ქვემოთა ყდაზე, საგულის წინ. ქვე-
მოთ არის ქვემოთა თუნალა, რომელზედაც ეხვევა უკვე მოქსოვილი. ქსელი
წყებლით ჩამაგრდება ზემო თუნალაში, რომლის ბოლოშიც გაკეთებულია კბი-
ლებიანი ბორბალი. ამ ბორბლის გასაჩერებლად უკანიდან ნახევარ ყდაზე მი-
მაგრებულია კაუჭა. ეს კაუჭა ჭდება ბორბლის კბილში და უჭირავს უძრავად.
თუნალიდან ქსელი ეშვება და უკანიდან გამოდის, უღის შუა დანდალს ქვეშ.
იქიდან თითოეული წვერი ძაფი გადის დგიმებში, რომლებიც არის საშვერის
ჭოხებ შუა. ქსელი ჭვარედინდება თითოეულ ძაფზე და ისე გადის დგიმებში.
ჭვარედინებში გაყრილია წკებლები, რომლის ბოლოები იკვრება ძაფით. რო-
დესაც გვეჭრდება ქსელის აბღერტა, ვხსნით ძაფებს და ავბღერტავთ. შემდეგ
ისევ შევკრავთ. წკებლები ყოველთვის უკანა დანდლებისავე არის მიწეული.

დგიმებიდან ქსელი გადის სავარცხლის კბილში სიმტიციისდაგვარად წვერი-
ლიც და კენტიც. იქიდან გადადის საგულეზე, საგულიდან ქვეშ გამოდის ნაქ-
სოვის სახვევ თუნალაზე. ზემოთა თუნალაზე ჭვარედინი მარყუშია გამოდ-
ებული წკებლაზე, ხოლო წინა წვერი დაწყობილი ქსელისა უმარყუშოდ შეკვან-
ძულია გათავთავებული წვერებით წკებლაზე, რომელიც ფართლის სახვევ
თუნალაში დევს.



დაზვის მთავარ ყდებზე, ძირში, შუა დანდალზე მიმაგრებულია ორი საფეხური (მეტეც), რომლებიც დაკავშირებულია ბაწრებით დგომებთან. ყდებზე დგამთ პირველ საფეხურს ფეხს, გაიხსნება ხიფი, ვისვრით პირველ მაქოს, დავადგამთ ფეხს მეორე საფეხურს, გაიხსნება მეორე ხიფი, ვისვრით მეორე მაქოს და ასე ბოლომდე. **საბეჭი ჩარჩო** მუშაობს მუდმივ და **ჰბეჭავს**. მაქო დევს საბეჭის თავსა და ბოლოს, მაქოს **სასროლ ბუდეებში**. ზემო დანდალში გაკეთებულია მაქოს სასროლი ბაწრისთვის რვილი.

„ივერიას“ გამოსცემენ,
მტერს მოხედება გულში ტყვია,
რო გავაგდებ ჩემსა მაქოს,
ვიტყვი — ჯერ არ შეუტყვიო,
როცა უკან გამოვაგლებ,
ვიტყვი — ესლა შეუტყვიო“.

ქსოვის დროს **სახეები იყრება აზარმაცების საშუალებით**. ქვევითა ყდებზე, საგულიდან მარჯვნივ მიმაგრებულია **აზარმაცები**, ხოლო მაღლა — **სამხრეები**. ზევიდან, სამხრეებიდან ჩამოდის ბაწრები **საშევარ დგომებზე**, იკინძება დიდსა და პატარა აზარმაცებზე და უერთდება საფეხურებს.

საქსელე. საქსელე შესდგება მდგომიარე, **უძრავი ჩარჩოსაგან**. ამ ჩარჩოს შუა არის მოძრავი, ოთხკუთხი **ღერძი**, რომელიც თავში (სატრიალებელში) არის რგვალი, ხოლო ბოლოში — **მწვეტი** და **დგას ფეხით** ლითონზე.

მარჯვნივ, ჩარჩოზე არის მოძრავი, ანუ **თანამავალი სავარცხელი**, რომელიც **ქსელის** ძაფების **ჭვარედინებს** აკეთებს.

სავარცხლის გვერდით დგას **საკოჭე**, რომელზედაც არის ქსელის ძაფებით სავსე **კოჭები**. საქსელე ღერძს თავსა და ბოლოში აქვს ჩამოცმული **პტყელი ბორბლები**, რომლებსაც სიპტყიდან დაჰიმული აქვს გარშემო **ისრები**. ამ ისრებით შეერთებულია ზევითა და ქვევითა ბორბალი. ისრებიანი ბორბლის თავსა და ბოლოს, ორ ისარზე ჰახრავით მიმაგრებულია **ქსელის საჭვარედინე**.

თანამავალი სავარცხლის საშუალებით ისრებიან ბორბალზე **იქსელეა** და თავსა და ბოლოს **ჭვარედინები** უკეთდება.

დაქსელილ ქსელს საქსელედან ამოვწნამთ, მივიტანთ დაზვაზე და ქსელის **გასარიგებელში** ჩავაწყობთ, ანუ გავათავთავებთ საფეიქრო სავარცხლისადაგვარად. შემდეგ ამ გასარიგებლიდან **ავაზვევთ საქსელე თუნალაზე**.

მაქო. მაქოში არის ამოჭრილი სამასრე, სამასრეში ჩარჭმულია სამასრე. იმაში ჩადგმულია **მასრა**, ანუ **გულუფა**, რომელზედაც არის **საზედაო ძაფი** დახვეული.

მთხრ. გიგოლა ზაქარიას ძე ლეკიშვილი, 81 წ. (სოფ. მარტყოფი).

მატყლი სამი ხარისხისაა: **ბატენისა** ყველასა სჯობია, შემდეგ — **შემოდგომისა**, ხოლო **გაზაფხულისა** კუჭყიანია და მდარე.

თხის ბალნისას მხოლოდ აპეურებსა და თოკებსა ვგრეხავდით.

მთხრ. ნინა ანდრიას ას. ფიცხელაური ენაგელისა, 28 წ. (სოფ. პატარძელ-ლი, გამოთხოვილი ყაზბეგიდან).

შალის ქსოვა. [მთხრობელი] მიაბობს, თუ როგორა ჰქსოვენ ხევში შა-



ლებს. მანქანის აღწერის დროს ყველაფერს ვერ იგონებს კარგად და ჩემთვისაც ბუნდოვანია: „არის ოთხკუთხიანი მანქანა, რომელსაც ხევში შკამს ეძახიან. შკამი მძიმეა. შკამში ზის ქალი. მის წინ შკამსა აქვს თუნაღა, რომელზედაც ეხვევა მოქსოვილი ტოლი. [შკამს აქვს]: ჰაღაჰა, რომელშიც მოთავსებულია წიწკი, რაზედაც დახვეულია დასთული ძაფი; სავარცხელი, რომელსაც ორწყება კბილები აქვს და ორივე წყებაში გაყრილია ქსელი. სავარცხელიდან ქსელი გადის შეებში (შე). სავარცხელი და შეები ჩამობმულია ტოლის ჯოხზე. ჯოხი თოკით არის ჩამობმული ჰერზე გარდიგარდმოდ. ქსელი ვიწროვდება ბოლოში და განასკეულია კედელზე ან რგოლში, ან ხეში. ქსოვისდა მიხედვით ნასკვი გაიხსნება და გაგრძელდება, ვიდრე საჭირო სივრცისა არ მაიქსოვება ტოლი.“

ქსელი თავიდან ბოლომდე ორპირადაა. ქალაქალას ქსელში გააქვს და გამოაქვს ნახთი, სავარცხელი მბეჭავს“.

როდესაც დედაკაცებს ვეკითხები ქსოვილების შესახებ, ლაპარაკში ებმება 72 წლის სოფ. პატარქელელი მოხუცი, ვასილ ზაალის ძე ენაგელი და მეუბნება: „აქ წინათ ბევრ რამესა ჰქსოვდნენ. არხა-ორხოვა ძვირფასი ქსოვილია, წინათ ახალგაზრდა ქალები ჰქსოვდნენ. თან ლექსს მეუბნება:

„შე ბაღი-ბაღად დავეძებ,
შენ ბანზე იქვე მზებურა,
ქვეშ გეგო არხა-ორხოვა,
ზედ ზირფული გესურა“.
„მაშინ გაქებ ჩემო ქმარო,
გენადიროს ყარაია,
შენ ჩაგეცოს ლურჯი ჩოხა
შე ეშმაა დარაია“.

როგორა ჰქსოვდნენ და რა მასალას ან იარაღს ხმარობდნენ ამათ ქსოვაში, მოხუცმა არ იცის.

მთხრ. მარიამ ესტატეს ას. კუტაბაძე (სოფ. კაკაბეთი).

ფარდაგის ქსოვა. დავდგამდით ყდებს, კარგა დაგრებილ სამწვერ ბაწარს მივიტანდით და დავქსილავდით. ქსელს შუაში აქვს გურგვალი მსხვილი ჯოხი. ამ ჯოხს ქვევით არის ამოსაყრეფი ჯოხი, რომელიც ყდებზე დასმული ჯოხებით არის დაკრული. გვაქვს ასაწვევ-დასაწვევი ჯოხი (თიანეთში — საყვანელა და კაკუჩა. — ი. მ.). მემრე მოვიტანთ ფერად ბაწარს და ჩავაწყობთ. ამ ჩაწყობილ ფერად ბაწარებს ჰქვიან ნეკები. პირველად ხერხის პირს ჩავაწყობთ სახედ ან სხვა რამე არშინას. ქსოვის დროს ყოველი სახე და ყოველი ყვავილის ნაწილი თავდება ნარჩით, ხოლო ადგილი აბამს ნარჩის თავებს. ფარდაგი შესდგება ორი ნაწილისაგან: არშიისა და გულისაგან.

ბამზის ქსოვილები

მთხრ. ქალია (თალიკო) გიორგის ას. ობლიშვილი, 105 წ. (სოფ. კაკაბეთი).

ბამზის საპნეტი. ბამზის საპნეტს აქვს სამი ნაწილი: შვილდი, ლარი და კინთი. ვპენტავდი გაჩობრიბებულ ბამზას. ლარი დევს ბამზაზე, ლარს დავკრავდი კინთს და ბამზა იპენტებოდა.



ხამს [ასე ექსოვდით]: დეარტამდით ბამბას, მემრე დავფაფაფით, მემრე დავფიფაფით, მემრე ჭალის მამტიკზე დავახვევდით, მემრე ჭალის ლურსმანზე ჩამოვაცობდით, მასრით დავქსელავდით, საფეიქროს ხეზე დავდებთ მალლა და წვერი ვაგვექონდა და გამოგვექონდა ზოლმე ხელით. **ჭალით იქსელება ხამი.** თან იქსოვებოდა ხელით და თან იბეჭებოდა.

დაფაფვა. ფეიქლის თხლად ავთქვეფავდით წყალში, შიგ ამოვავლებდით ხიფს. ამასა ჰქვიან დავაფვა.

აბრეშუმის ძსოვილები

მთხრ. ვიორგი ტიტოვს ძე ფეიქრიშვილი, 80 წ. (სოფ. მანავი).

წინად მანავში ტილოებსა ჰქსოვდნენ საპერანგედ. მოვის პერანგსაც ჰქსოვდნენ და მერდინსაც. მოვის პერანგი აბრეშუმისა იყო, მოქარგული (საქმემო ერევიან დედაკაცები) — „ჭრე მოჰქსოვდნენ ადლობით საპერანგეებს, მემრე გამოსკრიდნენ და შეჰკერავდნენ. ბუზმენტებითა ჰქსოვდნენ“.

წინად რომ მერდინებს ჰქსოვდნენ, ეხლა მას ჩეჩუნჩს ეძახიან. მერდინს ასე ჰქსოვდნენ: აბრეშუმს დაართამდნენ, დაიქსელებოდა ყდებზე. ქსელიც აბრეშუმისა იყო, ზედაც. ასე მოიქსოვებოდა, გამოიჭრებოდა და შეიკერებოდა. თუ მერდინის პერანგი არ ეყო მეფეს, ისე ჭვარს არ დასწერდნენ. მერდინის პერანგს მემრე ჰქარგავდნენ სხვადასხვაფერის ძაფით.

„წითლო მოვის პერანგო,
მაგრა შაკრულო ღლითა,
ნეტაი შენთან მამყოფა,
ქალო, დამფერალო ღვინითა“.

[თხრობას] განავრძობენ ისევ დედაკაცები — „აქ შადლებსაცა ექსოვდით. კვანძითაც და ყაისნალითაც. დართულ ბაწარს მოკეციტ მოვიდებდით ფეხზე და შეეკრავდით. ამ შეკრულ ბაწარს გამოვებამდით ძაფის წვეერს. ამ ძაფს დავქსელავდით ორად მოხრილს წინდისჩხირზე. შემდეგ უბრალო ჩალაზე ან კოხზე ავასხამდით თვლებს, ხან მარჯვნივ ვაბზრუნდებოდით, ხან მარცხნივ და წამოვიდოდა კუთხე. თვლები იკვანძებოდა სწორე ჩხირზე. ასე იქსოვებოდა დასახური შალი“.

მთხ. სოფიო დავითის ას. ფეიქრიშვილი, 120 წ. (სოფ. თოხლიაური).

ძველად აქ ჰქსოვდნენ მერდინს; საფეიქრო მანავში იყო. ორი დედაკაცი ჰქსოვდა და, რაც ის ორი დედაკაცი მოკვდა, ჩემსობაში, მემრე აღარავის მოუქსოვია. კიდევ ბევრ რამეებსა ჰქსოვდნენ თოხლიაურში, მაგრამ მე არ მახსოვს. მაშინ მავსთანებს არ მივდედი. აქ აბრეშუმი ბევრი მოჰყვანდათ, მაგრამ მე არ მომიყვანია. ეგ სხვების საქმე იყო. მე სადა და უბრალო წინდების ქსოვა ვიცოდი.

ჩერქეზიანთ ყმა ვიყავ. ჩემ ქალბატონს უნდოდა ჩემთვის წერა-კითხვა ესწავლებინა თავი ქალთან ერთად. ... მასწავლა წიგნი და სახეების ქარგვა, ხელსაქმე. მერე, როცა გამათხოვეს ჩემმა მშობლებმა, ჩემმა ქალბატონმა ჩემს




საქმროს ჩემს გაწრთენაში ხუთმეტი მანეთი გამოართო. თუმანი ისევ მე მიბრუნა და ხუთი მანეთი აიღო.

სახეების სახელები არ მახსოვს. ნიფხვის ტოტების შემოსავლებს ბაფთა ერქვა.

ზონრამის ქსოვა

მთხრ. სოფიო გაბრიელის ას. როკიტაშვილი, 60 წ. (სოფ. ხაშვი).

ფირფიტებით ქსოვა ჩახსაკრავებისა. ფირფიტა პატარა, ოთხკუთხა ტყავია და შიგ ოთხკუთხადაც აქვს გახვრეტილები. ფირფიტებს კვიციის ტყავისას აკეთებენ. საქირთა 20 ცალი. თითო ფირფიტას უნდა ოთხი წვერი — ორი შავი, ორიც წითელი. წვერები გამოებება ერთ მხარეს რაიმე კაუჭზე, ხოლო ზურვებიც ასევე — მეორე მხარეს კაუჭზე, ოცი მტკაველის სიგრძისა; შუაში მოკვეება ყველა ფირფიტა ერთმანეთზე დაწყობილი. სამ ფირფიტაზე სანაპირებისთვის, ანუ ნაწიბურებისთვის გაიყრება ორნაირი ფერი (მწვანე და ყვითელი). სამი ქალი ჰქსოვს: შუალას უჭირავს ყველა ფირფიტა, ის ხან წინ გადაატრიალებს ფირფიტებს, ხან — უკან, ხოლო ორი ქალი თავსა და ბოლოს, უყრიან საზედაო ძაფს და საბეჭდი დაშლით ჰბეჭავენ. თუ სადად იქსოვება, ყველა ფირფიტებს ერთნაირად ატრიალებს, ხოლო თუ ფერებით. მაშინ საყვავილე ფირფიტებს ცალკე ატრიალებს. ყვავილის ჩაწყობის დროს ფირფიტებს გადავთვლით და ისე დავაბრუნებთ სახისდაგვარად (სახე როგორც მოხდენს). როცა ფირფიტებამდე ორი მტკაველი დარჩება ორივე მხრიდან მოსაქსოვი (თითო მხრიდან თითო მტკაველი), მაშინ ამოვკრით და გამოვა ფუნჯიანი ჩახსაკრავი, ერთი წყვილი.



სურ. 16. ფირფიტა (ტყავის)

სახეების სახელები: გილანი, ყურძნიანი ვაზი, მტევნები, მარწყვის ფოთოლი, სუღის ჩახსაკრავი(?), წაკიდებული ჩიტი. სუღის ჩახსაკრავი კაი პირიდან სულ შავი იყო, წითელი და მწვანე კუბი ყვავილი ჰქონდა, მეორე მხრიდან ფერადი ძაფის ზოლები მისდევდა.

მთხრ. ანეტა გეგენას ას. გელაშვილი, 40 წ. (სოფ. ჭერემი).

ჭერემში ფირფიტებითა ჰქსოვდნენ ჩახსაკრავებს, ხონჯრებს, ჭრელ წინდებს და წითელ მაულზე ჰკერავდნენ ყაჭრებსაც. ასეთი სახეები გამოჰყავდათ: მარწყვი, ყაყაო თავისი ფოთლებით. ყაჭარი ცხენის უნაგირზე იყო დასაფარებელი, ზედ გამოჰყავდათ მათრახები. მათრახები იყო ორფოჩიანი, სამფოჩიანი, ოთხფოჩიანიც (ეს საპატარძლო და სამეფო ყაჭრებზე იყო). ბლის ყვავილიც გამოჰყავდათ.

ჭერემშივე ჰქსოვდნენ აბრეშუმის ქისებს; მიძივთაც ჰქსოვდნენ ქისებს. ყელში გაუყრიდნენ ყაითანს და დაჰკიდებდნენ ფუნჯებს, რომლითაც პირს მოუკრებდნენ ქისას. იქსოვებოდა ყაისნალით.



ყაისნალები კეთდებოდა ირმის რქისა. სუფთა გამოდიოდა და წმინდა, საზღაპრითა და სიკეთითა. შინდის ჯოხისასაც აკეთებდნენ ყაისნალს; ყველამ იცოდა ამის გაკეთება.

ქერემში კანტს ბიას ვეძახდით. აქ სამაჯურებს რომ ჰკერავდნენ, ბიას ატანდნენ.

ტულზე ჰკერავდნენ კანვას და გამოჰყავდათ სახეები: წაქიდებული გილანი, ჩახსაკრავის სახე, ურძნაინი ვაზი, მწესუმწირა, ხერხის პირი, ვარდზე ჩიტი ზის, ჭვრები — ჩახსაკრავის თავსა და ბოლოს. ესენი ტილოზე იკერებოდა ნემსით, იკერებოდა სათვალავით, გადამეტებ-გადმომეტებით (ე. ი. თვლების რაოდენობის მიხედვით).

მთხრ. მართა ესტატეს ას. კუტაბაძე (სოფ. კაკაბეთი).

მთხრობელმა მ. კუტაბაძემ გადმომცა ძველისძველი ნაქსოვი ტილო, რომელზედაც ჩახსაკრავის ნიმუშებია [გამოყვანილი]. ამ ნიმუშების [მიხედვით] ჰქსოვდნენ ჩახსაკრავს. ნიმუშები შინ მოქსოვილ ტილოზეა ამოქარგული. ნაქარგებს შუა ქართული მრუდე ასოებით ამოქარგულია:

„მე გამიკეთებია მალანანთ ქალსა ფეფენას მარგალიტის ენითა, ხელი ვიხმარე ბროლისა შ ხ შავი თვალებითა. ეს ჩახსაკრავი პატრონს მშვიდობით მოხმარდეს“.

[ტილოზე ამოქარგულია აგრეთვე]: ჭვრები, ყაყაჩო, ვარდი და ზედ ბულბული, მარწყვის ყვავილი, ქისის ძირი, კავი, გილანი, გაგრძელებული გილანი, ემბაზი, დონჩი, გაქრილი ვარდი, ინის ყვავილი, ვაზი, წაქიდებული ჩიტი, სამყურას ყვავილი.

სხვა სახეების სახელები, ვერავინ მითხრა.


მთხრ. მარიამ მიხეილის ას. თევდორაშვილი (სოფ. ხაშში).

ზონჯრის ქსოვა. საზონჯრის ყდასა აქვს ამჟოლი ხიდები ორი და საბეჭო ხიდები (ერთი — თავში, მეორე — ბოლოში). ამჟოლ ხიდებზე გარდი-გარდმო, შუაში, გაიბმება ერთი შემოხვევა ძაფი. დაწყობის ძაფი იმ ერთმა ძაფმა უნდა ქსოვოს. საბეჭო ხიდებზე გადაეხვევა ძაფი, რომელიც უკან, ძაფ გარეთ აივლის, ზევიდან დაწყობის ძაფში შიგ გაივლის, მემრე ქსელი ამოიკრიფება საქსოვ ჩხირებში და ჩხირები გადადის ზევითა საბეჭზე და, როცა უკანა გვერდი აივსება ჩხირებით, სამი ჩხირი დარჩება წინა გვერდზე. მოვარუნებ, იმავე ჩხირებით ჩავებეკავ და, როცა სულ დაიცლება ჩხირები, ხელახლა დავიწყებ წინა ჩხირებიდან ამოკრფას. ამას სხვა არაფერი იარალი აქვს.

ორზოვას ჰქსოვდნენ პატარძელში, მხოლოდ როგორა ჰქსოვდნენ, არ ვიცი.

მთხრ. მოხევე ქალი ნინა ანდრიას ას. ფიცხელაური-ენაგელისა, 28 წ. (სოფ. პატარძელელი).

ყაითნის ქსოვა. ერთი თითიდან მეორე ადამიანის თითზე დაიქსელება ძაფი სამწვერად. სამწვერი ძაფი ჰქსოვს მრგვალ ყაითანს, ხოლო ოთხწვერი და ექვსწვერი — პტყელს.



სურ. 17. ყდა და ამოსაყრედი ნიჭი



სურ. 18. ყაითნის ქსოვა თითებზე



სამი თითით მიჭირავს სამივე წვერი: მარცხენა ხელის საჩვენებელ და მთლიანად მარჯვენა ხელის შუამჩვენებელ თითზე არის ორი წვერი, მესამე წვერი მიჭირავს მარჯვენა ხელის შუამჩვენებელ თითსაც; მარჯვენა ხელის თითით ქვეშიდან ვიღებ ძაფს მარცხენა ხელის თითებიდან, მეორე, დამხმარე თითი პეჭავს, იქსოვება ყაითანი.

მიამბობს მატარებელში თელავის მცხოვრები **თებრო შიოს ახ. გოგვაძე**, 60 წ.

ლჩაქის არშის ქსოვა. ლჩაქის არშის სათვალავი უნდა იყოს 840 თვალი. მაქოზე დაეხვევა აბრეშუმის ძაფი. ფეხზე გადავიღებთ დასაწყობ ძაფს, რომელიც აგრეთვე საქსოვ ჯახზეა გადავადებული და ხელში გვიჭირავს. მაქოს ძაფს გადავუხვევთ ჯახზე და ამოვატარებთ დასაწყობ ძაფში. რვაას ორმოც თვალს რომ ამოვიღებ, მემრე მოვუბრუნდები, კიდევ გავალ ბოლოში და ისევ მოვუბრუნდები, სანამ საკმარისი იქნება.

მოქსოვილი უნდა მოჰკერდეს ორივე მხრიდან პაკიჭებს ისე, რომ ყოველი თვალი იქნეს ძაფით დამაგრებული ნაქერზე, რომ არ დაიშალოს ნაქსოვი. მემრე უბრალო წყალში საპნით გაირცხება; გარცხილი მიხიარება საპონწყალში. მემრე წყალში მოვადუღებთ ერთ ფურცელ წებოს და შემდეგ ლილის შეზავებით, შიგ გავავლებთ არშის. მემრე გავკიმათ მაგიდაზე რამე ნაქერზე, ზევიდან დავაფარებთ მიტკალს და გავუსვამთ უთოს. მემრე ამიხსნება პაკიჭებიდან.

ყაზაური ძაფი, ე. ი. ძაფი ჯერ უნდა უყულმა დაირთას, მემრე წალმა, მემრე ყაისნალით კუწუბზე, ე. ი. ნაპირზე, გადავვლოს ცალწვერი ძაფი და ეს იქნება ყაზაური ძაფი. ყაზაური ძაფი და კუწუბის ძაფი ისევე უნდა გამოიხარშოს საპონწყალში, შემდეგ გაივლოს ლილაში და შემდეგ შეიკეროს სახეები; ბოლოს კუწუბზე გადავვლება ყაისნალით ნაპირის ცალწვერი ძაფი. როცა ყოველივე ეს გათავდება, მიტკალს ამოვწურავთ ქაფში ისე, რომ ზედ კიდევ ჰქონდეს ქაფი, გადავფარებთ არშის ზევიდან, გავუსვამთ ცხელ უთოს და მშვენიერი ამოვა.

წამოსახხამ შალეხსაც ასე ვქსოვთ, ოღონდ მსხვილ ჯახზე. იმას უნდა სამასი თვალი. ესეც უნდა ისე დაიქსოვოს, მხოლოდ მსხვილად დართული ძაფით. დაქსოვილი უნდა გამოიხარშოს საპონწყალში. გამოხარშულს გამოხარშულივე ძაფის ფოჩი შეებმება. ფოჩს ზოგი ყაისნალით ჰქსოვს, ზოგიც ბადესავით ჩაჰკვანძავს.

მთბრ. **მარიამ ბესარიონის ახ. ზირაქაშვილი**, 70 წ.

ჩვენ ოქრომკედს ვეძახდით აბრეშუმის ყაითნით შემოვლებას. გაურჩელა ჩიხტის კოხსა ჰქვიან. კოჭურა ალბათ ჩიხტია. ჩვენ ჩიხტს ვეძახით. თაქსაკრავი ჩიხტის გარშემო არის შემოკრული.

იალქანი არის გვირგვინი მეფე-პატარძლისათვის. გვირგვინს, ანუ იალქანს აქვს ოთხი ტოტი. ასე ვაკეთებდით გვირგვინს: უსურვავს მოვრკალავდით ხორციელი აღამიანის თავის კვალბაზე, ზედ გადავახვევდით ბამბას, მერე ბამბას ზევიდან დავახვევდით გვირგვინის მალათას (ოქროს სირმას); მემრე ჭილას გავაკეთებდით ასე: ხელზე დავიხვევდით იმავე მალათას, მემრე ზევითა და ქვე-



ვით გავჰრიდით და ნაჭრებს გადაეაჯვარედივნებდით და გავუყეთებდით შუბლურაწილად
 ზე. ტოტებს ასე ვაკეთებდით: წინდისჩხირს დაეხვევდით ბამბას. მერე გვერდით
 გვირგვინის მალათას. პატარა კოკი გავეთლებოდა. ამ კოჭებს ავასხამდით პატ-
 რუქზე მძივსავით და რამდენიმე ასეთ მიძვს ჩამოვკიდებდით რკალსა.

ლენჩაქს აბრეშუმის ძაფით ვუკეთებდით ყვავილებს. ლენჩაქი ირიბად არის
 ვაკეთებელი. ჩიხტს დაეხურავდით, გაურჯვლას ჩაივლებდით შიგ, მემრე ლე-
 ჩაქს საშუალოდ დავიხურავდით ისე, რომ კუნჭული სწორედ ზურგზე მოქცე-
 ულიყო. მარჯვენა კუნჭულს ავიხვევდით ნიკაძევემ ყბაზე და გადავიდოდა თავ-
 ზე, იქ დამავრდებოდა ქინძისთავით. მარცხენა წვერიც მარჯვნივ გადავიდოდა
 და ისიც დამავრდებოდა ქინძისთავით. ზევიდან მოვიხვევდით ბაღდალს.

მთხრ. ხოფიო გაბრიელის ას. როჭიტაშვილი, 60 წ. (სოფ. ხაშში).

ლენჩაქის დაბასმა. დიდ რკალზე გავჭიმავდით ლენჩაქს, რომლის ბოლოებს
 შემოვავყარებდით პაჭიკებზე, შემდეგ ბასმას წებოში მოვადუღებდით, შიგ ვა-
 წობდით ქინძისთავს და იმით ლენჩაქის უჯრებზე გამოვიყვანდით სხვადასხვა
 ყვავილს, მაგალითად: წვიმის ყვავილს, ვარსკვლავს, მარწყვის ფოთოლს, მუხის
 ფოთოლს და სხვას.

მ ღ ე ბ რ ე ბ ა

მთხრ. ანა სოლომონის ას. ერტელიშვილი, 68 წ. (სოფ. ხაშში).

საღებავად კარგია თავშავა ბალახი, რომელიც იძლევა უხუნო საღებავს.
 თავშავა ბალახი აზრდება ტყეში. დავკრეფდით, თუნდ ნედლს ვიხმარებდით,
 თუნდ გავახმობდით და შევიწინახავდით. როცა დაგვეკირდებოდა, ჩაყვრიდით
 ქვაბში, ჩავასხამდით შიგ ბევრ წყალს, მოვხარშავდით. შემდეგ მოვიტანდით
 სამქედურიდან წიდას, კიდევ — გრდემლზე ნაკეში რკინის ნაფერთლს, ჩაყვრი-
 დით შიგ და დავდგამდით მზეზე. ამის შემდეგ ჩაყვრიდით შესაღებს; მანამდე
 ბალახს გავწურავდით და ამოვიღებდით. შემდეგ სამ დღეს გავუყეთებდით ცივ
 სევადას, ე. ი. სამ დღე-ღამეს იდგა ასე. წიდა არის ქურბის პირში, ანუ ჩემჩას-
 თან ადუღებული რკინისა და ნახშირის გამოწყაფი.

თავშავა ყვავილი მხოლოდ შავადა ჰღებავს. ატმის ფოთოლში მწვანედა
 ვღებავდით, რძიან ბალახში კი — ყვითლად. კაკლის წენგოში იღებება ყავის-
 ფრად. ამათ წიდა და ცივი სევადა არ უნდა.

ქ ა რ გ უ ლ ე ბ ა


მთხრ. ანიკო ანდრიას ას. კაპანაძე, 52 წ. (სოფ. ნინოწმინდა).

ოქრონემსელი, ოქროქსოვილი. ოქრონემსელი არის ქსოვა ოთხი ჯიხისა-
 ვან. ორი მთავარი ჯიხია, ორიც — თავსა და ბოლოს განხილული. ორ მთავარ
 ჯიხს აღმა-დაღმა დაკრული აქვს პაჭიჭები, რომელზედაც ჩავაყვრებთ საქარ-
 გავს, მაგალითად, თავსაყრავს (ჩიხტიკოპისთვის). თავსა და ბოლოს რომ ხიდ-
 ბი აქვს, ის დახვრეტილია და საქარგავი მასალაც ზომის მიხედვით დამაგრე-
 ბულია ჩხირებით (მეორე დედაცაი ასე ამბობს: „თავის ზომაზე დამაგრებუ-

ლია ჩხირებითო“). ზედ იქარგება თავსაკრავი, სარტყელი, გულისპირი, ნიჭზვისა და
ტოტები, წვივსაკრავები და სხვა.

ოქრონემსელი [ასე ეთიხება]: ქარგაზე პაჭიკებში გაკიმულია ტილო ან ხა-
ვერდი, ან ფარჩა, ან ატლასი და სხვა. ამ გაკიმულ ტილოზე დავაყრიდით ჩი-
გინის ყვავილს (მარწყვის ფოთოლი), ნუშის გულსა და სხვას.

სახეებს ვაკეთებდით ასე: თხელ ტყავზე მსხვილი ნემსით დასჩველტდნენ
სახეს. დაჩველტილ ტყავს დასდებდნენ მოსაქარავ ტილოზე ან ხვერდზე,
ზედ დააყრიდნენ წმინდა ნაცარს, ხელით წაუს-წამოუსომდნენ და შემდეგ
ციმციმ აიღებდნენ ტყავს. ხვერდზე ნაცარი დააჩენდა სახეებს, ამ ნაცარს ნა-
სახზე დაჰბლანდავდნენ უბრალო ძაფით და შემდეგ დაბლანდილზე დაიწყებ-
დნენ ოქრონემსილს დუფითილათი ასე: ყაითნის სიმსხო ძაფს (რომელსაც ფი-
თილას ეძახდნენ) დაბლანდილზე დაჰნესამდნენ დუფითილის დახმარებით.
დუფითილზე დახვეულია ოქროს ძაფი, რომელიც გადადის და გადმოდის ფი-
თილაზე და ყოველი გადასვლის დროს ფითილას ძირში ჩაიკემსება. დაკემისი



სურ. 19. დუფითილა

შემდეგ დუფითილას უკან გადაიტანენ და დასდებენ ქარგის ზეზე ან პაჭიკ-
ზე. დუფითილა რკინისაა, მძიმეა და ძაფს იჭერს სანამ დააკემსავენ და ასე ბო-
ლომდე. ოქროს ძაფმა დანემსის დროს დარანი არ უნდა დააგდოს ფითილაზე.
ასე ნაბლანდზე დაინემსება, ანუ მოიქარგება სასურველი სახე.

ოქროქსოვილი. იქსოვება ისე, როგორც საერთოდ ქსოვილები, მხოლოდ
ოქროს ძაფით ან ოქროს ძაფის დატანებით.

ქარგვა. ქარგვაც იგივე არის, მხოლოდ ფითილას მაგიერ აქ დაიბლანდება
სახე, მაგ., ყვავილის ფოთოლი. რადგან ფითილა რგვალია და ფოთოლი კი
პტყელი, ეს სიპტყე ერთმანეთზე ხშირად დაიბლანდება, ამაღდება, ანუ ფოთ-
ლის სისქე მიეცემა, მემრე ეშვით ან ძვლით დავხითავთ; მემრე დუფითილაზე
ჩვეულებრივ დაინემსება ოქროს ძაფით; ამას ჰქვიათ ამოქარგვა.

ერწო-თიანეთი

შეიქრობა

მატყლის ქსოვილება

მთხრ. თეკლე დავითის ას. მაჩუბიშვილი, 75 წ. (თიანეთი).

მატყლის დახარისხება. საუკეთესო მატყლად ითვლება კრავლი, ე. ი. ბატკნის მატყლი. მემრე შემოდგომის მატყლი ითვლება კარგ მატყლად, ხოლო გაწაფხულისა დაბალია, ბევრი ხარჭი აქვს, მსხვილია და ფერი კარგა არ ეკიდება.

ნაპარსი მატყლი ჯერ გაირეცხება, მემრე დაიჩეჩება საჩეჩელზე; პირველ დაჩეჩილს ვეტყვით ფოლს; შემდეგ წმინდად დაჩეჩავთ დასართავად და ამასა ჰქვიან ფთილა. დაჩეჩვაში რჩება კვირტი. კვირტი გამოსადეგია წინდის ბაწრისთვის, ნალში ჩასადებად, მდარე ხარისხის ფარდაგებისათვის და სხვა. ფთილას დავართავთ თუნდ წმინდად, საჩოხედ, თუნდ მსხვილად, ფარდაგისათვის. ვართავთ ტარით (კვირისტავი აქ არ იციან. — ი. მ.). ტარით დართულს დაძახებთ ჯარაზე.

ჯარა. ჯარასა აქვს ძირი. ძირზე ორივე მხრიდან სხედს ფეხები, რომლებიც დამაგრებულია ძირებზე ბოძინტებით. ფეხებზე ღერძით დგას ბორბალი. ბორბალი შესდგება თხილის ორი თანაბარი კირკალისაგან. ეს ორი თანასწორი კირკალი უღლებით არის ერთმანეთზე დაკავშირებული. უღლებს ებჯინება მორგვის სოლები და ერთმანეთი უჭირავთ. ორივე კირკალი გარშემო წალმანუკულმა გახლართულია ბაწრით, რომლის შუაც, ბორბალზე, გადავდებულა ლამში. სახელურით ან წყლის დახმარებით ატრიალებენ ბორბალს; ბორბალი ატრიალებს ლამს, რომელიც გადახვეულია ჯარატარზე. ბორბლის ღერძს მარჯვენა მხრიდან აქვს სახელური, რომლითაც ატრიალებენ ჯარას. ჯარატარი ბორბლის წინ გარდი-გარდმოა ჩასმული დოლებში. დოლები ვაყრილია პატარა ფეხებში, რომლებიც დამაგრებულია ხიდზე ტაბლით.


ტარზე ჩავახვევთ ნართს. ჯარის ტარი რომ გაივსება, დაძახებთ და ხელში ამოვავაგორგლებთ (ავიგორელებთ). ამის შემდეგ ჩხირზე ორჯელ გადავახვევთ და დავხვეწთ. ხვეწის დროს რჩება კვირწლი.

მთხრ. პავლე მოსეს ძე ოზგაიძე, 35 წ. ყოფილი მესაქონლის შვილი (სოფ. მაგრანეთი, ერწო).

მატყლის დახარისხება. ჩვენი ცხვრის მატყლი ასე ხარისხდებოდა: პირველი არის მუდამ კრავლი. მაგრამ კრავილშიაც არის განსხვავება. თვით ჩვენი-


ვე ჯიშის ბატკანშიაც არის განსხვავება: ზოგს აბრეშუმით რბილი მატყლი აქვს, ზოგს — უხეში, ტლანქი. ასეთი დაკვირვება მქონია: ბატკანი დაბეჭდვითა და მშვენიერი აგებულობისა, მშვენიერი რბილი მატყლით; მიფიქრია, ამას ყოჩად გავუშვებ-მეთქი, მაგრამ ჰასაკში რომ მოსულა, მატყლიც გააფუჭებია და თვითონაც გაფუჭებულია.

ცხვრის მატყლი შემოდგომისა უფრო რბილია და ნაზი, გაზაფხულისა — უფრო მსხვილი და ხარჭიანი. მაგრამ ერთი კარგი თვისება აქვს გაზაფხულის მატყლს: უფრო კარგა იკიდებს საღებავს და კარგი ფერიცა აქვს.



სურ. 20. საგრეხელა

ცხვრების მატყლშიაც არის განსხვავება; ზოგიერთ ცხვარს რომ გავპარსავდით, ნაპარსი ნაბადივით გადადიოდა, ნაბადივითვე იხვეოდა, რასაც ვეტყვით ბუღიან მატყლს. ზოგიერთის ნაპარსი კი კეჭა-კეჭა გადადიოდა; თვისებითაც ზოგისა რბილი იყო, ზოგისა — უხეში. თვითოეული ცხვრის მატყლი შესდგება კეჭებისაგან (ქუჩბად ამოსვლას ნიშნავს), ხოლო კეჭა გაიყოფა რამოდენიმე ჰავლად (ე. ი. ჰავლებისაგან შესდგება კეჭა).



სურ. 21. 1 — ცხემლა, 2 — კაკუჩა, 3 — სახეხი

მთხრ. მარიამ ბენინტურის ას. ყაყიდაშვილი, 50 წ. (სოფ. ქუშხევი, თიანეთის რ.).

შალეების დაქსოვა. მატყლს თბილ წყალში დავალბობთ, მემრე წავიდებთ და ცივ წყალში გავრეცხთ. მემრე გავაშრობთ; მემრე დავწეწავთ, მემრე დავ-



ჩეჩავთ საჩეჩელზე. საჩეჩელზე ოთხჯერ ვეჩით. ჩეჩეაში საჩეჩლის კბილებში რჩება ცვირტი, რომელიც ლოგინისთვისაც გამოიყენების, მდარე ფარდაც მის საქსოვადაც. ოთხჯერ დაჩეჩილს ვეძახით ფარტენას. მეოთხეთ დაჩეჩით გამო-
ბილს.

მატყლის გაპოხვა. საპოხარში (სპილენძის ტაფა) გავდნობთ ცხერის დუ-
მას, დავასხამთ სამჯერ გაჩეჩილ მატყლს ზედა და მემრე გადავჩეჩთ მეოთხედ,
გავაკეთებთ ფარტენას და დავართავთ. ფარტენას დავართავთ ტარით. დართვის
დროს ტარს ვატრიალებთ საგრებელაზე.

საგრებელა პატარა, ოთხკუთხიანი სადგამია, რომელსაც სამი გოჯი სივანე
აქვს და სამი — სივრძე და ორიც — სიმაღლე. ზევიდან, შუაში, ამოჭრილი
აქვს ლამბაჯი, რომლის ძირიც გოჯ-ნახევარია. ლამბაჯის პირიდან კუთხეებისა-
კენ მიდის სხივები, ხოლო სხივებსა და სხივებ შუა ჯვრებია ამოჭრილი ხეში
ისევე, როგორც თვით ლამბაჯი და სხივები.

სახეები გამოგვყავს ხოწით. ხოწი მოკაუქმებულპირიანი დანაა, რომელ-
საც ხისა ან ძვლის ტარი აქვს.

როცა დავართამთ ტარზე, მემრე დავაორწვერებთ. მემრე დავძახავთ ჯარა-
ზე და მემრე ამახსნება გორგლად. ამის მემრე უდაზე დავქსელავთ, წკებლაზე
დავშვებთ. ცხემლას დავახვევთ ყაუს ან ისევე ბაწარს, შიგ გავატარებთ ცხემ-
ლას, გარის საყვანელათი ავწვეთ, სახეხავით გავარჩევთ ქსელს, შიგ გამოვა-
ტარებთ ცხემლას და მემრე დავბეჭავთ. აღმა რომ შამოდგება ნაქსოვი, ქიჩებს
ავწვეთ ზევით და ასრე მოიქსოვება ბოლომდე.

თიანეთში და მის ახლომახლო ყველა აღნიშნავს, რომ წვივისაკრავები და
ჩახსაკრავები იქსოვებოდა, მაგრამ როგორა ჰქსოვდნენ, არავენ იცის, ვერც
მოუგონიათ. აქ იმასაც ამბობენ, ჯეჯიმებსა ჰქსოვდნენ, მაგრამ ვერც ეს მოუ-
გონიათ, თუ როგორ.

საწიფვი, ბაქიჯი (და არა პაიჯი. — ი. მ.) და **სამუხლე.** ამკებს ჰქსოვდნენ
წინდისჩხირით, წინდისავეგვარად. ფესტემალსაც ჰქსოვდნენ და საგულესაც,
ყაისნალით. უფრო ხშირად ჰკერავდნენ ნაყიდი ფარჩისას ღვიძლისფერსა და
წითელს.

საჩეჩიან ქულებს ჰქსოვდნენ ნამჯისას, მზეში იხურავდნენ. მღვდლებსაც
ეხურათ ხოლმე საჩეჩიანი ქულები.

მთხრ. ევა იოსების ას. ბადურაშვილი, 63 წ. (სოფ. დოლიანები, თიანეთ-
თის რ.).

ფარდავის ქხოვა. მივაყუდებთ კედელზე ყდებს. ყდებს ქვევით და ზევით
აქვს რვილები, რომლებსაც უქირავთ ყდები. რვილებზე დაქსელილია ფარდა-
ვი. ქსელის თავში არის დაწყების წკებლა, რომელსაც ქსელი მიჰყავს ორივე
მხარეს, ზევითა და ქვევით. ქსელის ერთი, გადახვეული პირი, მიდის ზევით,
მეორე — ქვევით. წკებლის ქვევით პირის გასარჩევად გადაყრილია სარბენი
გარა, რომელიც მოძრაობს ქსოვის დროს. ამ სარბენ გარას ასწვევენ და დასწე-
ვენ ხოლმე პირის გამოსარჩევად კაჟჩით, ანუ საყვანელათი.

სარბენ გარას ქვევით არის დიდი გარა საშვერის წკებლით. ამ გარას სა-
შვერის გარას ეძახიან. საშვერის გარას უქირავს ქსელის ერთი პირი. ამ გარა-
ზე რომ წკებლათ, იმ წკებლაში გამომარყუმებულ ბაწარებზე ჩამობმულია ამ



ერთი პირის თითოეული ქსელი. სარბენი გარა რბენის დროს ამოაჩენს ხოლმე ქსელის უსაშვერო ნაწილს ჩანჩუხების გასაყრელ-გამოსაყრელად. საშვერო გარა, რომელიც ერთ ღონეზე დგა, უჭირავს აქათ-იქით ყდებზე დასმულ ორ ქინს. ქიჩები ფარდაგის ქსოვის მიხედვით გადინაცვლება ხოლმე ზევით. საშვერები ჰქვიან თვით იმ გამომარყულებულ¹ ბაწრებს წყებლაზე, რომელთაც უჭირავს ქსელის ერთი პირი.

რვილები დამაგრებულია ყდებში სოლებით, რომლებითაც საჭიროების-დაგვარად სკიმავენ ფარდაგს, ნაქსოვს.

ჩანჩუხების გადასვლა-გადმოსვლით გამოიყვანება სახეები. სახეები: ერთ-მთვარიანი, მამლებიანი, დაქულებილმთვარიანი (ღრუბლებში მთვარე ხანდახან გაქულებილივით მოსჩანს), წვრილსახიანი, მანებიანი, ცხენიანი, ქალვაჟიანი, თითებიანი მთვარე, ფათებიანი, ე. ი. ღიფყავილიანი, ირმისანი, კურდღლიანი, საღაგულიანი, თორმეტარშიანი ფარდაგი და სხვა.

ქსოვის დროს გვაქვს იარაღი: ბეჭი და კაკუჩა, ანუ საყვანელა.

მთხრ. სარა მიხეილის ას. ყურშავიშვილი, 40 წ. (სოფ. ახალსოფელი, თიანეთის რ.).

ფარდაგის ქსოვა. ექსოვდით წვრილსახიან ფარდაგებს. გულში, კუთხეებში ვატანდით ხილაბანდებს, რომლებიც სამკუთხიანია შიგ გამოყვანილი სახეებით. გარშაშო ვუქსოვდით მწვანთან არშისა შიგ გამოყვანილი ვარდებით. არშის ვატანდით ხრაახნილებს შუა. ფარდაგს თავსა და ბოლოს ეუყეთებდით შიბს, მოჩუქურთმებულ პატარა სიბტყეს. ჩუქურთმები შიგ გამოგვეყავდა.

ხალიჩის ქსოვა. ხალიჩასაც ისე ექსოვდით [როგორც ფარდაგს], მხოლოდ ხალიჩას სჭირდება მაკრატელი და ნელა იქსოვება.

ქსელს მთელ სიგანეზე ჩამოვაბამთ ზედას, მემრე შევპურით თანაბრად, მემრე ორ დაბეჭვას გადავავლებთ ნართსა სიმაგრისათვის და ასე მეორდება, სანამ სულ არ მოიქსოვება. სახეები ისე გამოგვეყავს, როგორც ფარდაგში, კბილების თვლით. ხალიჩას, საიდანაც იქსოვება, იქიდანა აქვს კარგი პირი, ფარდაგს კი — პირიქით.

აქ ფირფიტებით ქსოვა არ ახსოვთ.

ჭიღოფის ქსოვა

მთხრ. ელენე გიორგის ას. გონჯიაშვილი (სოფ. ნაქალაქარი, ერწო).

ჭიღობსა ექსოვთ ჭიღობის ჩალით. ჭიღობის ჩალა იზრდება ქყანტში. ეს ჩალა თიბათვეში იგლიჯება. მემრე გავაშრობთ მზეში და შევიწახავთ ზამთრისათვის. ზამთარში დავალბობთ წყალში, ორ-ორ ღერს ერთმანეთზე ვადავგრებთ და ბოლოებში ახლის შიგ ჩამატებით დავგრებთ გრძელ ბაწარსავით და დავაგორგლებთ. დაივრჩებება ორი გორგალი ქსელისთვის, დაიქსელება ყდებზე და ზედ შეეყრება ჩალა, ე. ი. ქსელზე ჩალები ვადივრჩებ-გადმოივრჩებება, დაიბეჭება და, როცა სულ მაიქსოვება, სათაურები გაუყეთდება.

¹ დედანშია „გამომარყულებულ“.

მთხრ. ნინო სოლომონის ას. როსტიაშვილი, 46 წ. (სოფ. ახალსოფელი, თიანეთის რ.).

ყვითლად შეღებვა. მოიხარშება თრიშლი, გაუშვებს წვეს. წვენი გადიწურება, მიეცემა ძალა, ერთი მუჭა თეთრი შაბი, წამოდუღდება და შიგ შეიღებება ყვითლად ნართი, თუნდ მატყლი. არის მთაში ერთნაირი ყვავილი ხაქოლი, ესეც ყვითლად ჰღებავს.

მთხრ. მარიამ ბეწინტურის ას. ყაყიდაშვილი, 50 წ. (სოფ. ქუშხევი, თიანეთის რ.).

ციხტრად შეღებვა. ავადუღებდით ნაცართვალს. მემრე გადაწურავდით კოდში, მემრე შალის პატარა პარკით ჩაუშვებდით შიგ ლილას, ორ-სამ დღეს დაეცდიდით და მემრე ამოვიღებდით. მტუტის მოსვლას დაეცდით ორ-სამ კვირას. ფერი მიეცემა, უნდა გაისინჯოს. ზომიზე მეტი სიცხარე არა ჰქონდეს. როცა მტუტა მოვა, ე. ი. თავისი ზომის სიცხარე ექნება, ჩავაწყობდით შიგ ხიდსა, ე. ი. ბაწრის შულოებს. ამოვავლებთ კარგა და გადაეციდებთ კოდზე. შიგ ჩაიწკრიტება, მემრე გაშრება, მემრე ისევე გავავლებთ და ასე ვუზამთ, სანამ კარგა არ შაილებება ციხტრად. ამის შემდეგ მოვადუღებთ თავშავა ბალახს და, როცა წვენი გაუშვდება, წიდას ვუზამთ. მემრე მზეში უნდა იდგეს. უმზეოდ არ შაილებება. თავშავას წვენშიც რამდენიმეჯერ გავავლებთ და გავაშრობთ, სანამ კარგა არ შაილებება. ბოლოს, როცა გაშრება, გავრცებთ.

ციხტრად რომ კარგად შაილებოს თავშავას წვენში, უნდა სამჯერ გაირეცხოს.

ყვითლად შეღებვა. არის ბალახი ხაქოლი. მოვადუღებთ, ცოტა შაბს გავურევთ, გადაწურავთ. მემრე გაცრილ ნაცარს ჩაყურით შიგ, ე. ი. დავდედავთ. ერთი-ორი საათის მემრე ჩაყურით შიგ ნართებს და კარგა გავლებულს ცოტა ხანს გავუშვებთ შიგ. თუ შიგ მეტხანს დაგვრჩა, გაფუჭდება ნართი.

ერთი ფერით შეღებულ ნართს მეორე და ხან მესამე ფერითაც ვღებავთ, ასე სხვადასხვაფერები გამოდის.

მთხრ. ხარა მიხეილის ას. ყურშავიშვილი, 40 წ. (სოფ. ახალსოფელი, თიანეთის რ.).

მიამბობს შეღებვის [შესახებ] და უმატებს: წიდასთან ერთად ნავალიც უნდა ჩაერიოს საღებავის ვაკეთებისთვის. ნავალი არის გახურებული რკინის ნაყარი ფერფლი კვერის დარტყმის დროს გრდემლზე. ეს უნდა თავშავათი შეღებვის დროს.

სოფ. დოლიანები (თიანეთის რ.): მიამბობენ დოლიანელი ქალები და გლეხები, ერთმანეთს უსწორებენ: „შავად შეღებვა ათასნაირია; უნდა მიიხარშოს მურყანის ქერქი, მემრე გადაიწუროს ოთხჯერ, მემრე შიგ ჩაყურით ძალას, მოვადუღებთ. [საღებავში] ჩაყურით ნართებს, ავურ-დავურევთ, თუ მეეღო, ამოვიღებთ. როცა საღებავს აიკრფეს, ამოვიღებთ და გავაშრობთ.

ნარტიზისფრად შეღებვა. მაყალო უნდა მოდუღდეს კარგა, ოთხჯერ გადაიწუროს, მაგრამ შეიძლება იკრეც მიიხარშოს მაყალო, ოთხჯერ გადაწურვა არ



დასპირდეს და ერთხელ გადაიწუროს. გადაწურულს კიდევ მოვადუღებთ ერთხელ უკვე უკეთესად. ერთი შიგ ძალას და მეორე შიგ შევეღებავთ შესაღებს. ასე იღებება ნარკოტიკული ფრად.

წითლად შეღებვა. უნდა გამხმარი ენდრო დაიხვიოშოს, ჩაიყაროს ქვაბში. იღულოს, სანამ სულ გამაიცემს ფერსა. ესეც გადაიწუროს, ექნას ძალა, ერთი მუჭა თებრი შაბი, კიდევ წამოდუღდეს და მეორე შაპლებავს წითლად.

მუქყავისფრად შეღებვა. ხახვის ფურცელი, გარეკანი, ყვეთელი რომ არის, ჩაიყაროს წყალში. ამას არ უნდა ბევრი ხარშვა, მალე გამაიცემს ფერს. ესეც გადაიწურება და შემდეგ ისე კეთდება, როგორც უკვე ნათქვამია.

საინჟინრო

ფიქრობა

მატყლის მხოველები

ხანაჲ-ს (ქსელის) გაამბელა-თ, მაქსოვნელა-თ ასტავდნენუ (ართავდნენ ზოლმე) ბაწარს მატყლით, კედს (ძაფს) — დომუღლით და ყაჭით. პარკით კი ხანაჲს ახვევინებდნენ. ხანაჲბე (ქსელისთვის, საქსოვისთვის) სხო რაჲმ-ის დართუ არ ყოფილა მიღებული.

მატყლი სხვადასხვანაირია: ზოგი „დომფალივით რ-ბილ-ი“ და გრძელ ბრწიანია, ზოგი უბარაქათო (ბარაქა), კვრტიანი-ა; ასეთია, მაგალითად, გზაფხულის მატყლი მაფაღუჲ; შომოდგომის მატყლი (თურქ. ფაიზის), ანუ გვწამიჲ კი მაფაღუს ბევრად სჯობია. ყველაზე უკეთესია თოხლის და შიშაქის მატყლი. მაგარ, უხეშ მატყლს ფოდ-ს, ანუ ყიღან-ს ეძახიან (ასეა თურქ.). ისეთ მატყლს, რომელშიც ურევია თეთრ-ი ბრწ-ი (თეთრი ბეწვეი), ანუ კლარ თმაჲ, ხანაში არ ხმარობდნენ, რადგანაც მკვდარი თმა არ იღებება; ამიტომ მას მარტო ნაბადი-ს და ჩიგლაჲმაჲ-ს დააკვევლა-თ (მოსათელად) ხმარობდნენ ზოლმე.

გრძელბეწვიან შახრუშტულ (დაგრებილ. შეხუტუშტებულ) მატყლის შულოს მუწულს ეძახიან. ამას ლეკები, ილისუელები ხირწაკის ქსოვის დროს შიგ აყოლებდნენ ზოლმე. გრძელბეწვიან მატყლს არჩევდნენ — შიგაჲთი ჰკრეფავდნენ ბირკს, უვარგის კართის (მოკუტყუნული, ერთიმეორეზე მიკრული, დაგრებილი, მუცლის და უბეების მატყლი). ცოტა ვარგის კართისაც პწეწავდნენ ზოლმე.

გადარჩევის შემდეგ ცივ წყალში რეცხავდნენ ზოლმე. [ამრობდნენ] ხარი-ხაზე, კერკალზე, გამბულ საბელზე, მარაზე ან ვაზე. გაშრობის შემდეგ იღებდნენ და მჩეჩავდნენუ საჩიჩელზე. პირველ დაჩეჩვას გაბვევას (ალიაბ. გაბვე-ბას) ეძახიან. გაბვებულ მატყლს აგორგლებდნენ ზოლმე სვმაკ-ებათ. სვმაკებს ხელმეორეთ სჩეჩავდნენ და აფარვევდნენ. საჩეჩლის ყბით-გან (პირიდგან) ერთი ხელით გამონაწიწკნს — ერთ მხარეზე, მეორე ხელით გამონაწიწკნს — საჩეჩლის მეორე მხარეზე უსვამდნენ, ნაპირებს ცოტათი უკეცავდნენ და ასე მიღებულ ორივე ფაროს ერთიმეორეზე დაადებდნენ ზოლმე. შემდეგ ექვს-ექვს წყვილ ფაროს ერთად აგორგლებდნენ, აკეთებდნენ მუტლს. მუტლსებს აწყობდნენ ზოლმე ხოკერში, პატრა კასრში, ტანკოში, პირფართო გუგურაში (გოგრაში). საჭირო დროს აქედგან იღებდნენ და ფაროს თითო-თითო ასტავდნენ უპარაზე ან ტარზე (ართავდნენ ჭარაზე ან ტარზე).



ერთი კაცი დღეში თექვსმეტ მატყლს (თექვსმეტ კანძს), ანუ ერთ ფუტს რეცხავდა.

დაჩეჩვა შეიძლება დღეში ექვსი-რვა გირვანქის, დართვა ტარზე — ხან-ვარი და ჭარაზე ერთი გირვანქისა.

დართვის დროს ტარს ნატეხარში (თიხის ჭურჭლის ნატეხი, ძირი) ახხრია-ლევდნენ, ანუ **ახხრიალებდნენ** (ატრიალებდნენ) ხოლმე, **სასტავიბე** (სასთავის-თვის) — გარეთევენ, ხოლო **საზახიბე** (საძახისთვის) — შიგნითევენ. საძახის ტარი დიდია, სასთავის კი შედარებით მომცრო. დაძახვა შესაძლებელია სასთავ ტარზედაც.

ჭარაზე დართვის დროს **ჭირიშას** (თურქ. — ლევდსმეგრებილი ბაწარი) უგდებენ ჭარის **თოფზე** (თურქ. თვალზე) და ჭარის ტარზე აცმულ **კვრიშტავში** (კოჭში), შემდეგ **ჭარის ტარზე** აცმენ სქელი ჩალით გაკეთებულ ერთიან **თავდაუწყეულ** (დაქვეყილ) მასრას. ფაროს დასველებულ წვერს ცოტათი ახვევენ ჭარის ტარის წვერზე და მეორე ხელით **ჭარის ზროზე** (ღერძზე) აცმულ **სახხრია-ლევდს**, ანუ **სახხრიალებდს** (აღიაბ.) ატრიალებდენ. ჭარის თოფის ტრიალით ჭირიშას საშუალებით ჭარის ტარიც ტრიალებს და ირთვება ბაწარი. ერთ წელის გაშლაზე რომ დაირთვება, მაშინ ტარზე **ჩაახვევენ** (ჩაახვევენ) ხოლმე. როდესაც ტარზე მასრა აივსება, საესეს **ჰწდვან** (აძრობენ) და სხვას აცმენ...

დროდადრო ჭარის ზროზე, ჭარის ფეხების ზერელებში და ყურებზე (ან „ტარ დანამაგრევე კორაევეზე“) ქონის წასმია საჭირო. თუ ჭირიშა **დაუბოშდა** (მოუღუნდა), მას გრეხენ დასამაგრებლათ, რომ ტარმა კარგათ იტრიალოს.

წინდის ბაწარს ცოტა **მაწღარა**-თ ართავენ, სამ წვერს ერთად **გორგლა**-თ ახვევენ, ძახვენ და თუ **ფერადიბე** (შესაღებათ) უნდათ, მუხლებზე იხვევენ — **ჰვიფენ**. კიხვ ზედ საკიღლათ და ხელში დასაპერათ **ღედანახაც** (სათაურს) უკეთებენ და მერეღა ლებავენ. თუ წინდის ბაწარი **სათეთრობებ** უნდათ, მას დაძახვის შემდეგ გორგლათ ახვევენ. ამოხვევის დროს ჯერ ხელზე ერთ სქელ შულოს სისქეზე **ჩანჩაყს** იხვევენ, მერე იძრობენ ხელითგან და ზედ ყველა მხრით ახვევენ ბაწარს **კაჭა-კაჭა**-თ (გორგალზე ერთი მიმართულებით გადახვეული ბაწარის ფენა). შეღებვის შემდეგ სახმარ ბაწარს გორგლებათ ახვევენ ხოლმე.

უფიმი-ს (ჯეჯიმის) ბაწარს წინდისაზე წმინდათ ართავდნენ, ორწვერს ერთად ახვედნენ გორგლათ და ძახავდნენ. დასაძახათ ჭირიშას ჯვარედინათ უგდებდნენ, ჭარის ტარზე აცომდნენ თალაღლალს (თურქ. თხელი ფიცრის, შუაში ნაჩერტიანი პატარა ბორბალი), ახვედნენ ბაწარს ტარზე და ჩახეულს- (ჩახეულს) ძახავდნენ.

საძახზე გადაცმული ჭირიშა ტარს გარეთევენ ატრიალებს, ხოლო სართავზე — შიგნითევენ. დაძახვის შემდეგ **ჰვიფავდნენ** და საჭირო ფერადეს ღებავდნენ. შემდეგ შეღებილ ხიფებს **საკიფეზე** აცომდნენ და იქიდან ჭარაზე **ჰწნეხავდნენ** (მაგრათ ძახავდნენ). დაწნეხვის დროს საციფე ტრიალებს, მასზე აცმული **ხიფე** ნელ-ნელა ირღვევა და გადადის ტარზე.

„შალი-ს ბაწარს კი დიად (ძალიან) ნახა, წილაკა“-დ ართავდნენ, ერთ წვერს — წაღმა, მეორეს უკულმა. შემდეგ ორივე წვერს ერთად ახვედნენ გორგლათ და პირდაპირ **ჰწნეხავდნენ**. ბოლოს ღებავდნენ საჭირო ფერადეს.

1.5 ისტილ (სტილი) მატყლით ორი წყვილი წინდა გამოდიოდა. სამ ისტილით — ერთი საშარვლე, თორმეტით — ერთი ჯეჯიმი, შეიდ-ნახევრით — ერთი საჩოკეი და ერთ ისტილზე ცოტა მეტით — ერთი **შახავა** (აბავა).



უფიშ გაზა-მოქსონა (ჯეჯიმის გაზა-მოქსონა). ჰსომდნენ მიწაში სკა თექს (მანა, მოზრდილი პალო), თითოს — მოზომილი ადგილის თავ-ბოლოში, მესამეს — ბოლო მანასთან ახლოს, ცოტა გვერდზე დაცილებულათ. მარჯვენა მხარეს ჯდებოდა მცოდნე დედაკაცი, მესამე მანის პირდაპირ (მეორე მხარეზე) სომდა **ქუთოი ხეს**, მის შიგნით, ოთხი თითის სიგანეზე დაცილებით (დაშორებით) — **შამფურს**. შამფურის და ქუთოა ხის შუაში ათავსებდა ოთხი თითის სიგანე **ფირფიტას**, რომ დაკიმულ ქსელს შამფური და ქუთოა ხე არ დაეახლოვებინა. აბამდა ხანას ორი გორგლის დამტარებელი: ერთი აქცევდა **ყაზალს** (თავისუფალი საქსელე) შამფურისა და ქუთოა-ს ხეს შორის, მეორე კი ქუთოს (შეკრული საქსელე) — შამფურის გარეთ. **ამამქუთელი-ი (ამამშოვნელი)** იჭდა და **პქუთავდა** შამფურის გარეთ დატოვებულ ბაწარს (ქუთოს), ქუთოა-ს ხეზე **პკრავდა** ხოლმე **ქუთოა-ს კედლით**. გაზმის დროს ნაპირში ჯერ ოთხი-ხუთი წყვილი შავი ბაწრით აბამდნენ დედანას (ცივიმი-ის პირ დაწყოვაში), მერე ცხრა წყვილი ყვითლით და ცხრა წყვილი შავი ბაწრით — **ტოლანას**, იმის ზემოთ — თავის **სავალეს** (ანუ **სავალას**) ოთხ-ოთხი წყვილი **დანაშნომ-ი** (მობდენილი) ფერადებით. სავალეების გასაბმელათ მეტწილათ წითელს, ყვითელს, მწვანეს და „ისფერს“ ხმარობდნენ. სავალას უკან, **პრელი-ს** ნაპირში (პირში) ოთხი წყვილით **ბუდეს** (რამიაც ამოყრილია პრელის ფერადები) აბამდნენ და მერე — სამოცდაექვსი წყვილი ყვითლით და სამოცდაექვსი წყვილი წითლით — **პრელს**. პრელ-ის ბაწრები სამოცდაექვსი წყვილი ზევით და სამოცდაექვსი წყვილი ქვევით უნდა ყოფილიყო მოქცეული. პრელის მეორე მხარესაც სავალეებს (ძალიან ვიწრო ზოლს) აბავდნენ: ამის შემდეგ — მეორე მხრის ტოლანალებს, მერე აყოლებდნენ ცისფერით **თახტას** (განეირი, სამი თითის სიგანე ზოლი), ამაზე — მეორე პრელის ტოლანას, სავალეებს, შემდეგ მოსდევდა მეორე **პრელის ბუდე** ოთხი წყვილი ლურჯით, სამოცდაექვსი-სამოცდაექვსი წყვილი მოხდენილი ფერადებითაც მეორე პრელს აბავდნენ. მეორე პრელს მოსდევდა ხოლმე კიდევ — სავალეები, ტოლანალი, **წითელი ფერადით თახტა**. თახტა-ს შემდეგ კიდევ აბავდნენ „ისფრით“, ყვითლით — სავალეებს და ბოლოს ოთხი ან ხუთი წყვილი შავით — მეორე ნაპირის დედანას (ანუ პირს). ჯეჯიმებს **აბავდნენ** (პქსელავდნენ) სხვადასხვანაირ პრელეზიანსა და სხვადასხვა ფერადებით. **გაზა-ომოქუთა-ს** (ამოქუთვის) შემდეგ თექებს ჰკლევავენ. შამფურს აპრობდნენ და ქუთოა-ს და ყაზალი-ს შუაში უყრიდნენ დაგრეხილ ბაწარს, **ყაზალს** პკრავდნენ. ქუთოა-ს ხე ზედვე რჩებოდა ხოლმე. მერე სომდნენ მიწაში საპირო სიგრძის მანძილზე თავ-ბოლოში ორ-ორ თექს და ხანას თავში ორ თავ-ხეათი ამაგრებდნენ, ხოლო ბოლოში კი ხანაში შეყრილი ხეს სდებდნენ ბოლოა თექებს. გაზმის შემდეგ ქუთოა-ს ხეს სქელი ბაწრით ან მარაზით კვიდებდნენ ხოლმე **ტატკელაზე** (სამი ჯონი, თავში კონასავით შეკრული). ხანას ქვეშ უდებდნენ ხოლმე საჯდომ კუნძს და ყაზალის და ქუთოა-ს შუა აძვრენდნენ **ვარანგელას** (ოთხსავ მხრით გათლილი 2—2,5 მტკაველი სიგრძის და ოთხი თითის სისქე ხე).

პირ დაწყობაში საპრელი ბაწარს ქვევითკენ პკრეფავდნენ (**ჩაქრეფა**), **ბუდეს** (რამიაც პრელი უნდა ამოყაროს) — ზევითკენ (**ომოქრეფა**) და უყრიდნენ ხოლმე **ჩხირს** (წვრილი, რგვალი, სუფთად გათლილი ხე). შემდეგ საპრელის ზევითკენ და შუაში მყოფ წითელს ქვევითკენ პკრეფავდნენ, მერედა **ვარანგელას** „წინაყ“ (თავისკენ) სწევდნენ, ჩხირს — ქუთოა-ს ხისკენ, შემდეგ



გადაჯვარდინებული ბაწრების შუაში აძვრენდნენ **კმალს სიმტყელაზე**, **ჰერკონულა** დნენ (ჩაპკრავდნენ) და აყენებდნენ კმალს პირზე (წამოაყენებდნენ) და **კმალს** დაშორებულ ყაზალს და ქუთვას შუა პატარა ბაწრის-ს გორგალს, **შოგასყარს** (კაკ-არლაც; არლავი თურქ. სიტყვა) აძვრენდნენ, ხმალს ჰკრავდნენ და **წვედნენ** (გამოდრობა). ამის შემდეგ **პბეჟვადნენ** („კელს აპირებდნენ ზედაითი, ყაზალ ქრ-მ ჩადიოდა“), ჩიხრის „უჯანაყ“ პწევდნენ, კიდევ ხმალს აძვრენდნენ, ჰკრავდნენ. პწევდნენ, მერე ვარანგელასთან ბაწარზე ტარს უსვამენ (წასმა-წამოსმა), რომ ყაზალი და ქუთვო კარგათ გაცალკეებულიყვენ. მერე ვარანგელას „გორცყენ“ (თავისკენ ახლოს) პწევდნენ და შოგასყარს ახლა აქეთ აძვრენდნენ, ამასაც ხმალს ჰკრავდნენ ხოლმე. ორჯერ შოგასყარის (საზედაო) შეუყრელათ ომოკრეფა ან იქნება, არ ივარგებს.

ცულ მქსოველებზე ასე ამბობდნენ დაცივნით: „გამბულია, გამბული, გაწყრტაში კვრტი ბაწარ ჩამბული“.

ხანაჲს თათთან მისახწევით ორი ადლი რომ დარჩებოდა, ამრუნებდნენ (აცურებდნენ) ხოლმე ქვედა. მოუქსოვენელ მხარეს ზევით. ორჯერ მობრუნების შემდეგ ნაქსოვი თავზეზე გადმოდიოდა. მქსოველს ორი გაწყვეტილი ყაზალ და ქუთვო ერთად რომ **მეეყუნა** (მეეკვანძა), იმას **ჩატყუპას** ეძახოდნენ (ჩატყუპვა ნაქსოვის წუნია). გაბმის (დაქსელვის) დროს თუ ბაწრები თანაბრათ არ არიან **დაწაფულ-ნი** (დაქიმულნი), ზოგი „ზაბები“ ღუნდებიან, ეშვებიან და ნაქსოვიც ულამაზო გამოდის. ასეთ შემთხვევებში მოშვებული ზაბები წკირებით უნდა მოიგრიხოს, დაიჭიმოს.

როდესაც ადლ-ნახევარი უქსოვი ადგილი დარჩებოდა, ხან-ს სჭრიდნენ ხოლმე. მონაპერ, ნარჩენ ბაწარს (ანუ საჩალს თურქ.) **ყანფიდა-ს** ბად-ის დასაწნავით, მახათით ძველმანის, **ტუმარა-ს**, **ფალახის** (პატარა საგებელი დასაჯ-ლომით) დასაყერათ ხმარობდნენ.

ნაბაღზე გაღუკვრულ ჭეჯიმს **ჟიჯიმი შალ-ს** ეძახიან. ამის ოთხ-ხუთ განს ერთად ჰკრავდნენ და აკრავდნენ ნაბაღზე, მერე გარეშეშო ავლებდნენ ხოლმე **ჟიჯიმი პირს**.

ჭეჯიმივითვე ჰქსოვდნენ აგრეთვე **ყაჟარის** (ყაჯარის), მხოლოდ ყაჯარის **პრელები** შედარებით მარტივი იყო ხოლმე. მას ხმარობდნენ ცხენზე გადასახურათ, შესამკობლათ. ყაჯარის ჰქსოვდნენ ბაწრით, კედით, ხაიათით. ესეც ვიწრო ქსოვილია, ამიტომ ცხენზე გადასახურათ მასაც ჰკრავდნენ ხოლმე ხუთი განით. შუა სამ განს მოკლეთ სჭრიდნენ, ნაპირების ორ განს კი — გრძლათ ისე, რომ მკერდს შემოსწლომოდენ შესაკვრელათ. გამოკრის შემდეგ ყველა განებს „ყბაჲ-ყბაზე“ (პირიპირზე) უხვევდნენ და გარეშეშო ავლებდნენ ფერადი ბაწრებით, ფერადი კედით, ან ხაიათით გაკეთებულ **ფუნფებს**.

მოსართავ-ის (ანუ თურქ. ყოლანის), ჟიჯიმი-ს პირის, ტოლახის, **ფათავაჲს** (შედარებით ტოლახის — ბაწრის, განიერი, კაცების ტოლახია), **აორდნი-ს** პირის (საბნისპირი) და შალ-ის **ამოქუფვა** ისევე ხდება, როგორც ჭეჯიმის, მხოლოდ მათ ამოკრეფა და ჩიხრის გაყრა არ ესაპირობათ, რადგან ამოსაკრეფი პრელები არა აქვთ.

ამ ქსოვილების მოსაქსოვით ჯერ პბეჟვადნენ, ხმლით ამორებდნენ ყაზალს და ქუთვას, მერე შოგასყარს (კაკ-, თურქ. არლაც-ს) უყრდნენ და ხმლის ჩაკვრა-გამოდრობის შემდეგ კვლავ იმეორებდნენ ჩაბეჟვას, ხმლის ჩაკვრას, შოგასყარის შეყრას და ა. შ.

ქსოვნის დროს მქსოველმა თუ შიგსაყარი თანაბრად არ დაწაფა (დაქიმა), ნაპირები უსწორმასწორო გამოვა.

მოსართავს, ანუ ყოლანს და ჯეჯიმის პირს ორფერი ბაწრით აბავდენენ. შემდეგ ოთხ წყვილს კი ერთი ზაბი თეთრით, მეორე შავით ან ისფერი (რიჯ-რიჯათ) ბაწრით, მერე ოთხ წყვილს — თეთრით, ამის შემდეგ ოთხ წყვილს ისევ შავით და თეთრით. ასეთი თანმიმდევრობით აყოლებდნენ ზედ მეორე ზოლს და მესამე ზოლს კი, ზემოთ მოწყვანილი ფერების გარდა, ნაპირში უმატებდნენ კიდევ ოთხი წყვილი შავი ან ისფერი ბაწრის ზაბებს (ძაბებს).

იმ ზოლში, რომელიც იბმებოდა ორი ფერით, ერთ-ერთი ფერის ბაწრები ყაზალ-ათ (რომელიც ადის-ჩადის) რჩებოდნენ, მეორე ფერის კი ქუქუ-თ. ქსოვის დროს ხან ერთი ფერი ამოდიოდა ზევით, ხან მეორე, გამოდიოდა ორმხრივ კბილებიანი ჭრელები.

ტოლახს ერთფერი კედით, ფათავას ერთფერი ბაწრით აბავდენენ (ჰქსელავდნენ). ტოლახი სამი-ოთხი თითის სიგანე ქსოვილია, ფათავა კი თითქმის ორი ტოლახის სიგანეა.

ჰაბგას კედით ან ბაწრით და მორღანი-ს პირს კედით, ან ხაიათი ზოლად-ზოლად-ათ, ანუ სრელ-სრელათ (ზოლებათ) თითო ზოლადს, ანუ სრულს თითო ფერით აბავდენენ ხოლმე. მორღანი-ს (თურქ. — სახნას) პირს უფრო ვიწრო ზოლადები აქვს, ვიდრე ჰაბგას.

ხანა-ს მოჭრას უკან სატოლახეებს სჭრიდნენ ხოლმე ორი მტკაველის ან ცოტა მეტი სიგრძისას და პირვეს, ანუ პირებს (ალიაბ.) უკეთებდნენ, ე. ი. თავ-ბოლოზე ქობასავით ფარჩის ნაჭრებს ავლებდნენ. შემდეგ აკერებდნენ ბადებს (ყათინის სახვევებს). ასევე აკეთებდნენ ფათავასაც.

ჰაბგასაც საჭირო (3,5—4 მტკაველის) სიგრძეზე სჭრიდნენ, თოლები ნაპირებს ყბა-ყბაზე უხვევდნენ კედით და მერე უკეთებდნენ ყბებს, ანუ ყბებს (კაქ.) ფარჩის ნაჭრებით ან მეტწილათ პტყელი ბალით (ზონარი). ჰაბგის ამოხვეულ ნაპირებზეც (გვერდებზე) ავლებდნენ გვრგალ ბალს. ბოლოს ჰაბგის ყბაზე შიგნიდან აკერებდნენ ხოლმე ბალის ჰალყებს და შიგ უყრიდნენ ყანელიაძ ბალს ყბა მათგზრუნწელათ, მათგრუველათ.

საბნისპირს ჰკერავდნენ საჭირო სიგრძეზე დაჭრილი სამი-ოთხი განით და აკრავდნენ ხოლმე საბანზე ზედა პირად.

შალ-ებს სხვადასხვანაირს ჰქსოვნიდნენ, კედის, ბაწრის და იშვიათად ხაიათის შიგსაყარით (არღაც თურქ.).

დაჩეჩილ მატყლს აღებვიდნენ ლურჯათ, ართავდნენ და ერთ წვერს (ზაბს) ლურჯს, მეორეს თეთრ ბაწარს ერთად სწენებავდნენ. გამბის დროს ნაპირზე შავი ბაწრით სავალას, ანუ შიტს უმატებდნენ და ჰქსოვნიდნენ ეშმა შალს (თურქ. — შერგეხილს). ამ შალით შარვლის შეკერვის დროს შიტებს გვერდზე აქცევდნენ, გამოდიოდა გვერდზე სრელიანი, ანუ ზოლადიანი (=უცხო) შარვალი.

ზოგი ლურჯათ შეღებილს და თეთრ მატყლს რევდა ერთად, ჰჩეჩავდა და მისი ბაწრით საჩოქე შალს ჰქსოვნიდა.

თეთრი და შავი მატყლის ნარევით დართული ბაწრის შალს ჰადარა შალს ან ყომრალ შალს ეძახოდნენ. ყომრალს ეძახოდნენ აგრეთვე თითო წვერ შავისა და თეთრის ერთად დაწნეხულ ბაწრის შალსაც.



ჰქსოვნიდნენ აგრეთვე სრელებიან (ზოლებიან) შალს საშარვლეთ და უბრალო, ერთი ფერის შალს შავი ან თეთრი ბაწრით. თეთრი შალით, მეტწილათ შეღებვის შემდეგ, ჰკერავდნენ ხოლმე ჩოხას, შარვალს.

მოქსოვნის შემდეგ [შალს, ქსოვილს] სჭირდება **შათელაა**, ანუ **შათელუაა** (შეთელვა). შესათელათ აკრუჯაღვედნენ (აცხელებდნენ) წყალს და ასხამდნენ სარეცხის გეჟში, შიგ ავდებდნენ შალს, სდგებოდნენ ზედ შიშველი ფეხით და დილიდგან საღამომდინ სთელავდნენ. თელვის დროს დროდადრო ზედ თბილ წყალს ასხამდნენ ხოლმე. როდესაც შალს კვრტები გასცივივოდა და თავბოლო ნაბადივით გაუხდებოდა, მაშინ უკვე შეთელილს იღებდნენ წყლიდგან და ერთ სწორ ჩოხზე ახვევდნენ და თან მკლავებით სთელავდნენ ხოლმე. ამას ყოლლამიმო ქნას (თურქ. ყოლ მკლავია, მკლავით მოქვენა) ეძახიან. ჩოხზე დახვევის შემდეგ [ქსოვილს] ზედ ახვევდნენ ბაწარს (რომ არ გაშლილიყო) და ჰუულებდნენ ერთ ადგილას წყლის ჩამოსაწურათ. ასე რჩებოდა ორ დღეს; მესამე დღეს არღვევდნენ ხის სწორე ტოტზე ჰკიდებდნენ, ბოლოებს ყბაა-ყბაზე ჰკრეფავდნენ (ბოლოებს ერთმანეთზე აკერებდნენ), შიგ სდებდნენ ხოლმე ერთი მტკაველის სიგანე ფიცარს, ფიცარზე აწყობდნენ ქვევს, ანუ ქვებს (ქუა—ქვა), [რომ] დაწაფულათ გამშრეს „ყალიბ ქამასავ“ (დაჰიმულათ გამშრეს, დაყალიბდესო). ერთ დღე-ღამეს ყალიბში რჩებოდა და შემდეგ ხსნიდნენ (ხსნიდნენ) ხოლმე.

შალი თუ **ბაწარშანაყარია** (ბაწრის საზედაოთია), შეიდრვა აღღზე ერთ აღლამდინ იკლებს, თუ **კედშანაყარია** — ნახევარ აღლამდინ, ხოლო მავარი ნაქსოვი ასეთივე შალები უფრო ნაკლებს შეიკლებენ ხოლმე.


ერთ ჰაბგას ერთ გირვანქამდინ მატყლი უნდა, ათ წყვილ ტოლასს — ერთი გირვანქა კედი და ერთ საბნისპირს ოთხი გირვანქა კედი მოუნდება.

ყაქის და დომფლის კედით საშარვლე [და] საჩოვე შალსაც ჰქსოვნიდნენ ხოლმე. კედით მუქათ ლურჯ საშარვლე შალებსაც ჰქსოვნიდნენ იმავე წესით, როგორითაც საერთოდ შალს.

გარდა ამისა, ჰქსოვდნენ ბაწრით: **ფათათურებს** (სათათური, ხელთათმანი), რომელსაც მხოლოთ ცერი თითი ჰქონდა გამოქსოვილი ცალკე და დანარჩენი თითების ბუდე ერთიანი იყო ხოლმე; **სამკლიევს**, ანუ სამკლიებს (სამკლავეები). ამათი ქსოვის ტექნიკა ისეთივე იყო, როგორიც **სააა წინდების**.

ქსოვილები, რომელთა ადგილობრივ ქსოვნა არ ახსოვთ, მაგრამ შემოტანილი ხმარებაში ყოფილა: **მაგ**, ანუ (აღიაბ.) **მოვი** — თეთრი, წითელი, ყვითელი, ისფერი, მწვანე. მოვები ქალების საპერანგეთ უხმარიათ.

- თაფტაა** (თავთა).
- ყანაუზ**-ით ქალების ახალოხები, ლაბადა უკერიათ.
- ყასაბიბა**-თი მუქასრ (მიწრო) ტოტ-ნიფხავი უკერიათ.
- ჟიფტან დარაბიი**, ყანაუზს ჰგავდა.
- ისტიფაა**, შიგ ზარი ჰქონდა ჩაქსოვილი. ასეთივე იყო **დიბაა-ც**.
- ზარბაბ**. **ზარარუ მახმურ**-ი აბრეშუმის ხავერდი იყო.
- ატლასი**. კლასი (შემდეგ შემოსულა).
- ხარაა** ერთი პირი კანაფით, მეორე — აბრეშუმით ნაქსოვი იყო.
- ზარარუ ხარაა** (გვიან შემოსულა).
- ზარბურუნეაა**, „ადგილ ბლენ წითელი ან ბროწლი ყოვილი-ს ფერიან-ი, შიგ კავ-კავ გვლაბათუნ (ოქრონკედი) იყო ომოყრილ“.



ქაშან მახმურ სქელი ხავერდი იყო, ლაბადას იცერავდნენ ხოლმე. ესენი აბრეშუმის ქსოვილებია.

ბამბის ქსოვილები: ნუმამი აღ (თურქ. მარმარ აღს=მიტკალს ჰგავდა).

ჟღაარშა აღ (ნარმა).

ლანქა ორნაირი იყო: ერთი სქელი, ლურჯი ფერისა, ამით ბერიკაცები ხარტყელს იკეთებდნენ ხოლმე, მეორე — თხელი, ფერად სრელეზიანი ლანქა, ამას ქობაა-სთვის სჭრიდნენ ხოლმე და მუქასრის ტოტებში უყრიდნენ.

ხოსლანქა, ყანაულის მზგავსი ბამბის ქსოვილი იყო.

ჟევანაა, ანუ **ჟრვანა ჩით**. შიგ თავისივე ფერით ტურ-ტურ (ბორცვე-ბივით რამე) ჰალყა-ჰალყა ომოყრილი იყო ხოლმე (ეს ეხლანდელ საპირსახო-ცე ქსოვილის მზგავსათ ყოფილა გადახლართული).

ნაშირ-ის მისაღებათ აღს (თურქ. ნარმას) ლურჯათ ლებავდნენ ხოლმე.

შილაა წითელი ფერის ბამბის ქსოვილი ყოფილა.

ყადაგ-ი ერთი ლურჯი ფერისა იყო, მეორე კი **ჟარფუზი** ყადაგ-ი მომწვანო-მოლურჯო ფერისა იყო.

აღს (ნარმას) ლებავდნენ, **ჰტრპიდნენ** (სცემდნენ, არტყამდნენ რაიმე მაგარზე). კინასებრა მაგრდებოდა და ნაბეგვი მხარე პწკინავდა (პრწკინავდა, ბჭყურივალებდა) ხოლმე.

ყუთნ-ი (სრელეზიანი იყო: ერთი სრელი — ლურჯი, მეორე — თეთრი ფერის). საბნის და ლების პირათ უხმარიათ.

ჟუნაა (მარლასავით თხელი ბამბის ქსოვილი): **საია** (სადა) **ჟუნაა**, **სამანგუ**

ჟუნაა (სრელ-სრელ ნაქარვიანი). გვიან შემოსულა **აღაბალი ჟუნაა** — ყოვი-ლებიანი-ი. ჟუნას ხმარობდნენ ქალები თავზე სახურათ — ჩიქილათ. უვარგის, ცული ხარისხის თხელ ჩითს **ბალბაწო-ს** ეძახიან.

მატყლის (შალის) ქსოვილები ყოფილა: ერთნაირი ჯეჯიმის მზგავსად ნაქსო-ვი — წამოსასხამი — **თირმა შალ-ი**, რომელზეც სტამბულითგან შემოტანილიაო, ამბობდნენ ხოლმე.

ხირწყა-ი ფარდაგია, რომელსაც ერთ მხარეზე მატყლის მუწულები¹ ჰქონ-და დატანებული ბეწვიანი ნაბადივით.

ქუნთ-ი, ილისუელები, ლეკები **ლახაზე** (სახლის ლუმელი) გადასახურათ ხმარობდნენ ხოლმე მეტწილათ. მას ერთ მხარეზე შეგრებილი ბაწრის ალყები აქვს გამოქსოვილი სითბოს შესანახათ.

ზონრეპის მსოვსა

ფირფიტებით ქსოვა. ფირფიტებს ბალ-ის (ზონარის) დასაწნავათ აკეთებ-დნენ ხოლმე ტყავით ან უფრო ხშირათ წიფლით. ფირფიტოა წარმოადგენდა ოთხი-ხუთი თითის სივანის ოთხკუთხა თხელ ფიცარს, ოთხსაე კუთხეში ნაწვრე-ტებით, ძაფის (კედის) გასაყრელათ, ე. ი. თითო ფირფიტოში ოთხი წვერი კელი ეყრებოდა.

ფირფიტებით ჰქსოვდნენ **ქრელ** და **სააა** (სადა) **ტყელ** ბალ-ებს. რაც მე-ტათ განიერ ბალს ამბავდნენ, მით უფრო მეტი რაოდენობის ფირფიტები იყო ხოლმე საჭირო.

გამბის (გამბის, დაქსელვის) დროს თავ-ბოლოს თექევეზე (მანეზზე) უგდებ-

¹ ლ. ო-ში იკითხება — მწყლის მუწულები.

დნენ, ფირფიტებს აქცევდნენ ქსელის შუაზე. მამქსოვნელი- ერთ ნაწილს ფირფიტებისას ერთ ხელში იჭერდა, მეორე ნაწილს — მეორე ხელში და მარჯვენა ხელის ტემბის ერთი მხრითგან მეორეში, მეორეთგან პირველში გადატანით ბაზის-ქსოვებოდა. თავ-ბოლოში თითო ჩამბეჭდელი- იღვა და მამქსოვნელი-ს მიერ ამოკრეფის შემდეგ თხელ ყიტებით, ანუ წკირებით ჰბეჭავდა და შიგსაყარს (საზედალს) უყრიდა. ხშირათ თავ-ბოლო მბეჭველებს ხელში ეჭირათ ხოლმე მანებზე გამოუღებლათ და ისე ჰბეჭავდნენ. ზოგჯერ მარტო ერთი დედაკაციც აბავდა ბაღს — ერთ ბოლოს თეწზე ამავგრებდა, მეორეს თავის სარტყელში უვლებდა. ამ შემთხვევაში ფირფიტებს თუქთან ახლო სწევდა და ქსოვნის დროს თითონვე ჰბეჭავდა და შიგსაყარს უყრიდა ხოლმე. ასე ქსოვნის დროს უქსოვი მხარე ითვლებოდა ხოლმე და საჭიროებდა დროდადრო გამოგვევას (გამოგებას).

ფირფიტოა ბაღეც, ანუ **ბაღებს** (ალიაბ.) ყოშებთან ახალბოხზე ავლებდნენ. მუქასარი-ს ტოტებზე ერთი მტკაველის „სიფართოზე სხოდასხოფერი-ს ბაღებს ივლბდნენ“ (ივლებდნენ).

შედ თეჭით (შვიდი წყვილი ძაფით) ტყელ ბაღს ხელითაც ჰწნავდნენ ხოლმე. ხელით ბაღის დასაწნავათ ერთი დამწვენელი და ერთი მბეჭველი იყო საჭირო. ზოგნი მარტო აბავდნენ და ხელით სწნავდნენ, ხოლო ფეხის თითით ჰბეჭავდნენ ხოლმე. შვიდი თეჭი-ს ბაღს შიგსაყარი არ სჭირდებოდა.

ხელითვე იწვენებოდა „სხოდასხონაირი გვრგალ-ი ბაღეც“-ი, ანუ ბაღები (ალიაბ.) ოთხ თეჭით, ხუთ თეჭით, ექვსით...

გზუყი (თურქ. **თოღებთან ბაღს**) სხვადსხვა ძაფით აბავდნენ და დაწენის დროს თოღებ-ი გამოჰყავდათ. ორი თეჭ-ი წითლით, ორი ლურჯათ კიჭკიჭა ბაღ-ი გამოდიოდა. ამას ეძახოდნენ **ჩიმიჩარაღს**.

ჭრელ და საია გვრგალ, ტყელ ბაღებს სწნავდნენ აგრეთვე **თხმხახვიითაც**, ანუ (ალიაბ.) **თხმხახვიითაც** (ხვედა, პატარა ბოთლებს ჰვებდნენ). ამისთვის ჰქონდათ ერთი ბალახით (თივით) გაჭედილი გუდა. გუდის ყურზე აბავდნენ კელი ზაბევის-ს (ძაბებს) ერთ წვერს (ბოლოს), მეორე წვერს (ბოლოს) კი ახვედნენ თხმხახვებზე. თხმხახვის ნაწილს გუდის ერთ მხარეზე, ნაწილს მეორე მხარეზე ჰკიდებდნენ და შემდეგ ნაპირითგან მეორე თხმხახვის მეორე მხარეზე, მეორიდგან პირველზე გადატანით იწვენებოდა. ამას ჩამბეჭვა არა სჭირდებოდა, რადგან თხმხახვის სიმძიმე ძაფებს (ზაბეცს, ზაბეცს) ჰწაფავდა და ბალი თავისით იბეჭებოდა ხოლმე. ისე რომ, ერთი დედაკაცი საკმარისი იყო თხმხახვით დასაწნავათ. როდესაც ძაფები უმოკლდებოდა ბაღს, მაშინ თხმხახვს დახვეულს ცოტ-ცოტა არღვევდნენ ხოლმე. ასე დაწულ ბაღს თურქულათ დაღარ ყი-ს (**გუდის ბაღს**) ეძახიან.

ქალმნი-ს ბაღს ცხრა ზაბ (წვერი, ძაფი) ბაწრით ჰწნავენ. მას ებავენ **ქალმნი ბალი-ს** ხეზე (პატარა ფწაღს ჰვავს), იხმარება ქალმნის დასამკვლათ თასმის მაგიერ. ქალმნი-ს ბალი-ს პტყლათ ნაწნავი ჭრელი და საია ბაწრის ზონარია.

ფერადი ბაწრებით ჰწნავდნენ ხოლმე: **მარაზს** (ბაწრით — რგვლათ დაწული თოკი). იხმარება სარეცხის დასაფენათ, პარძლის სამყოფელი ადგილის წინ ფერდო-ს (ფარდა) ჩამოსაფარებლად და სხვ.

ყანელია ბაღს მარაზივით, მხოლოთ უფრო წვრილათ და მოკლეს სწნავდნენ ხოლმე ჰაბგის ან ხურჯინის ყიფილიბე (პირის მოსაგროვებელი), აკვნის საჭირველზე, ანუ საჭირებელზე (არტახებზე) მისაკერებლათ და სხვ.



ქალმნი ბაღ-ი, მარაზი, ყანელია ბაღ-ი გასათხოვარ ქალს უსათუოდ უნდა
პქონოდა ხოლმე დაწვეული (ბევრი) საყვიზოთ (სამზითვით).

ხონეარს სწნავენ პუჭაითი დანახტავ (დასთული) **სახონტრეაითი** ან ყაჭის
კელით. ზოგნი სახონტრეს პუჭაის და ყაჭის ნარევით ართავდნენ ხოლმე. ხონ-
ჯრის დასაწნავათ ყადანაზე (ყდა), ანუ (ალიაბ.) ყადაზე ამსაქუჭე კედს (სიგანე-
ზე) ჯვარედინად ახვევენ ერთხელ და მეორე ყადანის სიგაქუჭე გარემეშო ამბენ
(აბავენ, პქსელავენ) სახონტრე კედს ისე, რომ ყადანის ერთ მხარეზე ერთი ზაბი
(წვერი, ძაფი) ქუჭოს ქვეშ რჩება, მეორე ზაბი — იმის ზემოთ. გამბას უჯან
(შემდეგ) შეყრილ ქუჭოს ზემოთაც და ქვემოთაც უყრიან თხელ წკირებს (თი-
თის სიფართოე, მტკაველის სიგრძე თხლათ გათლილი ჯოხები), თითებით ჰკრე-
ფავენ (ომოკრეფა) ზედა ძაფებს შიგნითყენ, ქვედას — გარეთყენ, რიჯ-რიჯათ.
თითო ამოკრეფაზე თითო წკირს უყრიან. რაც მეტათ ვრძელთა ხონჯარი. მით
უფრო მეტი წკირების ხმარება სჯობია. როდესაც ყადანის ერთ მხარეს წკირე-
ბით ასაესებათ ცოტალა დააკლდება, მაშინ ზედა წკირებით ზევით, ქვედათი
ქვევით პვეჭავენ და აძრობენ წკირებს. შემდეგ ისევ ისე იმეორებენ, ვიდრე
ყადანის ორივე მხარეზე დაწვენას მორჩებოდნენ. „გამთავრევენ უჯან“ ხონჯარს
სჭრიან (მოჭრა), წორევენ (წვეროებს, ბოლოებს) უკეთებენ — უკრავენ, რომ
არ დათმალოს და დასამბილებლათ სპნით რეცხავენ.

მ ლ ე ბ რ ე ბ ა

შვა-თ შაღება. თავშავს (ბალახია) პგლეჯადნენ, პყრიდნენ-პქედადნენ
ხოლმე ქვაბში, ზედ ასხამდნენ წყალს და აღულებდნენ. ხუთჯერ თავშავს
უცვლიდნენ ქვაბში, შემდეგ წვენს (გამონახარშს) ასხამდნენ თავშავს-ს მენა-
ში (ქვევრის ძირი, ნატეხი). შიგ აყრიდნენ ერთ მუჭა ძველ კველ შენდს (ყერკს),
ერთ მუჭა ქერს და ერთ ბაკანის (ლიტრის) ოდენ ჟრშს (თურქ. წიდას). ამის
შემდეგ მენას ზედ მაგრათ ჰხურავდნენ, რომ მასკულლავს (ბს) შიგ არ ჩაეხედ-
ნათ და ამით საღებავი არ წამხლარიყო. როდესაც საჭირო იყო შეღებვა, ბაწრის
კიფებს ბროწლი-ს ყაბუხში ანუ (ალიაბ.) ქერაპში (ქერქში) ან შვინდის ფო-
თოლში კარგათ აღულებდნენ და გადმოდგმის შემდეგ ერთ ღამეს შიგა (ქვაბში)
სტოვებდნენ, მეორე დღეს დილით იღებდნენ ბაწარს, ჩამოწურვის შემდეგ
პბლერტავდნენ და პყრიდნენ ცარიელ ქვაბში. წყლისა და თავშავს წვენის დას-
ხმის შემდეგ აღულებდნენ ცეცხლზე და ისევ მენაში ასხამდნენ წვენს ბაწრია-
ნათ; ერთ ღამეს ასე რჩებოდა, მეორე დღეს ბაწრის კიფებს დედანათი (სათა-
ვით) მენას ზედათი პაჩეზე (თავკაპიანი მანა, ხე) გადრბულ კიღზე პკიდებ-
დნენ, წვენი შიგვე იწურებოდა. ამას აკეთებდნენ ხოლმე მხოლოდ მზიან დღეს.
სალამოთი ისევ უჯანვე მენაში პყრიდნენ, პირზე კარგათ ჰხურავდნენ. ათიოდე
დღეს ასე სჩადიდნენ და შემდეგ, როდესაც შეიღებებოდა, ზროხის შარდში
პტიტბავდნენ. იქერდნენ ერთ კოტოშში რამში შარდს, აღულებდნენ, მერე შიგ
ბაწარს პყრიდნენ, აჩეთ-იჭით აბრუნებდნენ და მალე იღებდნენ შარდიღან.
ამის შემდეგ რეცხავდნენ წმინდა ციე წყალში და ამზობდნენ. **დატბა** საჭი-
როა იმისათვის, რომ შენადნენ არ გასოლმავდეს (თურქ. არ გახუნდეს) და ფე-
რი ზედ დამაგრდეს. გაჭირვების დროს შვათ ბაწარს ღებავდნენ აგრეთვე **კაწახ-
შიაც** (წენგო). ბაწარს და კაწახს აღულებდნენ, უჯანსკენლს სამაქერ უცვლი-
დნენ და მეორე დილით, ისევე როგორც თავშავაში შეღებილს, პრტბავდნენ



ხოლმე. ეს შავი არასოდეს არ „სოლმავებოდა“ (არ ხუნდებოდა). მას ისე-
რის მაგიერაც ხმარობდნენ ხოლმე.

მურყნის ყოვილშაიც, ანუ (ალიაბ.) **კინკიროშაიც** შავათ იღებებოდა ხოლ-
მე ბაწარი. ქვაბში მურყნის კინკიროსთან ერთად ცოტა შაბსაც ჰყრიდნენ და
მასში ბაწარს ადუღებდნენ. ორ-სამჯერაც კინკიროს უცვლიდნენ ხოლმე და
შეღებვის შემდეგ ამასაც სხვა შავებსავით ჰტიტბავდნენ.

წითელ-ი. შესალები ბაწრის წონაზე ცოტა მეტ კმელ შუნდს ჰყრიდნენ
ქვაბში, ასხამდნენ წყალს და კარგათ ადუღებდნენ. შემდეგ ბაწრის წონის ერთ
მეხუთედ შაბსაც ნაყავდნენ, ჰყრიდნენ ქვაბში და ზედ აყოლებდნენ ბაწრის
კიფებს. დიდი ხნის დუღილის შემდეგ ქვაბს გადმოკვამდნენ და პირდაპირ
ლათ დაავდებდნენ ხოლმე. ამას **პირვანდელ** (პირვანდელ = თავდაპირველ) **ტი-
ტიბს** ეძახიან (ანუ თურქ. ზავალ-ს). პირვანდელი დატიტბვა შეიძლება მარტო
თხლელშაიც. ამის შემდეგ ჰნაყავდნენ **ემდროს**, ალბობდნენ ისე, რომ პარასკევი
დღე არ ენახა. ორი-სამი დღის შემდეგ ემდროს ქვაბს სდგამდნენ ცეცხლზე და
ომოშრინევაში (ამოშრინების დროს) ბაწარს კარგათ ჰბლერტავდნენ შიგ დარ-
ჩენილი შვინდის კურგის ჩამოსაყრელათ, რომ მას ფერი არ გაეფუჭებინა და
მერე ჰყრიდნენ ქვაბში. ხუთ გირვანქა ბაწარს შესალებათ 2,5 გირვანქა ემდრო
უნდა. ემდროში ხანგრძლივი დუღილის შემდეგ ჰყრიდნენ (ამოყრა) ბაწარს
რაიზე დიდ ქურქელში, **პტრპავდნენ** ჩომჩის ზურგით, **ჰპარავდნენ** (დაქარა —
გაგრილება, ნიავის მოხვედრება. **დატრპაა** — დარტყმა, ცემა, ბეგვა) და ისევ
უკანვე ემდროს ქვაბში ჰყრიდნენ, ბაწრის ნაწურ წვესაც შიგვე ასხამდნენ
ხოლმე. ხუთ-ექვსჯერ დაქარავის შემდეგ უკვე შეღებულ ბაწარს ამოჰყრიდნენ
და დაჰკიდებდნენ ხოლმე. ჩამოწება უკან, შავ ბაწარსავით ჰტიტბავდნენ,
რეცხავდნენ და ამრობდნენ ხოლმე გრილოში (ჩრდილში), რომ მზეს ფერი არ
წაებდინა. **წითელს კაკლის ფოთოლშიც** ლებავდნენ. კაკლის ფოთოლს და ბა-
წარს ადუღებდნენ, სამჯერ უცვლიდნენ ფოთოლს ქვაბში და ბოლოს, ფოთლის
ამოყრის შემდეგ, „ჩერჩიევიზნი ნაყიდ ყირმუზის“ (ჩარჩებისაგან, კარდაკარ
მავალ მეწვრიმალისგან ნაყიდ წითელს, ჰიაფერს) ჰყრიდნენ, რომ კარგათ შე-
ღებილიყო; შემდეგ ბაწარს რეცხავდნენ, [და] „**უდოუტიტბელა**“ — (დაუტიტ-
ბავათ) ხმარობდნენ ხოლმე. ამ საშუალებას მარტო მაშინ მიმართავდნენ, რო-
დესაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ.

ყვთრლ-ი (ყვითელი). **სვსს** (სისვი) ჰქედავდნენ ქვაბში, შიგ ავდებდნენ
ორ-სამ თითისოდენა **სარანის-ს** (თრიმლის) გულის **კეჩილს** (ნატესს), ამდენსა-
ვე **ემდროს გულს** და ადუღებდნენ დიდხანს. ოთხ-ხუთჯერ სვსს უცვლიდნენ და
ბოლოს სვსს იღებდნენ ქვაბიდან, **ბაწრის კიფებს** ჰყრიდნენ შიგ, ზედ აყოლებ-
დნენ ხოლმე „თითო მუჰკაში ჩანატვენ კიფზე ცალ ფიდ (მჭილი) შაბს“. დიდი
ხნის დუღილის შემდეგ, როდესაც საღებავს ამოვდნა, ანუ აიღებდა (მიიღებ-
და) და წვენი გაუთხელდებოდა, ამოჰყრიდნენ კიფებს და დაჰკიდებდნენ ხოლ-
მე ჩამოსაწურათ. მეორე დღეს ზროხის შარდს ადუღებდნენ, პირზე ჰოფუქს
(თურქ. ქაფს) ჰხდიდნენ და შემდეგ ბაწარს ჰტიტბავდნენ ისევე, როგორც შავ
ბაწარს. ჰტიტბავდნენ აგრეთვე **ნაცარტოტაში**, ანუ **ნაცარტოტაშიც**. მაგრამ
ნაცარტოტა ბაწარ ხშირათ **ჰკუწავს**, აკდენავს. ყვთრლსაც დატიტბვა-გარეცხ-
ვის შემდეგ ამრობდნენ ხოლმე გრილოში. ყვითლათ ისევე, როგორც სვსსში ლე-
ბავდნენ [აგრეთვე] ხახი-ს ფოჩში ან ხახი-ს ნაკქონში (ხახვის ნაფქვენი),
გაჭრის-ს (უმყნობელი თუთის ხე) სოკოში, **ზიანაში** (რძიანა, ბალახია), **ჭირჭიმა**

ვაშლის ყაბუზში, ანუ (აღიაბ.). ქერაქში (მეჯალოს ქერქი), გაპრი-ს ფოთოლო და ჰტიტბავდნენ ისევე, როგორც სვსში შენაღებ ყვითელს.

თეთრი. ჯეჯინისათვის სათეთრო ბაწარს საპნით რეცხავდნენ, ამრობდენ და შემდეგ ჰწნებავდნენ ხოლმე.

კაპრაში-ი (ღია წითელი; წითელს შავი ღვინისფერს ეძახიან). კაპრაშის შესაღებათ ჰყრიდნენ ქვამში ორ-სამ ემდრომ-ს ზვრკს (ფესვს, ძირკვს) და პატარ-პატარა ნაჭრევათ დაპობილ და წინასწარ ერთი კვირის განმავლობაში დამბალ სარაღინ-ს (თრიშლის) ზვრკებს. კარგათ ხარშავდნენ, ხუთ-ექვსჯერ წყალს უცვლიდნენ. ამის შემდეგ წკირებს იღებდნენ ქვაბიდან და შიგ ჰყრიდნენ იმდენსავე შაპს, რამდენსაც ყვითლის საღებავში, მერე აყრიდნენ ბაწარის კიფებს და წვეწის დიდი ნაწილის ჩამოშობის შემდეგ იღებდნენ ბაწარებს, რეცხავდნენ და ჰტიტბავდნენ ზროხის შარდში.

ჭონეა (მწვანე). **სამწონეს** (კაკ.) ანუ შამბისწონეს (აღიაბ.) პთიბავდნენ, მოჰქონდათ და ქვამში ჰყრიდნენ ბაწარის კიფებთან ერთად, ასხამდნენ წყალს და ადუღებდნენ. სამჯერ სამწონეა-ს გამოცვლა-ღუღილის შემდეგ კიფებს იღებდნენ და ჰკიდებდნენ ჩამოსაწურათ. მერე დილას ზროხის შარდს გასაბანი წყალსავით ათბობდნენ და თან მზიან ადგილში უქაილ ანწლს (ახალგაზრდა ანწლი) აგვედნენ (ჰფენავდნენ). მერე ზროხის გამთბარ შარდში კიფებს აწრვდნენ (ჩაწება, ამოვლება) და დაფენილ ანწლზე აწყობდნენ ხოლმე და ზევიდანაც ანწლს აყრიდნენ, მხოლოთ ისე, რომ ანწლის არ მოხვედროდა ბაწარს. დარჩენილ თბილ შარდს სუფთა ცოცხით ზედ აწკაწკაპევენდნენ (ასხურებდნენ, აკურებდნენ) ხოლმე. ასე სამ დღეს უცვლიდნენ ანწლს და შარდს, მეოთხე დღით ადუღებულ შარდში ჰტიტბავდნენ, ცივ წყალში რეცხავდნენ და გრილოში ამრობდნენ ხოლმე.

ისფერი (მოშავო-მოწითალო ფერი). თავიზგნი (თავისით) შავ მატყლით დანახტავ (დასთულ) ბაწარს, ისევე როგორც წითელს, პირველათ შინდში და შამში ჰტიტბავდნენ, შემდეგ დანაყულ ემდროში ჰღებავდნენ. ამასაც ბოლოს ზროხის შარდში ჰტიტბავდნენ, რეცხავდნენ და ამრობდნენ ხოლმე. **საიფრეს** სხვანაირათ ემდროში ან ლაფნის ფოთოლში (ეს გვიან არის შემოსული) ღებავდნენ და ნაცარწყალში, ანუ ნაცარტოტაში ჰტიტბავდნენ ხოლმე.

ქარბუღობა

ოქრონკედ-ი, სარმა და ეშმა. უწინ ბაზრებში, განსაკუთრებით შექიში (ნუხში) ყიდულობდნენ „პატრა კიფივით გაკეთებულ ოქრონკედს“. ამისი ზოგი თეთრი, გვშიში-ს (თურქ. ვერცხლის) ფერი და ზოგი ყვითლ-ი, ყიწილი-ს (თურქ. ოქროს) ფერი იყო ხოლმე. ოქრონკედი ხშირათ „მალარაზედაც“ (თურქ. კოჭი, რომელზედაც ძაფი ახვევია) იყო ხოლმე დახვეული.

ოქრონკედს შავ ან წითელ კედთან ერთად გრებავდნენ და თაფტა-ს პერანგი-ს ჩაქვეზე (ჩაქებზე), მამზრის-ს ნაკერებზე, დაწულ ტყელ ბალი-ს ამიანიმიან (აქეთ-იქით) და ქისაზე რამზე ავლრვდნენ (ავლებდნენ), [კიდევ] კაცების ახალოხის საკისრეზე (საყელოზე), საკინწზე, ჩოკაა-ს სავაზნეზე ავლებდნენ და აგრეთვე ჯვარივით სახეები გამოჰყავდათ ხოლმე კაცის ახალოხზე ბაზრით ნაყიდი ტყელ ბაფტა ბალით, ანუ „გვლაბათუნ ბაფტათი“ (ოქრონკედით დაწულ ბალი“, ზონარი).



კარგი ხელსაქმის შტოდნე დედაკაცები ნაყიდ ოქრონკედს შავ კედზედ
გილ-ადგილ ნახევარი ფრჩხილის სიგრძეზე ახვევდნენ და ნახევარ ფრჩხილს
სიგრძეს ცარიელს სტოვებდნენ. ამ წესით აკეთებდნენ სარმას (თურქ. დახვე-
ულს), რომელიც ვერცხლის სარმას ჰგავდა ხოლმე. სარმას ლაბადაჲ-ს გარშე-
მო ავლებდნენ.

თეთრ და შავ ხადათს ჰგრებავდნენ, აკეთებდნენ ეშმას (თურქ. შენაგრებს);
ესეც ძალიან ლამაზათ გამოდიოდა ტანისამოსზე. ეშმა-ს ეძახოდნენ აგრეთვე
წითელ ხადათისა და ოქრონკედის (გულაბათუნის) და შავ ხადათისა და ოქრონ-
კედის შენაგრებსაც.

თუშეთი

ფეიქრობა

მატყლის მსოფილები

მთხრობლები: ნინო წვერაიძე, 63 წ. (სოფ. შტროლთა); სიღო მურთაზა-შვილი, 57 წ. (სოფ. ხისო); ელო წვერაიძე, 65 წ. (სოფ. შტროლთა); ნინო უშიძე, 70 წ. (სოფ. შტროლთა); სალომე ბილოძე (სოფ. ომალო); საბედო რაინაული, 58 წ. (სოფ. ვესტმო); თეკლე მარწინაიძე, 70 წ. (სოფ. ჩივლაურთა); მართა თილიძე, (სოფ. კვავლო); ელო ბლაროძე, 35 წ. (სოფ. შტროლთა); ანა წვერაიძე, 77 წ. (სოფ. დიკლო).

ქსოვა დიაცის საქმე არის. ქსოვენ საუცხოოდ. იტყვიან: „ერთ ძველ დიაცს უთქვამავისავ — თუ შ დიაცის კელსავ ქერ-ოქრო გამოზღისაო“.

ქსოვენ მატყლის ნაზღისაგან (ნართი).

მატყლი და მისი ხარისხი. მატყლი არის ცხვრისა და ბატკნისა. ცხვრისას (დედალი ცხვრისაა, თუ მამალი) ეწოდება მატყლი, ბატკნისას (5 $\frac{1}{2}$ თვისას) კი — კრაველი. პირველი მაგარია, მეორე — რბილი.

მატყლი არის შემოდგომისა და გაზაფხულისა; უკანასკნელს (ზამთარში მოსულს და გაზაფხულზე გაპარსულს) რისვი ჰქვიან.

ცხვრის მატყლი სამჭურა (ხარისხის) არის: გძლოან მატყლნ შემოდგომისა და მცირედ გაზაფხულის მატყლია, ბუნებით — გრძელი, მსხვილი, მაგარ, უხეში და მოუდრეკავი. ის კარგავ მატყლნ არის, „ბარაქიანი და გამოსავალნ მეტ აქვისო“. მას ირემბეწვავც ურევია მცირედ (ირემბეწვეა მკვდარი ბეწვია, ის არც იღებება და არც ითელება).

ბუღიანნ, იგივე მოკლიაჯ მატყლნ, ანუ თირთიკნ გაზაფხულის მატყლია (რისვი); ის მოკლე, ხშირი, რბილი და ნაზია. წონით, სხვა მატყლთან შედარებით, ნაკლებია, ბეწვის რაოდენობით — მეტი. „ბუღიანნ იმითმ ჰქვიან, რომ მეტს იტვისო“. მას ირემბეწვავც ურევია ყველაზე მეტი რაოდენობით სხვა ჭურებთან შედარებით.

კეძეველაჯ, იგივე ფამფარა მატყლნ შემოდგომის მატყლია გრძელი, მქისე და თხელი; მას ირემბეწვავც ურევია ყველაზე მცირე რაოდენობით.

ბატკნის მატყლი, ანუ კრაველიც სამჭურა არის: გძლოან, კეძეველაჯნ, ხუჭუჭაჯნ, ე. ი. ყვერის, ყურის, თვალების და სახის გარეშემო აღვილების ნაკრეჭაჯებნ; ის რბილია და კარგი.

გრძლოან და ბუღიან მატყლს არჩევენ ქსლისათვის, კეძეველაჯს — ჩითე-ვისათვის, ხუჭუჭაჯს — ქულებისათვის.



ნაზღის (ნართის) დამწადება. დიაცები ქსოვისათვის ჯერ ბაწარს დაწადებენ და მერე ქსოვას შეუღებებიან. საქმე იწყება შემოდგომამდე და თავდება გაზაფხულზე. ლინობისთვეში მატყლს არჩევენ, ცლებენ ცხვრის მატყლსაც და ბატკნისასაც; გადარჩეულ მატყლს რეცხავენ; ამისათვის ნაპარსს (ერთი ცხვრის მატყლს) წინასწარ სამ-ოთხ ნაწილად გაყოფენ. ამ ნაწილებს ეწოდება ტულაპა; ამ ტულაპებს გარეცხავენ, გააშრობენ და ისე შეინახავენ (მათაც ისევ ტულაპი ეწოდება); გიორგობისთვეში ჩეჩენ (საჩეჩი გიორგობისთვეში უნდა გათავდეს). ქრისტიანობისთვეში და იანვარში აზღავენ (ართავენ), თებერვალში წაძხვენ (გრეხენ), მარტ-აპრილში ქსელს ხქსოვენ.

ვისაც ბევრი მატყლი აქვს გასაჩეჩი, ის მჩეჩელაჲ დიაცებს დაუძახებს. დიაცები თვალისკიდისას (ე. ი. დაბინდებისას) მივლენ და მუქთად შევლიან მატყლის ჩეჩვას¹. როცა ვახშობის დრო მოვა, ვახშამს აკმევენ. მერე კიდევ ჩეჩავენ; როდესაც მამალი იყივლებს, მაშინ საბეწვეს აკმევენ (ვისაც რა აქვს, იმას აკმევენ). ამის შემდეგ მჩეჩელაჲს სახლებში წავლენ. ასეთ საქმეზე იტყვიან: მჩეჩელაჲს მუვანანავ. მჩეჩლებს ეძახიან მარტო ერთ საღამოს; თუ მეტი გასაკეთებელი მატყლი აქვთ, მაშინ თვითონ აკეთებენ.

მატყლი თუ საფლასედ (საფარდაგედ) უნდათ, ერთხელ ჩეჩენ; თუ სატოლედ (საშალედ), — ორ-სამჯერ. თუ შედებვა უნდათ (მაგ., ტოლისათვის), მაშინ ჯერ ერთხელ გაჩეჩავენ, მერე შედებავენ და შემდეგ კიდევ ორჯელ გაჩეჩენ.

მატყლს რომ დარეცხავენ, შემდეგ პირველად დაჩეჩავენ და შეკონავენ ისევ ერთად; ამ პირველ დაჩეჩილ-შეკონილ მატყლს ეძახიან ჭაბილაჲს. მატყლი საჩეჩელზე იჩეჩება. აქ მატყლის წვერ იმარჯვებ, ძირ იწეწებ, ე. ი. წვერი იმარჯვება, ძირი კი იწეწება, ანუ ზევითა გრძელი და კარგი მატყლი ცალკე ერჩევა და ცალკე კეთდება; ის არის წვერნი ან წვერ-მარჯვებ. რომელიც ძირს რჩება, ის არის კვირტი ან ძირ-გაწეწილაჲ. პირველიდან ტოლებს ქსოვენ, მეორიდან — ფლასებს, ტომრებს, ხაკებს.

ამის შემდეგ წვერს, ე. ი. კარგ მატყლს, მეორედ გადაჩეჩავენ და დააკერვლებენ, ე. ი. კერეულად, ანუ კერეულად (ფაროდ) გამოიყვანენ, ანუ გააკეთებენ.

კერეულს კელტარაჲზე (თითისტარზე) გააზღვენ (დაართავენ). ამისათვის კელტარაჲს ატრიალებენ სახრელში (ტარის სატრიალებელი); სახრელს სატრიალებელ ადგილას პოხილს (ნაცარში არეული ძროხის ქონი) უსვამენ, რომ კელტარაჲმ სწრაფად იტრიალოს. ამგვარად, კელტარაჲზე გაზღვიდან გამოვა წვერი. ორი ან სამი წვერი შეერთებული არის ღოლი. კელტარაზე გაზღულ (დართულ) ბაწარს ეწოდება ნაზღი (ნართი).

ერთ კელტარაზე რამდენიმე, სამ-ხუთ, კელტარაჲს დაახვევენ; მას წახვეულაჲს ჰქვია; წახვეულაჲს ამოხკსნიან და დულუჲყაჲდ (გორგლად) გააკეთებენ სამ გირვანქას წონით.

მერემ ჯარანზე დასძახავენ (დაპკრეხავენ) ერთ ნაზღს წაღმა, მეორეს — უჲულმა. პირველს ჰქვია წაღმართაჲ, მეორეს — უჲულმართაჲ. დაძახულ (დაგრეხილ) ბაწარს ამოახვევენ დულუჲყაჲდ (გორგლად). ერთი დულუჲყაჲდ მაგრადაა ნაძახი და იხმარება თხოვრად, ე. ი. დასაქსავად (დასაქსავი ბაწარი) ან საქსელედ, მეორე კი ფონაჲს (ფომფლეა) და იხმარება ხინდედ, ჩასაყარად

¹ მატყლის წეწვა, მატყლის ხელით გაკეთებას ნიშნავს.



(ჩახაყარ ბაწარბ) ან ხაქსოვად (ზედად). სატოლე, საფლასე და სახურჯინე ბაწარბინე
 რი ჩვეულებრივ ორწვერია, საჩითე და საწინდე — სამწვერი.

სამ გირვანქის ვაზდვას უნდებიან ორი კვირა, დამძხვას — სამი დღე.

ასე დამზადებულ ნაზღს (ნართს) სახლის კერზე ჩამოკიდებენ, [მას] ხაქს-
 ლოს ჭარანტრებს უწოდებენ.

თუ ნაზღი (ნართი) უნდა შეღებონ, მაშინ მას დაშიტავენ (დააშულოებენ;
 შიტეა — შულო) და ასე ჩადებენ საღებავში. შიტეს ლებავენ როგორც ფლასი-
 სათვის, ისე წინდისათვის (ტოლისათვის კი ადრევე, პირველი გაჩეჩვის შემ-
 დევ ლებავენ, როგორც ეს ზევით არის მოხსენებული).

საზღადი (სართავი) იარაღი. მატყლის ვასაზღადი (დასართავი) იარაღი არის
 კელტარა და სახრელი. კელტარაჲ ჩვეულებრივი ტარია ხისა. სახრელი ფიქ-
 ვის ხისაგან ვაკეთებული სატრიალებელია ტარისა; იგი ოთხკუთხია. ზევითა
 მხარეს აქვს საზღავჯ გულწ, ე. ი. მრგვალი და ოდნავ ჩალრმავებული ადგილი
 შუა ნაწილში; გულიდან კუთხეებისაკენ მისდევენ ბოძებ. ვერდარს მხარეს
 აქვს ოქის ხანახავაჲ, ე. ი. კევის შესანახი ადგილი. ის ამოთხრილია და აქვს
 თავის სახურავაჲ, რომელიც შეეყრება ვადარულ ადგილებში. ძირს აქვს ისე-
 თივე ამოთხრილი ციცაქის საჭმელაჲ, სადაც ციცას რქეს ჩაუსხამდენ ხოლვე
 („კოლვაოწ იყვ, რომ არ გვეჰამიაო“) და [აქვს] აგრეთვე ექვის ფეხი.



სურ. 22 სახელი



სურ. 23. ქარას ბორბალი


სახრელის ზედაპირი და გვერდები ხშირად ნაჭრელით არის შემკული.

ჭარანწ ნაზღის (ნართის) სამახი (საგრები) მოწყობილობაა ხისა. ის სხვა-
 დასხვანაირია, სახელდობრ: ა) თბეებიან ჭარანწ [რომელსაც] აქვს [შემდეგი] ნა-
 წილები: კუნდწ, ისარწ, ორი ფეკწ, ლერძი საკელით, თბებწ უვარჯნებით, ორი
 ყაყატოა, ღვედწ, ფეხებწ წინ ორი ბატებით; ჭარანტარწ შუშანასით. ბ) ბორ-
 ბლიან-ფერსოიან ჭარანწ, როდესაც ბორბალია ფერსოთი გამართული. გ) მირ-
 გველაჲ (მრგვალი) ჭარანწ ერთიანი, ანუ გლუა ფიცრისა არის.

ტარაკუაჲ ბაწრის დასაშიტავი, ანუ დასაშულოებელი მოწყობილობაა.
 აქვს [შემდეგი] ნაწილები: კუნდი, ანუ ხის მორგვი, რომელშიაც ჩასმულია
 ბოძი. მასზე ჩამოცმულია ჭვარედინად ვაკეთებული ორი თბე, რომელსაც ნა-
 პირებისაკენ აქვს ოთხ-ოთხი კერელი. ამაში უშუქამენ (ურკობენ) ჩხირებს იმ
 სიშორეზე, რა სიდიდისაც უნდათ შიტე (შულო). მას დულუყაცდან ბაწარს შე-
 მოახვევენ. მერე დულუყას (გორგალს) ხოკერით გვერდზე დადებენ, თითონ
 ტარაკუაჲს ატრიალებენ და ბაწარი ეხვევა ზედ. მემრე ამოიღებენ შიტეს, ვაუ-
 კეთებენ საკელეს და ჩამოკიდებენ.



საქხოვი მოწყობილობა — აკაზმა. ქსელს ქსოვენ აკაზმაზე. აკაზმა ხერხა აქვს ნაწილები: აკაზმაი (საკუთრივ) სიმაღლის ხეებიან ორი; ესენი მთავარი ნაწილებია; თვითეულს აქვს: თავი, ტანი — წელით და ძირი. თავთან და ძირის ზევით, გვერდიდან აქვს ორი დიდი ხერელი; მაღლა, შუა ნაწილთან აქვს სა-



სურ. 24. აკაზმა და მისი ნაწილები

თითაცები, ე. ი. ამოჭრილი ადგილები სამიდან შეიღამდე.
 ვილი — გარდიგარდმო გასადები ორი გრძელი, მრგვალი ხე, ბოლოები სოლისებურად გაბრტყელებული აქვთ.
 საშეგარჩე შის ამოსახვევი გრძელი და მრგვალი ხეა.
 შის ხატანაზე საშეგარჩის დამხმარე წვრილი ხეა, რომელსაც ხმარობენ შის დების დროს; დაქსელვის დროს თანდათანობით აძრობენ.

2 შე — დგიმი, სამად, ოთხად მოკეცილი ბაწარია ქსელისა.



გარაჯნ გრძელი და მრგვალი ხეა ქსლის გასარჩევად.

წიბოა წერილი და გრძელი ჯოხია ორი: პირველი ქსლის დასამაგრებელსა და მეორე — შისა.

სოლნ ორი არის, იხმარება ქსლის დასაქიმადა; უკეთდება ძირითა [დაბლი-თა] ვილთან.

თითნ ორია; ისინი კვადებიანი ხეებია; მათზე ჩამოებმება საშევარი.

ცხემლნ ბრტყელი გრძელი ხეა; ბოლოებზე აქვს ენები, მათზე დაეხვევა ბაწარი ქსლის მოსაქსოვად.

ქოჭნ კავი ხისა, გარაჯის ასაწევ-დასაწევი (ქოჭით გარაჯს მნეყვან-წნეყვანენო).

ბებნ, ხის იარაღი ქსლის დასაბეჭად.

ტარნ ძველი, ვაცვეთილი ტარია, ხმარობენ წიწუს მაგიერ ქსლის გასაწროებლად.

წიწოა, წიწუა ქსლის გასაწროებელი ბრტყელი, წელწვრილა ხეა; ეხლა მის მაგიერ ტარს ხმარობენ (ტარის კოჭით ასწროებენ); იტყვიან: „ტარით ვსწიწათო, ტარი სიბუქსაიაო“. ბეჭვის დროს წიწუს ბეჭზე ადებდენ ზოლმე, ხში-სათვის. წიწუს ხმა შორს გადიოდა სოფლიდან.

კვედაა ხის უროა, სოლების შესაყრელ-გამოსაყრელი.

საჯდომანნ ფიცარი ქსლის წინ გადებულ ფიცარია დიაცის დასაჯდომად.

ქსოვა. ქსოვენ ტოლს, საფენს, ხურჯინს, ჩანთას, სათიკვაცს, ჩულს, ტომარას, ხაჯს და სხვას. ყველაფერი აკაზმებზე იქსოვება.

ტოლისათვის იხმარება წმინდა ნაწდნ (ნართი), საფენისათვის კი — კვრ-ტოც.

ტოლის, საფენის და სხვათა მოქსოვა როცა უნდათ, მაშინ ამზადებენ ქსლის ჭარანტარს (ე. ი. ბაწარს) ექვს-შვიდ გირვანქას. საქსლოში ან სხვაგან დაწყებებენ აკაზმებს ისე (იმ სიმაღლეზე), რომ მქსავებები (დამქსავებები) მიუღდგენ და დაქსონ თხორი (თხორი დასაქსავი ბაწარი არის; ხინდე — ჩასაყარი ან სატარებელი ბაწარი). მერმე იღებენ ორ ჭარანტარს, ე. ი. ბაწარს წალმართ და უყუღმართ დულუჯაყებს და საქსავაც ხოკერში ღებენ. ხოკერი შუაზე ფიცრით ან ჯოხით არის გაყოფილი ორად და თვითულში თითო დულუჯაყ ღვეს: ერთში წალმ-დაგრებილი, მეორეში — უყუღმ-დაგრებილი. იმ ხოკერთი თხორს ჰქსავენ აკაზმებზე. ჰქსავს ორი მქსავაჯნ (რომელნიც დაქსვის დროს ხოკერს ერთმანეთს აწყვიტან) ან კიდევ, დაწყებისას — ორი და მერმე თავადაც (მარტო ერთი, თავად).

თხორს ესე ჰქსავენ: ორივე დულუჯაყს წვერებს მოაბამენ ჭვევითა ვილზე, დადებულ წიბოზე, რომელიც (წიბო) ჯერ ხელით უჭირავთ, მერმე კი თვითონ თხორი დაიჭერს მას. აბამენ ამრიგად: მარცხენა ხელის ორი თითით ბაწარის ორივე წვერს დაიჭერენ წიბოზე, მარჯვენა ხელით კი ბაწარებს ორ (სალოკ და შუა) თითზე გადაიხვევენ და წიბოზე გამოშატავენ (გამოყულდავენ): ორივე ბაწარს ერთნაირად ატარებენ ხოკერთი: ვილის ქვეშ გაატარებენ, ზევითა ვილზე გადმოატარებენ, წიბოსთან ჩამოიტანენ და წალმართას გამოშატავენ ქვეშ, უყუღმართას — ზედ. თან თხორს ჰქსავენ, თან დაქსულსაც ასწორებენ ხელით, ე. ი. ერთმანეთის ახლო მიჰყავთ. ესე ჰქსავენ თავიდან ბოლომდე და უკანასკნელადაც ისევ წიბოზე ამარებენ. ამის შემდეგ აკაზმებზე გაუყუთებენ თითებს. თითებზე საბლით ჩამაწყმენ (ჩამოაბამენ) საშევარს და ამ საშევარზე



შეს ჩუხედებენ (შის ჩადება; შეა ამოსაკრები ბაწარია). ვილის წიბოსთან გამტარებენ მეორე წიბოს; თხორის ქვეშითა ღოღებს მალლა მოაქცევენ, მალლათას — ქვეშ. მერმე საშევარზე დადებენ მესამე წიბოს; მოაბამენ ერთ ღოღ ბაწარს, რომელსაც შეა ჰქვინა. ჩაატარებენ ქვეშ, ამოსდებენ თხორის ერთ (მალლთა) ღოღს, ამოიყვანენ (შეს) საშევარზე; აქვე დაატანენ **შის-სატანაქს** და ისევ წიბოზე გამოშატავენ, ე. ი. გამოყულთავენ (წიბოზე ისევე, როგორც ზევით, ჯერ ხელით უჭირავთ, შემდეგ კი შით დამაგრდება; შის-სატანაქს წიბოს ქვეშ უდებენ და თანდათან წინ სწევენ, წინისაკენ აცურებენ, ე. ი. დადებულ შეს გამოუყრიან ნაწილობრივ და თანდათან წინ სწევენ, რომ ახალი შეა ჩაუდვან: ამას იმისათვის აკეთებენ, რომ შეა ფონად, ანუ მოშვებით იყოს). წამოიღებენ შეს იქიდან და საშევარს ამოუტარებენ ქვევიდან და ახლა უჯანიდან გამოშატავენ წიბოზე და ასე მისდევენ ბოლომდის; ერთნაირ დაგრებილ ღოღებს ამოაბამენ და მეორენაირს კი ძირს არჩენენ. მერმე შეს საბოლოოდ გამოშატავენ წიბოზე; შის-სატანაქს სულ გამოაცლიან და მეორე წიბოსაც გამოაძრობენ. ბოლოს საშევარს ასწევენ თითებზე და შიანი, ანუ შეჩადებული, ანუ შეამოყრილი თხორი მალლა აიწევეს და გნჯრჩევის (გაირჩევა), ანუ გნჯურების (გაიყრება).

შემდეგ გარაქს გუხედებენ (გარაქის გაგდება, ე. ი. გაყრა) საშევარს ზევით, ანუ საშევართან შიან ღოღებს დაბლა დაარჩენენ და უშეოს მალლა ამოიღებენ გარაქის წაის, ანუ წასვლის დროს შიანი ღოღები მალლა რჩება, უშეო დაბლა ჩადის, გარაქის მოის, ანუ მოსვლის დროს კი — პირუკუ.

ამის შემდეგ ქსელს ვასოლავენ: ვილის ზევილი შეუყრიან სოღებს კვედით (ხის ურო), გაქიმვენ და გამართავენ და ქსელი უკვე საბოლოოდ მზად არის მოსაქსოვად. ბოლოს აკაზმებს მალლა ასწევენ და ფეხზე დნჯუნებენ, როგორც უნდა იდგეს ქსოვის დროს და დაიწყებენ ქსოვას.

ეს ქსელი არის ფლასისა, ტოლისა, ხურჯინისა, ჭეჯინისა და სხვათა.

ქსოვენ ცხემლით ან ქუედოთი. ტოლს, მიხიან ფლასს და სხვას ქსოვენ ცხემლით, სახიან ფლასს და სხვას კი — ქუედოთი. ცხემლზე აგებულია ბაწარი; ის ერთიანად გაყურება თხორს, გაიტანს ბაწარს და ერთიანად ქსოვს ქსელს. ქუედო ნეკია; ის ნაწილ-ნაწილ ქსოვს; ქსელს რამდენიმე ქუედო უნდა.

ტოლს, მაგალითად, ასე ქსოვენ: დაჯდება დიაცცი ქსელთან, გარაქს წიხყვანს (ე. ი. ასწევეს) ან მნჯყვანს (დასწევეს) ქოჭით (კავით); ქსელ გნჯრჩევის (გაირჩევა), ანუ გნჯურების (გაიყრება, ე. ი. შიანი და უშეო თხორი შეიცილება: ერთი მალლა მოქცევა, მეორე — ქვეშ), პირველად სქელ ბაწარს ვაატარებს. მერმე ისევ გაპყრის ქსელს, წიწუთი ან ტარით ვასწიწავს, ანუ ვასწორებს (წიწვა), თითო პირ ხინდეს ვაიტანს, თანაც სქელ. ორკვე ბაწარს ვაყოლებს და ტარის წვერით უაკაკობავს (ე. ი. ხინდეს ასწორებს თხორში, რომ წარამარა ნაქსოვი არ გამოიდგას) და მერმე ბეჭით ჩაბეჭავს. ბეჭზე წიწუ უჭირავს ხმისათვის (პირველად თხლად ბეჭავს, რომ ბეჭის კმილებში, ანუ კბილები ვილს არ მოხედეს და არ დაიმტვრეს, მერმე კი, როცა ვაიმართება — მაგრა). ამის შემდეგ ბაწარს ვამოაძრობს, ქსელს ისევ ვაპყრის, ვასწიწავს, ხინდეს ვაატარებს და ჩაბეჭავს და ასე ქსოვს მთელ ტოლს ბოლომდის.

ქსოვაში ერთ თითს რომ შნჯთავებს (შეათავებს), მეორე და სხვა სათითეში შედგამს (ამაზე იტყვის: „ერთ თით შევათავავ, მეორე თითში შევდგივ“ და სხვ.). თითონაც საჯლომელს ცნქმალლებს (აიმაღლებს) და მალლ დაჯდება



როცა მაღლითა თითებსაც შეჯათავებს, მაშინ ქსელს მსჯღონაებს (მოუშვებს მოაბოშებს), სოლებს გამოუყრის, ქსელს ჩამოსწევს და ისევ ქვევიდან და ასე ბოლომდე.

როცა ქსელი ძნელად იყრება, [მქსოველი] იტყვის: „მეტაჲ ჰირიან საქსოელაჲვ“, ანუ „მაგარ საქსოვიაო“. როცა ქსელი თავს გადმოჩინდება (ე. ი. ზევითა ვილზე გადმოვა), მეზობელს ან სხვას ეტყვის: „ქსელ თავს გადმოჩინევ, ჰოუს არ მომტაცებავ“. ან მისი სიტყვით, ან მის უთქმელადც ჰოუს მოსტაცებენ, დაუმალავენ და სანამ ერბოიან ყვავს (ერბოთი ვაზუელილი კალია) არ აჰმევენ. არ გამოუჩენენ.

ვაჭრის დროს თუ ვინმე შეესწრება, მქსოვარაჲს ხელებს დაუქერს: „თუ კოტორს (გულიან ქადას) არ გამომიცხობავ, არ გაავაჭრევიებაჲ ქსელსავ“ და, როცა დაპირდება, მაშინ ხელებს აუშვებს და მქსოვარაჲ ვაჭრის ქსელს.

თხორი მთლად იქსოვება, მხოლოდ ბოლოში რჩება 12 ვერშოკი, რომელზედაც ის უნდა გაიკრას.

ტოლის თავი და ბოლო ღია, ანუ დაუმარებელია, ფლასს კი თავში ნაწიბური აქვს, ბოლოში — ფაჩუჩები, ანუ ფუნჯები. ნაწიბური ფლასრიავე თხორის ბაწრებია გადაწული ჩხირით; ფაჩუჩი, ანუ ფუნჯი თხორისავე ბაწრებია, გამონასკული (გამოკვანძილი) და გრძლად ჩაშვებული ბოლოზე.

მქსოვარაჲ ტოლს ვაჭრის, ჩამწილებს და საპონწყალში დნულბობს: მემრე ლასტზე ფეხით თელავს, შემდეგ რეცხავს; ბოლოს, თუ უნდა, შეღებავს. თუ არა და გარეცხილ ტოლს ვასაჰიზად მრგვალ კუნძიან ზეს ჩაუღებს და ვასაშრობად ჩამოაქიდებს და ასე ვაშრება.

ტოლებს ქსოვენ დაახლოებით შვიდ-რვა მეტრს. დღეში „კარგაც მქსოვარაჲ“ ქალი ორ მეტრ ტოლს მოქსოვს. ტოლს ყველა ოჯახში ქსოვენ. მოსახლეობა იმით იმოსება.

მოქსოვის ფასი გირვანქობით არის: რამდენი გირვანქაც მოიქსოვება, იმდენი თუმანი ღირს; მაგ., ექვსი გირვანქა რომ იყოს, ექვსი თუმანი ეღირება. თუ ყველი გირვანქა 5 მან. ღირს, მაშინ ერთი გირვანქის მოქსოვაში ორ გირვანქა ყველს გამოართმევენ და სხვა. საერთოდ საქმე შორიგებაზე არის.

ტოლი არის შალი. ტოლი სხვადასხვანაირია, სახელდობრ:

1. სოღურაც ტოლწ. ქსოვენ წალმ-უკულმართაც ბაწრისაგან; აქვს ნაჯარწ, ანუ ზოლებრი ხაზები გარდიგარ (გარდიგარდმო). ფერად ლეგაც არის და ჩაშაო ლეგაც. ხმარობენ კაცის ან დიაცის სალაზათო ჩოკისათვის.

2. წალმართაც ტოლწ. ქსოვენ წალმართაც ბაწრისაგან; ნაჯარწ არა აქვს. ფერად შავია და სხვა ფერი. ხმარობენ კაცისა და დიაცის ტანისამოსისათვის.

3. ორმაგულაც ტოლწ. ქსოვენ წალმართაც ბაწრისაგან; ორი შე უძვეეს, რომელიც ერთმანეთში აღის-ჩადის; ქსოვაში ერთმანეთს ენაცვლებიან. იწიწაცებს უკულმა ატრიალებენ და ისე ქსოვენ (იწიწაცწ სწორი რკინია; ხმარობენ საშევრების შუაზე; ის ორ სამევეარს შიგ ჩეწყრება. ორი იწიწაც უნდა). ფერად შავია და სხვა ფერიც. ხმარობენ კაცისა და დიაცის ტანისამოსისათვის.

4. შეყრა ტოლწ. ქსოვენ წალმართაც ბაწრისაგან სამ დოლად (სამ წიბოს

შენიშვნა: ორმაგულაც და შეყრა ტოლწ ერთნაირი ტოლია; მათ ერთნაირად ქსოვენ, მხოლოდ ორმაგულაჲს იწიწაცებს უკულმა ატრიალებენ.



ატანენ, მესამე შუაში „თავად“. ანუ თვითონ აღის-ჩადის). ის ელმად იქსუფეჭუნული „შვიოტივით“. ფერად მეტწილად შავია. ხმარობენ სადიაცო ჩოქისათვის.

5. ცალპირაჲ ტოლწ. ქსოვენ კაი მატყლის წალმართაჲ ბაწრისაჲან. ის წმინდა და თხელი ქსოვილია. ფერად თეთრიც არის და შავიც. ხმარობენ კაცის საჩოკედ.

6. სადიაცო ტოლწ. ქსოვენ წალმართაჲ ბაწრისაჲან; ის სქელი, უბრალო მატყლის ქსოვილია. ფერად წენგოსფერია. ხმარობენ დიაცის საჩოკედ.

7. ქისტურაჲ ტოლწ. ქსოვენ წალმართაჲ, ან წალმ-უყულმართაჲ ბაწრისა-გან. ის ცალკეცაჲ, ანუ ერთკეცაჲ არის; მეორე ღოღწ არ სტანაჲ. მას თუშები ქსოვენ. ქისტებიც თურმე ესევე ქსოვენ. ფერად არის თეთრი, შავი, ლეგა, წითელი და სხვა. ხმარობენ ბაღღების (ბავშვების) ტანისამოსისათვის.



სურ. 25 ფლასი (უნწულა)

8. საიმრიგო ტოლწ. ქსოვენ წალმართაჲ ბაწრისაჲან; ის საშინაო, ანუ გინდ რაჲში საკმარ ტოლია. ხმარობენ საბნის, ლეიბის ან ბალიშის პირად, საშინაო ტანისამოსადაც. ფერად ყველა ფერი არის.

შენიშვნა: სიტყვა საიმრიგო ნიშნავს როგორც საშინაოს, ისე სავარეოსაც.

9. საკაცო ტოლწ. უწინ ქსოვდნენ წალმართაჲ და უყულმართაჲ ბაწრისაჲან. როცა საშალვრედ უნდოდათ, წმინდასა ქსოვდნენ; ის იყო: ზოლიანწ (სიგრძეზე); კაჭკაჭაჲ, ანუ კიბე-კიბე ნაჭრედწ; კროლაი: „ერთად ღოღწ თეთრწ ხქონდ, მეორე შავწ“.

როცა საქათიბედ უნდოდათ, მამინ იყო: ლურჯ გაჩეჩებულწ, ანუ ცოტა თეთრწ და ცოტა ლურჯშერეული.



10. სამემცხვარეო ტოლნი. ქსოვდნენ წალმართაჲს, ან უყუღმართაჲს, ან წალმ-უყუღმართაჲს ბაწრისაგან. ის მსხვილი ტოლია. ფერად არის თეთრი შავი. ხმარობენ მემცხვარეების ტანისამოსისათვის.

ტოლის სახელები — სოლურაჲს, წალმართაჲს, ორმაგულაჲს და სხვა, მათი სხვადასხვა ხერხით ქსოვას აღნიშნავს.

ტოლის თხორობა ერთი ფერისაა, ხინდუ კი იმავე ან სხვა ფერისა.

მოქსოვილი ტოლი ფერად არის: თეთრი, შავი, ღვია, ჩაშაო ღვია, ე. ი. მოშაო ღვია; ლურჯგაჩეხებული, ე. ი. ცოტა თეთრი და ცოტა ლურჯი; წინგოხ-ფერი, კაჭკიჷაჲს თეთრი და შავი, ერთმანეთში ნაწყვეტებად შერეული, პრელ-პროლაჲ ცალი წვერი შავი, ცალი — თეთრი, მოლეგო ფერს იძლევა.

საფენი არის: ფლასი, საგორავი, ჭეჭიმაჲს, ხალიჩაჲს, კვირტულაჲს და ტოლიკაჲს.

1. ფლასს ეწოდება ძველ მოქსოვილ ფარდაჲს, ახალ მოქსოვილს კი ფარ-დავი ჰქვია.

ფლასს არის: ერთიანაჲს და ამბულს. ერთიანაჲს ფლასს ერთიანად არის მოქსოვილი ორი მქსოვარის მიერ. ამბულ ფლასს კი მოქსოვილია ერთი მქსოვარის მიერ ორ ნაჭრად და ეს ნაჭრები ერთმანეთზე არის ამბული, ანუ ამბული გვერდი-გვერდ.

ფლასის ნაწილებია: წალმა პირს, უყუღმა პირს, წინა პირს, ე. ი. თავი, ანუ ქსოვის დაწყების ადგილი; მას დასაწყისში აქვს შიბს, ე. ი. ფლასისავე თხორობის დაწული ბაწარი. უჯანა პირს, ე. ი. ბოლო; მას აქვს შიბს (ისეთივე); ნახკეებს, ე. ი. კვანძები; ფუნჯებს; ნაპირს, გულს, შუგულს (შუაგული).

სახით ფლასი ხან სადაა, უმეტეს ნაწილად კი პრელს, ე. ი. შემკული სხვადასხვა სახეებით.











პრელ ფლასს აქვს: ტანს, ე. ი. ადგილი, ანუ ფონი და ნაჭრელი. ტანი საზოგადოდ შავია, ნაჭრელი კი თეთრი და სხვა ფერი (საგორავისა, ჭეჭიმისა და ხურჯინის ტანიც შავია; ჩითასი ძველად შავი იყო, მიხიანი, მერმე კი — შავიც და თეთრიც; წინდას ზოგს თეთრი ტანი აქვს, ზოგს კი — შავი).





ნაჭრელი არის: თვალი, ნაფოტაჲს, პირკვანაჲს, აღვის ხეი, ჩადუნაჲს, ჭარანაჲს, კუბატაჲს, დოდიკის კავს, კანჭულაჲს და სხვა.

შენიშვნა: ფლასის ნაჭრელებს უწინ ჩით-წინდაცსაც უკეთებდნენ თურმე. სოფ. დოჭუტს მცხოვრებმა, ერთმა მოხუცმა მანდილოსანმა მიაგებო: ნაჭრელი მოკერებაზე იყო, ვისაც შეეძლო ერთსა და იმავე ნაჭრელს „ფლასსაც უზამდა და ჩითა-წინდაცსაცო“. ეხლა კი ფლასისა და ჩითა-წინდაცის ნაჭრელები ზოგი ერთნაირია, ზოგი განსხვავებული. ფერებში სპარბობს თალხი.

ფლასს ჰქსოვენ ან ქუთდობებით, ე. ი. ნეკით (როცა ის პრელი, ანუ სახიანი უნდათ) ან ცხემლით (როცა სადა უნდათ).

I ქველი, ნატარელი


























1. თვენი ანუ თვენი 
2. ანუ თვენი 
3. თვენი ანუ თვენი 
4. თვენი 
5. თვენი 
6. თვენი 
7. თვენი 
8. თვენი ანუ თვენი 
9. თვენი ანუ თვენი 
10. თვენი 




16. პედაგოგიკის
სახელი
17. სავაჭრო
18. სავაჭრო
ბანკი
19. სოფლის
სახლი
20. მკვლევარის
სახლი
სამუშაო
სახლი
21. სავაჭრო
სახლი
22. სავაჭრო
სახლი
23. სოფლის
სახლი

24. სავაჭრო
სახლი
25. სავაჭრო
სახლი
26. სავაჭრო
სახლი
27. სავაჭრო
სახლი
28. სავაჭრო
სახლი
29. სავაჭრო
სახლი
30. სავაჭრო
სახლი

სურ. 26 ბ

30. 33333333	ա. 	30. 33333333 բ. 
31. 33333333	ա. 	31. 33333333 - 33333333 բ. 
32. 33333333	ա. 	32. 33333333 ա. 
33. 33333333 33333333	ա. 	33. 33333333 33333333 ա. 
34. 33333333	ա. 	34. 33333333 ա. 
35. 33333333	ա. 	35. 33333333 ա. 
36. 33333333 33333333	ա. 	36. 33333333 33333333 ա. 
37. 33333333 33333333	ա. 	37. 33333333 33333333 ա. 
38. 33333333 33333333	ա. 	38. 33333333 33333333 ա. 
39. 33333333 33333333	ա. 	39. 33333333 33333333 ա. 
40. 33333333 33333333	ա. 	40. 33333333 33333333 ա. 
41. 33333333 33333333	ա. 	41. 33333333 33333333 ա. 
42. 33333333 33333333	ա.	42. 33333333 33333333 ա. 

42 მონეტარული
(4160)



43 აკაკი



44 ბიბლიის აკაკი



45 აკაკის მონეტარული



ა



ბ



46 აკაკის მონეტარული



47 აკაკის მონეტარული



48 აკაკის მონეტარული



49 აკაკის მონეტარული



50 აკაკის მონეტარული



51 აკაკის მონეტარული



52 აკაკი 31



53 აკაკი 3



54 აკაკის მონეტარული



55 აკაკის მონეტარული



56 აკაკის მონეტარული



57 აკაკის მონეტარული



58 აკაკის მონეტარული



59 აკაკი



60 აკაკი



61 აკაკის მონეტარული



62 აკაკის მონეტარული





— ცხრილი თეატლის ნაპრელია; აბრეშუმის ფერადი ძაფით ატყევენ და
ქარგი. საქართველოს
ხელნაწილები

ახალი ნაპრელი: კაცნ (მდგომარე დონიჯით და სხვა); ირემნ (რქინი); ფურნ; მატარებელნ; თვითმფრინავნ; მამალაყნ; ჩიტნ; ქათამნ; ქოთანნ ყვავი-
ლებით; ტოლჩაა; ხელადაყნ; ჩარექაყნ; კალათაყნ ყურიანნ; ტოტიან ხეა;
ყვავილებნ; ბურთვნ (ბურთი); მასკელავნ (ვარსკვლავი); კლიტე-გასალებნ;
ცხენის ბალიშნ; ბანტიან ნაპირნ. ძველი ციცაყის-ფეკნ და სხვა.

შენიშვნა: აქვე მოვიყვან მცირე ცნობას ცის ვარსკვლავებზე, რომელიც
ჩაიწერე სოფ. ომალოში. ვარსკვლავები არის: 1. ხარიპარიაცი, 2. ცისკარნ,
3. გუთნეულნ, 4. ჭარაყები — ვარსკვლავების მწკრივია, 5. მრავალან, 6. ცულ-
თოჯაყები — ნამგალსა ჰვავს: ისინი გაზაფხულზე მრავალას მისდევენ ერთი
საბლის დაშორებით, ზამთარში კი შორი-შორს არიან. იგივე უნდა იყოს „ცულ-
თოჯის ტარაყები“.

ქსოვის დროს, ერთი ფერიდან თანდათან მეორეზე გადასვლისას, ერთი
მეორეს ეტყვის: „თეთრ (ან სხვა) გადაყყენე“; სახე რომ დასრულდება —
„მოსწყვიტე“; შუაში როცა თვალთა ჩასახმელი — „თვალ ქუცსვივ“ (ჩაუსვიო).
თუ ღოლი ჩაწყდა, იტყვიან: **ღოლ ჩამიწყდა-აო.**

2. **საგორაყი** გრძელი სახიანი (ნაპრელიანი) საფენია: მას კედელზედაც
კიდებენ და მეჭვებაც შლიან.

3. **ჭეჭიმი** ხალურად ნაქსოვი ჰავლიანი (ბოჭკოიანი) საფენია.
ჭეჭიმი საზოგადოდ ჰავლსა ჰქვიან, მაგრამ ჭეჭიმი მოქსოვილ საფენსაც
ჭეჭიმი ეწოდება. ჭეჭიმი აქვს, მაგ., ხურჯინსაც, ჩანთასაც და სხვ.

ჭეჭიმი ფლასადაც იქსოვება. ე. ი. ოთხკუთხად და საგორავადაც, ანუ
გრძელ ოთხკუთხად. პირველს ჰქვიან ჭეჭიმიან ფლასნ, მეორეს — ჭეჭიმიან სა-
გორავნ.

ჭეჭიმნ, ანუ ჭეჭიმიანი საფენნ, ან მთლად ჭეჭიმით არის ნაქსოვი, ან ნაწი-
ლობრივ (არე) სადა ფლასად და ნაწილობრივ (ნაპრელი) ჭეჭიმიად. პირველს
ჰქვიან ბითუნ ჭეჭიმნ, მეორეს — თხელაყ ჭეჭიმნ.


ჭეჭიმი იქსოვება ისევე, როგორც სხვა ნაპრელიანი საფენი, ოღონდ მისი
სამი ღოლი (წვერი) ორ ღოლზე ჩამოეცმება და მოეჭრება; კიდევ ისევე ჩა-
მოეცმება და მოეჭრება და სულ ასე გაგრძელდება ბოლომდე. ჭეჭიმნ თუ კვირ-
ტისაა, ე. ი. ხველი (სქელი), მაშინ ორი ღოლი უნდა; თუ წმინდა ბაწრისაა —
სამი-ოთხი ღოლი; ის ჩამოეცმება თხორის ერთ ღოლზე.

ჭეჭიმს აქვს იგივე ნაპრელები, რაც ჩვეულებრივ ფლასს-საგორავს.

4. **ხალიჩაყნ** სადა ან მიხიანი (გარდიგარდმო ზოლიანი) უბრალო საფენია
სქელი ბაწრისა. ხმარობენ სრავლის დასაფენად (სრავალი არის გასაშრობად
გაფენილი ნედლი პური, ქერი და სხვა).



5. კვირტულაჲ კვირტის სველი (სქელი) ბაწრისაგან მოქსოვილი მეჯის საფენია. ის ან სადაა, ან ჭრელი. ნაჭრელი აქვს გვერდმიდებულაჲ და სხვა. კვირტულაჲ ფართლის ნაჭრებისაგანაც იქსოვება. თხორო ბაწარია, ხინდე კი — ფართლის გრძელი ნაჭრები.



სურ. 27. ხურჯინის ნაჭრელი

6. ტოლიკაჲ კვირტისაგან ნაქსოვი საფენია. მას ან საბნად ხმარობენ, ან საგებლის ქვეშ საფენად, ან კიდევ სრავლის ქვეშ გასაშლელად და სხვა.

ხურჯინი საბარგე ჭურჭელია, იქსოვება ფლასივით. აქვს ნაწილები: თვალი — ორი (წინა მხარეები), ქერქი — უკან (თვლების ზურგი), მჯარი — შუა ნაწილი.

თვლებს გარეშემო აქვს ყულფები, რომელშიაც გაყრილია საწყვეტებჲ პირის მოსაკრავად (საწყვეტი არის ოთხ ან რვა ღოლად, ანუ კეცად დაწნული ბაწარი). ხურჯინს ძველად დაშიბავდენ (ე. ი. შიბს შემოუტარებდენ), ეხლა აღარ შიბავენ და ზოგან მანქანით კერავენ.

ხურჯინი ორნაირია: საჯღომ ცხენის ხურჯინი და საბარგე ხურჯინი. საჯღომ ცხენის ხურჯინი უფრო ნაჭრელიანია და ცოტა ზოლიანი; საბარგე ხურჯინი კი — ცოტა ზოლიანი და ცოტა ნაჭრელიანი; უკანასკნელი ზომითაც დიდია პირველზე.

ჩანთა დიაცის აბგა არის. ეხლა მას თოფრას უწოდებენ. იქსოვება ფლა-



სივით. აქვს ნაწილები: თვალწინ — წინ; ქერქ — უკან; საწყვეტ — დაწმენდა
ბაწარი მხარზე ჩამოსაკიდებლად.

არის პატარა ჩანთაც, რომელსაც ჩანთუკაც ეწოდება. ჩანთა ნაჭრელია-
ნია.

სათიკვაც ჩითების, ანუ ფეკების გამოსაკერებელი კვირტის ქსოვილია.
ქსოვენ სიგრძით ექვს-შვიდ არშინს, სიგანით — ერთ არშინს და სხვა ზომი-
სასაც. მისგან ფეხებისათვის გამოჭრილ ნაჭერს თიკვი ეწოდება.



სურ. 28 ჩული


ჩულე უნაგირზე საფენი არის. ჩული ორია: ერთი კების ქვეშ დაეფინება,
მეორე — ბალიშზე. პირველი დიდია, მეორე — პატარა. იქსოვება კვირტისა-
გან ჯეჯიმაღის მავგარად. ის ჭრელია, სახიანია. პირველს გული ფლასისებური
აქვს, დანარჩენი ნაწილი კი — ჯეჯიმიანი, მეორე მთლიანად ჯეჯიმიანია. მისი
ნაწილებია ნაპირებზე და გულში. ნაპირებზე ბაწრით ჩამოკიდებულია ქოცოცა-
ლები, ე. ი. გამოშვერილი ბეწვის ბურთები.

ტომარაც ბარდანაა, მატყლის ჩასაყრელად ხმარობენ.

ხაკე პატარა ტომარაა; ბარგისათვის ხმარობენ.

წონიერების ქსოვა

ფირფიტით ქსოვა. ფირფიტაც მტყელ (ბრტყელი) პატარა ფიცარია;
აქვს რვა გრძელი ხერელი და — რვა წვრილი. მასზე ქსოვენ ჩითის გარემოს.
ფირფიტის ზომაა — 24 × 12,5 × 0,5 სმ.



სურ. 29 ფირფიტა

გარემო ესე იქსოვება: თხორს, ანუ დასაქსავ ბაწარს გააბამენ გრძლოდ; თავს ხელში დაიჭერენ, ბოლოს კი შორს ბოძზე ან სვეტზე გამოაბამენ. გაუყეუებენ თავში ფირფიტას და ხინდეთი, ანუ ჩასყარ ბაწრით ქსოვენ. ხინდე ქუედიოდ (ნეკად) არის გაკეთებული და ამ ქუედოს ატარებს თხორში. გარემოს თავი ქსოვის დასაწყისში ჯერ ხელში უჭირავთ და როცა ცოტას მოქსოვენ, მაშინ წელზე შემოიხვევენ. შემდეგაც ასევე, თან ქსოვენ და თან წელზე იხვევენ ნაქსოვს. ასე მოქსოვენ მთელ გარემოს.

მზობრობა

მზობრობლები: ნინო წვერაიძე, 63 წ. (სოფ. შტროლთა); სიღო მურთაზაშვილი, 57 წ. (სოფ. ხისო); ელო წვერაიძე, 65 წ. (სოფ. შტროლთა); ნინო უშიძე, 70 წ. (სოფ. შტროლთა); სალომე ბილიძე (სოფ. ომალო); საბედო რაინაული, 58 წ. (სოფ. ვესტმო); თეკლე მარწინაიძე, 70 წ. (სოფ. ჩიგლაურთა); მართა თილიძე (სოფ. კვავლო); ელო ბლაროძე, 35 წ. (სოფ. შტროლთა); ანა წვერაიძე, 77 წ. (სოფ. დიკლო).



სურ. 30. თუშის ოჯახი.

მ შემკრებს მზობრობელი დასახლებული არა ჰყავს.



ბუნებრივი ფერი და საღებავი. მატყლს ქსოვილისათვის ისე შეარჩევნებენ, რომ მას სუსტრევი ფერის ქსოვილი მიიღონ. ზოგიერთი ფერებისათვის, რაცელონიური რიცხვით რიცხვითა თეთრი ლეგა, ჩაშაო ლეგაფერი, მოწითაწო და მოშაო — ბუნებრივი ფერის მატყლს არჩევენ, სხვა ფერებისათვის კი — შეღებულს.

ბუნებრივი ფერის მატყლს უმეტეს ნაწილად ხმარობენ ტოლებისათვის; შეღებულს კი — ფარდაგებისა, ზურჯინებისა და სხვა.

მატყლის ბუნებრივი ფერებია: წითელი, თეთრი, შავი, ლეგა, ჭრელი: შავად ჭრელი, წითლად ჭრელი და სხვა.

მატყლს ლეგავენ სხვადასხვაფერად. ძველი ფერებია: შავი, თეთრი, წითელი: თეთრაც-წითელი და ჩაშაო-წითელი, ანუ ლვიძლისფერი; ლეგაჲ იგივე ლეგა ფერი, ანუ წყლისფერი; ლურჯი; მკიეჲ — მუქი ლურჯი; ცისფერი; ყვითელი; კაპრაშაჲ — მოყვითალო, ანუ კევრცხის გულისფერი; სოსანი — იისფერი, ანუ ღვინისფერი; აფეჲ — მუქი მწვანე და წენგოსფერი; გარდა ამისა, არის კიდევ ახალი ფერები: ვარდისფერი; ზორცისფერი; ბალახისფერი; ალისფერი; ხავსისფერი — ბაცი მწვანე.

ფერების ხარისხია: ლალი — ლიაფერიანი; მუქი — მაგარფერიანი; თეთრაც — ნაკლებფერიანი; თაღი — მეტად შავი (მიცვალებულის პატრონზე იტყვიან: „თაღ აცვიავ“).

სოფ. ბაბანეურის (კახეთი) ერთმა „მქსოვარამ“ დასახელა ფერების ხარისხი: ხაჩხაჩა და ჩალი. მანვე თქვა, რომ ზოგი ფერი ხიახლებო, ე. ი. ირევაო და თუშურ, კირკვანაცს ჩვენ ხრახნილს ვეძახითო.

ძველი წესით დღეს მხოლოდ სამფრად ლეგავენ: შავად, წენგოსფრად და ყვითლად; დანარჩენი ფერებისათვის კი გამზადებულ საღებავებს ყიდულობენ.

მთაში შავად ლეგავენ თავშავაჲთ და ძალით, ბარში კი — ან წენგოთი და ძალით, ან კიდევ თრიმლით, ლეფანიით და კაკლის ქერქით და ძალით ერთად.

თავშავაჲნ ბალახია; მას დაგლეჯავენ და კონებად ინახავენ. მასში ასე ლეგავენ: დიდ ქებაში ჩაყრიან თავშავას, ჩაღებენ ბაწრებს ან ტოლს და სხვას, ზევიდანაც თავშავას დაადებენ; დაასხმენ წყალს და ერთ დღეს (14—15 საათს) აღუღებენ. ამის შემდეგ თავშავასაც ამოიღებენ და ბაწარსაც. წვენში ძალას ჩაყრიან, ჩაღებენ ბაწარს; წამოადუღებენ 10—15 წუთი და ამოიღებენ; ქებაზე დადებენ დაწნულ ლასტს, ზედ აწყობენ ბაწარს, რომელიც ქვევიდან იორთქლება; ასე რჩება ერთი დღე. ამის შემდეგ ბაწარს გარეცხ[ა]ვენ ერთხელ და მერმე ჩრდილში გააშრობენ.

წენგოსფრად ლეგავენ იმავე შავი საღებავებით, ოღონდ ძალას არ უშვრებიათ. კიდევ ლეგავენ დეკაის ფოთლით. მერმე რეცხავენ და აშრობენ.

ყვითელფრად ლეგავენ მთაში ფიჭვის ხის ხავსით (ბობოწვერა), ბარში კი — ან ვაშლის ხის ქერქში, ან თრიმლის ქერქაცლილ ხეში. ისევე რეცხავენ და აშრობენ. ყვითელფრადვე ლეგავენ მთაში ღოღოს ძირით და დეკის ფოთლითაო.

ძველად უღებიათ ადგილობრივ კიდევ სამ სხვაფრად. წითლად, კაპრაშად, აფედ.

წითელფრად უღებავთ ენდროს ძირით (ენდრო კახეთიდან მოჰქონებიათ; თუშური ენდროსი კარგი ვერ გამოდიოდა).

კაპრაშად უღებავთ თრიმლით (რომელიც დიდობებს მოჰქონებიათ) ან კოწახურის ძირით (ერთად უღუღებიათ).



აფედ უღებავთ ჯერ ლილით, მერმე ან მყარალაჲ ბალახით, ან წართხლით; კიდევ უღებავთ ვერხვის ან არყის ფოთოლშიაც.

საერთოდ ასე ლებავენ: აგებულ ქვაბში ან საშავეში, ან საკედე ქვაბში ჩაასხამენ წყალს და ჩააყრიან მასალას იმისდა მიხედვით, რა ფერი უნდათ. როცა წამოდულდება, მაშინ შიგ ჩადებენ მატყლს ან ბაწარს და ხარშავენ. დუღილისას ათასში ერთხელ შეშით ურევენ, რომ ძირზე არ მიიწვას და, როცა ნახავენ, რომ შეიღება, ამოიღებენ და ლასტზე დადებენ რომ დაიწუროს; ზევიდან თბილ ნაბადს (ან სხვა რაიმეს) გადააფარებენ, რომ დაიოროთქლოს და ფერი კარგად გაუჭდეს და ნაღებს ჩააკვდეს.

ქ ა რ ბ უ ლ ო ბ ა

მთხრობლები: ნინო წვერაიძე, 63 წ. (სოფ. შტროლთა); მაცო (ნინო) კურდღელაიძე, 75 წ. (სოფ. შენაქო); ანა წვერაიძე, 77 წ. (სოფ. დიკლო); სალომე ბილიძე (სოფ. ომალო).

ქარგვა იცოდნენ ძველად, სანამ საკერავე მანქანა შემოვიდოდა; რაც მანქანა შემოვიდა, მას აქეთ თანდათან დაივიწყეს.

ქარგვას ეწოდებოდა დაქარდვა. ჰქარგავდნენ აბრეშუმის ფერადი ძაფით და საყაჷიაც, ანუ წმინდა ნემსით.

ჰქარდავდნენ ჯუბას (უბზე და ბოლოზე), ფარაგაცს (ყემქას ან საყელოს) საკელ-ქუროს და სხვას.

დაქარდვა სხვადასხვანაირი იყო, სახელდობრ: 1. ისკუნტალმ (იტყოდენ: ისკუნტალით ვკერავო. „ისკუნტალით კერვა“). კერვის დროს ძაფი ერთმანეთზე ეხვეოდა.

ისკუნტალი ორნაირია: ერთიანაჲ და გაწირულაჲ. ერთიანაჲ ისკუნტალმ გამბულად (გაბმულად) არის ნაკერი. გაწირულაჲ ისკუნტალმ კი ერთმანეთისაგან პატარა მოშორებით არის ნაკერი. 2. კელ-უკულმართაჲ დაქარდვის დროს ნემსი უკულმა ბრუნდება. 3. ცხრილაჲ დროს ნემსი ძაფის შიგა და შიგ ტარდება. 4. პეპელაჲ.

დაქარდვით აკეთებენ ნაქრელებს: პეპელაჲს, ჳირკვანაჲს, გრებილაჲს და სხვას.

ო ქ რ ო მ ე კ ე დ ი

მთხრობლები: ნინო წვერაიძე, 63 წ. (სოფ. შტროლთა); მაცო (ნინო) კურდღელაიძე, 75 წ. (სოფ. შენაქო).

ოქრომკედმ, სირმაა და ბუზმენტი იხმარებოდა ძველად; მას ტანისამოსს აკერებდნენ მოსართავად.

ოქრომკედმ არის უფითელი დაგრებილი მკედი. ის კარგიც იყო და ჟაღბიც უკეთებდნენ საკელ-ქუროს.

სირმაა თეთრი ფერის ვერცხლის ძაფია. აკერებდნენ მანდილს (ბოლოზე), ახალუხს (საყელოზე გულამდე), ჩოხას (სამასრეზე), ჳუბას (საკელ-ქუროზე).

ბუზმენტი სირმის ნაცვლად იხმარებოდა იმავე ტანისამოსზე და იმავე ადგილებზე.

მთბრობლები: გიორგი გაწირიძე, 65 წ. (სოფ. შენაქო); მაკატო ბრლოძე, 87 წ. (სოფ. ომალო).

საბელი არის ბალნისა, მატყლისა, თასმისა და მუშისა.

ბალან თხისა, მატყლ — ცხვრისა, თასმა — ხბოს ტყავისა, მუშ — ცაცხვის ხის ხარალისა.

მატყლის საბელნი ძლიერ იშვიათია; თითო-ოროლა წნავს; ის ჭარის მხარეს ხშირიაო; მას ბაწრის საბელსაც ეძახიან.

ბალან, მატყლ და თასმა იწვნება, მუშ იგრიხება. ბალან, მატყლ, თასმა, საზოგადოდ, იწვნება სამ, ოთხ, ხუთ, შვიდ, ცხრაპირად. მუშ იგრიხება ორ-სამპირად.

ბალან და მატყლ სამპირად დაწნული ბრტყელია; იხმარება ცხვრის ან თხის დასამბელად (დასამბელად).

ოთხპირი მირგველანია (მრგვალი); მას ჰქვია ღარძლაც; იხმარება ხურჯინის ან უნაგირის საწვევებად (ჩასაკრავი ბაწარია).

ხუთპირი ბრტყელია და იხმარება საბლად.

შვიდპირი მსხვილია და საბელადე იხმარება.

ცხრაპირი ბრტყელია და საუღლედ (ჯამბარად) იხმარება.

თასმა. 1—1½ წლის ხბოს ტყავს თასმად დახევენ. იმას ჯერ გაფხეკავენ (ბალანს გააცლიან), მერმე მიჰყევიან ნაპირიდან და გულამდე სულ დახევენ.

თასმად ხუთპირად დაწნული ჭაპანია, იხმარება ვირისა და ცხენის ჭოკებზე შეშის ან საფქვეის მოსატანად. მას ჭონით ხაოხვენ, თორემ ვახშება და დიამტურევა. ჭაპანით ცხენს არ აბამენ, რადგანაც სისველეს ვერ იტანს და ადრე ფუჭდება.

შვიდპირიანი ან ცხრაპირიანი ჭაპანი საუღლედ (ჯამბარა) იხმარება. ხუთპირიანი და შვიდპირიანი ჭაპანებს ძნადადებულ მარკოსაც ავმარებენ ზევიდან გადასაჰერად.

მუშ ორპირად ან სამპირად დაგრეხილია, იხმარება საბლად.

ბალნის საბლის დაწნაა. თხის ბალანს დაჩეჩავენ დიაცები საჩეჩელზე; მერმე კაცები ჯერ გააზდავენ (დაართავენ) და მერმე დაწნავენ.

ბალანს აზდავენ (ართავენ) ან ხელის ჩიხრით, ან წყლის ჩიხრით. ხელის ჩიხრის უნდა ორი კაცი, წყლის ჩიხრის კი — ერთი.

როცა ბალანს ხელის ჩიხრით აზდავენ, ერთი კაცი დაჯდება მიწაზე და ბალანსაც გვერდით დიდებს, მეორე კი ჩიხრის გაიკეთებს კისერზე. პირველი ცოტაცოტაობით ხელით უშვებს, ანუ აწვდის ბალანს მეორეს, რომელიც ჩიხრის ტარს ატრიალებს, თან უკან-უკან მიდის, ამ ტრიალით ბალანს აზდავს. როცა [გარკვეულ] მანძილზე წავა, მერმე ისევ წინ დაიწყებს წამოსვლას და ჩიხრის ტარზე ახვევს გაზდულს (დართულს) დულუჯანდ (გორგლად) და იმ დრომდე ჩადის ამას, სანამ მთელ ბალანს გააზდავს. ამ გაზდულს ეწოდება ღო-



ლწ (წვერი). გაზღულ დულუჟას ტარიდან გააძრობს თბეზიანად (თბე ჩიხრი ხის ფრთა); მერმე თბეებსაც გამოაძრობს. ახლა მეორედ გააზდავს ორ ღოღად ე. ი. დულუჟას თავი და ბოლო ერთად იზღვება. მერმე მესამედ კიდევ მწეორწვერებს და კიდევ ცოტას გააზდავს.

თუ ბალანს წყლის ჩიხრიხზე აზდავენ, მაშინ ჩიხრიხს აყენებენ ორ ორკაპაც ბოშე, რომლებიც ჩარჭობილია პატარა წყლის ორივე ნაპირზე. წყალი ხვდება თბეებს და ჩიხრიხის ბორბალს ატრიალებს. ერთი კაცი ბალანს აწვდის ბორბალს ზოლივით იმ გვარად, რა სისქისაც უნდა და ბალანი იზღვება (ირთვება). ნაზღს თანდათან ემატება. ამიტომ კაცი თანდათან უკან-უკან მიდის და ისე აზდავს. ასე გაზღვით ვიღებთ ღოღს (წვერს). ამ ღოღს დაახვევს თბეებზე. მერმე ამოიღებს და საბლის ორივე პირს დააზდავს. შემდეგ კიდევ მესამედაც დააზდავს.

ნაზღს, ანუ ნართს (ხელის ჩიხრიხით არის ეს გაზღული თუ წყლის ჩიხრიხით) მოსდებენ ჩხას (კაპიან ხეს) ან მარგიღს და გწახწორებენ, გასჭრიან ხუთად. თითოს თითო ჭეუდოდ (ნეკად) დწახვევენ და მერმე დაწწენენ (დაწწავენ) ხუთპირად. დაწწაში ხუთივე პირი მუშაობს, მაგრამ ხუთიდან ერთი გადადგამოდის და აქეთ-იქით ორ-ორი რჩება გამოუღვევლად. იწწება მტყალად (ბრტყლად).

ჩიხრიხი. ხელის ჩიხრიხს აქვს [შემდეგი] ნაწილები: გირკალწ — მოხრილი ხე; უღელწ: ტარწ — სწორი ხე; თბე — ფრთა, ორი; რიკწ — ჩიხრი, გაკეთებული ტარის გავკრეტილ ადგილას.

წყლის ჩიხრიხის ნაწილები: ორკაპაც ბოშწ — ორი და ჩიხრიხი. ჩიხრიხის ნაწილებია: თავწ; შორგვეწ — ხუთ-ათ თბეთი (ფრთით); ნაზღის დასახვევ თბეებწ (ფრთები) — ორი; ისარი — სიგრძის ხე, რომელსაც წვერში გაყრილი აქვს ნემსწ (ჩიხრი).

ხელის ჩიხრიხი პატარაა, წყლისა — დიდი.

მუშის საბლის დაგრება. ცაცხვის ხეს აპყრიან ჭერქს მოწობაში (მოწიხის წვენია; ფიჭვის მოწი იჭიბება). ე. ი. გაზადხულიდან ზაფხულის გასვლამდე. გარეთა, სქელ ჭერქს დაამტრევენ, გააცლიან და გადაპყრიან: შივნითა, თხელ თეთრ ჭერქს. ე. ი. ხარაღს კი ცალკე აიღებენ: მას, რაც შეიძლება, ბრტყლად აცლიან. ხარაღს კონებად შეპკრავენ (საბლისათვის საჭიროა დაახლოებით 20—30 კონა) და ჩაპყრიან დასალობად ბეანტეში (ბეანტე, შანტალაჟ, ჭყანტე ჭაობი, სველი ადგილი); მას ღოზო, ანუ დამპალი ადგილი უნდა; ბეანტე თბილია და მალე გამოპყავს, მალე აღობს (მომდინარე წყალი კი ცივია და იქ ვერ გაშოდის). ბეანტეში დღვს 2—3 კვირა. ის დაღებება, დარბილდება და დაიშლება წვრილ ძაფებად. ამოიღებენ და გააშრობენ. ეს დამპალი ხარალი არის მუში. მას, როცა უნდათ, მაშინ დაგრებავენ საბლად. გრებავენ ერთი კაცი. საბელი რა სიმსხოც უნდა, მუშს იმ ზომაზე იღებს და გრებავენ: აიღებს მუშის წვერს და რიკს გახეილ პირში დააქვრინებს; მერმე რიკით თან გრებავენ და თან რიკზე ახვევს. როცა გაათავენს მთელი მუშის დაგრებას, მაშინ დაგრეხილს შაორკეცებს, ე. ი. შორს მარგიღს გამოსდებს შუაზე და ერთ პირს მეორეზე ახვევს. თუ უნდა, მესამე პირსაც გაუვლის და იქნება საბელი.



საქართველოს
შენიშნული
სამშენობლო
საბუნების
მეცნიერებები

მუშის საბელს ჰგრეხავენ სამი-ხუთი საყენი სიგრძისას. მუშის საბელზე
მატყლის და ბალნის საბელზე ნაკლებია, მდარეა. მუშს ხმარობენ ბაწრის, მუშის
გივრადაც; მას აკრავენ ყველის გუდებს, ღობეებს და სხვა. მშრალი მუში ად-
ვილად ფუჭდება, სველი კი გამძლეა.

- შენიშვნა: 1. საბელზე იტყვიან დაგრეხას, ბაწარზე კი — გაზღვას.
2. ცაცხვის ქსელი ქერქიდან ცხავის კანებს აკეთებენ.
3. ღობო აქვს ქვას წყალში (ფეხი რომ დაადგა, გაგისხლტება), ლოკოინას,
თევზს (ხელიდან რომ სხლტება); ღობო (ქართულად ლაყვა), ე. ი. ღარი,
დამშალი არისო.

პირიქითი სავსურეთი


უვიკრობა

მატყლის ქსოვილება

მთხრ. ლელა სულხანაურის ას. ბალიაურისა, 72 წ. (სოფ. ახიელი, არხოტის თემი).

ჩვენ მატყლის ტალავარს ვიცომათ საკუთარ კელით გაკეთებულს. მატყლ ზოგ მბილი-ას, ზოგ მშრალ. ყველაზე უფრო მშრალ მატყლი იპარსების ენკენისთვეში. კრაველ ბატკნის მატყლს ზქვიან, იპარსების მარიამობისთვეში. რისვმ უფრო მბილი-დ' ხარჯიანი, იპარსების მისში.

მატყლ ჯერ გადაერჩევის რეცხის დროს. რაიც კაია, ცალკე გადაერჩევის საქსლოდ, რაიც ნაგაბარ დარჩების მოკლე, ნეზვიანი, აიმას ბაყონნ-ბქვიან. ბაყონისთვის სათათედ, საწედოდ, საცალმუცლედ, საწვეერკოვდა-დ' სასაგებლედ.




სურ. 31. საორცხალი (საჩეჩელი)

გადარჩეულ მატყლს ვსჩეჩთ ან თაოდ, ან მჩეჩელს შავეყრით. საორცხალ-თაზე გავსჩეჩთ საორცხალი-ას მუკლებზე შამასაცმელ, რომენსაც უბიან საორცხალი-ბქვიან, მეორენ — ქალაქურნი, რომენზედაც მუკლებ ზედ იდგმის.


უბიან საორცხლის სიგანე ორ მტკაველ იქნების, სიმაღლეც — ორ მტკაველი-დ' ერთ გაშლილ ჭელი. უბიან საორცხალს თაოდ კაცებ აკეთებენ. ცირკონული ლეზიც ცოტარ-აქვე ქალაქურ საორცხლზედ.

ჩეჩის დროს გაჩეილ მატულ ორად იყოფის: კვირტი-დ' წვერი, წვერ კაი-დ' გქელბეწვიან მატულ, კვირტი კი მოკლე-დ' ნაკრებ მატულ მიღის.



სურ. 32 ტარი და სახრელი.

ერთხან გადაჩეილს ფოლიკაიც ხქვიანა-დ' ქაბილაიც; მემრ თორმეტ ქაბილა ერთად შაიკერისა-დ' იმას აკეცილარ-ხქვიან. სამ აკეცილას ერთად შაიკრულს, ერთ ფოლ-ხქვიან. ფოლს მეორედ გადავსჩეით, თითო მტკაველის სიგრ-



- 1 საკანაბ - 13428 ავტორი - 13428 ავტორი - 13428 ავტორი
- 2 საკანაბ შახ კარაქი - 13428 ავტორი - 13428 ავტორი - 13428 ავტორი
- 3 საკანაბ სახეობა - 13428 ავტორი - 13428 ავტორი - 13428 ავტორი

სურ. 33. ჯარა


ბისასა-დ' ნამტენარ-ხქვიან. ფოლს ნაგულა დასდების, რომენიც ნამტენაისად გამასადეგ არ ას. ნაგულას კიდე ვადასჩეიენ, ნამტენას გააკეთებენა-დ' გაასთვენ საწელოდ, სათათედა-დ' ბოლოთ-საკერებაად. რო ნამტენა გაინამტენების, მი-



ტანენ სახრელს, ტარს, მარჯვენაის კელით ტარს სახრელში აბრუნებენ. სახრელში
 ოთხკუთხ ხერ, შუა გულში ერთს გვერდზე ამათხრილი-აქვ სახრელის თვალში
 ტარმ რო კარგა იბრუნას, სახრელის-თვალს ამასწვენ ცეცხლით. ტარ უნდა იყ-
 ვას ძალია სწორა მბრუნავი.

ნასთიან ტარს ერთ ჭარატარბ-ხქვიან. ჭარატარზე ნასთ ორდოლად ეხვე-
 ვის. ჭარატარ ჩაედების ჭარასა-დ' დაიძახების.

დაქსელვა. სამის ნაირის ტოლს ვხქსოვთ: ორშიანს, წალმ-უყულმართასა-დ'
 ცალპირას. ორშიანს ორ შე ედების, შამაყრაიც უნდ. წალმ-უყულმართა ქსელში
 ერთ წალმ ნაგრებს თხორ იქსელების, ერთ — უყულმ ნაგრები. წალმ ნაძახ თხორს
 ქვე დავშევნით, უყულმ ნაძახს ქვე არ ცალპირა, უბრალო ტოლრ წალმ ნაძახი-დ'
 ერთ შე ედების. ორშიანს სატანისაცმლედა-დ' საფაფანაგედ ვკმარობთ. წალმ-
 უყულმართა ტოლ ყველადა იკმარების: სატანისაცმლედა, სამანდლედა, სასადია-
 ცოედ, საჩოკედ, საპერანგედ, საქოქომოედ. ცალპირა ტოლიც ყველადა იკმარ-
 რების. უფრო მაგარი-დ' უფერ საქსოვიც ორშიანს.




სურ. 34. ჭარა და ჭარატარები

საქსოვი იარაღები. 1. ბეგი, რომნითაც საზედო ძაბი-იბეჭების; 2. ცხემ-
 ლი, რომენზედაც გახვეული საზედო-დ' ქსელში ძვრების (ასრულებს საფეიქ-
 რო მაქოს დანიშნულებას); 3. ფხინით გარა მიგვე-მაგვეყავ; 4. წიწუ, რომნითაც
 ვაწიწუებთ (ერთიმეორეში გადახლართულ ქსელისა და მისაქსელის ძაფს არ-
 ჩევს, ცხემლის შეუცდომლად გასაყრელად).

უდებს ამაქრლი-აქვ საქიჩურები, კიჩთ ჩასადგმელები. კიჩებს საშევარ
 გარა უქერავ მაღლად. თითო საქიჩურის შუაში ერთ მტკაველ იქსოვების,
 სრუ — სამ საქიჩურს, სამ კიჩის შესრულებას ერთის უბის მაქსოვარ-ხქვიან.
 ერთ უბის მაქსოვის მემრ ქსელ ჩამაქანდებისა-დ' იმ ზომაზე დადგების ლვილ-

ზე, რომ გაბეჭვან-ხეგრედებოდას. ყდის სიგძე რუა ადლი იქნების ვებით.

წვერთით მაქსოვილ ტოლს გამადის ხუთმეტი მკლავი.



- 1 მსოპი, შავიკაჲს სპისოთ ნიქიჲს, 2 შიქი, 3 შიქის ნიქიჲს, 4 სპისოთ ნიქიჲს, 5 სპისოთ ნიქიჲს, 6 სპისოთ ნიქიჲს, 7 სპისოთ ნიქიჲს, 8 სპისოთ ნიქიჲს.

სურ. 35. ქსელის სქემა ყდაზე

მ ღ მ ბ რ ა

ვლებულობთ შავად, ლურჯად, ცისფრად, წითლად, ყვითლად, სისვად (მწვანედ). სრუ ყველის ფერისას თაოდა-დ' თავის საღებავებით ვლებულობთ.


შავად [შეღებვა]. მურყნის ქერქს ორ წყალს დუღილით დავუშრობთ, მესამეს წვნად დავუყენებთ. მეორე წვენს გაღმავსწურავთ ცალკე ქვაბში, ნელ-თბილში ჩაეხურით ძაღას, ჩაერთვის რაიც შასაღებავი-დ' წამადუღდების; ამავიღებთ, გავლრეცხთა-დ' მზეზე გავაშრობთ.

ლურჯად შასაღებავად ნაცარს წყალში წამადუღებენ; ორ წყალს დუღი-ლით დაუშრობენ, მესამეს წვენად დაუყენებენ, გადასწურვენ ნაცართვალს (ნაცარწმინდას), რომენსაც ტუტამბიღრ-ხეჯიან. საღებავ ლილას ჩასდებენ სა-




ლილე პარკაში წონით სამის ფულისას სადიაცოსად, ჩოჯის შესაღებავად, ცალ-ცალკე თითოსად. მემრ ამ პარკაშით ლილას გაუშობენ; ტუტაში დაყენების მესამეს დღეს ნაცარტუტას დაასხმენ ერთ ჯამ მწურეს (ძროხის შარდი), ერთ ჯამ ხარშოს სველს, მემრ უბრალოს რას ჩააგდებენ გაშაშინჯავად, შაღებავსა თუ არ. თუ ლურჯად შაღებ, მემრ შიგ ჩასდებენ ჩოჯას ან იმას, რაის შაღებვაცი უნდ. მეხუთეს დღეს, თუ კარგად შეეციოდ, ამიღებენ, სადაც დაჭრე-ღებულნი, სალილეს გაუსმენ, გააშრობენა-დ' მემრ ხარშოს სველში გაღრეცხენ, გააშრობენ, წმინდას წყალში გაღრეცხენ და ტოლიც მზას იქნების შაღებილი გასაკეთებლად.

წითლად ენდროში ვლებულობთ. ენდრო — ბალახის ძირი წითლის ფერი-სა. ენდროს დავდნაყთ, ქოთანში ჩავაღობობთ. მეცხრეს დღეს შავღლებავთ (ლე-



- 1. ბეჭი
- 2. ცხაქლი
- 3. ზინიში ძარა
- 4. ნიწუ




სურ. 36 საქსოვი იარაღები

ბი თავისებური მომყოფო გემოსარ, კლდეში ვცკრეთო, ყველკან კი არ ას). ლებს ჩავხყრით წყალში, ქვიშას ძირში დაიციემს, თავზე მეთვე წვენ დადგების, წვენს გაღმავსწურავთ. რაის შაღებვაცი გვინდ, ლების წვენში ჩავსხამთ, წამაეადუ-ლებთ. ემას ხქვიან შაღებვაცი. შაღებულებს გავღრეცხთ წმიდას წყალში. ჩავს-დებთ იქვე წმიდაწყლიან ქვაბში, დავასხამთ ცხრა დღეს ნალობთ ენდროს, წა-მავადულებთ. ამადულებულს ამავიტანთ, ბაკანში ჩავსხამთ, თავისავე წვენს და-



ვასხამთ. დაგრილებილდე ნაცარს დავაყრით, მზეზე გავაშრობთა-დ' გავღრცხებთ. ცისფრად იქავ ისრ ვღებავთ, რაჭელაც ლურჯად. ცისფრად შასაღებავს ტუტაში ცოტახან დავაყენებთ. ცისფერი, — ლაღად შაღებილ ლურჯი.



- 1. ყლანი.
- 2. სოღეპი
- 3. ცხილეპი
- 4. სხარეპი ბაჟა
- 5. სხუჟიპი ბაჟა
- 6. სხუჟიპი წაჟკლა
- 7. სანთონი
- 8. ქორეპი

სურ. 37 ყლანი

სისვალ (მწვანედ) შეღებვა. სისვი ჯერ ტუტაში დაიცისფრების, კიდე ლაღვარად. შაბს გამავადნობთ წყალში, ამავადუღებთ შაბიან წყალსა-დ' შასაღებავ ტუტაში მაკეთებულ ტოლს. წამადუღებულს დავაყრით წერთხალის თოშს (ფოთოლს) გამჟმარს. ცოტად წადუღებილდე ამავიღებთ. ამავებილდე სხვაში რაში ვადიღებენა-დ' ტოლს, წერთხალის თოშსა-დ' წვეს ერცხვაში, ერთად ყველას ზე დაასხმენ მწურეს (ძროხის შარდს). უმზეოდ, გრილოში გავაშრობენ, მემრ გალრეცხენა-დ' სისვალ იქნების შაღებულ, სხვა აღარა უნდ.

ყვითლად შასაღებად წყალს გავათბობთ. გამთბარ წყალში შაბს გამავადნობთ, შიგ ჩავსდებთ შასაღებავს. წამადუღებილდე დავაყრით წერთხალის თოშს. ცოტად წამადუღებილდე ამავიღებთ, სხვაში რაში გავაჯარაღებთ, ზედ მწურეს დავასხამთ. უმზეოდ გავაშრობენ, მემრ გალრეცხენა-დ' ყვითლად იქნების შაღებულ. ყვითელს იქავ ისრ უნდ შაღებვა, რაჭელაც სისეს, მარტო იშა-შია გარჩევა, რო სასისვედ შასაღებავს წინ-წინ ტუტაში უნდა წამაკეთება.

კაცის ჩოჯან იღებების ლურჯად, წითლად, შავად. დიაცის საღიაცო იღებების შავადა-დ' ლურჯად. კაცის შაღვარი იღებების შავად, ლურჯადა-დ' ყვით-



ლად — ლოლოს ძირში. ამასთხრინ ლოლოს ძირს (ლოლო ბალახი), გაღრეცხენა-დ წყალში შესაღებავ ტოლსთან ერთად წამაადღებენ, გაღრეცხენა-დ უვითლის ფერისას მიიღებენ. ეესრავ შაიღებების ჰეკარაის ძირშიაც. უვითლად შაიღებების მჰეკარდღშიაც: მჰეკარდღს ჩახყრინ წყალში, წამაადღებენა-დ აისრ, უბრალოდ შაიღებების უვითლად. უვითელ შარვლებს ეებსა აღარ იცმენ. ძველად იცვემდეს.

უვითლად ლებავს დეკას თოშიც (დეკა მთის ბალახია, თოში — ფოთოლი). დეკის თოშს აღუღებენ, დუღილიდგე დეკის თოშს ამიღებენ, დამრჩალ წვენში შესაღებავს წამაადღებენ, გაღრეცხენა-დ უვითლად შაღებულ იქნების. უვითლად ლებვის დროს სუყველას ჩანაცვრა უნდების. საღებულოს წვენს (რაშიც შვიღება), რომენშიაც ტოლიც ძე, გაციროლ ნაცარს დააყრინ, ნაცირინს მზეზე გააშრობენ, გაღრეცხენა-დ იქავ გააშრობენ.

ბაჰიქებ იღებების (კაცისა) შავადა-დ ლურჯად. დიაცის ქოქლო ფაფანა-გი-დ მანდელ იღებების შავადა-დ ლურჯად, დიაცის ბაჰიქებ — შავი, ჩხირით მაქსოვილი. კაცის პერანგ იღებების წითლად, შავადა-დ ლურჯად.

ქ ა რ ბ უ ლ ო ბ ა

ნაქარგის სახელები: ნაქრელა, შიბა, კუდიქეულა, შატა, შიბაისგვერდ, ცალამჭარა, ციკავაკვა.

ნაქრელაით კეთდების კაცის ტალავერი: ჩოჯა, პერანგი, შალვარი, ბაჰიქები, გულისპირი, საგულე, საწვიები, ილიისძირები ტყავებისად, სათამაქოე, კელსახვიელა, ყელსახვევ კელისაქოცი, იარალთად სამხელ კელისაქოცი, სატალაბდე, საფუქრები, ტყავისა-დ ჩოჯის აბურნი, თათები.

დიაცის ტალავარში ნაქრელას წინავ არ ჰმარობდეს, ეებსა იკეთებენ. წინავ ნაქრელაით დიაცისად მანდელ-კეთდებოდ. ეებსა დიაცის მთელ ტალავარს ნაქრელაით რთვენ: მანდელს, სათაურას (თავსაცმელას), სადიაცოს, ქოქლო-ფაფანაგს, ტყავის ილიისძირებს, თათებს, ქათიბებს, კელისაქოცს. როგორც კაცისა, აისრ დიაცის ტალავარ ორივე კეთდების შიბაით. კუდიქეულაით, შატაით, შიბაისგვერდაით, ცალამჭარაითა-დ ციკავაკვაით კაცის ტალავარ არ იკერების. ამეგებით იკერების ყანწვილისა-დ დიაცის ტალავარი — სარაქელგინდაოდ ნაკეთები (ე. ი. პირველხარისხოვანი ქარგვის სახეებია შიბა და ნაქრელა, მეორეხარისხოვანი კი — სხვა დანარჩენი).

ნაქრელაის სახელები: ერთნაირ ნაქრელა-ას ხუთოცის ამაგდებისა, რომნითაც ქო კა პერანგ-კეთდებისა-დ ეემით გაკეთებულ პერანგი ძალია კაად ჩათვლებოს (ასეთი ჭვარდინად ნაქარგით გამოყვანილია რომბის მაგვარი სახე. — ა. ო.). მეორენაირად მანათიან ნაქრელა-ბქვიან.


მეორენაირ ოთხმოც ამოგდებისან — ოთხაბაზიან-ბქვიან (დაკერვა ოთხმოცი კაბიკი ღირდა ძველი კურსით. — ა. ო.); მესამენაირ სამოცდართ ამაგდებისან — სამაბაზიანი. ყველაზე ცოტარ-ას ოცდართის ამაგდებისა — აბაზიან ნაქრელა. წვრილ ნაფთულებზე დასაკერავ ნაქრელაის სახელები: აკუშურანი, პეპელანი ციცისფეკაი, კვერანი, ჩამაკოქვილანი, ისრისკილონი, ყანწიმებურანი.

შიბა სამნაირი: ჩოჯის შიბაი, ტომრის შიბაი-დ ორმაგ შიბა. ყველაზე მეტ პატივ ჩოჯისასა-დ ორმაგ შიბას სძე. ბევრაად ჩოჯის შიბა იქმარების საკაოდ.



მანდელში ტომრის შიბა არაში კეთდების. ორმაგ შიბა კირით საკერავი
ასა-დ' ბევრად არც იკმარების.

შენიშვნა: ხეცურეთში იქარგება მხოლოდ და მხოლოდ ტანსაცმელი. გან-
საკუთრებით რა, როგორ იქარგება, აღნიშნავთ ტანსაცმლის აღწერის დროს!
იქარგება ფერადი აბრეშუმით და თავისავე ხელით გაკეთებულ მატყლის შე-
ლებილი ბაწრით (ა. ო.).



სურ. 38. სააბრეშუმე გალი

საქარგავი იარაღები: ნემსი, ხისგან გათლილ სააბრეშუმე გალი, ექვსგან
აქვ ამპურილ, ექვს ფერ დაეხვევის.

1 ცნობები ტანსაცმლის შესახებ გამოქვეყნდება „მასალების“ 111 ტომში.

სეპი

შეიქრობა

მატყლის ქსოვილები

მთბრ. ლიზა ქავთარაშვილი, 48 წ. (ყაზბეგი).

ტოლის ქსოვა. საფაიქროს ნაწილები: შკამი, თულანა, სავარცხალი, შეები (ორი ცალი), ჭალაქია და წიწკი.

თოკებით ჩამოაბამენ ქანდარაზე. ტოლი იქსოვება ბატკნის მატყლისა. უნდა გავრეცხოთ ჩვენ ისა ერთხელა, მემრე სანჩ-სავარცხელს ვეძახით, იმაზე გავჩენთ. რო ვჩენთ, პირველად საქსოლს გამოვიღებთ და მერე — ზედას. მატყლ რო დავჩენავთ, გავკეთებთ რუდებს, მერე გამოუშვებთ ჩონგებს; ჩონგებს მერე დავსთავთ ტარზე. საქსელი წვრილად არის დართული და ზედა — სხვილად. ზედა მდორი უნდა იყოს და საქსელი — ნაძახი. ზედა მდორი იმით გამოდის, რომ ტარს უკულმა ვაბრუნებთ და საქსელ ძაფს კიდევ უკულმა არ ვაბრუნებთ. დაჩენვის შემდეგ ტიფილები კეთდება და ამ ტიფილებსაგან ზეღით მოკუნჭულ და გადაბმულ მატყლს რუდა ჰქვია. ჩონგების გაკეთების დროს უფრო წვრილად გამოუშვებენ მატყლს და ხელზე დაიხვევა, დახვეული უნდა იყოს მარცხენა ხელზე.

ტოლი შეიძლება იყოს წმინდა, ან მსხვილი და შეიძლება იყოს ჭრელი (თეთრი და შავი მატყლისა).

ტარზე დართულის ძაფს დავიქსავთ შკამებზე (შკამებზე, სკამებზე). მემრე ამონასკვამთ ხელზე, მემრე უწინა შეებში უნდა ამილას, მემრე — სავარცხალში.

პასუხები კითხვებზე:

1. ტოლი მოქსოვილ შალსაც ეწოდება და შალის ძაფსაც.
2. საქსოლი ტოლის მოსაქსოვი ძაფია.
3. წიწკი დეეს ჭალაქიაში, წიწკზე დახვეულია ძაფი. ამ ძაფით ქსოვს მქსოველი ტოლს. წიწკზე დახვეულ საქსოვ ძაფს ზედა ეწოდება.
4. საფაიქროს აქვს თოკის ორი საფეხური, რომელშიაც მქსოველი ფეხებს უყრის.
5. საქსოვით გაბმული ძაფი რომ არ დაიშალოს, ბოლოში ამონასკვამენ.
6. ტოლისაგან იკერავენ ჩოხებს, შარვალს, პაქიკებს, ყაბალახს. ყაბალახი იკერება რბილი მატყლის ტოლისაგან.



7. ხიფხა — ძაფების ორთენად გადაჯვარედინება. ხიფხაში ვალის ქვედა ნაწილი იბეჭება.

მთხრ. სოფიო გოგიშვილი შადურისა, 63 წ. (ყაზბეგი).

ტოლის ქსოვა. მატყლს ჯერ ნიადაგ გავრეცხთ, მემრე დავსწეწათ (ხელით), მამრე მოვღვებთ, საჩჩეჩელს დავიდგამთ წინა და გავხჩეჩთ იმაზე. [მატყლი] შუაზე უნდა გავყოთ და ერთ-კე ზედა დარჩება და ერთ-კე — საქსოლი. მემრე დავებნთ საპენტელით, მემრე რუდას ავახვევთ, მემრე ჩონგებს გამოუშვებთ და რთვას დავიწყობთ ისრივ. მემრე, როცა დავამთავრებთ რთვას, დავქსავთ ორ შკამზე (ერთმანეთის პირდაპირაა, ვ. ჯ.); 60 მარცვალი უნდა გაკეთდეს (განი). მემრე, როცა გავიქსავთ, ამოვასხამთ საშვეარ-სავარცხელში-კე. ზოგჯერა 100 მკლავი ტოლი დავიქსით-კე და ზოგჯერ კუჭი გვეტყინებოდა და გავჭირდით.

როცა მოვექსოვთ, მემრე გავთელამთ. ავადულებთ წყალს, ჩავლებთ ვასათელ ტოლს ადულებულ წყალში, გავწურამთ და გავთელამთ. თბილი ადვილად ითელება, ზოგჯერ სამი ამოსველებაც საკმარისია ვასათელად. მემრე დავახვევთ ჯოხზე და ერთი დღე, თუ მეტი, იქნება და გაშრება. ასეთი დამზადების შემდეგ, ვთქვათ, ოცი მკლავი შალი სამ მკლავს დაიკლებს.

პასუხები კითხვებზე:

1. შალი (ტოლი) შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის, ბედნ-ბედნაა მატყლი. უფრო სიღობა წითელ მატყლსა აქვს (წითელი, ანუ თიფთიკისფერი), — არის შავი და თეთრიც.
2. საქსოლი ძაფი დამახული უნდა, მაშინ წალმა ვაბრუნებთ და ზედა მდორნე უნდა და მაშინ წალმა გადაბრუნებულს უკუღმაც ვადავაბრუნებთ.
3. რუდა (დაჩჩილი მატყლი) დაიხვევა ბურთივით და მერე ამ რუდასაგან აკეთებენ ჩონგებს, რომელიც ძაფივით გამოშვებულია გრძალად და ხელზე დაიხვევენ.
4. შალს აკეთებენ ტოლისაგან (შაუთელავისაგან), მემრე ნემსზე წამოგებულია ზედა და იმითი იკრება, უკეთდება, ასე ვთქვათ, ბუსუსები და [მერე] მოეკრება ნაპირზე ფეხები (ფოჩები) და შემდეგ უნდა შეითელოს.
5. მოვი იგივე ფარჩაა.

ზ ო ნ რ ე ბ ი ს ქ ს ო ვ ა

მთხრ. მალიკო ხუციშვილი, 69 წ. (სოფ. გერგეტი).

ყათინის ქსოვა [ფირფიტებით]. ჯერ ოქროს ძაფს ხელზე დავქსავდით, მემრე ფიცრები ამოვასხამდით; მემრე იმას გაღვმართამდით და დაუწყებდით ქსოვას; ფიცრებს გადავაბრუნებდით, ზედას შავაყრიდით, დანით გავებნიდით და კავზე გამამბული იქნებოდა.

სახეების სახელები: ქათმის ფეხა (კანჭიანი იყვის), ირიბი სახე, მუხლიანი, თვლიანს მოექსოვდით და ჭანჭიკას ვეძახით იმას.


პასუხები კითხვებზე:

1. ქალმან-პაჭიკის, ბოხჩების, ტალავარის მოსაქარგავათ გაგრესდენ ვერცხლის ან ოქროს ძაფს ორწვერად და ნემსით კერავდნენ, სახეებს სახელები არ ჰქონდაო.


2. თითებზე დაქსავდნენ და მერე დაქსულს თითებზევე მოქსოვდენ. თითებზე შავი ძაფი და ოქრომკედი იყვის ურთერთში. ბტყელი მოიქსოვებოდა ხუთი თითისა და წვრილი (რგვალი) იყო ოთხი თითისა. ბტყელს ავლებდნენ წულეებზე და წვრილსა (მრგვალს) — ბოხჩებზე.

3. ხუთი თითით ქსოვის დროს სამი თითი ერთი ხელისა იყო და ორი თითი — მეორისა.

4. წვრილი (ე. ი. ვიწრო) ოქრომკედი იქსოვებოდა თორმეტ ფიცარზე. თორმეტივე ფიცარი რო გადატრიალდებოდა ერთხელ, მაშინ გეეღებოდა და



სურ. 39 საქსოვი ფირფიტა



სურ. 40 კავი

მეორეთ-კე გადატრიალდებოდა და ხიფხაა გაკეთდებოდა (საქსოვი ფირფიტის ზომა — 5,5 სმ X 5,3 სმ).

5. იყო სამ-სამი სანტიმეტრის ფირფიტებიც; ასეთ ფირფიტებს ქსოვის დროს ხმარობდენ 15 ცალს. ასეთი ფირფიტებით ნაქსოვი უფრო ბრტყელი (ე. ი. განიერი) გამოდიოდა (1 სმ. სიგანის).

6. საგულეზე და სახელოებზე მოსავლებად საჭირო იყო ორნახევარი არშინი ძაფი. მქსოველმა წინასწარ იცოდა, რა რაოდენობის ძაფი დაჭირდებოდა ამა თუ იმ სამუშაოსათვის.




სურ. 41 ძელის დანა

7. თითო ფირფიტაში ძაფის ოთხი თავი იყო გაყრილი, ორ-ორი ძაფი განასკვებოდა; ასე იყო გაყრილი და განასკვული ძაფი და იმ განასკვლებსა მატყლის ტყლაბ შევანასკვადით და მერე მოვაბამდით კავზე (რომელიც დამაგრებული იყო თავისი ორი კბილით კაბაში).

8. ქსოვის დროს ხმარობდნენ კბილს (ლორისას); ოქრომკედს რომ მოქარ-


გვდნენ, კბილს ნაქარზე გაუსვამდნენ და გაასწორებდნენ. იყო ძვლის დანაც, რომელიც ოქრომკედლს ბეჭნიდა.

9. ზედას შევაყრიდით და დანით დაბეჭნიდნენ. ზედაით ხმარობდნენ უბრალო ძაფს, რომელიც შეიძლება ყოფილიყო შაეიც და თეთრიც. თუ ზედა არ შეეყარა, ვერც როგორ ვერ მაიქსოვება ოქრომკედი და მკვიდრი ვერ გამოვა.




სურ. 42 ქარგულობის სახეები

10. ყაითანს ბოხჩებს ვავლებდით. ორს კანჭზე ვერცხლის ძაფი მისდევდა და ორს კანჭზე — შაეი ძაფი. თითებით იქსოვებოდა, ამაზე ძვლის გასმა არ შეიძლებოდა, გურგვლათ იქსოვებოდა. ამას ჯიბის ბოხჩებზე ვავლებდით (ჯიბის ბოხჩა-ქისა).




სურ. 43. 1 — სათამბაქოს სახე — ხარდავაი; 2 — მესის სათამბაქო; 3-4 — სათამბაქოს სახეები

ვერცხლის ძაფისას გავაკეთებდით ყუმბილას, მერე ტარხვეულას გავავლებდით ვერცხლის ძაფისას და შატს გაუკეთებდით და ამით შეიკვრებოდა ჯიბის ბოხჩა.



11. ტარბვეულას ვერცხლის ძაფისას რო დაახვევდენ, გამოვიდოდა შატი.
 12. კაბალაზე თეთრ მიტკალს გამოვაკერებდით შაგრა, იმაზე სახეს გავაკრავდით და იმ სახეს ნემსითა და ძაფით მოუვლიდით. კაბალა ფიცრის ოთხკუთხა ჩარჩო იყო, რომელზედაც გამოჰქრილ სახეს (ქალაღლისას) ძაფით დააბ-




სურ. 43. ბ 1 — ქისების თარგები; 2 — ქისის საქარგავი სახე; 3 — ბოჩნის თარგი; 4 — ბოჩნის საქარგავი სახე

ლანდებდნენ; მემრე იმასა დავაქსავდით თეთრი უბრალო ძაფითა და მერე ვერცხლის ძაფს ზედ დავაქსავდით და აბრეშუმის ძაფით კერავდნენ; ყვითლის აბრეშუმის ძაფითა ოქრო იკერებოდა და თეთრის აბრეშუმის ძაფითა — ვერცხლი.

კაბალა იყო ჩარჩოსავეთ, მთლიანი ფიცარი არ იყო.

13. **ჭანჭიკა** ვერცხლის ძაფის პატარაა თოლია.
 14. სახეები: ა) მუხლიანი, ბ) ქათმის ფეხა, გ) ჭანჭიკა, დ) ირიბი სახე.

შენიშვნა: ქისების, სათამბაქოებისა და სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილების საქარგავი სახეების ნიმუშები შესრულებულია მთხრ. შალკო ხუციშვილის მიერ გამოქრილი თარგების მიხედვით. [სურათები: 43 ა, ბ და 44].



სურ. 44. 1-2 — საქარგავი სახე ხალისათვის; 3 — სახე სხვადასხვა ქსოვალისათვის;
4 — სახე აბგისა ან ხალისათვის

მთიულეთი

შენიშვნა

მატყლის მსოფილვა

მთხრ. მარიამ ბუჩუკური, 60 წ. (სოფ. ქვეშეთი).

ფარდავის ქსოვა. მატყლი უნდა გავრეცხოთ, დავჩინოთ, დავართოთ, დავ-
ბვეწოთ ნართი. მერე შევღებოთ ფერადები ნაირნაირი, დავიწყოთ ქსოვნა.

დავდგამთ უღებს თავის რვილებით, საშევართ, გართი, ხელებით, სო-
ლებით, ცხემლათი. დაუსხდებით და მოვქსოვთ ორი ქალი ან თუ სამი. რანაირი
სახეებიც გვინდა, იმას ამოვარჩევთ — მთვარიანი თუ ვარსკვლავიანი და სხვ.

პასუხები კითხვებზე:

1. ქსელი და თხორი ერთი და იგივეა.
2. დაჩენის დროს აკეთებენ ფთილებს.
3. ქავლები — ფერად-ფერადი ძაფები, რომლითაც სახეები გამოჰყავთ
ქსელზე.
4. ხიფხა, „ხიფხა ჩაინასკვება; თუ ის ხიფხა არ გავითდა, ისე არ გამოვა,
ეგრე დაიწენის, როგორც ღობე“.
5. „გარა იმ ხიფხას არჩევს, ავწევთ — ჩვენასკვება და დავწევთ — გველ-
ბა ის დაქსული“.
6. ცხემლაზე დახვეულ ძაფს ზედა ჰქვია.
7. ხელები იგივეა, რაც ჩიქები („ჩვენ ხელებს ვეტყვით“).
8. დაძახვა შეიძლება ჯარაზედაც და ოსურ ტარზედაც.
9. ოსური ტარი გრძელი ტარია (თითისტარი. — ვ. ჯ.); ფეხზე დგანან და
ისე ართავენ.
10. ჩონგა ტარზე მატყლის დართვის დროს მკლაზე დახვეული დასართავი
მატყლია.
11. შალი ორნაირია: წალმართ-უკულმართა, ერთი წვერი წალმა დაირთვის
და მეორე — უკულმა და მერე ორწვერად დაიგრიხება. იმასაც ყდაშიცა ქსოვენ.
სხო, ის ქართული შალი, რომელიც არის, იმას საშვერებშიც და სკამშიც
[ქსოვენ].

სკამში როცა ვქსოვთ, იმას მინდორში დავქსავთ, მერე იმას საშვერებში
გამოვიღებთ, მერე — სავარცხელში და მერე ოთხმეტს გამოვშლით.

საშვეარ-სავარცხელში [ქსოვას] ანგარიში უნდა და სთვლიან ოთხ-ოთხს,
სათოლავს გამოთვლიან, შეიძლება იყოს 80 სათოლავი, 70 და სხვ. ეს იძლევა



შალის სივანეს. შალისათვის უკეთესია ბატკნის მატყლი, ფარდაგისათვის კი — ერთია.

ხალიჩა. ხალიჩას დაქსეღვა და მატყლი ერთი უნდა. ხოლო ხალიჩური ქსოვა სხვანაირად უნდა. დაქსეღლიში ამოვლებენ ერთ ჭავლს, განასკვამენ და მოსჭრიან და ახლა კიდე და კიდე. ზედას მოჭრა არ უნდა.

სახეები არის: მთვარიანი, ვარსკვლავიანი, კავიანი კვერი. ფარდაგს სამი წვერი უნდა და ხალიჩას კიდე შეიძლება ორწვერად ამოხვეული ძაფი ქონდეს. ჭეჯიში. დაქსეღლია ფერადი, ზედა კი უზრალო მატყლია და იმითი იქსეღლება. ბეჭით მაგრა ბეჭამენ.

ხურჯინი ჭეჯიშურიც იქსოვება და ფარდაგულიც. ზედაპირისათვის ცხემლაზე ფერადი ძაფი დეხვევა და იმითი გამოკაყეთ სხვადასხვა სახეები (ეს შამინ, როცა ხურჯინის სარჩული მიიქსოვება).

მთხრ. მარო ებრაღიძე, 50 წ. (სოფ. სეფე).

ხურჯინის ქსოვა. საქსოვ ხელსაწყოს ნაწილები: ყდები, რვილები, გასაძრობი ჯოხი და ამოსაშეენი ჯოხი. დაიშეენება დასაშეენ ჯოხზე, დასრულდა ისა, გასაძრობა და მერე დარჩება ამოსაშეენი ჯოხი. გასაძრობი და ამოსაშეენი ჯოხი უნდა დამაგრებული იყოს თოკებით ქიჩებზე. საშევრის ჯოხი რო დარჩება, იმის შემდეგ უნდა გაუკეთდეს გარა, მერე უნდა დავკედოთ ხოლგები (ყდებშია, რვილების გვერდზედა), რომ დაიკიბოს თხორი და მაშინ დავიწყეთ მუშაობა. ქიჩებზე საშევრის ჯოხი კარგად დაუჭირეთ, რომ გვედოს და კარგად იმუშაოს თხორმა. დავახვიეთ ძაფი ცხემლაზე. შავსწორეთ ნართის თხორი წკიპლაზე. თანაბრად დავიწყეთ მუშაობა. ეხლა გავატარეთ ცხემლა, ერთგნით მხარეს დაუფარავთ ახლა გარათ და მეორე მხარეს გავატარეთ კიდევ. პირველი პირი დავიწყეთ ცხემლაითა, მერე კიდენ დავჭერით წვრილი-წვრილად პატარ-პატარა ფერადი და დავაკეთეთ ჭავლები, დავიწყეთ იმ ფერადით მუშაობა. გავაკეთეთ ჭანჭიკა პირსახლართისათვის (რამიაც თოკს გაუყრიან), შემდეგ ისევ გადაუარეთ შავი ფერადი ცხემლაითა, შემდეგ დავიწყეთ ნაპირის ჭანჭიკა, [რომელიც] მთელხურჯინის თოღს გარშემო უვლის. დავიწყეთ ეხლა არშია, ეს გასრულდა და მერე დავიწყეთ მეორე, კიდევ ვუღის ჭანჭიკა; დასრულდა ის გულის ჭანჭიკაც და მერე სადათ გადაუარეთ შავი ფერადით. ეხლა დავიწყეთ გულის კვერი კავიანი და მერე ამგვარადვე მოვქსოეთ თავზედაც. როცა დასრულდება ჭანჭიკა და სადა შავს შემოვავლებთ, მერე დავიწყებთ სარჩულს. მიიქსოვა თოღი უბეური. სარჩულში არის სარჩულის ჭანჭიკები შიგადაშიგ (დაახლოებით ასე: წითელი, შემდეგ შავი ან ყვითელი, შემდეგ წითელი და ა. შ.).


ახლა ისევ დავიწყეთ ერთი ხურჯინის თოღის პირი და ამას მოსდევს ხურჯინის უღელი. უღელში დასტანდა ორი გამოჭრილი უნაგირისათვის, რომ თოღები კარგა დაეკიდოს უნაგირზე. მეორე თოღიც იგივენაირად რომ მიიქსოვება მთელი, მერე თოღის გვერდებს ძაფით შევკვრამთ, თოღების ჭანჭიკებში კი გაუყრიან ბაწარს (პირსახლართებს). ასეთ ხურჯინს თათრული ხურჯინი ეწოდება.

ხურჯინი ხალიჩური ან ხაოიანი. ფერადით ამოვავლებთ ორ-ორ ბეწვზე, მერე ცხემლაით გაუარეთ ზედა სამჭერ ან ორჭერ და გარასაც აუწევთ და დავწყეთ. როცა გადაუღლით ზედა (თითოეული გავლის შემდეგ გარას ასწევ-დას-



წევნი). ორჯერ რთ გაავლებენ, მერე დაბეჭავენ. ესლა ისევე დაეიწყეთ ფერადით მუშაობა, გადაუარეთ ზედა. თვითეული ფერადით მოქსოვის დროს კავლს მოსტრიაან (გრძლათ ან მოკლეთ).

ხალიჩური ხურჯინის თოლი რთ დასრულდება, მერე დაეიწყებთ სარჩულს და მოვქსოვთ ცხემლაით. მერე დაეიწყეთ ისევე უღელი, ასევე მეორე თოლი.



სურ. 45 ხურჯინის ქსოვა ყდაზე.

ხალიჩაც ისევე იქსოვება, როგორც ხაოიანი ხურჯინი.

ჩეჩიში, დაქსულია ფერადი ძაფი და მერე მიპყვებიან შავი და ლეგა ძაფით. ფარდავზე შეიძლება იყოს შემდეგი სახეები: მთვარიანი, ფოთელიანი, ვარდიანი (პატარა ფოთელები აქვს და ვარდიანს ეტყვიან), საწოლავიანი (ძველებურიან).

ფარდავზე (ქვევით) გამოხატულია საწოლავიანი სახეები, ხოლო მათ ზემოთ — ორი კავიანი კვერი.

პანჭიკები ფარდავზე თუ ხურჯინზე გრძელ ზოლად, ერთმანეთის თანმიყოლებით, გაჭიმული ფერად-ფერადი ოთხკუთხედები, სწორკუთხედები ან უბრალო ვიწრო ხაზებია, მაგალითად; წითელი, შავი და ა. შ. ყვითელი, შემდეგ წითელი, კვლავ ყვითელი და ა. შ.

მთხრ. ბიჭია სისაური (სოფ. იუხო, ხადის ხეობა).

ფარდაგის სახეები: კვერი, ჭვარი, კავი, ხრინკულა, ჭანკიკა.

წინდების სახეები: შიბაჰ, ჭანკიკა, წაცვლილა. ქსოვენ აგრეთვე, ე. წ. სკინან ხიან წინდას, რომელიც შეუღებავი ძაფებით არის ნაქსოვი და რომელზედაც გამოყვანილია სხვადასხვა სახე: კვერანი (შუაში), კავები (გარშემო) და ზოდები (ჭვარედინად).

საჯერული [ეწოდა] ხელთათმანს.

მთხრობლები: მარო ნაზლაძე, 30 წ.; თამარ ნაზლაძე, 23 წ. (სოფ. ზემო მღეთა).



სურ. 46 ფარდაგი

ფარდაგი. დამზადებულ ძაფს ახვევენ რვილებზე. წკიბლას ერთი პირი ძაფისა ზეიდან უვლის, მეორე — ქვევიდან. წკიბლა დაქსელვის დაწყების წინ ქვემოთაა. როცა სულ დაქსელავენ, მერე საშვერის ჯოხზე ქვემოთა ძაფებს ზემოთ ამოშვენიან (ძაფების ორი წყება — ქვეითა და ზევითა. ვ. ჯ.).

ხიფხა. ვიცით რომ გარას საშუალებით ძაფების ზემოთა ფენა ქვევით ჩადის და პირიქით. იმ ადგილს, საცა ძაფების ეს ორი ფენა ერთმანეთს გადაეჯვარედინება გარის აწევ-დაწევით, ხიფხა ეწოდებაო. [ძაფი] რომელიც დაშვენილია საშვეარზე, ის გარაის შიგნითაა, რომელიც უსაშვეროა, გარაის ზევიდანაა და იქ კეთდება თხორი.


კავს ჩიკაკავას ეძახიან, ქიჩებს — ჭელებს.

ფარდაგის სახეების სახელები: ვარდი, შთვარე, ჭანკიკა. ასეთ ფარდაგს ეწოდება წვრილსახიანი ფარდაგი (ამოქსოვილია წვრილი, ანუ პატარა სახეები). არის კიდევ თალიანი ფარდაგი.

ხურჯინის ერთ-ერთი სახეა, ე. წ. ნაუქი.



სურ. 47. ხურჯინის ცალი თვალი. ქაწვიკა.



სურ. 48. ფარდავის სახეები. 1—ვარდი. 2—მთვარე, 3—ნახუქი.

ხურჯინს გარეშემო აქვს შიბა.

ჯარას ვარდა ძაფი იმახება **სამახ ტარზე**. ასეთი ტარი ჩამოკიდებულია **კირკილაზე**. [ტარს] აქვს კვირისტაფი, აბრუნებენ ხელით.

შალის ქსოვის დროს საშევრები ჩამობმულია **ხარხიხაზე**. საშალე მატყლს პერტავენ **საპენტელათი**.

პენტვას იწყებენ დაჩეჩვის შემდეგ, ხოლო დაპენტელს ართავენ. მოქსოვის შემდეგ შალი **ითელება ლასტზე**. აღუღებულ წყალში ამოავლებენ შალს და შემდეგ **ლასტზე** სთელავენ გაგორების საშუალებით; შალს ასე შვიდ-რვაჯერ ამოავლებენ.

ს ა ბ ლ ი ს დ ა წ ვ ნ ა

მთხრ. გიორგი ყველაძე, 93 წ. (სოფ. ყველაანი).

თხები გვედავდის-კე და **საბლებსა ვწნავდით-კე** საბალნის ასაკიდებლათ.

საბლებს სწნავენ ჩიხრიხით. თხის ბალანი დაიფინებოდა, შემდეგ კისერზე **კირკალს** ჩამოკიდებდნენ, რომლის ხის ნაწილშიაც გატარებული იყო გრძელი, წვრილი ჯოხი. ეს ჯოხი თავის მეორე ბოლოთი გადიოდა ორ გადაჯვარედინებულ ბრტყელ ჯოხში. გრძელ ჯოხს ხელისგულებით ატრიალებდნენ თხის ბალანში და ტრიალის შემდეგ ბალანი **ჩიხრიხის** ჯოხზე ეხვეოდა.



სურ. 49. ჩიხრიხი

გ უ ლ ა მ ა ყ ა რ ი

შ ვ ი ქ რ ო ბ ა

მ ა ტ ყ ლ ი ს ქ ს ო ვ ი ლ ე ბ ი

მთხრ. ნინო წიკლაური, 35 წ. (სოფ. დუმაცხო).


შალის ქსოვა. სართავ ხელსაწყოს ეწოდება **ოსურაა**. მისი ნაწილებია: **სავარცხალი**, **ცხემლა**, **საშევარი** (ორია), **ჰალაქები**, **ჰანდარაა**, **სკამი** (რაზედაც მქსოველი ზის და რაზედაც **თულანაა** უდევს), **თულანაა** (ჯოხია, რომელზედაც მოქსოვილი შალი ეხვევა და რომელიც **სკამზეა** გადებული), **წყობლაა**, **საფეხურები** (რომლებშიც ფეხს უყრიან).

პასუხები კითხვებზე:

1. **სავარცხალი ბეჭავს** მოქსოვილი შალის ნაწილს ყოველი ძაფის გატარების შემდეგ (სიგანეზე).
2. **ცხემლაზე ძაფია დახვეული** და იმით უყრიან ძაფს.
3. **საშევრების საშუალებით** ძაფების ერთი წყება ხან ზევით მოექცევა და ხან — ქვევით. ერთ საშევარს, რომ ხელით ამოსწევნ ზემოთ, მეორეს ფეხით დასწევნ ქვემოთ, მერე პირიქით და ა. შ.

4. შალის სიწმინდე დამოკიდებულია ძაფის წმინდათ და სხვილად და-
თვაზე.

5. ფარდაზე და ხურჯინზე გამოყვანილი სახეების სახელები: ფათელიანი,
ბლაჯიანი, კვერიანი, მთორიანი. ბლაჯიან ფარდავს შიგადაშიგ საწოლავი აქვს.



სურ. 50. შალის ქსოვა ოსურაზე

ოსურაზე მოქსოვილ შალს რომ სირბილვ და მოქნილობა მისცენ, სთელა-
ვენ სათელავზე, რომელიც წარმოადგენს დაკბილულ, სქელ ფიცარს (კბილები
უღელტეხილებივითა აქვს), რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ აქვს საგვერდუ-
ლები, მოქსოვილი შალი დაიდება ასეთ დაკბილულ ფიცარზე, ზევიდან კიდევ



სურ. 51 სათელავი


ასეთივე დაკბილული ფიცრით აწებებიან და თან აგორავენ წინ და უკან ზემოთა ფიცარს, წინასწარ დასველებული შალი ამგვარად ითელება და რბილდება. ზემოთა დაკბილულ ფიცარს სახელურები აქვს, რომელთაც ხელს ჩასჭიდებენ გათელვის დროს.

მთხრ. თამარ აფციაური, 55 წ. (სოფ. წინამხარი).

ფარდაგის ქსოვა. ჭერ მატულ ავარჩევთ, დავჩნით, დავართავთ, ამოვხვევთ. მერე იმას კილენ ვავძახთ და ამოვკიფავთ; მღებვართან მივიტანთ, შავლებამთ. მერე ამას დავართავთ, თხორს ვეძახით, დავქსელამთ ამას. ჭერ ხო ამოვიფულია, მერე ამოვხვევთ მერე ჭავლები დაკეთდება, შეებმის და იქსოვება.

პასუხები კითხვებზე:

1. ხელსაწყოს აღწერილობა: მარჯვნივ და მარცხნივ აქვს ყდები, ზემოთ და ქვემოთ — რვილები, ყდებში — სოლები, ყდის ნაჩრეტებში — ქიჩები, სა-



სურ. 52. ყდები დაქსელილი



შევრის ჯობი, გასაძრობი ჯობი, ზემოთ — გარა, სულ - მალა (ქსელში.
 ვ. ჯ.) — წკაპლა (რომელიც დაწყების დროს სულ ქვევითაა), ხის ბეჭი.

2. საშევრის ჯობი ქიჩებზე უპერია ბაწრებს.
 3. საშევრის ლარი სქლათ დაგრეხილი ძაფია.
 4. ქიჩის ჩასაყრელი — რაშიაც ქიჩია ჩაყრილი, ჩამაგრებული.
 5. ფარდავის ძაფს სამწვერად უნდა დაძახვა, ხოლო შალის ძაფს — ორ-წვერად.
 6. დეპტი, ანუ თხორი ერთი და იგივეაო.
 7. ჩიკავკავა ხის კავია, რომლითაც გარას ასწევენ და დასწევენ, იმისდა მიხედვით, საქმე როგორ მოითხოვს.
 8. ფაღწუმები ან ფესვები ფარდავის ფოჩებს ეწოდება.
 9. შალი ორნაირია: ოსურა (შედარებით მსხვილი) და ყდის შალი (წმინდაა შედარებით ოსურთან).
 10. თვლანაზე შალია დახვეული.
 11. შალის საქოვი მეორენაირი ხელსაწყო ნაწილები: ქანდარა, რაზე-დაც ჩამოკიდებულია საშევრები; სკამი, რაზედაც დევს თვლანა; საშევარი, სავარცხალი, რომელიც გაიბეჭავს; საფეხურები, რომლებიც საშევარს აქვს; ჭა-ლაქეები, რაზედაც საშევრებია გაბმული.
 12. შალისაგან კერავენ: შარვალს, კაბას, ჩოხას, პაჭიკებს და სხვას, იყერა-ვენ ყაბალახებსაც.
- შალის სიწმინდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წმინდად დაარ-თავენ ძაფს ტარზე.

მთხრ. მაგდანა ბეჭაური, 17 წ. (სოფ. გამსი).

ფარდავის ქსოვა. მატყლი უნდა გაირეცხოს; როცა გაშრება, გაიჩეჩება, ახლა ფარტენას ვეძახით, წვრილად უნდა ჩავფარტოთ, მემრე დავართავთ. ტა-რებს როცა დავავსებთ, გადავახვევთ. მემრე ჯარას ვეძახით, იმაზე უნდა გავძა-ხოთ, გაძახილი უნდა ამოვკიფოთ. იმ ხიფებს შავლებავთ ფერადათ. მემრე ისევ უნდა გადაიხვიოს ის ხიფები და ნართები დაკეთდეს. იმ ნართებისაგან წვრი-ლი ჭავლები უნდა დავაკეთოთ ხელზე და შეებმევა ფარდას და მემრე დაუჭ-დება მქსოვარი და დაიწყებს ქსოვასა.

პასუხები კითხვებზე:

1. საქსოვი ხელსაწყო ნაწილები: ყდები (ორი), რვილები (ორი), ქიჩები (ორი). საქიჩეები (ზოგს შვიდ-შვიდი აქვს ამოჭრილი, ზოგს ექვს-ექვსი), საშე-ვარი, წკიპლები, სოლები (ორი), ცხემლა, ბეჭი, ფხინა (შალს ასუფთავებს, დაახლოებით 25—30 სმ სიგრძის ხის ფირფიტა).
 2. გარა არჩევს ქსელს, ამბობენ, მოვაგარავეთო.
 3. თხორი რვილებზე დაქსელილი ქსელია.
 4. დეიპტი სიგანეზე გაბმულ ძაფებს შორის დაბეჭვის შემდეგ დარჩენი-ლი ადგილია.
- სახეები: კვერიანი, საწოლიანი. კვერიანი ეწოდება, როგორც რგვალი მოყ-ვანილობის სახეს, ისე ოთხკუთხსაც და სხვაგვარსაც.



მთხრ. მარიამ ბეჟაური, 60 წ. (სოფ. კიტოხი).

საფაიქრო [ხელსაწყოს] ნაწილებია: ყდები, ქიჩები, ტოლი ჯოხები, და საშვერის ჯოხი), რვილები, ცხემლაი, ბეჭი, სოლები.

თხორი — დაქსელილი ძაფი, რომელზედაც შემდეგ ქსოვენ.

საქიჩები — სადაც ქიჩებია ჩამაგრებული.

წკობლა — წკებლაა, რომელზედაც შალის ქსოვის ღროს თხორის უკანა ძაფები ზემოდან ქვემოთ, ხოლო წინა ძაფები ქვემოდან ზემოთ ეღება, იმისდა მისხედვით, ქსოვა როგორ მოითხოვს.

სახე ხალიჩური შიგნიდან გლუვია და ზემოდან, მოქსოვის ღროს კრეკავენ. არსებითად ზემოხსენებული სახე ხალიჩური კი არ არის, არამედ ხალიჩის ყაიდაზეა მოქსოვილი, ე. ი. ქვედა პირი არა აქვს (ფარდავს ორივე პირი კარგი აქვს). ხალიჩურისათვის ხმარობენ სამწვერად ამოხვეულ ძაფს.

პთიულეთი

მ ღ ე ზ რ ო ბ ა

მთხრ. მარიამ ბუჩუკური, 60 წ. (სოფ. ქვეშეთი).

მწვანედ შეღებვა. ბუარას ფოთოლია, მოეხარშამთ იმ ფოთოლსა 1—1½ საათის განმავლობაში, მერე ჩაედებდით ზიფსა და ერთი საათი იქნებოდა. ისევე ცხელს ამოვიღებდით და სპი-ოთხი დღის განმავლობაში ძროხის დამკვებულ შარდში ჩაედებდით მზიან დღეში და გადავაბრუნ-გადმოვაბრუნებდით. მერე ამოვიღებდით. გავაშრობდით, გავრეცხდით და კვლავ გავაშრობდით. საქონლის შარდი ჩახვირამს და აღარ გახუნდება.

შავი ფერი მურყანის ქერქის ნაღულში ჩადებით გამოდის, წითელი — ენდროში, ყვითელი — ქერთხელაში; ხეესურეთიდან მოგვაქვს, ჩვენ მთებშიაც მოიპოვება, ხოლო ბარად არ არის.

გულამაყარი

მთხრ. თამარ აფციაური, 55 წ. (სოფ. წინამხარი).

ყვითლად შეღებვა. ქერთხელა მოეხარშოთ, წვენი დადგებოდა და იმაში ჩაყვრიდით. ის დაყვითლული ყვითლადაც გამოდგება და თუნდა წითლადაც შევლებამდით.

პასუხი კითხვებზე:

1. ქერთხელის მოხარშვას ცოტა დრო უნდა, დილიდან დაწყებული გუთნის სადილობამდე.

2. ძაფს რომ ჩაედებდენ, „ერთი ბატარა, ცოტა ხანს წამოდუღდის და მერე გადმოვიღებთ“. შაბი არ უნდა.

3. ყვითლად იღებება კიდევ არყის ხის ფოთლებით, ვაშლის ქერქით და ლოლოს ძირით.



წითლად შეღებვა. სახლში რო კვარტლი იყო, იმას მოვხვეტდათ, იმაშინვე წითლად ჩავღებდით, დაყვითლდის და მერე წითელ ფერში ჩავღებდით და კარგა შავი ლებებოდა. ენდროს ძირს მოსთხრიან და იმდენ ხანს ადუღებენ, როგორც კერ-თხელას (ენდრო მარილივით უნდა დაიფქვას). კვარტლში ჩადებული უნდა გარეცხილიყო, გამშრალიყო და შემდეგ ჩადებულიყო ენდროს ნახარშიში; გამოდის წითელი.

მწვანედ შეღებვა. მწონე თხილის ფოთოლი მოვხარშით და შივ ჩავაგდებ-დით თეთრსა; წინ-წინ შაბში უნდა ჩავგვეგდო.

შავად შეღებვა (შავნია). მურყანის ქერქს ჩაყრიან ქვაბში და ბევრი ხარ-შვისაგან რო გათეთრდება, იმაზე შავატყობთ [რომ მზად არის]. წყალი რო კარ-გად გაშავდება, თავისუფალ ჭურჭელში გადაწურავენ, ისე კიდევ მეორეჯერ, მერე ქერქს გადაყრიან და იმაში თეთრს ჩადებენ. წინ-წინ ძალას ნადულში ან კვარტლში უნდა ჩავაგდოთ და მერე მურყანას ნადულში.

მთხრ. ნინო წიკლაური, 35 წ. (სოფ. დუმაცხო).

ყვითლად შეღებვა. კერთხელას ყვავილებს მოსწყვეტენ, უნდა ვახშმს მზებენ; მერე წყალში ჩაყრიან და ადუღებენ (ბატანის ხორცი მინამ შაინხარშე-ბა, მინამდინაო); მერე ჩაყრიან შაბს, ჩასდებენ ხიფებსაცა, გაცივდება და შემდეგ გააშრობენ. ბალახი ორი კონა და შაბი ორი კვერცხას წონაა საჭირო.

მთხრ. მარიამ ბეჭაური, 60 წ. (სოფ. კიტოხი).

მურყანის ქერქში ღებავენ შავად; თრიმლის ხის ფოთოლში, რომელიც მოჰქონდათ სხვა ადგილებიდან, შეღებილი გამოდიოდა ყვითელი და შავიც, თუ ძალას უზამდენ. თრიმლის ხის ფოთოლს ჩაყრიდენ წყალში და ადუღებ-დენ. მემრე ჩაყრიდენ ძალას და კიდევ ადუღებდენ; ადუღების შემდეგ ჩაყრი-დენ ხიფებს და ამოცივებამდე დასტოვებდენ.

ქერთხელა ღებავს ყვითლად. დაკრეფავენ და გაახმობენ. მერე ჩაყრიან წყალში და ადუღებენ, შემდეგ შაბს დააყრიან და ჩასდებენ ხიფებს და ადუ-ღებენ რამდენიმე საათს (რაც ბატანის ხორცს ხარშვა უნდა, იმდენი ხანა სა-ჭირო).

ენდროს ძირებში ცეცხლისფერად იღებება, აგრეთვე — ღვიძლისფერად და შავად. დავამტავეთ ენდრო, დავნაყით და ჩავღებდით ქოთანში. დასამტავებლად საჭირო იყო ორი კვირა. მერე ადუღებდნენ და შაბს ჩაყრიდნენ; თუ ჩქარა ამოიღებდნენ ხიფებს, ცეცხლისფერი გამოდიოდა, თუ შეათანად — შეინდის-ფერი და თუ გვიან — შავი.

მთიულეთი

ქარგულობა

მთხრ. ლუბა დაფქვაშვილი, 58 წ. (სოფ. ანანური).

ქარგაში იყო ხის „რამკა“, იმაში გაიჭიმებოდა ხვერდი, ატლასი ან აბრე-შუმი, თუ გნებავთ, კანვა და მერე ამაზე იკერებოდა ოქროთი, მძივით, ან ბა-



ტის ფრთასაც ვჭრიდით და ოქრომკედში ჩავაყრებდით და მეტისმეტად ლაშქრობდა ზათ გამოდიოდა. ოქრომკედს რომ შეეკერამდით, მერე ღორის ეშვით ვაპრობებდით.

კანვაზე როცა იყრებოდა სხვადასხვა სახეები, ე. წ. გარუხით, მაშინ ხმა-რობდნენ კარტს წვრილად დაჭრილს, რომელზედაც გადადიოდა ძაფი და სახის დამთავრების შემდეგ კარტზე გადასული ძაფი მაკრატლით იჭრებოდა.

საფულეები იქსოვებოდა ყაისნალით. იყო ისეთი ძაფი, რომელსაც სხვადასხვაფერი ქონდა (მაგ., მწვანე, შემდეგ ეს სიმწვანე თანდათან ბაცდებოდა, გადადიოდა თითქმის სიეთერეში და შემდეგ კვლავ მწვანე და ა. შ.).

ოქრომკედით იყრამდენ სარტყელ-გულისპირს და ყურთმაჯებს.

მთხრ. ელენე ჩოხელი, 40 წ. (დაბა ფასანაური).

ქარგა. ოთხკუთხა ჩარჩოა, რომლის ორი გვერდი დახვრეტლია. ერთი ფიცრის (ზემოთა) გამოძრობა შესაძლებელია.

მოსაქარგავ მატერიას სივანეზე მოაკერებენ უბრალო ნაჭერს. ჩარჩოს ქვეითა ჯოხი ვატარებელი იყო მოკერებულ მატერიაში. მერე ასევე მოაკერებდნენ თავში უბრალო ნაჭერს, შიგ ვატარებდნენ ზემოთა ჯოხს და შემდეგ ამ ჯოხს ჩარჩოს ორ დახვრეტელ ჯოხზე ჩამოაცემდნენ; ამის შემდეგ შეიძლებოდა გაკიშვა — ზემოთა ჩარჩოს, რომელზედაც ჩამოცმული იყო [ნაჭერი], ასწვევდნენ ზევით და, როცა სათანადოდ გაიჭიმებოდა, მერე დაამაგრებდნენ ნახვრეტში ჩხირით. დანარჩენი ორი მხარე მოსაქარგი მატერიისა ან „კნოპკებით“ დამაგრდებოდა ჩარჩოს დანარჩენ ორ მხარეზე, ან აქაც უბრალო ნაჭერს მოაკერებდნენ ან ძაფით ამოუხვევდნენ. იმას უკვე აღარ უნდოდა ძლიერად გადაჭიმვა, რადგან ორმხრივ სათანადოდ იყო დაჭიმული.

ფერადი აბრეშუმი იქარგებოდა მაუღზე, ხავერდზე და ტილოზე.

გარუხი და აბრეშუმი (ერთად) იქარგებოდა მარტო ხავერდზე და მაუღზე. ვინაიდან ხავერდს ბუსუსები აქვს, მოქარგვის წინ უბრალო ძაფით დაიბლანდებოდა მოსაქარგავი ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ძაფი ხავერდში დაიკარგებოდა. ბლანდი იყო ერთპირი და ორპირი. ორპირი იმ შემთხვევაში იყო, როცა ზოგიერთი ყვავილი ნაქარგში შედარებით მაღლა უნდოდათ დაეყენებინათ.

კანვა იყრება ხელზე. კანვაზე იყრებოდა გარუხის ძაფით და შალით. ქარგვის დროს აბრეშუმის ძაფი შეიძლებოდა ყოფილიყო ცალპირი და ორპირი. ცალპირი ძაფით ნაქარგი ლამაზიცაა და ნაკლებად ეტყობა ერთი ფერის ძაფის გადასვლა მეორე ფერის ძაფში, მაგრამ ეს მეტ დროს თხოულობდა.

მაუღზე და ხავერდზე ქარგავდნენ სირმით (აბრეშუმის ძაფია), ეძახდნენ სინელსაც. სირმა ოთხნაირი იყო — წმინდა ძაფიდან დაწყებული თანდათან სხვილდებოდა. გაჭიმულ ბალიშზე დავადებდით „უზორს“ და დაეჭკრეტლით ნეშით, დაეხამდით მაუღზე აქეთ-იქიდან ქინძისთავეებით, წაუსვამდით ზედ „პულრს“ ან კართოფლის ფჭვილს, რომ მაუღზე გადასულიყო; შემდეგ ავილებდით ამ „უზორს“ და ზედ (მაუღზე) გადასულ „უზორს“ დავებლანდავდით. ყველა „უზორი“ ჩვენ თვითონ უნდა გამოგვეყვანა სწორედ და, თუ სწორე არ იყო, შეგვესწორებინა. გამზადებულ „უზორზე“ დავიწყებდით კერვას, ეს იქნებოდა ფოთოლი თუ ყვავილი. ყვავილებს შორისაც განსხვავებაა: ზოგი მუქი



ძაფით იწყება და ზოგი ბაციტ; ზოგ ძაფს მეტს ჩამოუშვებდით და ზოგს — ნაკლებს. სხვადასხვა ფოთოლს თუ ყვავილს ფერადი ძაფების სხვადასხვა დენობა სჭირდებოდა. ფოთოლსაც ასევე, პირველად მუჭი ან ბაცი ძაფით და იწყებდით, ვერაღებდით ნახევარ ფოთოლს ღერომდე და შემდეგ მეორე ნახევარს — კვლავ ღერომდე, შემდეგ საყუთრივ ღეროს გავაყეთებდით.

სხვადასხვაფერის ძაფების მოხმარება, სხვადასხვა ყვავილისა და ფოთლის მოჭარგვა სხვადასხვაფერად, ეს უკვე მომჭარგველის საქმე იყო.

ხალიჩური ნაჭარგა. ავიღებდით მტკიცე ტილოს, გავჭიმავდით ქარგაში, შემდეგ დაეხატავდით ზედ „უზორს“, როგორც გვინდოდა; ავიღებდით შემდეგ ძაფსა და ნემსს და იმ „უზორებს“ გარშემო მივდედდით. პირველად კვარაღებით ადგილს; ადგილისათვის მოკლედ დავაყენებდით ნემსს, ყვავილისათვის კი გრძლათ დავაყენებდით, რომ ძაფი გრძლათ ჩასულიყო. როცა სულ მოვრჩებოდით კერვას, უკუღმა მხარედან „ჩოთქით“ წაუსვამდით შრეშს ან წებოს, გადმოვებრუნებდით მეორე მხარეზე და ადგილს ისევ ისე ვტოვებდით და ყვავილს დავჭირდით სისწორითა და დავეარცხნიდით.

პასუხები კითხვებზე:

1. გარუსის ძაფით ქარგვის დროს საჭირო იყო ადგილი (ფონი), რადგან ეს ტილოზე კეთდებოდა.

2. წებოს იმისათვის უსვამდნენ, რომ ძაფები არ გამომძვრალაყო.

3. ტილოზე პირდაპირ ხატავდნენ, სახეს გადაიტანდნენ გადასაყვანი ქალაქის საშუალებით, ფანქრით.

4. შალის ძაფით ქარგვის დროს და აგრეთვე ხალიჩურად ქარგვის დროს იხმარება განსაკუთრებული ნემსი, რომელსაც შიგნით ღრუ აქვს; ამ ღრუში გაატარებენ ძაფს. შეიძლება ნემსის სიგრძის დაკლებაც და წაგრძელებაც. სახეს („უზორს“) მისდევენ შიგნიდან და ასეთ ნემსს რომ ჩაუყრიან, ძაფი რჩება გარეთ (იმ სიგრძის, როგორც სჭირდებათ), შემდეგ მეორე ადგილას ჩაუყრიან და ა. შ. ასე აკეთებენ ხალიშის პირებს, ხალიჩებს, მუთაქის პირებს და სხვ.

5. კანვაზე გარუსის ძაფით ქარგვას იწყებენ უწვერო ნემსით; ჯერ დაიწყებენ არშისა და შემდეგ — შიგნითა სახეებს.

6. „რაგოჯა“ (კანვაზე) ნაჭარგია წინდურად, წინდის ყაიდაზე მოქსოვილი-ვით; კეთდება ხელზე; მეორე მხრივ სახეებიც წინდისებურია და იქსოვება შალის ძაფით.

7. კანვაზე შალის ძაფით ნაკერს ხალიჩური ეწოდება. სახეებიც ხალიჩისებურია; გარუსის ძაფით ნაკერთან შედარებით უფრო სქელია; ასე კვარავენ მთელ ხალიჩებსაც კი.

ოქრომკედი. ხვევრდს გავჭიმავთ ქარგაში ისევე, როგორც მაუდს. როგორი „უზორიც“ გვინდოდა, ამოვიღებდით საიდანმე, თუნდა ჩვენ თვითონ შევადგენდით. შემდეგ გარშემო დავკვრეთავდით ნემსით, დავაფენდით ქსოვილზე და დავაყრიდით „ბუღრს“ და შემდეგ ან დავებლანდამდით, ან ავიღებდით „კისტს“, ან ბატის ფრთას და გარშემო შემოიუსობდით და დავხაზამდით. ფოთლების კვალობაზე ამ „უზორებიდან“ გამოვჭირდით პატარა „კარლონებს“ და ნახატზე დავაფენდით იმ „კარლონებს“. ავიღებდით ოქროს ძაფს და ჩავაზამდით სხვა (ჩვეულებრივი) ძაფით იმიტომ, რომ თითონ ოქროს ძაფი რომ



გვეტარებინა, დაიწყებოდა. სხეულს შემოვატარებდით გარშემო და გულში ჩავამაგრებდით კუჭებს.

მეორენაირი ოქრომკედი. დაბლანდამდენ, მერე ოქროს ძაფით აკეთებდენ უჯრედებს. თვითეულ პატარა უჯრედის კუთხეებს ძაფით დაამაგრებდენ. ასე აკეთებდენ მეშუე და ხვეერღზე; რაიმე სახეს მოქარგავდენ, მერე იმას ამოს-
ჭრიდენ და რაზედაც უნდოდათ მიაკერებდენ.



სურ. 53. საქარგავი ნემსი



სურ. 54. ჯვრიანი სახე (ჯარდაგის)

მუყაიში — რამდენიმე წვერად დაგრეხილი ოქროს ძაფი. სირმა მოკერებუ-
ლი იყო მამაკაცის ტანსაცმელზე, გულმკერდთან — ქულაჯებზე, ახალუხზე და
სხვ.

სხეულს და მუყაიშს ხმარობდენ ლეროებად. ძაძა მოუქარგავი, უარშიო
ლეჩაქია.

ფარდაგების სახეები: **ჯვრიანი, მანიანი, ხალიჩური** (ეწოდება ხალიჩები-
დან ამოღებულ წვრილ სახესო).

ქართლი მშპპრის ჩრდილუთით

შეიქრობა

მატყლის ქსოვილება

მთხრ. ელენე პავლიაშვილი, 55 წ. (სოფ. ზოტიკიანი).

შალის ქსოვა და საფეიქრო. შალათ კარგი იყო ბატკნის — შემოდგომის მატყლი. ერთხელ გაერეცხამ ამ მატყლსა, მერე საჩეჩელზე უნდა გაიჩეჩოს, დაირთოს ტარზე, მერე უნდა დავექსელოთ, გავაბათ შინდლოში, გარეთა. მერე დგომს ვეძახით, იმაში უნდა გამოიჭიდოს დაქსელილი და მერე კიდევ დგომიდან სავარცხელში უნდა გამოიყრიდოს, ბოლოს მოვექსოვთ.

პასუხები კითხვებზე:

1. აქეთ და იქით ამ ხელსაწყოს (საფეიქროს) აქვს ბოძები, ზემოთ და ქვემოთ — ხიდები, კიდევ — სავარცხელია და დგომები.
2. ტარზე შეიძლება დართვა ერთწევრად, ორწევრად და ა. შ.
3. მოქსოვილ შალს ხმარობენ ჩოხებად, შარვლებად და ბალღების პალტოებად.

მთხრ. სალომე ჭონქაძე, 52 წ. (სოფ. ყვავილი).

ფარდაგის ქსოვა. ცხვრის მატყლს გავრეცხავთ, ვჩეჩავთ საჩეჩელზე. მერე თითისტარზე დეერთვება, ამეეხვევა სამწევრათ, მერე ჭარაზე უნდა დაიძახოს (დაივრიხოს). გორგლათ ამოვანხვეთ, გორგალს დავაშულავებთ, მერე შულოებს შევეღებავთ სხვადასხვაფერად. ფარდაგის ქსელსა არ შევეღებამთ, მაგრა დავძახამთ და იმ ძაან დაგრეხილ ნართს დავქსელავთ. მერე იმ შულოებს ისევ ამოვანხვეთ გორგლებათა.

ძაან დაგრეხილ ნართს, ყდაზე დაქსელილს და შეღებილ ნართების გორგლის პატარა ხიდებს (ჩანჩუხებს) დავაკეთებთ, იმ ქსელზე ჩამოვადამთ და დავიწყებთ პირველად არშიასა. ის არშია გათავდება ათასფერი ნართით. არშია გათავდება და გულს დავიწყობთ. გულში ჩავყრით ათასფერი სახესა, როგორც — საც ყურნალიდან ამოვიღებთ ან — სხვას. მერე, როგორც პირველ დაწყობაზე, არ დავიწყობთ არშიასა, ისე გარეშამო, ოთხსავე კუთხივ უნდა მიჰყვეს ის არშია. მერე ზეიდანაც რო არშიას გაუთავებთ, ამოვეკრით.

ფარდაგი რაზედ იქსოვება? პირველად დაეძგავთ ყდასა და გაუყრით ხიდებს თავ-ბოლოსა და დაბლა მხრივ სოლებს გაუკეთებთ ხიდებში. დასაწყისად ვია, რომ მაგრა დადგეს, მერე იმაზე ბოლოში წკეპლას დავაკრამთ. ახლა ყდებში დაუკეთებთ ჩიქებს და ჩიქებზე დავაკრამთ ორ ჯოხს, [რომელთაც] გარა ჰქვია და საშევარის ხე. ჩიქაზე ამოგკრიფამთ, დგომს ვეტყოდით, ახლა იციან საშევარი. როცა იმას ამოვშვევით სულ მთელსა, მერე გაუყრით იმ დაქსელილ ნართში გარას. მერე გარას კავით ავწვეთ და დაწვეთ და თან გარას, რომ ავწვეთ და მოვქსოვთ და დაწვეთ და მოვქსოვთ, ბექს დავკრამთ.

პასუხები კითხვებზე:

1. შულოს მუხლებზე ახვევენ.
2. დაძახვა ხდება ჯარაზე, დაგრეხვა -- სართავზე.
3. შულოებს გორგლებად ამოახვევენ შეღებვის შემდეგ.
4. ხიფს ჩანჩუხასაც უწოდებენ (ეს უკანასკნელი ძველი სიტყვაა).
5. მატყლი არის: გრძელბეწვა — მშრალი მატყლი, ხმარობენ ქსლათ (შემოდგომის მატყლია) და გაწაფხულის — ბატკნის მატყლი; ეს უკანასკნელი კარგია შესაღებად.
6. ფარდაგი შეიძლება იყოს სადა, ანუ უსახო და ზოლიანი ან სახიანი. ფარდაგი იხმარება ტახტზე გადასაფენად ან პურის გასაფენად და სხვ.
7. დარძლი ტომარაა პურისათვის, ზოლიანია ან უზოლო.
8. ჭეჭიმი უნდა დაიქსელოს; ფერადი ზოლები აქვს სიგრძეზე, სახეები არა აქვს, ვიწროა და გრძელი.
9. მაფრამა. შუაში ჭეჭიმივითაა მოქსოვილი, ხოლო ნაპირებზე სახეები გამოყვანილი.

მთხრ. ოლა ლალიაშვილი, 50 წ. (სოფ. ბაზალეთი).

ფარდაგის ქსოვა. ცხვრის მატყლს ერჩევა ბირკა და კვირტი, ირჩევა ცხვრის შარდით დასველებული მატყლიც. დარჩეულ მატყლს გავრეცხამთ. მერე დავართამთ იმას ჯარაზედა და ტარზედ. დავგრეხამთ იმას სამწვრად. მერე შევლებამთ შაბში, მერე რაფერი საღებავიც გვინდა, ისეთ საღებავში გავავლებთ. მემრე, როცა გავფენამთ მიუზედა, გაშრება კარგად, შემდეგში გავრეცხამთ იმას ცივი წყლით. მერე გორგლათ გავაკეთებთ, ისევ ამოვახვევთ. მემრე პაწაწინა ჩანჩუხებს ვეძახით, ხელზე დავაკეთებთ და ჩაბმული იქნება ფარდაგი, ყდებში იქნება დაქსელილი და ხელით ვატარებთ ძაფსა. რკინის ბექსა ვხმარობთ და ცალი ხელით ვბეჭამთ იმას.

პასუხები კითხვებზე:


1. ქსელი უნდა დავესლოთ ყდებზე; იმას მემრე ექნება საშევარი და სარჩევი აწევ-დაწევით.
2. ბირკა ბალახია, ცხვრის მატყლს ეყვრის.
3. კვირტი გადაუბმელი მატყლია, რომელიც ძაფს არ იკეთებს.
4. ღუმის მატყლი, რომელსაც ცხვარი ისველებს, გადასაყრელია.
5. მატყლი წინასწარ რამდენჯერმე უნდა გაირეცხოს და გაშრეს. შემდეგ

საჩეჩელზე გაკეთდება ფთილადა (ფთილა — საჩეჩელზე დაჩეჩილი ორკეცრის მატყლის ნაწილი). დართულ მატყლს ახვევენ სამწვერად სამ თითისტარზე გრეხავენ ჭარაზე; მერე ამოახვევენ გორგლათ და შემდეგ შულოებად ახვევენ.

6. სახეების სახელებია: ა) მანები, ბ) წვრილი სახე, გ) მთვარიანი სახეები (ფარდაგზე); [ფარდაგს] არშია აქვს, შიგ სახე იწყება ვიწროდ, შემდეგ ფართოვდება, მერე კვლავ ვიწროვდება და ბოლოს ახალი სახე იწყება და ა. შ.

სამვარიანი სახეები: ერთი სახე რომ თავდება, იწყება ორი, ორი რომ თავდება, იწყება ერთი და ა. შ.

7. ხურჯინს აქვთ და იქით აქვს თვლები, ხოლო შუაში უღელი.



სურ. 55. ფარდაგის სახეები

მთხრ. ნატო ტატუნაშვილი. 32 წ. (სოფ. ყანჩაეთი, ქსნის ხეობა).

ფარდაგის ქსოვა. მატყლს გავრეცხამთ სუფთათა და გავჩეჩამთ საჩეჩელზე, შესდგება ფთილები საჩეჩელისაგან. მერე იმ ფთილებს დავართამთ თითისტარზე. ჭარაზეც შეიძლება. ამოვახვევთ სამწვერათ, ქსელი უნდა სამწვერი და ზედა უნდა ორწვერი. ჭარაზე დავძახამთ, დავგრეხამთ. ქსლათ რაც გვინდა, ის თეთრათა რჩება და ზედას ვეძახით კიდევ, ის ფერადები რაც არის, [იმითი] ზედა უნდა დავაფერადოთ.

ორი ყდიანი ზეა (გვერდის ხეები. — ვ. ჯ.) და თითოც — მალა და დაბლა, ხიდებს უტყვით იმასა. ეხლა დავქსელამთ, მერე ეხლა იმას ფერადების მოხმარება უნდა. ამოვხიფამთ ხელზედა, პატარ-პატარა ხიდებს გავაკეთებთ ხელზედა, ყველანიორ ფერადებს გავაკეთებთ. ჩვენ გვაქვს საბეჭი, ხოდა, თითო ძაფს ამოვიღებთ, თითოს გაუშვებთ, ამოვკრიფამთ ხელითა და მეორეზე სწორეთ გამოუღებთ, სწორედ გამოვიყვანთ; იმ პატარა საბეჭით დავბეჭამთ. მერე როგორიც გვინდა, სახეს ავარჩევთ ისითსა. ეხლა, მაგალითად, ყველანიორი სახე გამოიხატება: დიდსახიანი ერთი, დიდფათიან ეტყვიან, მეორე კიდევ მანიახს ეტყვიან, ყვავილიანიცა კიდევ.

პასუხები კითხვებზე:

1. ფათიანი და ყვავილიანი სახე სხვადასხვაანიორი შეიძლება იყოს, ხოლო მანიახი მხოლოდ ერთიანი.
2. ხიდები ყდებში დამაგრებულია სოლებით.



3. ზედა დახვეულია გორგლებათ და ქსოვის დროს ვახვევთ პატარა ბათო.

4. არ იცნობს საშვერის ჯოხს და გარას, შესაბამისად უწოდებს შუა ჯოხს და ზემო ჯოხს.

5. ქსელი დაქსელილია მთლიანი, ერთიანი ძაფისაგან.

6. მატყლის დახარისხება: ა) კვისტიანი მატყლი (მდარე, მოკლე, მოთელილი მატყლი); ბ) კარგი მატყლი.

ხურჯინის ქსოვა. როგორც ფარდავს, ისე უნდა ქსოვა, მხოლოდ ხიდები მოკლე უნდა იყოს და ქსელი ვიწრო. ჭერ მოიქსოვება თვალი, შემდეგში — უღელი; უღელი რო შეთავდება, ახლა მეორე თვალი კიდე მერე ამოიღება. ბაწრის გასაყრელებს (თვლებში) ყურფები ეწოდება, შიგ გაუყრიან ბაწარს.

უღელში სახე არ არის; უღელი ზოლი და ზოლია, შეიძლება [იყვეს] მართო ორი ფერადი.

მაფრაშა როგორც ფარდავი, ისიც ისე უნდა იქსოვოს, მხოლოთა ძირი სხვანაირათ უნდა იმას და გვერდები სხვანაირათ; ძირი უნდა იყოს ისეთი, როგორც ხურჯინის უღელი, ზოლი და ზოლი; ცალკე უნდა მაიქსოვოს ის ძირი, გვერდები კიდევ — შეფერადებული წვრილი სახეთი. გვერდებისათვის სხვა ძაფი უნდა დაიქსელოს.

მთხრობელი არ იცნობს: ღაზს, ძაძას, კრეტსამელს, ძოლოს, ორხოვას. მანდიკს, ვაშკარანს, ჩახუის, გუშლაგს, მოგს, ნარმას, მერდინს; არ ქსოვენ ჭეჩიმს და ხალიჩას.

ქილოვის ქსოვა

მთხ. მაშო ვერძეული, 60 წ. (სოფ. ბაზალეთი).

ტბაზე რომ წავალთ ჩალა უნდა გაიგლიჯოს. დილით უნდა წავიდნენ და საღამომდე, სამ საათამდე, კრფამენ ზოლზე ჩალას.


საქსოვნი ჩალა, რომელიც არის ამოსული, ერთბაშად კი არ გამოდგება საქსოვთა; გული უნდა ამოიგლიჯოს, მხრები მეშვეება, ისინი საქსოვნათ არ ვარგა. მოვიტანთ იმ ჩალასა, უნდა გაიფინოს და გახმეს. თუ არ გახმება და ევგრე ბინაზე შაინახება, დალპება. მერე იმას ავიღებთ და შევინახავთ ზამთრისათვის. ზაფხულობრივ იმისთვის არავისა სცალია, იანვარში უნდა მაიქსოვოს. მერე პირველი დაწყობა ჩალისა, დამუშავებაზეა; როგორც ნართი, ისე უნდა დაგრიბონ, მერე ხეზე დაიქსელება, ხიდებზე დაეახვევთ და სხვა, თავისუფალი, ჩალა უნდა შავაქსოვით. ჩალას წინა დღეს ჩავყრით წყალში, უნდა დასველდეს ერთი სათი, მერე უნდა ფარდავში შევახვიოთ, მერე მაიქსოვება. როცა შესრულდება, ამალდება ნახევრამდე, მერე სოლები უნდა გამააცალოს და დაბრუნდეს.

პასუხები კითხვებზე:

1. ძირს [ტბაში] რომ ჩალის კუნძია (ფესვები. — ვ. ჯ.), იმაზეა ჩალა და უნდა მეეგლიჯოს; ზოგს ძირიც ამოჰყვება და ის ძირი უნდა მეეგლიჯოს.
2. გლეჯავენ მხოლოდ ქალები, ტბაში ნახევრამდე (გულამდე. — ვ. ჯ.) უნდა შეტურდენ და ისე მოგლიჯონ.



- 3. ჭილობი იხმარება, როგორც საფენად სახლში [ისე] სიმინდისა და პურის გასაფენად.
- 4. დიდ ჩალის გულს ამოვლევენ და იმისი სამი ტოტი დარჩება ხოლმე. ჩალა მხოლოდ თიბათვეში ან მკათათვეში უნდა მოიკრიფოს, მერე წყალი ცივდება და ველარ გლევენ.
- 5. ერთი ჭილობისათვის საჭიროა 18 ხელი პურის ძნისოდენა ჩალა.
- 6. ჩალის გამრობას უნდა ხუთი მზიანი დღე. გახმება და მერე შაინახვენ (სახლის სახურავში ინახავენ).



სურ. 56. ჭილობის საქსოვი უდა.

- 7. მხრები მეფეშება — ჩალის ნაპირები დარჩება.
- 8. ქსელი — რაც ხელსაწყოზეა დახვეული.
- 9. ქსელი ორწევრად არის დაგრებილი და დახვეული, ხოლო მოსაქსოვი ჩალა დაუგრებია; როგორსაც მოიტანენ, ისევე ქსოვენ.
- 10. ჩალას იმისათვის ასველებენ, რომ ხელი არ გაუჭრას მქსოველს და ამავე დროს მტკიცედ მოიქსოვოს. ხმელი ჩალა საქსოვად არ ვარგა.
- 11. ჭილობის საქსოვი ხელსაწყოს ნაწილები: მარჯვნივ და მარცხნივ — ყლები, ზევით და ქვევით — ხიდები, სოლები ხიდებში.

მთხრ. ანო ჩილინდრიშვილი, 26 წ. (სოფ. მუხრანი).

ჩალას რო მოვიტანთ, მაშინვე კი არ მოექსოვთ იმას, ჯერ უნდა გახმეს; ზამთარში ვიწყებთ დაგრებას. ჯერა, როგორც თოკი, ისე უნდა დაიგრიხოს გძლათ. მხოლოდ დამბალი ჩალა უნდა დავერიხოთ, თორე ისე ხმელი ჩალა არ

ივრისება. იმ დაგრეხილ ჩაღას გავაშრობთ, სველით არ შეიძლება [ქსოვა], და ვახვეთ გორგლებათ, შემდეგში დავიწყებთ ყდების გამართვასა და მერე ზედ დაქსელვასა. რო დაქსელავთ, მემრე ჩაღას შევინახავთ, დავალბობთ და ვქსელამთ იმითი.

პასუხები კითხვებზე:

1. ხელსაწყოს ნაწილები: ყდები (მარჯვნივ და მარცხნივ), ხიდები (ზემოთ და ქვემოთ); იმ ყდებს კიდევ აქვს პატარა ნაჭრები, სოლებს ევახსით. ყდებს ზემოთ და ქვემოთ ამონაჭრები აქვს ორ-ორი.

2. რაც შემოსულია ჩალა, ისა სჯობია, ნელლი ჩალა არ ვარგა, რომელიც სველი ადგილია იქ იკრიფება კარგათა. თიბათვეზე ადრე ჩაღის მოკრეფა არ ვარგა.

3. წყალში ჩაღის დასალბობად 30 წუთი საკმარისია. თუ გვინდა, უფრო თეთრი მოიქსოვოს, წყალში ცოტა ხანს უნდა იყოს, თუ დიდხანს იქნება წყალში, შავი ფერის გამოვა.

4. ჩაღის დაგრეხვა შეიძლება რამდენიმე წვერად.

5. საჭილოფე ჩაღისაგან შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე გორგალი; დაქსელვის დროს ერთმანეთზე გადაინასკვება და როცა ქსოვის დროს იმ კვანძმდე მიადწევენ, მაშინ კვანძს გახსნიან და ძაფით გაკერავენ ორი გორგლის ბოლოს.

6. ჭილოფის დამთავრებისას ხმარობენ არა ჩვეულებრივ საქსოვ ჩაღას, არამედ დაქსელილ ჩაღას.

მ ლ ე პ რ ო ბ ა

მთხრ. სალომე ჭონქაძე, 52 წ. (სოფ. ყვავილი).

შავად შეღებვა. ნართი შავად იღებებოდა თავშავაში და თრიმლის ფოთოლში. თრიმლის ფოთოლს მოვხარშავთ წყალში (ერთი დღე და ღამე), შემდეგ ჩავყრიტ ძაღას (ფოთლის ამოღების შემდეგ) და შემდეგ ჩავდებთ ნაქსოვს. დილით რომ ჩავდებთ, სამხრობამადე შიგ უნდა იყოს.

ყვითლად შეღებვა. თრიმლის ხის გულში ყვითლად იღებება. თრიმლის ხე უნდა გაიჭერქოს, გასუფთავდეს, შემდეგ დაინაყოს, დაეინელიდეს, ერთი სათი საათი იხარშოს, მერე ის ჯოხები ამოიყაროს და ჩაიყაროს შაბი თავის შეზავებით, წამოდულდება და უნდა ჩაიდოს შულო.

წითლად შეღებვა. მოვთხარე ენდრო, გავრეცხე სუფთათა. დავნაყე წმინდათა, ის დანაყული ჩავყარე კასრი იქნება თუ ქვაბი, დავასხი წყალი. იმ წყალში უნდა იყოს ერთი კვირა. მერე ჩავასხამ ქვაბში და ვადულებ ოთხ საათს. მერე ამოვყრი იმ ენდროს, ავადულებ წყალს და ჩავყრი შაბს, იმ ნართს ჩავდებ შაბიან წყალში და ვადულებ ცოტა ხანს. მერე იმ ნართს ამოვიღებ. გავაშრობ, შემდეგ ჩავდებ ნადულარ ენდროში, შიგ იქნება ერთი-ორი საათი, შემდეგ გაირეცხება და გაშრება.

მთხრ. შაშო ვერძეული, 60 წ. (სოფ. ბაზალეთი).

ფანუზისფერად (ჯიგრისფერად) შეღებვა. ენდრო მზეზე უნდა ვახმეს, ძირები და ჭერქი შემეცლებ. მერე იმას დაინაყავს და თბილ წყალში ჩაყრის და



უნდა დიდხანს ადულოს, დააყაროს შაბი, მერე გადმოდგამს ძირსა და ჩააწყოს ნართებსა, შეიღებება ფანუზისფრად (ჯიგრისფერია. — ვ. ჯ.). როცა შაბს წაღებულს უზამენ, მაშინ გამოვა ალისფერი. შაბი საქირია $\frac{1}{4}$ გირვანქა, ენდრო 1 გირვანქა მაინც უნდა იყოს.

ყვითლად შეღებვა. რძიანას მოკვრიფამთ ისეთ დროსა, როცა ნართი მზათ გვექნება, რძიანა არ უნდა გახმეს. უნდა დაეჭრას ზემოთა ყვავილები. ჯერ შაბ-წყალში გვატარებთ ნართებსა. შაბი უნდა ავადულოთ და როცა ნართები გაშრება, რძიანა უნდა მოიხარშოს დილიდან საღამოს 3—4 საათამდე და რძიანანადულ წყალში უნდა ჩაიყაროს ნართები და [შიგ] უნდა ამოცივდეს. იმ ღამეს ისე დაეტოვებთ და მეორე დღეს უნდა ამოიღონ და გაშრეს. გამოდის ყვითელი ფერი.

შავად შეღებვა. მურყანს ქერქი უნდა ეეცალოს, მაიხარშოს (ერთი დღის განმავლობაში). მერე ქერქს გადაჰყრიან და სხვა ქვაბში ძალას აადულებენ; იმაში ნართებს ჩასდებენ, ამოცივდება, გაშრება; მერე მურყანის წვეწვში ჩასდებენ (საღამოთი რომ ჩააწყობენ, მეორე დღემდე უნდა იყოს).

ნარგიზისფრად შეღებვა. თრიმლის ხეს გარეთა ქერქი გაეცლება და უნდა დაინაყოს. მერე უნდა მაიხარშოს ერთი დღე (დილიდან საღამომდე). როცა მაიხარშება, ხეებს ამოჰყრის და დარჩება წვენი. მერე უნდა ჩაყაროს შაბი. ადულდეს, გადნეს. მერე ჩამოჰდგამს ძირსა და ძირს დადგმულ ცხელში უნდა ჩააწყოს ნართი (გაცივებამდე).

მთხრ. პელაგია რთველიშვილი, 80 წ. (სოფ. მუხრანი).

შავად შეღებვა. თრიმლის ფოთოლს მოგხარშამდით, მემრე უზამთ ძალას, მემრე ჩავდებთ იმაში და გამოვა შავი. ნახევარი გირვანქა აბრეშუმის შესაღებად ერთი კევრცხის წონა ძალა მაინც უნდა. შესაღები აბრეშუმის ძაფი უნდა დავართათ, გამოგხარშოთ საპონში, გავაშროთ და მერე შეიძლება შეიღებოს. ქვაბი ცეცხლზე იდგა, დუღდა, მერე ჩამოვიღებდით და უნდა ჩაცივებულიყო, მერე ამოიღებდენ, უნდა გამშრალიყო და შემდეგ გარეცხილიყო ცივ წყალში.

კაკლის ქერქის ნახარშშიც შავფერად ღებამენ. იღებენ კაკლის ფესვის ქერქს და [იმაშიც] ისე ღებავენ, როგორც სხვა შემთხვევებში.

შეღებვა მუჭჭითლად, ალისფრად და პირისფრად. ენდროს რომ ამოვიღებთ, გახმება ის ენდრო. მერე ვაფხეკამთ ზევითა პირსა, დარჩება გული. ის ვაფხეკილი ღებავს მუჭჭითლად. გული ღებამს ალისფრად და ის ნამღებარო — ხორცისფრად. ამას უნდა შაბი.

მოგხარშამთ ნაფხეკებს, იმ გულსა, მოვაყრით შაბსა და იმაში ჩავდებთ ძაფებს; უნდა იხარშოს ორი საათი. [შესაღებად] მომზადებული აბრეშუმიათუ შალი, დაეშაბამთ და შიგ ჩავდებთ. ძაფი სველი უნდა იყოს, იმას მოვაყრით შაბს დაეჭვილს; უნდა იდულოს ერთი საათი ძაფმა, მერე ამოცივდეს და გაშრობის შემდეგ უნდა გაირეცხოს.

მთხრ. ოლა ღალიაშვილი, 50 წ. (სოფ. ბაზალეთი).

შავად შეღებვა. თრიმლის ფოთოლს ვადულებთ ერთი დღე და ღამე. მერე წამოვადულებთ წყალს, ჩავდებთ ძალას და, როცა გაიხსნება, ჩაყარით შუ-



ლოებს; შემდეგ ამოვიღებთ, გავაშრობთ და ვამშრალს ჩავდებთ თრემულუსის ფოთლის წვეწვი, წამოვადუღებთ, [შიგ] ამოცივდება და ამოვიღებთ.

მთხრ. ნატო ტატუნაშვილი, 32 წ. (სოფ. ყანჩათი).

შავფრად შეღებვა. თრიმლი ფოთილს ვხარშავთ; ორჯერ უნდა მიხარშოს. შემდეგ ნართს ვძაღამთ ძაღაში; ი დაძალული ნართი უნდა ვამშრეს, მერე ი გამშრალი ნართი ვამოხარშულ თრიმლი ფოთლის წვეწვი უნდა ჩავდოთ. ნართი რო ჩაიდება წვეწვი, 1—2 წუთი ქვაბი იქნება ცეცხლზე და მერე ვადმოვიღებთ და ამოცივდება შიგა.

ერთი გირვანქა ნართისათვის საჭიროა კვერცხის წონა ძაღა.

ყვითლად შეღებვა. ვღებამთ რძიანაში. რძიანას მოვხარშავთ, ერთი პირი ადუღდება, იმასაც შაბი უნდა ნართსა; ნართს მოვყარით შაბსა და ჩავდებთ იმ ქვაბში, ზევიდანაც ის ბალახი უნდა იყოს და ძირიდანაც, შუაში — შაბიანი ნართი. იდუღებს 1—1½ საათი, მერე ვადმოვიღებთ, ამოცივდება შიგ, ვამშრებთ. მერე ძროხის შარდში ჩავდებთ ნახევარ საათს, მერე ვაგურეცხამთ ცოცხალში და ვამოიდის ყვითელი ფერი.

თოქის პრესა

მთხრ. შაქრო როსტევანოვი, 77 წ. (სოფ. ახალგორი).

ჯერ თხის ბალანს ვაწვენამთ ხელით, მერე ლარი არის ვაკეთებელი და იმაზე დავუქნებთ, მერე, როცა დავამზადებთ, უნდა დაირთოს სამწვერათ და ბოლოს დაიგრიხება ჩარხზე.

პასუხები კითხვებზე:


საპნები ლარი. ჯოხზე ბოლოში მობმულია თოკი, რომლის ორი წვერი ლურსმების საშუალებით დამაგრდება მიწაში. მიწაზე, ლარის ქვეშ ვაფენილია ბალანი და იმ ჯოხის დაქნევით, რომელსაც თოკი აქვს ბოლოში მობმული, ბალანი ივენტება.

ჩარხის ნაწილებია: ა) ჩარხის ფიცარი, ბ) ოთხი ძუძუ — თვითელი მათგანი წარმოადგენს მოგრძო, დაღარულ შორგვს. ძუძუები ტრიალებენ რკინის ღერძებზე. თვითელ ძუძუთაგანს წინ აქვს რკინის მარყუჭი საგრები მასალის გამოსაბმელათ. ჩარხის ფიცარზე (ნახვრეტებში) დამაგრებულია ოთხი ძუძუ. ძუძუების ღარებში იგრიხება თხის ბალანი, ჯერ ერთი, [შემდეგ] ორ და სამწვერათ. გ. მუშტა — ხის წაკვეთილი პატარა კონუსი, რომელსაც აქვს ოთხი ლარი; დ. ჩაჩანაკი — რკინის ნაწილი; ე. ჩანგალი.

გრებზე მხოლოდ ავეურებს თხის ბალანსაგან.

ჩაღსის უმცარი

ქვეტი



ქაძე

ჩაღსის უმცარი



სურ. 57. თოკის სავრები ჩაღსის ნაწილები.

მეგობარი

შეიქრობა

მატყლის ქსოვილები

მთბრ. ნინა სოლომონის ას. ხორბალაძე-ბუზიაშვილისა, 37 წ. (სოფ. რუი-სი, 6.I.1936 წ.).

მატყლის დახარისხება და დამუშავება. დიდი მცხერის, კედლის [მატყლს] ფაცახს მატყლს ვეძახით, მაგარ და გრძელ მატყლსა ვეძახით. მეორე მატყლი არის დედა ცხერისა, წვრილი მატყლი, წმინდა მატყლია და მართლაც საუკეთესო მატყლი გამოდის. მესამე მატყლი არის ბატკნის მატყლი, მოკლებეწვაა ძალიან და ისიც რბილი გამოდის.

მაგარ, ფაცახ მატყლს ვხმარობთ **საქხელად**, რბილ მატყლს (დედა ცხერის მატყლს) ვხმარობთ ფერადებში, ბატკნის მატყლს ვხმარობთ თეთრად. **გაზაფხულის მატყლი** ფერადებში იხმარება, **შემოდგომის მატყლი** კი არ იხმარება ფერადებში.

მატყლს ჯერ გავჩეჩავთ, მერე დავაწყობთ ფთილებათ ვიდელში, ცხრილში, ცხავში, მერე დავართავთ თითისტარზე. თითისტარი რომ აივსება, ჩვენი ვიტყვით, სამსე თითისტარს. მერე დავხდით სამწვევრად ან ორწვევრად, მერე დავძახავდით (დავგრეხდით) **ჭარაზედ**, მერე დავქხელავთ ყდებზე.

ხალჩის ქსოვა. დაქსელა იმას ნიშნავს, ყდებზე გავაბავთ სივრძით სამწვევრას, მერე ამოვდგომავთ სივრძით, ამოვდგომავთ ექვსი წვერით; მერე დავიწყებთ ქსოვას. პირველად ორპირ შალს გაუვლით, მერე დავიწყებთ პირველ არშიას, შემდეგ გაუვლით პატარა არშიას, რომელსაც **ჩივინს** ვეტყვით. მერე კიდევ გაუვლით ერთპირ შავს (ესეც არშიაა), შემდეგ დიდ არშიას გაუკეთებთ, შიგ ჩავყრით ურმის ყვერნასა. ურმის ყვერნაში არის შავი, წითელი, ყვითელი [ზოლები]. ურმის ყვერნას ქვეშ გაუვლით ატმის ყვავილს შავითა და თეთრითა, შემდეგ ერთპირს შავს გაუკეთებთ და ორპირს — წითელს. შემდეგ ისევ ჩივინს შემოუვლით (წვრილი არშია ერთი შავია, ერთი წითელი). ჩივინის შემდეგ ერთპირს შავს შემოუვლით, შემდეგა დიდ არშიასა, მწვანეს დავიწყებთ და შიგ ჩავყრით ასოებსა. შემდეგ ისევ ისევ შავ წვრილ არშიასა გაუკეთებთ და წითელსა შემდეგ გულში გაუკეთებთ კუთხეებს და ჩავყრით დიდ ვარდებსა, შიგ გამოვიყვანთ სუყველა სახესა — ატმის ყვავილსა ჩავყრით, **სამფოთოლასაც**, **ჭვარსაც**, **სახლსაცა** ჩავყრით, დიდ ვარდს გაუკეთებთ და შევკრავთ. წაწვენილ ფოთოლს ჩავყრით გულის არშიაში. მერე გავათავებთ და ამოვ-



პრით. თუ ჩამოსაკიდათ გვინდა, გაუკეთებთ საკიდურებს. რამდენი ფერიცა [ძაფი], იმდენი ჩანჩუხია (ამოხვეული ცერზე და ნეკზე, ჭვარდინათ). ჩი [მო]ექსოვოთ, კარგი პირიდან მაკრატლით ამოვჭრით და გაუკეთდება ბოჭკო. სიგრძეზე ქსოვას რომ გავათავებ, სამპირ წითელს გაუვლი სადათ, ფარდაგის-ნაირად და ამოვჭრი და ვადაუქნი. სიგრძეზე ქსოვას რომ გავათავებ, დაუ-ტოვებ ფოჩს.

ფარდაგს იგივე ყვავილები უნდა, მხოლოდ ბოჭკო არა აქვს.


იარაღები: უდა — ორი სიგრძე[ზე], ორი სიგანე[ზე], ორიც ამოსადგომი კეტები (სიგანის); ორს კიდევ ორკაბა ჯოხებს უკეთებთ, რომ დგომების კეტები დადგეს ზედა. მერე ვხმარობთ საქსოვ ჩხირებს ათს.

ხურჯინხაც ისე ვაკეთებთ, მხოლოდ სამი არშინი! სიგრძის უდა არის და ორი არშინი — სიგანის. ხურჯინს პატარა უდაზე ვაკეთებთ, მერე კი შეიკვრება.

მთხრ. ანა გრიგოლის ას. ედილაშვილი, 58 წ. (სოფ. ბრეთი, XII, 1935 წ.).

ხალიჩის ქსოვა. სუფთა მატყლს დაწვეწავდით, დაეჩეჩავდით, ჩავაწყობ-დით დაჩეხილს ფთილებად გიდელში, შემდეგ დავართავდით, ზოგჯერ დავ-ორწვევრებდით, ზოგჯერ დავასამწვევრებდით და შემდეგ დავაჩხავდით და დავა-ხვევდით გორგლათ.

სამწვევრათი ვაკეთებდით ქსელს და საზედაოს. ქსელს ჩამოვავდით სამ-წვერა ძაფებს დაზგაში, რა სიგანის ხალიჩაც გვინდოდა, იმ სიგანეზე... სადგი-



სურ. 58. ხალიჩის სახეები

მე მოწყობილობას მოვაწყობდით, გაიდებოდა სადგომე ჯოხი, ამ ჯოხზე ქსლი-დან (ორპირად არის ჩამომბული) ერთს დაბლა ვტოვებთ, მეორეს — მაღლა. მაშინ ჭვარდინებდაა ეს ქსელი... დგომის საშუალებით ერთი პირი მაღლა ჩდება, მეორე პირი — დაბლა. დგომის ამოღების შემდეგ ვიწყებდი[თ] ქსო-ვას. საზედაო² ძაფს (დასამწვევრებულს) გაუვლით რამდენიმე პირს (განდაგან საზედაოა უბოჭკოდ), რომ ხალიჩას პირი გაუკეთდეს, მერე ჩაყვრდით ბოჭ-კოს.

1 დელანშია — „სამ არშინი“.
2 დელანშია — „საზედაო“.



საბოჰკო ძაფი ირთვის მსხვილად და ცალწვერად და შეღებლია სხვადასხვაფერად. ეს შეღებლი ძაფი წინდაწინ დახვეული გვაქვს ნეკებად (ხედავით) რომ გადავიხვევთ, ნეკზე და ცერზე, ჯვარედინად). დავიდებდით წინაშეს და ამ სახის მიხედვით დავიწყებდით ბოჰკოს ჩაბმას. ერთი პირი რომ გაველეზოდა ბოჰკოს თითულ თელისაგან, მერე გავატარებდით საზედაოს და ჩაბეჭვადით³ სავარცხლით. საზედაო ორპირად ევლებოდა. მერე გაუვლიდით მეორე პირ ბოჰკოს და კიდევ ჩაბეჭვადით⁴ და ასე შემდეგ.

ჯერ გაუკეთებდით არშიას და მერე გულს... ქსოვის დროს აქეთ-იქით უკეთებდით ნაპირებს. ბოლოს, რომ ვათქვებდით, გაუვლიდით საზედაოთი რამდენიმე პირს. ისე როგორც დაწყებისას.

საზედაო დახვეულია გრძელ ჯოხზე; თავსა და ბოლოს ვამაგრებდით, ვახვევდით სივრტეზე, რომ არ დაშლილიყო თავსა და ბოლოში ვახვევდით რამოდენიმეჯერ. ხალიჩას საზედაოს რამდენიმე პირს რომ გადაუვლიდით, მერე ჩავეჭრიდით და ძაფებს დავნასკვავდით, რომ არ დაშლილიყო.

მანების სახე წინასწარ დახაზულია, უჯრამი უნდა ჩაიხაზოს ასო მანი. ყვავილები, არშია რამოდენიმე პირად იყო; ზოგ ხალიჩის გულში ვარსკვლავებს ჩავეყრიდით, სახელისა და გვარის ასოებს ჩავატანდით.

მთხრ. ანა სიოს ას. ბუთხუზი-სარაულისა, 65 წ. (სოფ. ქოლოთი, გორის რ. XII, 1935 წ.).

მატყლის დახარისხება, დაჩეჩვა და ქსოვა. ბატკნის მატყლი სუყველაზედ უკეთესია, რბილია, გრძელი ბეწო⁵ აქვს, ბატკნის მატყლი სულ თავია. შიშაგანა ცხვრის (ორი წლის ცხვარს ვეძახით) მატყლი ცოტა დაბალია. ყოჩისა სხვილი მატყლია, შალისათვის არ ვარგა, მალე გაცედება. დედა ცხვრისა სულ დაბალია, მშრალი მატყლია, ლოგინითვინა კარგი არის. ბატკნის მატყლი ყველაზე თავი არის მოსაქსოვათა, გასაყეთებლათა და გასაალებლათა. პირველათ [მატყლს] დავეჩეჩავთ საჩეჩელზე. რომ დაიჩეჩება, უ[ქვარგისი, ხმელი მატყლი] ამოვა, რომელსაც ფაცაბ მატყლს უწოდებთ, რაც უვარგისია ძირს ც[ე]რია. საჩეჩელს გულში დარჩება უვარგისი მატყლი; იმას კვირტსა ვეტყვიდით და ვხმარობთ ლოგინისათვის, მურთაქისათვის; მესამე კი თავათ კარგი მატყლია. მერე მივაღებთ წვერებს და დავაწყობთ ფთილებათ; მერე დავაბავთ, შემდეგ ამოვახვევთ გორგლად. მერე დავაბახვთ ორწვერად ჯარტარაზე. შემდეგ ამოვახვევთ დამახულსა და ბორძალად გავაკეთებთ; შემდეგ უნდა ყდამი ჩავაბათ და მოვქსოვთ, თუნდა თათმანებათა, თუნდა წინდებათა, პაიქებათა.

ჯერ ორი ყდა უნდა დავაწყოთ, შემდეგ თავსა და ბოლოსა თითო ხე უნდა გაუყაროთ, ზედ უნდა ნართი დავქსელოთ, მერე ფეხზე დავდგავთ ორ ხესა და თითო მარცობლივ⁶ უნდა ამოვდგამოთ. შემდეგ იმ ორ ხეს, რომელზედაც დადგმულა, ერთსა გამოვადარობთ და ერთზე დადგება და ერთზე დგომი უნდა იყოს; შემდეგ დავკიბავთ ნართსა და დავიწყობთ ქსოვას სავარცხლით. ქსოვის

3 დედანშია — „ჩაბეჭვადით“.
 4 დედანშია — „ჩაბეჭვადით“.
 5 ასეა.
 6 ასეა.
 7 ასეა.



დროს რომ ნართსა შლის, იმას **საფხველას** უწოდებთ. როცა **საგორავე** აგორდება, **საქსონელ⁸** წყელას გაუყრით შალში და როცა ჩამოვავაგრებთ, მასშიც გაუყრით და ბეჭს **დავკრავთ** და მაშინ შალი იქსოვება. საგორავე კაკუჭითა აგორდება და ჩავგორდება. საგორავე რომ ავავაგრე კაკუჭითა, ნართი ორი პირია, ერთი ქვევით არის და ერთი — ზევით. როცა საგორავს ავავაგრებთ, ზევითა პირი ქვევით ჩავა და ქვევითა პირი ზევით ამოვა, მაშინ ერთიერთმანეთში იხლართება. გაუვლით მერე ბეჭითა და შალიც იბეჭება⁹.

ყდა ფეხებით არის დაყოფილი, ბოლოდან ვიწყებთ ქსოვას. ერთ ფეხს რომ მოვქსოვთ, მერე აუნაცვლებთ, მერე მეორე ფეხსაც აუნაცვლებთ და მეოთხე ფეხამდე სულ ეგრე ავალთ. ფეხის ფეხამდე არის ნახევარი არშინი; ოთხ ფეხამდე რომ მოვქსოვთ, მერე მოვაღუნებთ (ძირიდან **სოლები** აქვს **ყდას**, **დავადრობთ** და **ძაფები** მოღუნდება), **დავწევთ** და **დავაბრუნებთ** (მოქსოვილი ქვევიდან **ექცევა** ყდებს და **მოსაქსოვი** — **ზევიდან**). შემდეგ **დავიმავთ** ისევ-ისევე, პირველ ფეხზე დადგება, მეოთხე ფეხამდე სულ ეგრე იქსოვება. **მოსაქსოვი** ორი ტყაველი უნდა დარჩეს და მერე ამოვქრით. მერე **მოვთელავთ** ცხელ წყალში, ამოვიღებთ და **დავაფენთ** ლისტზე¹⁰, შემდეგ კაცი თელავს ფეხებით. მერე, როცა მოვთელავთ, **დავავაგრებთ¹¹** **საგორავზე**, **დავჭიმავთ**, **დასუფთავებთ**, **გაეშლით** იმასა, **გაეფენავთ** და **გაშრება**.

ყსინარის ქსოვა. თხის ბეწვს **დაეჩეჩავდით**, **დავართავდით**, როგორც შალსა, ისე ვქსოვდით; **მწყემსები** ხმარობდნენ მთაში...

წალმართი შალის ქსოვა. ერთ ადამიანს ნართი მიაქვს და მოაქვს ხელითა, მეორე ზის და ყდაში წკებლა აქვს **დაწყობილი** და იმაზე ასხავს, **გამოდის** სწორი, **წალმართი**. შალს **ჯავარი** არა აქვს და **მაგარი** გამოდის (ჯავარი რომ გახედავ, ზოლივით მიზღუდვს ნაქსოვი).

უკულმართი შალი. დართვა უკულმა და დაძახვა წალმა უნდა, ქსოვა კი ერთნაირი. **უკულმართი შალი** **ჯავარიანია**, **შესახედავთ** **ლამაზია**, **მხოლოდ** **ღუნეა¹²** წალმართთან შედარებით.

უჯრიანი შალების ქსოვა. გავაბავთ ყდაში ნართის ქსელს **სხვადასხვაფერად**, **სახედალიც** **სხვადასხვანაირი** ფერის აქვს და **უჯრიანი** მაშინ მოდის.

ჯეჯიმების ქსოვა. **ჯეჯიმებს** **ექსოვდი** **ზოლმე**; **ჩაფერადებული**, **ფერადფერადი** ნართი იყო და **ჯეჯიმს** **ვეძახდით** იმასა, რომელი რომ საფენად იფინებოდა. როგორც შალს ვქსოვდი, ისე **ფერად-ფერად** ნართს **ჩავაფერადებდით**, **ჩამოვქსელავდით** **ყდაში** და როგორც შალს ვქსოვდით, ისე იმასა.

ხურჯინის ქსოვა. როგორც **ჯეჯიმებს** ისე ვქსოვდით, **მხოლოდ** **ხურჯინს** **ვიწრო** **ვანი** უნდოდა, **ჯეჯიმს** კი — **ფართე**. [**ხურჯინი**] **გრძელი** იყო, ისე თანაბარი და იმას ერთ პირს **ამოვკერავდით** და **გაუკეთებდით** ერთ **თვალს**, მეორე პირს **კიდევ** მეორე **მხარეს** **ვადაუკეცავდით** და **გაკეთებდოდა** მეორე **თვალი**. **შუაში¹³** **უღელი** **გაუკეთებდოდა**. **ხურჯინს** რომ **ამოვკერავდით**, **გვერდებს** თან

⁸ ასეა.

⁹ პორიზონტალურ დახვავზე ქსელი იბეჭება სავარცხლით და არა ბეჭით. თუ აქამდე პორიზონტალურ დახვავზე იყო ლაპარაკი, აქედან მოულოდნელად მითხრობელი გეაწადის ცნობებს ევრტიკალური დახვის შესახებ.

¹⁰ დედანშია — „ლათზე“.

¹¹ დედანშია — „დავავაგრობთ“.

¹² დედანშია — „ღუნია“.

¹³ დედანშია — „შუაში“.

დუბრებს დავატანდით, სიმკვიდრის გულითვინა; ხურჯინს ყულფებს დავატანდით, სახლართეს გაუკეთებდით შესაკრავად.

მთხრ. კეკე მოსეს ას. თინიაშვილი-გელაშვილისა, 95 წ. (სოფ. ურბნისი, 7.I.1936 წ.).

მატყლის დამუშავება და შალის ქსოვა. გაზაფხულის, მარტის მატყლს ქერქი ადევს სულა, რომ კრეკამენ, მოკლე ბეწვაა და კვირტივით არის. შემოდგომის მატყლი გრძელბეწვაა და ბარაქა აქვს, გაძლება ნაკლები აქვს, გაძლებით გაზაფხულისა ჯობია. შემოდგომისაჲ ფაცახი მატყლი იყო. ცხვარს გაკრეკის შემდეგ რაკი ერთხელ ააძრობდენ [მატყლს], შეკრამდენ კანძს და გამონასკვავდენ და დადებდენ. ცხვარს დუქარდი მაკრატლით ვკრეკავდით.

მატყლს ჯერ გავწეწავდით, მერე საჩეხელში გამოვიყვანდით და დავჩეჩავდით; მერე დავაფთილებდით, მერე [ჯარას] დავდგამდით, ერთი ხელით ჯარას ვატრიალებდით. ჯარას ჰქონდა რკინის თითისტარი; ჯარაზე რომ დავართავდით, რკინის თითისტარზე დავახვევდით. ჯარა სართავ-სახვევი იყო. მერე ისევ ჯარაზე ვკრეხავდით ორწევრად; ამოვახვევდით დიდ თითისტარზე და დავგრეხავდით, ვეძახოდით ჯარის ტარს, მერე დავდგამავდით... ყდაზე დავქსელავდით ნართსა. ყდიდან საჩოხე ნაქსოვი შვიდი ადლი უნდა ამოგვედით; სავარცხელი გვეჭირა და ვბეჭავდით, რასაც ვქსოვდით, იმას საწედაოს ვეტყვოდით. ორპირად იქსელებოდა, ერთი პირი ძირს ჩადიოდა, მეორე ამოვიდოდა და ჯვარედინად მიდიოდა; დავიმში რომ ერთი ხელით მივიტანდით საგორავსა, იქ წყაპლზე იყო დახვეული ნართი და გავიტანდით ნაპირში, მერე მოვიტანდით საგორავოსა და ახლა მეორე ნართს გამოვიტანდით ნაპირში... ორი ტყაველისოდენა სავარცხალი იყო და ხელში გვეჭირა; მეორე ირმის რქა გვეჭირა, ნართი რომ არ ამოვიდოდა, იმას ირმის რქას გამოუსვამდით, გახსნიდა პირსა და წყაპლით ნართს გავატარებდით, ჩავბეჭავდით სავარცხლითა და მერე მეორეთა გამოვატარებდით, მერე ავქსოვდით, დავაბრუნებდით და დავაყენებდით, კიდევა და კიდევა ავქსოვდით; მერე მეორეთი დავიწყებდით და იმასაც ავქსოვდით და კიდევ დაბრუნებდით.

რომ მოვათავებდით, ამოვჭრიდით. მერე ავადულებდით წყალსა, შალს დავდებდით ლასტზე და ვთელავდით ფეხითა. ამოღებული [შალი] ცოტა თხელია, [მოთელილს] რომ ამოვიღებდით, თახახი (ხმელი) აღარ ჰქონდა, უფრო რბილი იქნებოდა, გამძლე და სქელი, ლებამდენ მერე სამღებროშა, როგორც უნდოდით.

მთხრ. ბაბაღე სოლომონის ას. რევაზიშვილი-კაპანაძისა, 65 წ. (სოფ. წალვლი, I, 1936 წ.).

ფარდავის ქსოვა. მატყლს ჯერ დავწეწავდით, მერე დავჩეჩავდით; ცუდ მატყლს კვირტი მატყლი ეწოდებოდა, ამას მურთაქაში ჩავაწყობდით¹⁴. კარგ მატყლს დავართავდით თითისტარზე, მერე ჯარაზე დავკრეხავდით, ზოგნი წინდებს დაიქსოვდენ, ზოგი — პაიჭებს, ზოგი საჩოხებს მოქსოვდა. შალეზათ

¹⁴ დედანშია — „წავაწყობდით“.



აკეთებდენ... ზოგი სამწვერას დაგრეხავდა და ზოგი ორწვერას. სამწვერას ვხმარობდით წინდებზე, პაიკებზე, ორწვერას პატარა ბავშვებს დაუქსოვდნენ.

ფარდაგსა სამწვერა ძაფით დავქსელავდით, ორწვერითა მოვქსოვდით. ფარდაგს ჯერ ზოლს გაუვლიდით და მერე სახეებს ჩავყრიდით; ჩავყრიდით ფოთოლს, ერთი გავლა ფოთოლი რომ დამთავრდებოდა, მერე კიდევ ზოლს გაუვლიდით. ზოგი ირემს დახატავდა, ზოგი იმ მოქსოვილში ჩიტს დასახავდა, მერე მარწყვის ფოთოლს ჩავხატავდით და გავიტანდით, ირემებს დავხატავდით.

ფარდაგის საქსოვი იარაღები. ორი ყდა იყო მალალი, თავსა და ბოლოს ჯიბეში ჰქონდა გაყრილი ჩალხში თანასწორ¹⁵ და იმაზე ვქსოვდით(?!). დგომში რომ ამოვიღებდით ძაფებს, გაეთვლიდით, ერთი აქეთ რჩებოდა, ერთი იქით და შუაში ძაფი იყო. საბეჭავს რომ ჩაუყრიდით, აქეთური იქით გავიდოდა, იქითური — აქეთ; რომ გვატარებდით ისარს (საქსოვი ძაფი იყო დახვეული ზედ), ის ჩაქსელილი ძაფი იქითა აქეთ გამოვიდოდა და აქეთა იქით; [ყდას] შუაში მაჯის სიმსხო კეტი ჰქონდა გადებული. ყდაში კეტს რომ დავწევდით, იქითა ნართი აქეთ გამოვიდოდა და აქეთა იქით გავიდოდა. ისარს რომ გავატარებდით, ზევიდან ჩავეტყვავდით¹⁶ სავარცხლითა და ძაფი იჭაჭვებოდა. ამ მოწყობილობას მთლიანად საფეიქროს ვეტყვოდით; დავკაცანებდით და ისე ვმღეროდით და ვქსოვდით.

ლდაჩემს ჩემი ტოლი გოგონებიც ყავდა, ასწავლიდა ჭრა-კერვას. წიგნი ვიცოდით ქრონიკონებითა.

ხურჭინას ქსოვა. როგორც ფარდაგს, იმას სულ ზოლებს გავაყოლებდით; თუ გვინდოდით, ზოლიანს მოვქსოვდით და შიგნით ხალიჩის სახეს ჩავაყოლებდით გვერდებზე, შიგნითა გვერდზე კი ზოლიანი იყო. ხურჭინა უღელს ზოლიანს გაუკეთებდით და ყულფებს — ძაფისას, ხელზე ამოხვეულ ჩანჩუხის ყულფებს გაუკეთებდით. ქსელზე ქსოვას რომ დავამთავრებდით, მერე თავს გადაუჭრიდით, მერე თავგადანაჭერს ერთად შევკრებავდით და მოუკაუჭებდით თავს და გავაკეთებდით ყულფათა; მერე თავის მოსაპირებელ ზონარს გაუყრიდით ყულფშია და შევკრავდით ლამაზათა.

მთხრ. მართა ანტონის ას. ხახუტაშვილი, 60 წ. (სოფ. მეჭვრისხევი, XII, 1935 წ.).

ვქსოვდით ხოლმე შრაფებსა, შალებსა, ქულებსა, ყელსახვევებსა, პაიკებსა, ტოლალებსა, კრელ წინდებსა.

ჯერ მატყლს გავჩეჩავდით, ფთილებად დავაწყობდით. მატყლს რომ დავჩეჩავდით, ანაგულს ჩავყრიდით მჭრთაქაში, კარგ მატყლს დავალაგებდით, მოუსხდებოდით, ხან ჯარაზე ვართობდით¹⁷ და ხან — თითისტრებზე. ერთი წვერი აბრეშუმის იყო, ერთი წვერი — ნართისა. ვქსოვდით მშვენიერ შალებს, საკაბეებს, საპალტოებს. ცხეთაში ჩავიტანდით ხოლმე ნართებსა და მოვაქსოვინებდით ხოლმე იქაურ მონაზვნებსა. გამოვარჩემდით¹⁸ თიფიკსა¹⁹, გამოვი-

15 ასეა.

16 ასეა.

17 ასეა.

18 ასეა.

19 ასეა.



ლებდით თხის ბალნიდან თიფიქსა²⁰ და დარჩებოდა მშვენიერი, რბილ-რბილად თიფიქი (თიფიქი არის თხის მატყლი). მერმე დავჩეჩავდით და ერთ წვერს²¹ რეშუმისას ჩავატანდით და ერთ წვერს თიფიქსა, მერე დავაბახავდით ლამაზათ და წავიდებდით მცხეთაში და იქ ვაქსოვინებდით ხოლმე მონაზვნებს.

მთხრ. ბარბაღე ასლანის ას. კორინთელი-მირზაშვილისა, 80 წ. (სოფ. მარანა, გორის რ. 18.I.1936 წ.).

მატყლის დამუშავება და დართვა. მატყლს ჯერ დავჩეჩავთ საჩეჩელზე; საჩეჩელზე დარჩებოდა ცუდი მატყლი, იმას ვეტყოდით კვირტსა; კარგი მატყლი, რომელიც დარჩებოდა, იმით გავაკეთებდით ფთილებს, მერე ფთილებს მივებადდით თითისტარსა და [დავართავდით]... თითისტარი რომ გაივსებოდა, იმას ვეტყოდით ჭიტს. ორი ჭიტი რომ დაირთ[ვ]ება, მერე ამოვახვევთ ძაფათ და გავაკეთებთ ორწვერ, ორკეც ძაფს.

დიდ ხალიჩებს ორზოვას ვეძახოდით, ორი არშინი სიგანე ჰქონდა და ოთხი არშინი სიგრძე.

მთხრ. იოსებ სოლომონის ძე გოგიჩაშვილი, 86 წ. (სოფ. წალვლი).

ძველად აქ (სოფ. წალვლში) საქსოვი სახლები იყო. გააბავდენ ქხელს დგომში და ქსოვდენ სახიან შაღებს სხვადასხვაფერისასა, უკეთესი რომ თვალს არ ენახებოდა; დღეს კი სულ გადაავიწყდათ ჩვენ მორდილებს იმისი ქსოვა.

მთხრ. მიხეილ გიორგის ძე ედილაშვილი, 56 წ. (სოფ. ბრეთი, 1935 წ. XII).

კანძს ვეტყვით ცხვრის ერთ ნაპარცს მატყლს, ერთად რომ გამოვკრავ ცხვრის ერთ გადანაკრეჭს.

ზონრეზის ქსოვა

მთხრ. ოლია დათას ას. მაისურაძე-ხუციშვილისა, 55 წ. (სოფ. შინდისი, 24.I.1936 წ.).

ხვანჯრის ქსოვა. ჩავაბავდით უღებზე გორგალს. გვერდებზე რომ გავაბავდით ძაფებს, იმას ქხელს ვეტყოდით, გაუტარებდით, გამოუტარებდით ძაფებს და ჩავბეჭავდით²¹ სავარცხლით; მერე გავათავებდით თავსა და ბოლოს მოუჭერდით და გამოვიდოდა ხონჯარი.

მოსასხამი შაღვა

მთხრ. მართა ანტონის ას. ხახუტაშვილი, 60 წ. (სოფ. მეჭვრისხევი, XII, 1935 წ.).

მოსასხამი შაღის ქსოვა. დავიწყებდით ხოლმე ყანინალით წყალსა და მერე ერთნაირად ვქსოვდით; მერე გარეშამო ვარდ-ფანჯარებს, ფანჯარებს, დაბალ და მაღალ ბოძებს ვაკეთებდით. ვაკეთებდით [აგრეთვე] კუნწებსა, ჩატა-

²⁰ ასეა.

²¹ დედანშია — „ჩაბეჭავდით“.



ნებულ არშებმა, ფოჩებმა, შუაში არშიას გაუკეთებდით, გარეშემო კიდევ დაბალ ბოძებმა, მერე დაეფოჩავდით ხოლმე შევნიერად. შალი ორარშინ-ნახვარი იყო ხოლმე.

მთხრ. ბარბარე ასლანის ას. კორინთელი მირზაშვილისა, 80 წ. (სოფ. მარანა, 18.1, 1936 წ.).

უბეური შალის ქსოვა. ჯერ მოვქსოვთ წყალსა, ხუთ ჩარეკსა, ხუთ ჩარეკს სიგანეს მივეცემთ ქსოვნაში... წყალს შემდეგ გადავავლებ ოთხ ბოძს, შემდეგ კი გამოვიღებ კიდევ სამ თვალს წყალს, მერე ოთხეუბ კიდევ სახეს, ჩავაბავთ კიდევ პატარა ნაჭერეტ ფანჯარასა; სიგრძე რომ მივეცი, ახლა სიგანესაც კიდევ ხუთ ჩარეკს მივეცემ ქსოვნაში. მერე იმ ოთხკუთხიან შალს არშინს შემოუვლით, გინდა კუწუბებს შემოუვლით, გინდა ფოჩს გაუკეთებთ. დასრულდებოდა და ოთხკუთხი შალი გამოვიდოდა და ვეტყოდით უბეურ შალს...

რომ ვქსოვდით შალს, იქვე... ჩავაბავდით სახესა, ოთხ თვალს გამოვიღებდი, ჩავაბავდი იქვე და გამოვიდოდა ბუკულო ბეწვიანი, პატარა ბუსუსოებივით ასხია, ჯამებისავეთ ჰქონდა ჩაბმული შალზე. ბევრი ნართი უნდოდა და მძიმე გამოდიოდა; მივანებეთ თავი.

მთხრ. ბარბაღე სოლომონის ას. რევაზიშვილი-კანანაძისა, 65 წ. (სოფ. წალვლი, ხაშურის რ., I, 1936 წ.).

ბაღია შაღების ქსოვა. დავართავდით ბატკნის მატყლსა. ქსოვას დავიწყებდით ჯერ სამი მარცვლიდან, მერე ოთხივე კუთხივ ნამატები ჰქონდა და ვქსოვდით. კარგად დიდი რომ გახდებოდა, მოვწყვეტავდით ნართსა, გავრეცხავდით და მოვიხვევდით თავზე.

მთხრ. მართა ანტონის ას. ხახუტაშვილი, 60 წ. (სოფ. მეჯვრისბევი, XII, 1935 წ.).

შრაფის ქსოვა. ხან ყაისნალით დავიწყებდით, ხან წინდის ჩხირებზედა. ჯერ დავიწყობდით წყალსა; წყალი არის სიგრძე შრაფისა, იმაზედა მივყვებოდით და თვლებს გამოვკრეფდით და ვქსოვდით. გავათავებდით და გარეშამო გაუკეთებდით კიდევ ფოჩსა. ვარდ-ფანჯრებს მოვქსოვდით როგორღაც ბოლოებში, მერე ფოჩს დავასხავდით ზედა და გათავდებოდა...

ქილოვის ქსოვა

მთხრ. ანა მიხეილის ას. შავიშვილი, 45 წ. (სოფ. კარალეთი, 1935 წ., XII).

ქილოვის ქსოვა. ჯერ წვეალ ჭაობში და მოვგლეჯავ ქილოვის ჩაღას, შემდეგ დავფენამ და გახმება, მერე შევინახავთ. მერე დავგრეხავთ ქილს, გავაკეთებთ ოთხი კუთხეს ხისას, რომელსაც უდას ვეძახით. უდაზე ირგვლივ დავქსნავთ ქილს, მერე დავაღობობ ჩაღას და ვქსოვთ. მოვქსოვთ თუნდა ოთხ არშინს, თუნდა ხუთ არშინს, თუნდა ექვსს, ეს ჩვენი საქმეა. დამთავრებისას გადავჭრით ქილს და გადაუქნით. გვერდზე უნდა ორი-სამი ქილი ერთად ან, აუცილებლივ — ორ-ოლი ქილი ტყუპად. შიგ რომ არის ჩაბმული, იმას ჰქვიან ქილი, გარედან კი — ქილოფი.

საქანნი — გვერდის ყუა, ქილი ატანია ზედ.



მთხრ. ანა (ანიცა) გიორგის ას. ელილაშვილი, 58 წ. (სოფ. ბრეთი, 1935 წ.).

ბოჰკოს საღებავად ვხმარობდით კაკლის ხის ქერქს და ნაჰს (წენგოს), კაკლის ხის ქერქს და ნაჰს მოვადუღებდით და გადმოფუწურავდით სუფთად, მერე ცხელ წყალში ჩავდებდით ნართს და ვადუღებდით, [იღებდა] წენგოსფერს ან მიხაკისფერს. მაგრამ თუ ამ მასალაში ჩაურთავდით ძალას (ჩკინის აჯასპი)²² მივიღებდით შავ საღებავს.

ასევე გამოვხარშავდით ენდროს და მის ფერში შეღებილი გვაძლევდა წითელს.

ასევე ვხმარობდით თუთის ხეს; ხეს დაჟენჩავდით (დავანაფოტებდით), გამოვხარშავდით და გვაძლევდა ყვითელ ფერს.

ნარინჯის ქერქს ასევე დაჟენჩავდით და გვაძლევდა ნარინჯისფერს.

მთხრ. ნინა სოლომონის ას. ხორბალაძე-ბუზიაშვილი, 35 წ. (სოფ. რუისი, I, 1936 წ.).

წითლად შეღებვა. დავწყავთ ენდროს, [ჩაყვრით წყალში], ავადუღებთ წყალს, შაბს უზამთ და შევლებავთ წითლად. გამოვიღოდა ჩვიარი წითელი (კარგი წითელი).

მერე შეიღებებოდა ენდროში ალისფერი (ღია წითელი). საკუთარ ენდროში შევლებავდით, შაბს არ უზავდით, ვხარშავდით შიგა ნართსა, შიგ უნდა გადმოდუღდეს. კიდევ ენდროში ვღებავდით ვარდისფერად. ენდროში დავდევავდით (დავალბობდით) [ნართს] სამ დღეს და ისევ ენდროში ავადუღებდით რძიანა ბალახით (მალალი [ბალახია], სამი ჩარქეი ექნება სიმალლე, წვრილი ფოთოლი აქვს, ყვითელი ყვავილი იცის, რძე გამოსდის). ამითი იღებება ყვითლ[ად] და მწვანე[დ].

ყვითლად შეღებვა. მოკვრებათ რძიანა ბალახს, სამღებრო ქვას გავტენავთ კარგად, ცოტა წყალს შეუყენებთ და ვადუღებთ კარგა ხანს; უნდა მოიხარშოს რძიანა და უნდა დაიწიოს კარგად. როცა კარგად მოიხარშება, ჩავაწყობთ ნართებს და დავაყრით ისევ იმ რძიანას ყვავილს; უნდა იდუღოს კარგად, ნართი არ დაიწვას და კარგად შეიღებოს ყვითლად.

მწვანედ შეღებვა. როცა მწვანედ გვინდა [შეღებვა], მაშინ მოკვრიფავთ ჰინჰარს, როგორც რძიანა მოვხარშეთ, ისე ჰინჰარს მოვხარშავთ და ჩავდებთ იმ ყვითელ ნართს და დავაყრით ჰინჰარს, ვადუღებთ და შეიღებება მწვანედ.

შავად შეღებვა. კაკლის ხეს ვავხდით ქერქსა, მოვხარშავთ კარგად, მივცემთ ძალარსა²³, ჩავდებთ ნართსა და ვახდებთ შავი. უნდა იდუღოს შიგ.

მოღურჯოდ შეღებვა (ქიმიური მელნის ფერია). მოკვრიფავთ სოსანს, სამი ჩარქეი აქვს სიმალლე, ყანაში [იზრდება], წვრილი ბალახია, ფოთოლი აქვს. მოვხარშავთ კარგად, დავშაბავთ და ჩავაწყობთ ნართსა, დავაყრით ისევ სოსანს.

²² დედანშია — „ჩკინის შაბიამანი“.

²³ ასეა.



მთბრ. ანა სიოს ას. ბუთხუჯი სარაულისა, 65 წ. (სოფ. ქოლოთი, გორანქანული
რაიონი, XII, 1935 წ.).

ყვითლად შეღებვა. რძიანა ბალახით ღებავდენ. მუჯე დოში ნართს ჩა-
ღებდენ, ამოიღებდენ და გარეცხავდენ. მერმე რძიანა ბალახს მოხარშავდენ
წყალში, მერე იმ ბალახს ამოყრიდენ და ნართს ჩაყრიდენ შიგა.

მწვანედ შეღებვა. [ვლებავთ] ვირიტერფა ბალახში (რგვალი ფოთოლი
იციხის ხელისტოლა, მთის ხევებშია, საცა მიწა მოვარდება, იმეებზე ამოდის
ის ბალახი). ძროხის შარდს ჩაასხამდენ ტაშტში, შიგ ჩააწყობდენ ნართს, და
ზედ შამბს²⁴ დააყრიდენ და აადუღებდენ. მერე შიგ ვირისტერფა ბალახს ჩა-
ღებენ, მერე ნართს გარეცხამდენ და გაფენდენ.

შავად შეღებვა. მურყანს ვეტყობით ხეს. იმ ხეს გავქერქავდით, მოვადუ-
ღებდით, ქერქს ამოყყრიდით. ძაღარს²⁵... ჩაყყრიდით და შეიღებებოდა შავად.

წითლად შეღებვა. ენდროს დავნაყავდით, მერე ნართი გვქონდა დადუღ-
ლილი²⁶ (შამბს²⁷ დავაყრიდით და შიგა გვქონდა ჩალაგებული დოში), ამოვი-
ღებდით, გავრეცხავდით იმ ნართსა და მოხარშულ ენდროში შეიღებებოდა.

ციფრად შეღებვა. სახუნარი ფართლითა ვღებავდით. წამოვადუღებდით
სახუნარ ფართალს, მერე ჩავღებდით ნართს, დავაყრიდით შაბს და შეიღებ-
ებოდა ციფრად.

მთბრ. პელო სინოს ას. კანანაძე-ნოჯაძისა, 66 წ. (სოფ. ალი).

ჩვენ ნართებს ჩვენ სამღებროში ვღებამდით.

ყვითლად შეღებვა. მოხარშავდით რძიანა ბალახს (რძიანა ბალახი დიდი,
ერთი არშინი იზრდება სიმალლით, ყვითელი ყვავილი აქვს). მოვკრეფავდით
ამის ყვითელ ყვავილს, ჩაყყრიდით ქვაბში, დავასხავდით წყალს და მოხარ-
შავდით; ამოვიღებდით ისევე იმ ბალახს ქვაბიდან, მივიტანდით და ჩავღებდით
იმაში დახიფულ ნართსა, შემდეგ ამოვწვენამდით იმას და დავაშარდებდით
ძროხასა, რომ არ გახუნდეს ძმარში, რომ გეგერეცხა, არ გახუნდებოდა, რაკი
რომ დაშარდავდი იმასა.

ნარინჯისფრად შეღებვა. ნარინჯი არის ხე. იმ ნარინჯის ხეს ვავთლიდით,
გაფუხკავდით, [მოხარშავდით], ამოვიღებდით იმ მოხარშულს მოდუღებულ
ქვაბიდან, იმაში ჩავღებდით ნართსა და შეიღებებოდა ნარინჯისფრად; მივ-
ცემდით იმას შაბსა ცოტას და შეიღებებოდა ნართი.

ლილისფრად შეღებვა. ... წამოვადუღებდით ლილასა, უზამდით კარგად
შაბსა, ჩავღებდით ნართსა იმაში, ამოვიღებდით, დავაშარდებდით საქონელსა
და აღარ გახუნდებოდა.

ენდროში შეღებვა. ... დავნაყავდით ენდროს და მოხარშავდით, ჩავღებ-
დით ნართსა შიგა და შევღებავდით. ამოვიღებდით დავაწურინებდით და და-
ვაშარდებდით ძროხასა და შეიღებებოდა.

24 ასეა.
25 ასეა.
26 ასეა.
27 ასეა.

შავად შეღებვა. ... გავატყავებდით მურყანის ხესა; ორ დღეს ვაღუღებდით იმ მურყანის ქერქსა. ამოვწურავდით იმ ქერქსა, უზამდით იმ წვენიან აჯამას (როგორც შაბიამანი ისეთი წვენია), გაშვადებოდა, როგორც შავი კუპრი ისე გახდებოდა და შეიღებებოდა შავად.

მთხრ. ბარბაღლე სოლომონის ას. რევაზიშვილი-კახანაძისა, 65 წ. (სოფ. წაღვლი, I, 1936 წ.).

ყვითლად შეღებვა. მოვიტანდით რძიანას ბალახს (გაშლილი თავები და ყვითელი ფოთოლი აქვს, ზოგი მაღალი იზრდება, ზოგი დაბალი). ჩაყვრიდით მარტო ფოთოლს წყალში, კლერწოს არ ჩავატანდით და მოვხარშავდით; ჩავდებდით ნართსა, ჩაყვრიდით [შაბს], ერთი გირვანქა ნართი რომ ყოფილიყო, ერთი კევრცხს შაბს უზამდით. ბალახით ერთი თუნგიანი ქვაბი უნდა გამემსო. ამოვიღებდით ნართსა ტაშტზე და ფურსა დავაშარდებინებდით; დავადგავდი ცხარე მზუზე და დაჯივრდებოდა, გაყვირდებოდა კარგად.

ალისფრად შეღებვა. ალისფერი [საღებავი] ბაზარში იყო გასაყიდი. იმას ჩაყვრიდით არაყში, ჩავდებდით ნართს, უზამდით შაბსა და შეიღებებოდა.

ლამისფრად შეღებვა. რომელიც რომ ბებერი ენდრო იყო, [იმის] მარტო ქერქს დავნაყავდით. მერე თეთრ ნართსა სველ ლამში ჩავფლავდით; ერთი სამი დღე იყო ჩაფლული. მერე დანაყულ ქერქს მოვხარშავდით, ამოვიღებდით ლამიდან ნართს და ჩავდებდით დანაყულ ქერქში და შაბს ჩაყვრიდით, რაც შეეახებოდა; რომ გამზრებოდა ჩრდილში, მერე წყალში გავავლებდით.

ლამისფრად [ვლებავდით კიდეც წენგოში]. წენგოს²⁸ დავნაყავდით და ჩაყვრიდით ქვაბში, ჩავდებდით ნართს და შეიღებებოდა.

ბურღოსფრად შეღებვა. წითელ ნართს შავ სამღებროში ჩავდეფ და ბურღოსფრად მოვა.

მწვანედ შეღებვა. ყვითელი ნართი უნდა ჩაიდოს ლურჯ საღებავში და შეიღებება მწვანეთა. შაბი უნდა ამასაცა.

ნარინჯისფრად შეღებვა. ნარინჯი პატარა ხეა, ჩი[რ]კვივით. იმას სულ წვრილად დავჭრიდით, დავფხეკავდით, რომ მოიხარშებოდა და გამოსცემდა წვენს, ამოვალაგებდით იმას, და მერე ყვითელ ნართს ჩავდებდით, ჩაყვრიდით შაბსა და მოვა ნარინჯი.

შავფრად შეღებვა. აჯასას (შავი სამღებროა) აადულებენ, ნართსა ჩადებენ და ჩაყრიან ძაღარსა, ისიც შაბივით არის და შეიღებება შავათ.

ღურჭათ შეღებვა. ხეს ასხია შავათ, ჩიტითვალა ქვიან მარცვალს, ტყეშა იცის, ორი არშინი სიმაღლე ექნება. მარცვალს მოკრეფენ, აადულებენ და ნართს ჩადებენ.

ქ ა რ ბ უ ლ ო ბ ა

მთხრ. მართა ანტონის ას. ხახუტაშვილი, 60 წ. (სოფ. მეჯვრისხევი, XII, 1935 წ.).

კანვაზე კერვა. კევრავდი კანვაზე ბალიშის პირებს, მუთაქის პირებს. სარტყელს. ვჭრიდით ბატის ფრთებს და თავსაკრავებს ვიკეთებდით. ნემსით


²⁸ დედანშია — „წემბოს“.




კანვაზე ამოვიყვანდი სახეებს: ვარდებს, შტოებს ფოთლებისას, აღამიანის სახესა, ბალიშის პირზე ვქარგავდი. ... მუთაქის გადასაკრავებზედაც ვაკეთებდით სახეებსა და ზედ ვქარგავდით... გამოვიყვანდი სახეებს ყველანირსა; მანებს გამოვიყვანდი, ფოთლებს გამოვიყვანდი, ვარდებს დავაკერებდი ხავერდზე ოქროს ძაფით, ჩავეყრიდით კილიტებს... სახეები რომ არ შეგეშლოდა, წინ სახეს დავიდებდით და იმ სახეზედ ვალაგებდით (ვამწკრივებდით) [კილიტებს]. კილიტი ორგვარია: ერთი პრტყელი და რგვალი იყო, წმინდა, როგორც ძივი რალა..., შუაში ნემსის ჩასაყრელი [ჰქონდა]. მეორეს ოქრომკედის ძაფით ვაკეთებდით იმ ფოთლებსა კილიტით, მეორენაირი კილიტი ძაფისავეთ იყო, მხოლოდ ძაფზე უნდა აგებულიყო ისიცა. [კილიტი] თეთრიც იყო და ყვითელიც. ორნაირი იყო. ბრტყევიანადა. ბატის ფრთებს რომ ვჭრიდით ზოლმე, კილიტითა ერთავდით. დავხერტავდით ზოლმე და იმით ვამკობდით.

მთხრ. ანა გრიგოლის ას. ედილაშვილი, 58 წ. (სოფ. ბრეთი, XII, 1935 წ.).

სავარცხლის ბუდე. ყანწის მოყვანილობის მუყაოს გამოვჭრიდით, ცოტა ბამბას დავაფარებდით და გადავაფარებდით რაიმე აბრეშუმის ქსოვილს შიგნით — პირად. ზედაპირად გავაკეთებდით ან ხავერდს, ან ფარჩის აბრეშუმს. ვქარგავდით სირიზითა და კილიტითა და აბრეშუმის ქიის პარკით. აბრეშუმის პარკს დავჭრიდით და გამოვიყვანდით ყვავილის სახეს. ამ ყვავილის ღეროვანთა ვხმარობდით სირიზას. სირიზა არის ოქრომკედის მაგვარი, ყვავილის კუჭს ვამაგრებდით სირიზათი და კილიტათი. ერთ შემთხვევაში სირიზას კილიტა ამაგრებდა, მეორე შემთხვევაში კილიტა სილამაზისათვის, არში[ა]თ, იხმარებოდა. სავარძლის ბალიშსაც ასევე ვქარგავდით და სანემსე პატარა ბალიშსაც. სახეებში ვხმარობდით კიდევ ფიჩხებს — ხაზი, რომელსაც ერთი სახე მეორე სახეზე გადაყავდა(?)...



სურ. 59. სახე — ფიჩხი



სურ. 60. ლეჩაქის ქარგა.

მთხრ. ნინო ალექსის ას. კანანაძე-ტიტინიძისა, 71 წ. (სოფ. არადეთი, XII, 1936 წ.).

დაბაფთვა. საცვალს [ტოტებზე] დაქარგულები, ტოტ-ბაფთა ჰქონდა. სულ მშვენიერ ფოთოლს აყრიდენ, სახეს აყრიდენ, რაც მოუხდებოდა, რაც გინდა, იმას გამოსახავდენ, თუ გინდა, ყვავილსა გამოსახავდენ, ფრინველსაც გამოსახავდენ, ერთ ტკაველზე იყო გამოყვანილი.

მთხრ. ეკატერინე ალექსანდრეს ას. ჩარეკიშვილი, 55 წ. (გორი, XII, 1935 წ.).

ლენჩაქის ქარგვა. ლენჩაქს ქარგაში ჩავაბადეთ, გარეშაშო ძაფით ამოვ-
ვევდით, თუ ახალი ლენჩაქი იყო, პირდაპირ დავბასმავდით — ლენჩაქის წებოს
დავასხავდით წყალს, დავადნობდი პატარა ტაფაში, თეთრი წებოს ჩიფაროზი
კოსტოსტი(?) ნატეხია, მოილესებოდა დამდნარ წებოში და მერე ჩაისხმებოდა
პატარა ქილაში. ჩიფაროზსა და წებოს ბასმა ჰქვიან. ზაფხულში მდნარია, ზამ-
თარში რომ ცივა, სქელდება და არ ამოსდევს ქინძისთავს; გავადნობ, დავდგამ
ცეცხლზე და როცა შედნება, ამ ქინძისთავს ჩავყოფ წებოში... რომ ჩაასველებ
ჩიფაროზში ან ბასმაში ქინძისთავის თავს, მერე როგორც გინდა წერე, ისე
მიზღვევ, მიყუები და სახეს ჩაყრი, ზოგი თითო-თითო წინწქალს დაადებს და
თოვლის სახეს გამოიყვანს ახლო-ახლოს, ზოგი ვარსკვლავს გააკეთებს, ზოგი
ჩარხს გააკეთებს, ზოგი აღამინის სახეს გააკეთებს, ზოგი მანებს გამოიყვანს,
ზოგი დოშებს გამოიყვანს.

მთხრ. მართა ანტონის ას. ხახუტაშვილი, 60 წ. (სოფ. მეჭვრისხევი, XII, 1935 წ.).

ლენჩაქის არშია. ჯერ წყალით დავიწყებდით, მერე ვარდ-ფანჯრებს ჩაყვრი-
დი, მერე პრტყელ არშიას შემოვავლებდი, შემდეგ პატარა ბოძებს ჩაყვრიდი
(რომელიც აერთებდა პრტყელ არშიას წვრილ არშიასთან), შემდეგ პატარა
არშიას შემოვავლებდი და ბოლოს წყლით დავამთავრებდით.

მთხრ. ეკატერინა პავლეს ას. რუსიშვილი-სიმონიშვილისა, 60 წ. (სოფ. შინდისი, 25.I.1936 წ.).

ლენჩაქების დაბასმვა. მოვადულებდით ბასმასა, შემდეგ დავბასმავდით
ზოგს კლიტით, ზოგს ბასმით დავბასმავდით, ზოგს აბრეშუმის ძაფით გვერავ-
დით. [არშია] სამნიირი ჰქონდა ლენჩაქსა. პატარა ჩხირს გავთლიდი, ბასმაში
ჩაუწვევდით²⁹ და იმოღენა წერტილებს გავაკეთებდით, რამოდენაც ყვაილი
გვინდოდა.

ჩოროს ვეტყოდით, ორი ლენჩაქი იყო გასაქრელად. ორი ქალი ვიყიდით
და გავქირით ირიბათ, შემდეგ მოვაკერებდით არშიასა და დავებურავდით.
სადა ლენჩაქს სადა ბლონდს ვეტყოდით, მაგრამ თუ გავაბავდით ქარგაზე და
დავბასმავდით, იმას დაბასმულ ლენჩაქს ვეტყოდით.

კობი. ბამბას ჩავდებდით, გადავაკრავდით აბრეშუმის საპირესა და ამო-
უხვევდით ნემსით.

ჩიხტი. სქელ ქალალს ჩითს გადავაკრავდით და დავიხურავდით. კიდეც
ვეიდულობდით თავზე მოსახვევს.

მთხრ. მართა ანტონის ას. ხახუტაშვილი, 60 წ. (სოფ. მეჭვრისხევი, XII, 1935 წ.).

²⁹ ასეა.



შანდლის ძირები. სქელ ქალღღებზე გადავყარავდით მწვანე ან ბორღო ხავერდს და დავაყრებდით ზედ შემკობილ სხვადასხვა ყვავილებს. ვაკეთებდით სიმინდს, ლობიოს ყვავილებსა, ჯონჯოლს შუაგულში ამოვიღებდით; დავხვტავდით სქელი სადგისითა და მერე მავთულზე ავსახავდით იმეფსა, ვამკობდით გაროსის ძაფით, გადავად-გადმოვადებდით, ვამკობდით ყვავილებსა. ამას ვხმარობდით შანდლის ძირებად.


მთხრ. სოლო დავითის ძე ტიტვინიძე, 34 წ. (სოფ. არაღეთი, XII, 1935 წ.).

ყაჯარი. ყაჯარას ცხენს [უნაგირს] ზევით გადაათარებდენ³⁰, რომ ცხენი არ დაირთაქოსო, ჩვენ ვიტყვი, რომ არ დაიხუთოსო. პერანგით ეცვა, მაგრამ ძალიან მორთული იყო, ფერადი ძაფითა აყვავებული იყო, ბალიშს მორთავდენ, უნაგირის შემდეგ გადაათარებდენ. ყაჯარს მშვენიერი ფუნჯები ჰქონდა, ჩუქურთმას რომ გაუყეთებენ ისეთს. ცხენს როცა მოიყვანდენ, უნაგირს მოხდიდენ და შემდეგ ყაჯარას გადაათარებდენ.

მ ა ზ მ ა ნ ე ბ ა

მთხრ. ტიტე დავითის ძე ბუზიაშვილი; 30 წ. (სოფ. რუისი, 6.I, 1936 წ.).

აპეურს ვინც გრეხავს, მაზმანებს ვეტყვი. ღორისა, თხის ბალნისაგან ვაკეთებთ. ღორის ჯაგარი არ გამოდგება.



სურ. 61. ჩალხის ნაწილები

³⁰ შემკრებს დედანში უწერია — „ყაჯარას ცხენს კებს ზევით გადაათარებდენ“, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.



ლორის ბალანს დავწკებლავთ ჯერ, სახრეში გავატარებთ, მერე საპენტელში გავატარებთ, შემდეგში მოვაბავთ ჩახლსა³¹, დავგრეხავთ. ჯერ დავართავთ ერთი დამიწვევს, თოკებს ჩამიწვევს (ვისაც უჭირავს), დართავზე უნდა დამიწვიონ, მია. ჯერ ერთ წვერს გავიტან, მერე მეორე წვერს გავიტან, მერე მოვეკეცავ იმას და გამოდის ერთი აპეური. რომ მოვეკეცავ³² და დავასამწვევებ, შევგრეხავ, ის არის რომ მოიკეცება, დამოკლდება და ერთი ფხარი გამოდის. ჯერ ცალწვერად ნართს დავგრეხავთ, შემდეგ დავაორწვევებთ და იმას ვეტყვით კოლს, რომ დავასამწვევებთ გამოვა აპეურა. ჯერ დავართავთ ბალანს, ორ წვერს შევავერთებთ, გადავბავთ რალა, მერე დავაორწვევებთ, მერე დაორწვერებული სამად მოიკეცება და გამოდის აპეური.

ჩალს აბრუნებს აპეურით ერთი და მეორე ართავს. კალაპოტით დავაორწვევებთ ნართს. ჩანგლით ბრუნავს, როცა წამოვალ ჩასავრებათ. ნართი კალაპოტს ოთხი ძუძუ აქვს. ერთი კული ერთ ძუძუზე მიემბება, მეორე წვერი მეორე კულზედ მიემბება, მესამე წვერი მესამე კულზე მიემბება, მეოთხე წვერი მეოთხე კულზე მიემბება. რთვის დროს ბალანს [ვ]უყრი ფართუკში და [ჩარხს] აძლევს პირში.

მთბრ. ანა ხიოს ას. ბუთბუზი-სარაულისა, 65 წ. (სოფ. ქოლოთი, გორის რ. XII.1935 წ.).

აპეურის გაკეთება. თხის ბალანს ვართავდით თითისტარზე; გავჩეჩავდით ხოლმე, დავართავდით, დავაჩხავდით, მერე დავქსელავდით, დავგრეხავდით და აპეური გამოდიოდა. თოკიც ამ ბალნიდან კეთდებოდა...

³¹ ასუა.
³² დედანში იკითხება — „დამოვეკეცავ“.

ქართლი მტკვრის სამხრეთით

უპიქრობა

მათყლის ქსოვილება

მთხრ. ერმინა მესტუმრიშვილი, 80 წ. (სოფ. მეჭვრისხევი).

შალის ქსოვა. ყდები იყო, შვიდი ადლიც ამოდიოდა, ექვსიც. ორწვერ ნართს ერთად დავაზამდით; ქსელი დაძახული იყო, ზედა დაუძახავი. ყდებსა თავსა და ბოლოს ხიდი [ჰქონდა], იმას სოლები უნდა რომ დაიჭიროს, მერე კიდევა ხიდი უნდა, ფეხები უნდა. ფეხები უნდა ორკაპი. მერე იმასა წკებლა უნდა, კაკუჩა უნდა რგვალი იმას ზემოდანა. წკებლა უნდა ღვიმზე. ღვიმს კიდევა დატანებული აქვს რგვალი სუფთა ჯოხი, რომ რამდენსაც დასდგომამს და გამოიტანს ღვიმი, სუფთათ უნდა დარჩეს, საღათა. ზედ შესახმარისი წკებლებია, იმითი გაატარ-გამოატარებს, ცხემლას ვეტყვით ზედა სახმარას; რომ გამოიღებს წკებლას, ირმის რქა არის, ზედას რომ გაატარებ და გამოიტანს იქითა, ირმის რქით ჩაჰკრამ. ბეჭს მტკაველი სიგანე აქვს, მტკაველი სიგრძე და თავი აქვს გამოყვანილი, როგორც ჩარხით.

თუ ლეკური შალია, ორპირათ უნდა, ცალი პირი — წკებლას ძირში და ერთი პირი ზევიდანა; თუ ქართულია, ორპირათ უნდა დაიქსელოს, გორგალი ძირს არის და ნართი მიაქ-მოაქ. აქედანაც უნდა გაკეთდეს წკებლაზე და იქიდანაც. როცა ამოღსდგომამს, ღვიმს რომ გაუქეთებს, მაშინ გაუქეთდება საგორავიცა, წკებლაცა, მიჰყვება და დაუწყებს ქსოვნასა.

დაქსელვაზე ორი ქალი უნდა, ქსოვნაზე ერთი. ძირში ვსხედვართ, რამდენი ფეხიც მოიქსოვება, იმდენი მაღლა ავა, სამ ფეხზე უნდა ავიდეს, დასწევს, დააბრუნებს, მერე ისევ დასწევს, რომ შეგვევება, დაბრუნდება, მერე ავწევთ ღვიმსა და თავის ალაგას დავაყენებთ.

ჩაწერილია სოფ. ბრეთში¹.

შალისა და ჭეჭიმის ქსოვა. ყდაში ჩავაბამდით ჭეჭიმსა, საჩოხესა აბრაშუმისას ჩავაბამდით. ფერად ჩავაბამდით, ჭეჭიმი გამოვიდოდა, სადას ჩავაბამდით და — საჩოხე. [უქსოვდით] ჭეჭიმებს მუთაქებზე გადასათარებლათ; ამასაც ვლებამდით ბალახებში, როგორც აბრაშუმი იღებს [საღებავს], ისე მატყლოს ძაფი, დაწლი კარგად იღებება.

დაზგა დგას და ზედა საქსელავი აქ გაკეთებული — ყდაზე დახვეული

¹ მთრობელი დასახლებული არ არის.

ქელი. ქელი არი წამოღებული, მერე დგიმები ჰქვიან, ოთხი პირი დგიმი უნდა ჰქონდეს, დგიმიშა გატარებული ქელი, მერე სავარცხელშია. დღოწმე ისე ძნელია გატარება, როგორც მოქსოვა. ყაისნალებით გავატარებდით ქელსა, დავამაგრებდით და მერე დაუწყებდით ქსოვასა, ავწევდით და დავწევდით. მაქო ნავისავით არი და ძაფი რაზედაც ახვევია მასურა [ჰქვია]. იმ მასურაზე ვახვევდით ძაფსა ჯარაზე(?)

უეჰველათ უნდა გეცოდნოდა რას ვაკეთებდით, რა იყო საჭირო. რას ვეძახოდით ვერ ვიტყვი, ისე თვალთ კი ვატყობდით კარგ მატყლსა; ბატკნის მატყლი უკეთესად ითვლებოდა. ბატკნის მატყლით, რადგანაც ბევრს ვერა ვშოულობდით, ყაბალახებს ვქსოვდით, წმინდა შალი გამოდის. [მატყლს] მივცემდით დასაჩეჩათა, ზოგს თვითონ ვაკეთებდით. თუ ისე ცუდი მატყლი იყო, გავრცხამდით, გაწეწამდით, დავჩეჩამდით, ჯარაზედაც ვართამდით და თითისტარზედაც. ყდაზე რო დავეხვია, მაშინ გორგალი უნდა ყოფილიყო. გორგალს ჩავაგდებდით ქვაბში, რამეში და გორგალი პროწილობდა.

მთხრ. ფეფე ხათაშვილი, 24 წ. (სოფ. ხოვლე).

ყდაში ჩავაბამთ ძაფებს, დაჰიმულია ძაფი, ზედ გადავახვევთ ყდაზე. ორწვერი მატყლისაგან დავართამთ სხელით ძალიან, მერე დავვრისხავთ. ქელი მხოლოდ თეთრი არი, საქსოვი კი შეღებილი არის, ფერადი.

ყდა, საგორავი, დგიმი მორთულია; საგორავს ზემოდან ჩხირიც უნდა ერთი საქსოვით. იმ ჩხირზე იმ ფერად ძაფს ამოვანჩხურებთ, შევეკრამთ, გაუვლით საგორავით, მავთულ(?) ზემოდან რო არი გაკეთებული, გავლაზე ავწევით, ახლა ჩავწევით, საგორავს ავწევით, გაუვლით ჩხირითა ძაფს და ჩავბეჭავთ სავარცხლით. ასე უნდა მუშაობა, მხოლოდ ნაწილ-ნაწილებსა ვქსოვთ. ნაპირს ფარდავლათ მოქსოვთ ოთხ ძაფზე, მერე ჩავნასკვამთ ორ ძაფზედა. ფერად ძაფს ერთ ყრას რო ჩაუვლით, ჩანასკულს ორპირი ისე უნდა გეველოს, სადათ და ჩაიბეჭოს. მერე კიდევ ისე გაუვლით ნასკვს. რა საათს ჩავნასკვამთ, იმ საათში ვკრებამთ.

მთხრ. ევა მზარეულაშვილი, 67 წ. (სოფ. დიღომი).

უწინდელ კაცებსა ორყალამა ახალუხს უკერამდით დაბამულს.

კერის პირზე ვქსოვდი წინდებს ჰრელსა; ... იმ ჰრელ წინდებზე ბალის კუნწულის სახეს გამოვიყვანდით აბრამუშის ძაფითა. ვაკეთებდით გვირგვინსა, ორტოტიანი გვირგვინი იყო, მინანქრის ჯვართა. მინანქარს ქალაქში ვყიდულობდით და აქ ბუზმენტს უვლიდით. ნეფეებისათვის წაიღებდნენ და ორი დღის მერე მოქონდათ ხუთი მანეთი, ორი ლავაში, ქათამი და ერთი ჩარეკა ღვინო რომ დამელოცა.

ზამთარში ექესი შეგირდი მყვანდა, ზაფხულში — თორმეტი. რო დავათხოვებდი, 15 მან. უნდა მიეცა ნეფესა. მერე მე მიეცემდი მეფესა ბალდადსა, მწვანე ბალდადსა. მანამ საოსტატოს არ გადაიხდიდნენ, მანამ წინ ვედექი.

არშებებს ვაქსოვინებდი, ჩიქილებს ვაბასმინებდი ბასმით. ჰრელ წინდებსაც ვაქსოვინებდი, რაც ქვეყანაზე ძაფებია ყველანაირი ძაფებით და ყვარდაათასნაირადა.

ყათანსაც ჩვენა ვქსოვდით, მუთაქაზე ჩამოვბამდით კოჭებსა და ვქსოვ-



დით. ბასმაწებოს მოვალელებდით, თეთრ ცარცს შეურევდით, მერე ვწინ-
წკლამდით ჩიქილასა, ბასმიანი ჩიქილა [ერქვა].

სახეები: ფოთოლი, მარწყვის სახე, დათოვლილი ჩიქილა — თოვლის
ხე, წინწყლები — წვიმის სახე, მანები ჩიქილას მხოლოდ კურთხევებში ჰქონ-
და მარწყვის ფოთოლი, თევზის ფხა, ცხრილის გული — შალის სახეა. აბანოს
ჩანფიჩი — თავზე მოსახვევი, დიდი. რუფაკი — მამაკაცის წელზე შემოსაყ-
რავი.

ბამბის ღაფუშახება

მთხრ. პელაგია ღაფუშახელი, 100 წ. (სოფ. დილომი).

ჭარები ჰქონდათ, ისხდნენ და ართამდნენ, ჭირით ართამდნენ. ბამბას წა-
მოიღებდნენ ქალაქიდან, გადასცვლიდნენ სამოსელზე. თუ მოაწონებდნენ,
ნართში წონა-ნახევარს აძლევდნენ, თუ არადა — პირდაპირა. მოჰქონდათ ის
სამოსელი, ვისაც უნდოდა, ღებამდა და საცვლებს კერავდა, ვისაც უნდოდა,
საბნებს კერავდა სამზითვესა.

იმ ჭარებს დაიდგამდნენ დედაკაცები თუთებ ქვეშა და რიგრიგას ეძახდნენ,
დამღეროდნენ ხოლმე, ერთად გააკეთებდნენ საქმესა. **პიკებს** ვეძახდით, ესლა
რომ თითისტრებს ეძახიან, თან ართამდნენ და [თან] მღეროდნენ, რიგრიგას ამ-
ბობდნენ ხოლმე:

„რიგრიგასა, რიგრიგასა, რიგ მოდებულსააო.

ვინც რომ რიგრიგა ჩაშალოს, რიგი მოედოოსო“.

ვინც რიგს ჩაშლიდა, მეორე დღეს იმას თავში ჩასვამდნენ და თავიანთა
გარჯიდნენ. მეორე დღეს ასწონიდა ყველა თავისასა, შენ შენსასა, მე ჩემსასა
და წაიღებდნენ ქალაქსა გადასაცვლელათა. სასწვრით, გირებით იწონებოდა,
გირუანქას კი არ ევძახდით, ჩარექს ვეძახდით. ჩარექი ორგირვანქა-ნახევარი
იყო. თან ართამდნენ და თან გართობილები იყვნენ დედაკაცები. თან **ჩარხს**
ატრიალებდნენ და ბზრიალი გაჰქონდა **ჭარახს**. მერე წაიღებდნენ ქალაქს...
[ქალაქიდან] მოიტანდნენ თავიანთ ცოლშვილისთვის საცვლებს... როცა წაი-
ღებდნენ გადასაცვლელად, ეგრე ეტყობდნენ, ლეჰსად გამოიყვანდნენ:

„გენაცვალე, გეუურბანე,
შენ რომ ნართი გამატანე,
ერთი წონა დამაბარე,
ორი წონა მოგიტანე“.

პასუხები შევითხვებზე:

— ჩახსაკრავს ქსოვდნენ?

— ჩახსაკრავს ბამბისას არა ქსოვდნენ, აბრაშუმისასა [ქსოვდნენ]. შენ რომ
მოგიქსოვდნენ, შენ სახელს დააწერდნენ, რომ არ დაგჯარგოდა.

ზოგზე კაცს გამოსახავდნენ, დოინჯს შემოართყამდნენ, ტილოებზე ნაკე-
რი ედოთ და იქიდან იღებდნენ სახეებსა. იმ ტილოებსა, ვინც რომ ნაცოდინა-
რი იყო, ის მოჰქარგავდა ხოლმე, ხელთნაკერი იყო.

— ოქრონემსილი?



— ოქრონმსილი ნემსზე იყო აგებული.

სირმა ბრჭყალივებდა კილიტებისა, თაღლითებხა ჰგვანდა.

— მუახარი, ფარჩას ვეტყოდით...

— სამკერდეს გულისპირს ვეტყოდით, სამკერდულს. მოქსოვილ აბრაშუმის პერანგები იყო გულგაწში და ჭიაში შეედებამდით და ის ეცოთ.

ჭიაფერის სარტყელი პირისსანახავათა [გვეწონდა], იმისთანა კარგი იყო, რომ რალა გითხრა. საშინაოთა, ბლეს ვეძახდით, არეშს შემოვავლებდით და ის ეცოთ.

პრასის, ნიახურის ლეჩაქს ეძახდნენ, როგორც პრასა, ზოლ-ზოლი იყო ლეჩაქი. ნიახურისა როგორც ნიახური გენახოს, ეგრე იყო ამოსული და გაშლილი ფოთლები. ჭალაქში ვაფოთლინებდით.

ქალალ[დის] თავსაკრავს ვეტყოდით, ორი იყო — ერთი პატარა, ერთი დიდი. ქალალდი თავსაკრავის მერე ოქრომკედის თავსაკრავს დაადგამდნენ.

მანდილი იცოდნენ, აბრეშუმისა იყო, ფოჩიანი. მერდინს აბრაშუმისას ვაკეთებდით; არჯამწყვე ამოვხვევდით, დავართამდით და ფეიქარი მოგვიქსოვდა. რომ მოქსოვდა მერდინსა, ორწონა აბრაშუმს ჩვენ მოგვეცმდა, ერთ წონას თვითონ აიღებდა, სასწურითა სწონამდნენ.

სახეები: მარწყვის ფოთოლი, ხე, ყვავილი, ალვის ხის სახე. [ექსოვდით] სახიან პაქიეებს.

ზონრების ქსოვა

მთხრ. ნინო ჯანანაშვილი, 120 წ. (სოფ. ხოვლე).

ჩახსაკრავების ქსოვა [ფირფიტებით]. ჩაუსხდებოდით, საბეკო იყო ტყავისა, ხოლოთ ცხენის ტყავისა, უნდა თხელი იყოს, სარკესავით. იყო 30 ფირფიტა, იმითი სახეს ვაკეთებდით, მშვენიერათა კეთდებოდა.

დაზგას ვეძახდით, დაუსხდებოდით, დაზგას ოსტატს გავაკეთებინებდით. იმ დაზგაზე ერთი აქედანა დგას, იქიდანა მეორე, ერთი შუაში ითვლის როგორც უნდა სახის ჩაყრა ფირფიტებით, ისა ბეჭამს; რომ ჩაეთვლი, გადავიღებ სახესა, მივცემ რომ გადავაბრუნებ ფირფიტასა, მივცემ, იმანაც უნდა ჩაბეჭოს. დავთვლი ფირფიტებსა. სახე გვედო წინა, იმ სახიდან ვიღებთ. ჩახსაკრავს უნდა ორი მბეჭავი და ერთი მქსოველი.

ჩაფარიშებხა ვქსოვდით შავებხა; იმას ერთი მოქსოვს. ახალუხებზე ივლებდნენ, პერანგებზე ივლებდნენ, თითის სიბტყეს — ახალუხის ჭიბეებზე.

დაზგას ეძახდნენ, ორი ჯოხი იყო გაბმული, ძაფს გავაძერენ, ვადავატრიოლებ და ჩაბეჭამ. ძაფებში უნდა გაუყარო ხელები, ერთი აქედან, ერთი იქიდან, მერე უნდა ჩაბეჭო. იმდენი უნდა იქსოვოს, რომა იმ ფირფიტებთან მივიდეს, მაშინ ამოიჭრება. ფირფიტებსა ოთხგან დახვერტილები აქვს ძაფებისთვისა, იმაზე ძაფებია ასხმული. ჯერ ჩავყარი სახესა, უცქერი რანაირათ იყოს, მერე გადავთვლი და მივცემ, ჩაბეჭამენ და გამაიყვანება ლამაზათა; მურდახილს ვეძახდით, იმას ჩაყვრიდით ხშირათა, ფრინველს შიგ გამოვსახამდით, ყველანი იფრინველი გამოიხატება.

ზონრის ქსოვა. ზორანს მოექსოვდით. მუთაქას მააორკეცებდნენ, მასზე ეკიდა მშვენიერი დურგლური გათლილი ჩხირები. იმათ ხელით გადაოსწევ,



ერთი ექვსი იქნებოდა; ჩხირებზე იყო დახვეული ძაფი, მუთაქაზედა ჩამობმული; რამდენიც მოიქსოვებოდა, იმდენს ჩამაახვევდი მუთაქაზე. ასეთი კარგი იქსოვებოდა რო! უღლებდნენ ახალუხებსა, ღიღებდა შეჰკრამდნენ, შავი ძაფისა იყო.

მთხრ. დარო ქვრივიშვილი, 55 წ. (ქარელი).

ქეჩის გაკეთება. აი, ამ „ბალკონის“ სიგანეზე მატყლ დავაფენდი, დავასხამდი მღულარეს, მოვთელამდით რგვალი ხითა, იმას გავავაგორ-გამოვავაგორებდით და ითელებოდა. გაშრებოდა, როგორც ხალიჩა, ისე გახდებოდა, მშვენიერი იყო, ფარდაზე დაჰფენამდნენ, ქეჩას ეძახდნენ. მერე იმ ნაბადს ვისაც უნდოდა, ზოლიანს, ვისაც უნდოდა, ისე... საკუთარი მატყლისა უნდა ყოფილიყო.

ჩიღოზის ქსოვა

მთხრ. პელო სონღულაშვილი, 55 წ. (სოფ. დილომი).

ორნი, სამნი, ოთხნი წავიდოდით ხოლმე ერთადა ქაობში. ვგლეჯამდით ჩალასა. ზოგი ჩიფლობოდა ხოლმე ქაობში, საფლობი ტალახია და ამოვწევდით. მოვგლიჯამდით ექვს-შვიდ კონასა, შევკრამდით და ავიცილებდით, წამოვიღებდით, ამოვიტანდით, მზეზე დავყრიდით, რომ დამჰკნარიყო. მერე, რო ვაკენებოდა, ჩამოვავამდით ქსელსა უდაზე და მერე ქსოვას დაუწყებდით; მერე სარქველებითა ვბეჭამდით, ტაშტი გვედგა წყლით. ვასველებდით ჩალასა და ვბეჭამდით ქვის სარქველებითა; მერე როცა დავამთავრებდით, პირს გადაუქნიდით. სიგანით არშინ-ნახევარი. ორ არშინზე მეტი არ მოიქსოვება, სიგრძით — რამდენიც გინდა.

მღვებოვა

მთხრ. ერმინა მესტუმრიშვილი, 80 წ. (სოფ. მეჯვრისხევი).

ვღებამთ თრიმლითა, მურყნითა (უხუნრათა ღებამს), მურყანში [შელეზილს] შავი და ლურჯი ფერი დასცემს. რძიანი ყვითლათა ღებამს, ნარგვიზი ხე არის, ისიც თრიმლის ხეა. ფოთელი შავათა ღებამს და ის ხე — ნარგვიზათა, უფითლადა, ენდრო — წითლათ.

დავდგამთ იმ მურყნის ქერქსა, ვადლუვებ დიდხანს. ერთი პირი უნდა იდულოს, მერე ამოიყაროს და ჩემატოს მურყანი, მურყნის ქერქი, კიდევ ვადლუვით დილით სალამომდინ, მეტი უნდა იდულოს, ნაკლები არა. მერე ძალარაში დავძალამთ, მერე ძალარას წვესაც ზედ დავასხამთ, ერთ პირს წამოვადლუვებთ და გადმოვიღებთ და დავდგამთ ისე, შიგა დევს შალი; რო ამოცივდება, მერე ამოქვილებთ, გაქვირებთ.

თრიმლსაც როგორც მურყნის ფოთოს, გაახმობენ და დასცეხვენ და ისე შეინახამენ. შეღებვა რო უნდათ, ჩაპყრიან წყალში, აადლუვებენ. წყალში უნდა იდულოს ბევრი, მერე მისცემენ ძალარასა და შეიღებება. ერთი პირი უნდა ძალარაში წამოდულდეს შალი, უნდა დაიდულოს და წამოდულდეს, ეგ არის.

რძიანს მოვკრეფამთ უმზეურათა. ერთპირ ჯერ რძიანს დააფენს, მერე



შაბს მთაყრის, მერე ნართის დალაგებს და კიდევ შაბ მთაყრის, [ისევ] მოაფენს, მერე ისევ შაბს მთაყრის, მერე რო ამოიღებს, არ უნდა გარეცხას წითელი ძროხის შარღში უნდა დადებოს, დადგას და მერე ამოიღებს, გარეცხას და გააშრობს, ეგ იქნება ყვითლათა.

ენდრო უნდა დანაყოს და გაიცრას. იმ ანაცერს ადუღებს. ზემოდა ხირხელი დარჩება. ის ფქვილი რაც გაუა, იმას ნართს წაყრით, როცა იდუღებს წითელშია, იმ ფქვილს წაყრის. მერე ისევ ნართს ჩასდებ და მხიარული შაიღებება. ნართსა შაბსა და დოში ჩაღებთ, დასდებამთ, მერე გარეცხამთ, ერთი დღე და ღამე უნდა იყოს იმაში. მერე გარეცხება და წითლად შაიღებება. მერე, მას უკან, ისევ ჩავდებთ ნართსა დადებოლსა იმავ ნაღულში (სულ ერთნაირათ უნდა დადებოთ) და იქნება ალისფერი; მესამეთ რო ჩავდებ, ის — პირისფერი: მამ, პირველი — ჭიგარი, მეორე — ალისფერი. მესამე — პირისფერი.

მთხრ. დარო ქვრივიშვილი, 55 წ. (ქარელი).

ვაშლის [ხის] ქერქით ვღებამდით. ვაშლს გავქერქამდით, იმას გარსივითა აქვს და იმას ჩაყურდით. ქერქს რო ვააცილი, იმას აკრია თეთრი და თხლათ სულ ააცილი, ჩაყურით წყალში. ნართს შაბში დავდებამდით. ვაშრებოდა ის ნართი; მერე ჩავდებდით ვაშლის სამღებროში; ერთ ღამეს დავარჩენდით ნართსა; ამოვიღებდით მეორე დღეს, გავაშრობდით მზეზედა, [მაშინვე] გავრეცხამდით და გავაშრობდით მზეზედა. მერე მოიქსოვებოდა, რათაც უნდოდათ, ხმარობდნენ.

ლაბა — [ხის] ქერქის შუა ტყავი.

ქ ა რ ვ უ ლ ო ბ ა

მთხრ. დარო ქვრივიშვილი, 55 წ. (ქარელი).

ორ ჯოხზე შეიკერებოდა ამერიკანი, მერე მიტკალი ჩაიბმეოდა, გადასწევდოდა, გადავრეხამდი, იმას თავსა და ბოლოს ჩხირები ჰქონდა თავის ფარეშებითა, გადაიძარებოდა(?), რვეალი უნდოდა და თითის წერის წვერით ჩავარჭობდით პერანგს, იუბკას, აკუნის ჩარსავს, ლოგინის ჩარსავს, რაც კი დავგვირდებოდა. რაც უნდა დავვენახა, ყველაფერს ვადავიღებდით. დაიხატება ფანქრით ქურნალი და იმაზე შეიკერება.

ქარგა სულ მიტკალი უნდა ყოფილიყო. ქალად დაუფენამდით იმ მიტკალსა შეგნით პირიდანა, მზე რო მოადგებოდა, იმ დროს მიაფარებდა, გარკვევით გამოჩნდებოდა [ნახატი და] ფანქრით დაიხატებოდა. აიღებდი. ნახამდი, რაც ქალადზე იყო, ის მიტკალზე [იქნებოდა], როგორც მოუხდებოდა ამ გადაღებულ ნახატსა, ისე შეეკერამდით.

ექსოვდით ყაისნალითა, ზოგი ხუთიანი იყო, ზოგი — შეიდფენიანი, როგორც მოუხდებოდა ფეხი, თვალი... ნიმუშებს მოვიტანდი, ახლა ხელით არავინ ეწვალება.

თავსაკრავებს ვკერამდით. **ჩიხტიკოს** ვაკეთებდით **ქარგაზედა**, მშვენიერად აბრაშუმის ძაფითა. ოთხი ფეხი ჰქონდა ქარგასა, გაბმული იყო და ხავერდის თავსაკრავებსა ზედ დავაფენდით, ჩიხტზე ვავაკეთებდით. ჩიხტი ერთი იმასა, რასაც ჩამოვკრამდით ხოლმე, მორთამდნენ იმ ჩიხტსა თავსაკრავით, შუბლის ქინძისთავს ჩაარკობდნენ, იმაზე — ზონარსა და საღდა წავიდოდა.

ჩაწერია სოფ. ბრეთში².

ყველა ოჯახში სანამუშოთ ჰქონდათ ტილო, ორი-სამი არშინი. ტილოს რთ ძაფები აქვს, იმის თვლითა, იმაზე ამოქარგებოდა... როცა რამის შეკერვა უნდოდათ, ან ფარდაგის, იქიდან გადაჰქონდათ სურათები. იმ სურათს ხატამდნენ ქალალზე. ამ დახატულსა ჩაჩხვლეტამდნენ ნემსითა, მერე ჩაჩხვლეტილ ქალალს დაადებდნენ ხავერდზე ან ატლასზე და ზედა ნაცარ დააყრიდნენ, რომა ნაჩვრეტებში ნაცარი ჩასულიყო. მერე აიღებდნენ იმ ქალალსა და გამოჩნდებოდა [სახე]. შემდეგ ამ წინწყლების გაყოლებით იბლანდებოდა ძაფი, ესე ჩაკრული ქარგაში. მერე ამოიბლანდებოდა, მერე დაუწყებდნენ კერვასა ვერცხმკედისა, აბრაშუმისა თუ ხავერდის ძაფით. საყერავში იყო კილიტები. **ფიფინურები** იყო და ციმციმებდნენ შუბლსაკრავზე.

ბოინბალი თავზე შემოსაკრავი ნივთია ოქროსი, თვლებით შექვილი, რთ წაიღებდა თავსა, ფიფინურები ისე ციმციმებდნენ. ბოინბალი ასხმულია ოქროს ჯაჭვისაგან მოქსოვილი თვლებითა, ძალიან წმინდა ოქროთი.

ჩიტის ფრთა — სახეა. **ხერხიცი** [სახეა], პირველად ხერხი უნდა შეგვეკერა, გვესწავლა მომატება და გამოკლება; სხვადასხვა ფრთოსან ჩიტებს გამოვსახამდით, თანაც გვახამებინებდნენ. რთ შეხამება გვესწავლა, ერთმანეთის მიდგომა. მერე კანვა (დაფინჯრული ნაქერი) შემოვიდა მოღაში; [იმის ქარგვა] ძალიან ადვილი იყო. მერე **მურდახილსა** [ვაკეთებდით]; ერთ თვალს ამოვიღებდით ამ ტილოსაგან, აქეთ-იქით ისე მიუმატებდით, ავიდოდით მაღლა, ვთქვათ, თხუთმეტამდე, კენტი უნდა ყოფილიყო შუაში; ახლა ქვევითკენაც ჩამოვიდოდით, ქვევიდანაც უნდოდა მოკლება, ქვევიდან ნაკლები უნდა, ვითომ რომ ბეჭები მეტი აქვს აღამიანს, მერე იმას კისერსაც გამოვამამდით, კლავებსაც — თითებითა. ქვემოთაც — ფეხებს. ძალიან კი მიემგვანებოდა აღამიანს! ეხლა ესე წადიო, ეხლა ესეო, გვეტყოდნენ და გამოვიდოდა რაღაც...

ვთქვათ რომ უნდა ექოთ ვინმე, იტყოდნენ მურდახილივით წელი ააქო.

მერე, რაკი ვისწავლიდით თვალის ამოღებასა, წყვილად უნდა ამოგველო ტილოზედა (ერთ ნემსზედა ორი ძაფი უნდა ყოფილიყო, წყვილად იმას ვეტყოდით, ერთი თვალს, ოთხი ძაფი, ორი ქვემოდან, ორი ზედა, ამას ვეძახდით ერთ თვალსა). მაღლა წავიდოდით და კიდევ ეგრე თითოს მოუმატებდით.

ზორანი ახალუხისა. **ზორანი** და **ყაითანი** ერთი და იგივეა, რგვალი არის, ძაფისაგან მოქსოვილი.

ლილი-გამოკერა — რთ შეეკრათ ჩოხა ან ახალუხი. თითებზე ვავაკეთებდით ზორანსა (ყაითანსა), იმით გამოკერამდით ლილსა. იმით ოქრომკედლსაც გამოკერამდით ხოლმე, ქალის ტანსაცმელს, ისე ყაითანს აბრაშუმისასა, კაცის ტანისამოსს; ყაბალახს უკეთებდით ფენჯსა.

მარმაში — ტილოს ნაქერი, უბრალო სამოსელი, სხვილი ტილოა.

თუ ღაზლისასა ვქსოვდით, საჩოხეები, ჯეჯიმი. ფარდაგები უნდა ყოფილიყო. ხურჯინებსაც ევრე მსხვილი შატკლის ძაფისაგან [ექსოვდით], თუ ცდილობა აბრაშუმისაა, მაშინ — ჩეჩუნჩა[ს] და დარაია[ს]. ყალამქარს ეტყოდნენ, ესლარომა ნანსუქს ეძახიან. წმინდა, ძალიან წმინდა იყო, ხოლო ნანსუქი ისე კარგი არ არის, ის უფრო კარგია, ყალანქარი.

ქარგაში ჩავაბამდით ატლასსა ან ხავერდს — თავსაკრავსა ან რაც გვიინდოდა, მერე დავაფენდით ზედა გამოყვანილ სახეს. სახეს ვეძახდით, რაც უნდა გამოგვეყვანა ზედა. ნემსით დაჩვრეტელ ქალალზე, იმაზე დავაყრიდით ნაცარს... მერე იმ ქალალდს ავწვევდით ფრთხილად, სახე ვადავიდოდა; იმას თეთრ ძაფით დავბლანდამდით და ვქარგამდით ნემსითა. ხოლო ოქრომკედით თუ ვქარგამდით, ოქრომკედზე ზომ ძაფი არ აიგება, მაშინ ფირფიტაზე დავახვევდით და იმითი ვაბამდით აბრეშუმს. ოქრომკედი ჩაკერებულია ნემსითა და ძაფითა, თანვე ჩავაყოლებდით კილიტებსა.


ვქარგამდით თავსაკრავებსა, სარტყელსა, გულისპირსა, ყურთმაჯებსა. ვარდა მაგისა შეიკერებოდა ბალიშები, ხალიჩები კედლისა, სუფრები სასტუმრო. ოღარი, ხატებისთვის გადასაფარებელი (დიდი ოჯახი სწირამდა). ტილოზე ვკერამდით ნიმუშებსა ფერადი ძაფებითა. აბრაშუმის ძაფით [იკერებოდა]: მურდანლი. ხერხი, კიბე, ყვავილები. მაგ ტილოზე შეიკერებოდა ფერადი აბრაშუმითა და ფერადი ტილოს ძაფითაც, უფრო აბრაშუმს ვხმარობდით.

მთხრ. ქრისტინე ოქროშიაშვილი (სოფ. სკრა).

პერანგი. პერანგი იკერება გულისპირით, მოქარგული ფერადი ძაფით, ოქრომკედის ჩაფარიშით, მოსაღლები უაითნებით, ისე კიდევ მოქარგული ჩაფარიშით...



სურ. 62. საქარგავი სახეები



სურ. 63. საქარგავი სახეები

ფეშტამალი — „ფართუკი“, ჩვენ არა გვაქვს, არა ვხმარობთ, აი ხარზეს, რომ ეძახიან, იმათა აქეთ.

ყაბალახი. ყაბალახი იყვრება შალისგან, ევლება ჩაფარიში და ყაითანი თავზე და გარშემო. ნაწილები ორი აქვს — თავი და ტოტები, ორათ უნდა გაკეთდეს.

[საქარგავი] სახეები:
მუხლის საცვეთი იყვრება ხელით. იმასაც ევლება ყაითანი.

მთხრ. ანა ნადირაძე, 57 წ. (ქარელი).

[ქარგვის] სახეები: ნემს მოდებულში — როგორც ყაისნალი ისე.

ქარა — რგვალა, როგორც საცრის რგალი. სახეს ქალღმერთს გამოვიყვანდით, ... მერე მატერიაზე დააფენ, რომ მატერია არ გაფუჭდეს, იმას ამოსჭირი, დაბლანდამ და მოქარგამ.



სურ. 64. სახეები

მოუცხოვლებდით, იმას ვეძახდით სახეს რო გადავიღებდით.

დაწრეთილი, ქალღმერთის კანცებია, ამაზე ვკერამდით სათვალავითა.

ძაფით ვქარგამდით, ძაფი ბევრნაირია. ჩვენ სოფელში ვყოფდით, ჭერ დავეთართამდით, მერე ვყოფდით, ოთხი წვერი იყო, შუაზე ვყოფდით ორ-ორ წვერს, დავებეწვამდით წინდისჩხირითა. ნემსით დავიბნევდით ძაფსა, დაიხვეწება, დაწმინდავდება, ბურძღლი ვასცივია და წმინდა დარჩება ძაფი.



სურ. 65. სახეები

ნაკალმს ვეძახით, გადასული რო არის და რო დაეხვევა, ის სჭა არის.

სახეებს ბუნებიდან ვიღებდით, ჩითი რო მოგვწონებოდა, შეგვეძლო გადაგვიღო.

მეხსეთი

ფიქრობა

მატყლის ქსოვილება

მთხრ. მიხეილ ზახილის ძე ჭვარციძე, 70 წ. (სოფ. კობარეთი).

კობარეთში უწინ თხა-ცხვარი ბევრი გვყავდა და ზშირად ვქსოვდით ხალიჩებს, ფიჩვებს, შალებს და სხვ. მარა ახლა ძალიან დაცოტავდა მათი რიცხვი; თითო კომლი თუ ორმოცს-ასს სულს ინახავდა, ახლა ხუთს-ათს-თორმეტს ძლივას ინახავს. უმატულობით ჩვენში ხალიჩა-ფიჩვებისა და შალის ქსოვა მოიხსოვ. ახლა იშვიათია ჩვენში დაზგებზე ქსოვა, თითქმის აღარც იშოვება დაზგები, თითო-ოროლას თუ მოეპოვება.

შალის საქსოვი დაზგის ნაწილები. ქსოვა. დაზგას (ზომ. $3 \times 1\frac{1}{2}$ არშ.) აქვს ორი კლავი. კლავებს ორი გარჯი აერთიანებს — უკან, ბოლოში და შუაზე. ერთი არშინის შიგნით. დაზგა ოთხ ფეხზედაა გამართული; უკანა ფეხებზედ გამართულია უღელი კლავების ზევით, ფეხების თავში, რომლის ნახვრეტებში გაყრილია უღლის თავები. ეს უღელი მოძრავია, ტრიალებს და იხვევს მოქსოვილ შალს, რათა მოსაქსოვს ხელი არ შეუშალოს ქსოვის დროს. უღლის თავები ორ ადგილას ჩახვრეტლია, რაშიაც ტაბიკებს ურჭობენ, ჰალეებს(?)..

კლავზე გამართულ ოთხ ბლაგოზე (კბილზე) ფეხით ამაგრებენ უღელს, რო შალის ქსოვა განაგრძონ... უღლის უკან მქსოველის საჯდომია, რომლის გვერდებზე, კლავების ბოლოებში, მარჯვნივ და მარცხნივ სამი არშინის სინიმაღლე ხეებია ჩამოცმული, რომლის ზედა თავები კიფოთია დამაგრებულნი. აგრეთვე [დამაგრებულია] კლავების წინა თავები, ფეხების ზემოდ — ზემო თავები, ერთი არშინის სინიმაღლეზე, რომელსაც თავებზე გადებული აქვს საგორავი ხე. უღლის წინა კლავებზე, ერთი არშინის სივრცით აღმართულია ტარადაჯი $1\frac{1}{2}$ არშინის სინიმაღლე ხეებით. ეს ხეები ერთ არშინზე ზევით გახვრეტლია კლავებთან და შიგ [გატარებულა] რვა ვერშოკიანი ქალი, უღლისაქენ გაშვერილი, რომელზედაც დაკიდულია სავარცხლის ბუდე, მოძრავი. ეს ბუდე, ქალის ბოლოზე გადებული ზემო მოძრავი უღლის გვერდის ხეებით კლავებამდის დამაგრებულ ჩარჩოშია ჩარჭობილი(?), რომელი უღელიც დაკიდული ქანაობს. ქვემო ჩარჩოს ზევიდან კიდევ მოძრავი ზემო ჩარჩო აქვს დახურული; ყოველივე ეს სავარცხლის ბუდეშია [მოთავსებული]. ზემო და ქვემო ჩარჩოს შუა გამართულია საქსოვი სავარცხელი ორი დგიმით. დგიმები



მიბმულია თასმებით ფეიქრის საფეხურებზე, რომლებშიაც ფეიქარს უწყვია ფეხები და ქსოვის დროს ამოძრავებს დგიმებს. ფეიქრის საჯდომის-მარცხენი ამართულ ზესა და მოძრავ უღელს შუა, გახერეტილში ჩარჭობილია ბლაგო, ანუ **ქალი**, რაზედაც დამაგრებულია ქსელის წვერებზე მიბმული თოკი.

ნართის წვერები — ქსელები ფეიქრის წინ მოთავსებულ მოძრავ უღელზე გატანილია **სავარცხლის კბილებში**, ორ დგიმ შუა. წინა სავარაგების ქვეიდან ზევით გადატარებით და ისევ უკან (ფეიქრის საჯდომისაკენ) დაზგის ზევით კოფოზე გადატარებით, [ქსელის] ყველა წვერები დამაგრებულია ფეიქრის მარცხნივ **კალზე**, ბლაგოზე¹; ასე, ფეიქრის ფეხების ამოძრავებით, იქსოვება შალი. მქსოველის საჯდომის წინ, უღელზე, ტაბიკების დამატებით შალი განაგრძობს ქსოვას.

მაქოს ხმარება ქსოვის დროს. ფეხების მოძრაობით დგიმები ჰყოფს ქსელს, ქსელენს შუა ფეიქარი მაქოს ატარებს აქეთ-იქით. მაქო ქსოვს **შესაყარი ნართით** ქსელებზე, რომელიც ჩამობმულია მოძრავ უღელზე.

მასრაში გაყვანილია რკინის **წინდაჩხირი**, რომლის მოძრავი წვერები მასრის ნახერეტიშია ჩასმული, რო არ გამოვარდეს.

ლაზლის ძაფის დამზადება შალისა, ფიჩისა², ხალიჩისა და სხვათა საქსოვათ. ცხვრის მატყლის **კვანძს** გარეცხენ კარგათ, გააშრობენ. ფერებათ (შავი, წითელი) გადაარჩევენ და საჩეჩელზე დაჩეჩენ. დაჩეჩვის დროს თან არჩევენ გრძელ, საშვალო, მოკლე და **მსხვილბეწვიან** მატყლს და ცალ-ცალკე ჩეჩენ. ახარისხებენ. **მოკლებეწვიანს**, რომელიც არ დაჩეჩება, ხელით წეწვენ, ან **შვილდზე პენტავენ**; დაჩეჩილს და დაწეწილს მატყლს **ხელტარზე** ან **ჭარაზე** ართვენ. მერე გრეხენ, ხვეწენ და მერე დაზგებზე საქსოვს **შულოებათ**, ხოლო წინდების საქსოვათ **გორგლებათ** [ამოახვევენ]. ვისაც სურს ბუნებრივი ფერის ძაფის დამუშავება, დაამუშავებს რისთეის[აც] სჭირდება და თუ შეღებვა უნდა, ლეზვენ ისევ შინაურულათ, ბალახებითა.

მთხრ. თედორე იაძე, 70 წ. (სოფ. ღრელი).



სტრ. 66. ტარალაქი



სტრ. 67. მაქო

¹ ეს სიტყვა ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

² დედანშთა: „რომლის ყველა ქსოვილების(?) წვერები დამაგრებულია ფეიქრის... ბლაგოზე“, რაც გაუგებრობას წარმოადგენს.

³ იგულისხმება კანძი.

ქილობის ქსოვის შესახებ. ქილიდან ქსოვენ უფრო ქილობებს, დაზგაზუნა
ქილობის საქსოვ დაზგაზე იქსოვება: ფიჩვი, ჭეჭიმი, ტომარა, ხურჯინი

მღმბრობა

მთხრ. მიხეილ ბასილის ძე ჯვარიძე, 70 წ. (სოფ. კობარეთი).

წითლად შეღებვა. ენდროს დანაყვენ კარგათ და წყალში ვხარშამთ. ნახარშ წვეწმი ვღებთ ძროხის შარდში გავლებულს ნართს და ცოტა ვაღუღებთ, მერე ამოვიღებთ ნართს და დავეშაბამთ, რო ფერი არ გაუფიდეს.

ყვითლად შეღებვა. ფოლიოს (ბალახია) ყვითელ ყვავილს ვხარშამთ სუფთა წყალში. ნახარშ ცხელ წვეწმი ჩავდებთ დაშაბულ ნართს და ნელ ცეცხლზე ვაღუღებთ, რო არ დაეწვათ ნართი. გადმოვდგამთ ცეცხლიდან, გავაციებთ და წყალში ცივათ გავავლებთ.

ნარინჯისფრად შეღებვა. ვხარშამთ თრიმლს; ნახარშში დაშაბულ ნართს ვღებთ და ნელ ცეცხლზე ცოტას ვაღუღებთ.

შავად შეღებვა. შავტრაკა ბალახს ვხარშამთ და ნახარშში დაუშაბავ ნართს ჩასდებენ და ცოტას აღუღებენ; გადმოიღებენ, გააციებენ და ცივ წყალში გარეცხენ, დაუწურავთ ამრობენ.

ქარბულობა

მთხრ. როზა ივანეს ასული მეფისაშვილი, 70 წ. (ქ. ახალციხე).

მე ვქარგავ ქარგაზე, ე. ი. ნემსის კერვით ხვეწრღზე აბრეშუმის სხეადა-სხეაფერის ნაჭრებით. სურათებიდან ხვეწრღზე თვალის ცქერით გადმომამქვს ნახატები აბრეშუმის ნაჭრებით და ვკერავ ნემსით ადამიანის სახეს შესაფერი-სი ფერის ნაჭრებით, ტანისამოსს და სხვას, როგორც აბრეშუმისა, ისე ოქრო-მკედის ძაფებით. სურათთა თმას, წვეწრ-ულვაშსაც ჩემი ან სხვისი [თმით] შესაფერის წლოვანებისა ვუკუთებ. მე დამრჩა ჩემი ქარგა ნემსით ნაკეთები:

1. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სურათი — თამარი თავის მსლებლებით, შოთა დაჩოქილი „ვეფხისტყაოსანს“ აწვდის დედოფალს (სურათის ზომა — $1 \times \frac{1}{2}$ არშ.).

2. თამარ დედოფალი ფეხზე დგას (ზომა — $1 \times \frac{1}{2}$ არშ.).

3. სათუთუნე („ტაბაყერკა“) სამკუთხი, კუთხეები უქირავთ დედოფლებს: თამარს, მარიამს და დარეჯანს. პირველ სურათს ნახავთ ტფილისში⁴.

მთხრ. ნინა ბაიბურთელი, 60 წ. (ქ. ახალციხე).

ქარგაზე ვქარგავთ ნემსით აბრეშუმის ფერადი ძაფებით. დანჭრის ხაზულობაზე. ასევე ბამბის ქსოვილის ნაჭრებზე ვკერავთ ყვავილებისა და ფრინველების სახეებს. ქარგაზე მუშაობას ვიწყებთ შუადან და კიდურიდანაც. „შარ-

⁴ აღნიშნული სურათი დაკულია საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში.

ფებსა“ და წინდებს ექსოვთ წინდინბირებით და ყაისნალით, ფერადი და სირეწონული მის ძაფებით.



მთხრ. ბაბო ოქროპირიძე, 57 წ. (ქ. ახალციხე).

ფირფიტებზე დახვეული სხვადასხვაფერის აბრეშუმის ძაფებით, უიარალოთ. თითების შემწეობით ექსოვთ წვივსაკრავებს, ყაითნებს, ბალებს და ხონჯრებს.

ქარვეა აბრეშუმისა და ოქრომკედის ძაფებით. იქარგება ქარგაზე გადაკრულ ნაკერზე, ფანქრით დახატულ სურათზე ნემსით ფერადი ძაფებით ყვავილები და სხვადასხვა ფრინველები.

ჯ ა პ ა ს ე თ ი

მ ლ მ ბ რ ო ბ ა

მთბრ. ლავრენტი იოსების ძე ზედგინიძე, 77 წ. (სოფ. ბალანთა).

ჩვენ უწინ ბევრ რასმეს ვქსოვდით! სახლში: ხალიჩას, ფიჩვს, ჭეჭიმს, შალს, ქილობს. ცხვარი ბევრი გვყავდა. მატყლი, რასაკვირველია, უხვად გვქონდა სახლში და კიდევაც ვიყენებდით საქსოვეებში. ძაფებსაც ჩვენი ქალები თვითონვე ლებავდნენ. ბალახებს ჰკრეფთვადენ მინდვრებში, მთაში, მოჰქონდათ და რა ფერიც დასპირდებოდათ ნართი საქსოვად იმ ფერებს ლებავდნენ: წითლად, ყვითლად, ლურჯად და სხვაფრათ. ახლა ესენი სულ ყველა დაგვაფიწყდა. ცხვარი აღარა გვყავს, რავედენიმე სულს ვინახამთ, ისიც გვინდა რო მოვსპოთ, ვეღარ შეგვიჩახია. ხალხი გამრავლდა, ყანები რო აღარ ჰყოფნით, საბალახო ადგილებს დაუწყეს ხვნა. სხვა დაბრკოლებებიც გველობება წინ და რაც გვყავს, [იმის შენახვაც] ვკვირის.

ყვითლად შეღებვა. ფოლიოს ყვითელ ყვავილს ხარშავენ. ნახარშს წვენიში სდებენ დაშაბულ ნართს (ძაფს), შესდგმენ ქვაბით ცეცხლზე და ადუღებენ ნელ ცეცხლზე, რო არ დაიწვას; გადმოსდგამენ, გააციებენ და ცივ წყალში გააღებენ.

წითლად [შეღებვა]. ენდროს დანაყვენ წმიდათ, ჩაპყრიან წყლიან ქვაბში და ადუღებენ. ნახარშში დაშაბულ ნართს ჩასდებენ და ნელ ცეცხლზე ადუღებენ.

ციხფრად შეღებვა. შარშიციც ბალახია. ჩასდებენ წყლიან ქვაბში და ხარშავენ. ნახარშში დაშაბულ ნართს ან შალს ჩასდებენ და ნელ ცეცხლზე ადუღებენ.

ნარინჯისფრად [შეღებვა]. თრიმლსაც წყალში ხარშავენ. ნახარშში ჩასდებენ დაშაბულ ნართს და კიდევ ხარშავენ.


შავად შეღებვა. ფოთოთას ჩაპყრიან წყლიან ტაფაში და ხარშავენ. ამოიღებენ ნახარშიდან ბალახს და ჩასდებენ დაშაბულ ნართს. ამოიღებენ წვენიდან ნართს და შავ ტალახში ჩაფლავენ; ერთ კვირეს ტალახში იქნება. შემდეგ ამოიღებენ, ცივ წყალში გარეცხენ, გააშრობენ. მერე ძროხის შარდში ხარშავენ ერთ-ორ დღეს; მერე ცივ წყალში გარეცხენ და გაუწურავად გააშრობენ.

შავათ შეღებვა [მეორენაირად]. ფოთოთი და სოსანი უნაგვიან რკინის ნაქ-

1 შეგვრებს არ მოეპოვება ცნობები ფეიქრობის შესახებ, ამის გამო ამ ენთის ტექსტი იწყება მღებრობით.

რებში არეული უნდა ჩაყაროთ წყლიან ჰურჭელში და მოხარშოთ კარგად. ნახარში ჩასდებთ დაშაბულ ნართს ან შალს.

ქეჩის შეთელვა. დაპენტილ მატყლს ტილოზე გაშლიან თანასწორედ, მეტნაკლები არ დარჩეს არც ერთ კუთხეზე. გაშლილს თბილი წყლით დანამვენ. ზემოდან ტილოს გადაფარებენ და სიგრძეზე რგვლათ დაასორსოლებენ. თავ-
[სა] [და] ბოლოზე ტილოს შეუქცევინ, რო მატყლი არ გამოიპნეს; დასორსო-
ლების დროს, გრძელი, ტილოს გამწვდენი კეტი უნდა დაატანონ, იმაზე უნდა
დასორსოლდეს. გარედგან კეტზე თოკით მაგრათ უნდა შეჰკრან. სამი კაცი
ფეხებით დაუწყებს თელვას: ხან აქედან ჰკრენ ფეხსა, გაგორდება, ხან იქი-
დან, ასე დიდხანს თელავენ; ნახევარ ღღეში მოითელება.



სურ. 68. ქილოფის საქსოვი დაზვა და ბეჭ

ქილოფის საქსოვი დაზვა. პურის მჯის წნელით წვრილ კალათებსა ქსო-
ვენ და ქილიდან — ქილობებსა დაზვაზე. რომელსაც აქვე ვხატავ. ეს დაზვა
იხმარება ქილობისა, ფიჩვისა, ჭეჭიმისა, ტომრისა, ხურჯინისა და ცხენის
თორბა-ფაღდუმისა და სხვა ქსოვილების [მოსაქსოვად]².

ქარაგულობა

მთხრ. ანა სოლომონიას ას. პოსოშვილი, 40 წ. (სოფ. ხიზაბავრა).

ქალის თეთრი პერანგის გულზე და ნიფხავის მუხლითვლიდან კოჭებამ-
დე, წითელი შილაა (ჩითი) გადაკრული. როგორც პერანგის გულზე, ისე ნიფ-

² ცნობა ეკუთვნის შემკრებს — კონსტანტინე გვარამაძეს.


ხვის ტოტებზე თეთრი ძაფით ნაკერია სახეები, რომელსაც თაგალს ეძახიან. თაგალის და თაგალის პირზე ფერადი ძაფებით მოვლებული, მოქარგულია ბალები ჩიტებისა და ყვავილების სახეებით, რასაც ჰქვიაან ბაფტები.

ასეთი მორთულობა ნიფხვის ტოტებისა ჯავახ ქალს ძალიან უშევენდა და შიშველა ფეხებს, რაც (ფეხის სიშიშველ) ჩვეულებად ჰქონდათ ზამთარშიაც კი.

ზუბუნის სახელოებზე მაჯებთან, ხელის ზურგზე წამოფარებული ჰქონდათ სამკუთხედისნაირი, რასაც ანტიფას ეძახდნენ. ზევიდან გადაცმულ კაბას, ზუბუნის ანტიფას დასამშვენებლად, კაბის მაჯების პირზე, გარშემო შემოვლებული ჰქონდა პუკპუკა ეგრიჯას სახის სახელოთი. ზუბუნზე ძაფებით ნაკერი შარბიტები აქვს ქვეშ ბუზმენტზე, რასაც მაკრატელა ჰქვიაან, ხოლო ამის გარე ჰქვია ემიგრატი³, როგორც კაბისას, ისე ზუბუნისას.



სურ. 69. ქარგულობის სახეები



სურ. 70. ვერცხლის შილბი, ანკუსტები.

³ ემიგრატს მეორე შემთხვევაში ჩამწერი უწოდებს ეგრიჯატს. იხ. „ტანსაცმელი“, რომელიც შეტანილი იქნება III ტომში.

გეომ იერეთი

უნიკრობა

მატყლის ქსოვილები

მთხრ. მართა მოდებამე, 85 წ. (სოფ. კაცხი).

ექსოვილი შალს და სამოსელს¹. მატყლს გავრეცხდით, გავჩეჩავდით საჩეჩელზე. დავართავდით, დავორწვევრებდით. შევლებავდით მძალე შაბში და გამოვიდოდა შავი. მერე ამოვახვევდით მურგვებათ; დავქსელავდით ჯახებზე. მერე ავცანდავდით და დავკიდებდით ხეებზე. მერე დავადგიმსავარცხლებდით, მოვქსოვდით. მოვთელავდით ფეხით. საქსოვი ქვია ნართის გადმოსაშვებ ხარისხს. რვილაზე ვახვევთ მოქსოვილს. შემოკრავ ლაფათინს და მოქსოვს, გვიცლებს მასრები და დეინვევა ისევე. საფერხულებს რო შეუშლი ფეხს, ბეგავს ქსოვილს. დგიმი ერთი ზეით ავა, ერთი ქვეით [ჩავა], ქსოვილი დაალებს პირს. დგიმები კილია ჩიტებზე.

ბამბასაც ჯერ გაპენტავ, დაართავ, დაფაფავ და მოქსოვ. ვლებავდით ენდროთი. გამოვყავდა დაჩითული, ჩითივით ქონდა ხოლმე სახეები. ექსოვილი ლაინს; ორმაგი ქსოვილია ბამბის, ოთხ დგიმშია ნაკეთები. ორმაგი შალიც ვიცოდით; ხავრეზები ქონდა და ამნაირ შალს ხავრეზს ვუძახოდით. უთო მანამდის არა ვიცოდით; ქსოვილს ვასწორებდით ხოლმე ხის სუთით.

მთხრ. სოფიო ბიწამე, 60 წ. (სოფ. ცხრუკეთი).

ჯერ ზეზე დავბანდით ცხვარს, გადავპარსავდით. დავჩეჩავდით მატყლს საჩეჩელზე. დავართვედით თირისტარ-კვირისტავზე, მერე ამოვახვევდით ვერიკებათ. მერე დავძახავდით ტარზე და კვირისტავზე.

ბამბას ჯერ დაპენტავ ლარზე კინით და ისრით. დაართავ, ამოახვევ სამუხველზე, მერე დაფაფავ, ჩამოაცმევ საშვილაოზე, დაქსელავ, აცანდავ და გვილებ დგიმ-სავარცხელში. ჩავდგამთ საფეიქროში და დევიწყებთ ქსოვას. საფერხულებს ჩამოვკრამთ, სამოსელი დაალებს პირს და გავაგდებთ და გამოვავადებთ მაქოს. დგიმები კილია ჩიტებზე. რო მოვქსოვდით, გადმოვატრიალებ-


¹ მთხრობელთა ნაამბობი შეიცავს მოკლე ცნობებს როგორც შალის, ისე ბამბის ქსოვილების შესახებ და მათი ერთმანეთისაგან გამოცალკევება არ ხერხდება. ამიტომ ტექსტების თანამიმდევრობა უცვლელად დავტოვეთ.

დით ჯიხითა და დავახვედით რვილაზე. ვქსოვდით სამოსელს და შალს. შალს უნდა დართვა და ორწვერათ დაძახვა. სამწვერი წინდა გამიკეთებია.

სამოსელს ვქსოვდი სადას, კუბოკრულს და ზოლიანს; შალი მიქსოვია სადა და ხაერეზიანი (ორმაგი). საბნის ზედაგულათ ვხმარობდით შალს, ქვედაგულათ — სამოსელს. კუბოკრულს უნდა ორი მაქო: ჯერ ერთ მაქოს გააგდებ ხუთჯერ-ექვსჯერ, მერე იმას დადებ და მეორე მაქოს გააგდებ (სხვაფერ ძაფიანს).

ვლებავდით კაკლის წერში, გამოვიდოდა წერისფერი (წაყვითანო). შავი თუ მინდოდა, ჩაყვრიდი ისევე წერში (ორჯერ-სამჯერ უნდა დაწერვა), მერე

საპალსაი



სურ. 71. დგომ-სავარცხლიანი საფეიქროს ნაწილები

უნდა ჩაყარო კიპაროსი, ადუღდება ის და ჩაღო ნართი შიდ. უნდა იდუღოს ცეცხლზე ნახევარ საათს და ჩეეკიდება საღებავი შავათ.

მთხრ. ფედოსი ბიწაძე, 63 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

პირველად დავართავთ თირისტარზე. ტარზე დავძახავთ ორწვერს შალს. ბამბი ცალწვერი უნდა იყოს. თითო ღერ დგომის ძაფში გვეიღებთ ბამბის ნართს, შალისას — ორ ღერ ძაფში. მერე მივიტანთ საფეიქროზე და ვქსოვთ იქა. დგომები ჩამოკიდებული გვაქ გინგილებზე. შემოვკრავთ ლაფათინს და მიხეკავს საბარცხელი. მერე გადავახვევთ რვილაზე.



მთბრ. ალექსანდრა გეწაძისა, 60 წ. (სოფ. საქარა).

შალი ზოგჯერ ორმაგათ იქსოვება; ოთხ დღიმში რო გოუყრი, მაშვინ მოვა ორმაგი. ორმაგი შალი სახიანია, მოყვება თავისი ხარვეზი²; ხარვეზი მოყვება ისრიაულათ³ და ამისთანა ქსოვილს ისრიაული ორმაგი ქვია.

ღაზლს ვუძახდით შალის ძაფს. ძაძა შალია; ოთხ გირვანქა შავ მატყლში გოდორევედით ორ კვერცხს თეთრ მატყლს. კვერცხი არი გირვანქის მერვედი. ქსანი ქვია ერთ გირვანქა ბამბას ან მატყლს.

ხამის ქსოვილს ტილოს ვუძახით; ვხმარობთ საწყლეთ (პირის და ჭურჭლის შესაწმენდათ).

ლაინი ქვია ლურჯად შეღებილ სამოსელს.

მერდში სამტყიცია; აბრეშუმის ან ძუისგან ქსოვდენ დგიმ-საეარცხელით.

მატყლს ვჩეჩავთ საჩეჩელით. ბამბას ეპენტავთ საპენტიით. საპენტი ქვია მშვილდს; მშვილდზე გაბმულია ღარი. ღარი ცხვრის წელისაა. პენტავენ მშვილდისრით და კინთით. ბამბას ვარჩევთ (ეურკას ვაცლით) ჩიხრისით; ორი ჯონია ერთმანეთზე მიდებული, ტარები აქეთ, ერთი აქეთ უნდა ატრიალო და მეორე — იქით; შუაში უნდა ჩადო ბამბა, ერთ მხარეს კურკა ცვივა და მეორე მხარეს — ბამბა.

ჯარას აქვს გოგორა; გოგორაზე და კიბუირზე ლამბია გადებული (ღვედის მაგიერათ არი, ლამბი ძაფისაა). კიბუირი ქვია პატარა გოგორას, ზედ მასრა არი წამოცმული, ატრიალებენ ტარით.

მთბრ. მარო კრაველიძე, 50 წ. (სოფ. სპეთი, ჭალის მთა, საჩხერის რ.).

ხურჯინისა და ფარდავის ქსოვა. მატყლის ძაფს ვართავთ სამწვერათ ან ოთხწვერათ, მსხვილი უნდა იყოს. დავქსელავთ დაზგაზე⁴. თუ ფარდავს ვაკეთებ, დაზგას ვაგშლი, თუ ხურჯინს — მოვაეიწროვებ. ძაფს ძალიან ახლო-ახლო დავქსელავ. მერე ხელით ვამყავს-ვამომყავს ძაფი. მერე სწვადასხვაფერ ძაფს გოდორევე და გამოვიყვან ვარდებს⁵, ვარდებს შიგნით — კუკუ-რებს.

ბამბის ქსოვილები

მთბრ. მზეხათუნ რობაქიძე, 50 წ. (სოფ. სვირი).

ბამბის ძაფის დამზადება, ქსოვა. დავთესავდით ბამბას, ვაემარგლავდით. ოროცა მოიწეოდა, მოვკრიფავდით და ვავარჩევდით ჩიხრისზე⁶; დავკვირტავდით, დავაცლიდით ბურკებს. მერე ეპენტავდით მშვილდით და კინთით (მშვილდზე ცხვრის ღარია გადაკიმული). დაპენტვის დროს დავაწყობდით ქულეზათ

2 ხარვეზი — ზოლსა და ზოლს შუა დატოვებული ადგილი.

3 ისრიაულად — ირიბულად (ზოლებიც და ხარვეზიც ირიბულად მოდიან).

4 დაზგას ეძახიან ოთხჯეღს საქსელავ ჩარჩოს, ისეთივეს, როგორსაც ხმარობენ ფირფიტებით ქსოვის დროს.

5 ეს ჩვეულებრივი სახეობაა ფარდავისა, ვარდთან არაფერი აქვს საერთო.

6 ჩიხრისი — ბამბის გასარჩევი იარაღი, აღწერილობა იხ. ქვემოთ.



და მკლავებით. მერე დავართავდით თითისტარზე. დავფაფავდით სიმინდის ფაფაში.

დავქსელავდით ერთ ათ მხარს⁷ და მოვქსოვდით ხამს. ვქსოვდით კიდე ლანის, სახალხუხეთ; ეს წმინდათ დართული უნდა ყოფილიყო; სავარეო ტანი-სამოსათ ვხმარობდით. ხამისგან საცვალს ვიკერავდით. ხამის ძაფს შივასხამდით ცოტათი გადაბრუნებულ ძაფს (ცოტათი დავგრებილს), ფუმფულა ძაფს ასე [ვიყენებდით]: თითო-თითოს გუყურდით საბარცხელში ხამის ძაფს და მივასხამდით ფუმფულას; ამითი ვაკეთებდით პირსახოცს. შალის გაკეთება რო გვინდოდა, ორწევრათ დავძახავდით მატყლის ძაფს და მივასხამდით ცალფას; სახხამი ძაფი მომსხო უნდა ყოფილიყო; ვაკეთებდით ჩოხებით, შარვლებათ, კაბებით. სახნისპირებს და ლებისპირებს ხამის ძაფით ვქსოვდით.

საქსლეს ნაწილებსა და საქსოვ-სართავი იარაღების სახელები: საქსლე ან საფეიქო (მთელ საფეიქო დაზგას ქვია. — ბ. წ.), დგიმი, ლაფაონი, საბარცხელი (სადარაიეთ — წმინდა საბარცხელი, სახამეთ — მომხსვილო); დაბლა საქსლეს საფერხულები აქვს, ჩიტები ქვია, რომლებზედაც დგიმის ჯოხებია ჩამოცმული; მასრა, მაქო, ჭარა, საშვილაო, რომელზედაც ძაფი ირღვევა და სამუხველი, რომელზედაც ძაფს ართავენ თითისტრიდან, თითისტარი, კვირისტავი, დასაძახავთ — ტარკვირისტავი.

მთხრ. ფოტინე არაბიძისა, 90 წ. (ქ. ზესტაფონი).

ბამბას პენტავდენ მშვილდ-ისრით და კონით. მერე გადააქულავებენ მკლავებით. რასაც მშვილდი გადაიტანს, ცოტ-ცოტა გაპენტოილ ბამბას, ქვია მკლავი. დაპენტოილი ბამბა რომ შეიხვევა შურგვებათ, ქვია ქულა, ფთილას უძახიან, ქულაზე რომ პატარა ბამბას მოწყვეტენ. მერე რთავენ, მერე მომუხვენ, ე. ი. დაწყობენ ძაფებს შულოების გასაკეთებლათ; მერე დაახვევენ შულოებს. დეიქსელიება ბოჯგებზე⁸ (სამ ბოჯგზე); მერე აცანდავენ ნაქსელავს. აცანდავა ქვია ნართის გამოღებას, დაწვნას. ხელი რომ გამოკრა, დეორღვევა. მერე ხელით უყრიან დგიმში, მერე გეიტანებენ სავარცხელში. შეუშლიან ფეხს⁹ საფერხულებს, გააგდებენ მაქოს და მოქსოვენ. საფერხულს რომ ფეხს დაარტყამენ, ერთი დგიმი ეიწევა და ორწევრათ გეიბმება ძაფი; ძაფსა და ძაფს შუა გეისვრიან მაქოს. დგიმს ასე აკეთებენ: ორ ჯოხს შუა არი გაბმულ-გამობმული ძაფები (ეს ძაფები ჭადის ფაფაშია გატარებული). ჯოხებს ამოგრებენ ყავარს, აბმენ ამ ძაფს, უფსყვნან თავებს; ასე აკეთებენ ნახევარს. მერე ამ პირველ ნახევრიდან ამოუხვევენ ძაფებს და გადაახვევენ მეორე ჩხიზზე, თავს აქეთა მხარესაც უფსყვნან.

ქსოვდენ ხოლმე შალს მატყლისგან, სამოსელს — ბამბისაგან და აბრეშუმს. ჰრელ სამოსელს ქსოვდენ საღებეთ და ისე — ხადახ. სახეები იცოდენ ზოლიანი და კუბოკრული. ზოგჯერ ბამბა-აბრეშუმს ურევდენ. შალისგან კერავდენ ჩოხას, ყაბალახს. ძაძას უძახოდენ ბამბის შავ ქსოვილს. შალის ძაფით აკეთებდენ კიდე ფარდავს. ცხენის ძუისაგან ან აბრეშუმისგან ქსოვდენ მერლანს, სამტყიცისთვის ხმარობდენ.

7 მხარი — ცხრა მტკაველი.

8 ბოჯგები — ჯოხები.

9 შეუშლიან ფეხს — დასწევენ ფეხით, ფეხს ჩამოკრავენ.



მთბრ. იელიტა ბიწაძე (სოფ. ცხრუკვეთი).

ბამბას რო დაბენტავთ, მერე დაქულავდება. მერე დავართავთ თითხს ტარზე. მერე დეფაფება სიმინდის ფქვილში. დავექელავთ ცალწვერათ, გავაბამთ დაბლა ჯოხებზე. მერე მოვქსოვთ სამოსელს.

მატყლს რო დავჩეჩავთ, დავართავთ თითხსტარზე, მერე დავძახავთ. თითხსტარზე ცალწვერათ ვართავთ და ტარზე ვძახავთ. შატყლის ძაფისგან ვქსოვდით: შალს, ჩოხას, ყაბლახს, შარვლებს (ღაზლი არი თვითონ ნართი ძაფი). სამოსელს ვაკეთებდით ხადას ან ზოლიანს და კუბოკრულს, შალს — შავს, სადას, ანდა თეთრ და შავ ძაფს ოურევდით ერთმანეთში, გამოვიდოდა ქლალი; ვიცოდით კიდე დამწერვა, კაკლის წერში შევლევავდით ყვითლად.

დემების ჩამოსაკიდებელს ქვია გინგილები¹⁰, მასრაში რო რკინის ჩხირს დებენ — მასრის გული. რავილა არი, რომელზედაც მოქსოვილი შალი იხვევა. აბრუნებენ რიკით, რიკს ჩოლდებენ ნახვრეტთან თავში. საშვილოეს¹¹ აქ ღერძი. ღერძის ქვემოთ არი ჯვარედინი ჯოხები; ჯოხის ბოლოები გახვრეტილია და ჩადებულა შიდ მოღუნული ტკეჩის თავები; ეს ტკეჩი გაყრილია ღერძში, შუაში.

მთბრ. ოლა არაბიძისა¹², 50 წ.

სამოსელს სოფლებში უძახოდენ კიდე ხამს. ბარდლის ხამს უძახოდენ, რომელზედაც ფოთლები იყო ხოლმე გამოყვანილი.

ზონრების ქსოვა

მთბრ. ფოტინე არაბიძისა, 90 წ. (ქ. ზესტაფონი).

ფირფიტებით ქსოვა. ფირფიტებით ვქსოვდით ლეკვერთხებს¹³, ხვანჯრებს¹⁴ და ბაფთას¹⁵. ლეკვერთხს ასე ვქსოვდით: შავ ძაფს დავქსელავდით ვრძლათ; შავ ძაფს რო ამოვთვლიდით, მერე უყრიდით ფერულ ძაფს ტყავის პატარა ფირფიტების საშუალებით; მერე იმ ტყავს ვადავებრუნებდით და ჩეიბეებოდა.

საქსოვი ტყავი ოთხკუთხია, კუთხეები გახვრეტილი აქ და შიგ ძაფებია გაყრილი. ეს ტყავის ფირფიტები თხელბია და თავები ცოტა წაქნილი აქვთ. გვაქვს კიდე საბეჭავი¹⁶.

ხვანჯარსაც ასე ვქსოვდით; ოთხფეხ¹⁷ ჯოხზე დავქსელავდით აბრეშუმს, თითებით ვქსოვდით და მერე ფირფიტებით ჩაებეჭავდით. ასე ვქსოვდით კიდე დამნის სარტყელს. დამნის სარტყელი ზოლებიანი იყო ხოლმე; ლეკვერთხებზე მოწყვეტილი ფოთლები გამოგვყავდა.

¹⁰ სოფ. სვირში გინგილებს ჩიტებს უწოდებენ (იხ. ზემოთ).

¹¹ ზემო იმერეთში, როგორც ამ ჩანაწერებიდან ჩანს, იხმარება საშვილოც და საშულოც.

¹² დედანში სოფელი არ არის დასახლებული.

¹³ ლეკვერთხი — პაიჭის დასამარებელი.

¹⁴ ხვანჯარი — შარვალში გასაყრელი, ქამრის მგვიერობას აწვეს.

¹⁵ ბაფთა — საცვალზე შემოსავლები არშია.

¹⁶ საბეჭავი — პატარა სახაზავივით არის, ხისა.

¹⁷ ოთხფეხს ხმარობენ ოთხკუთხის ნაცვლად.



გრეხილის¹⁸ გაკეთება. ექსოვდით თითებით ან კოჭებით. ვავლებდით ჩაწინააღმდეგებლობას, ჩოხებს, საჭილეებს. გრეხილს გამოუფესკენილად ხირკილოს, ხირკილოთი იფსკენილდენ ჩოხებს.

ყასნაყით ქსოვა. ყასნაყით ექსოვდით ქისებს. ქისა სახეებიანა უნდა ყოფილიყო — ვარდებს, ფოთლებს ან სხვა რამეს გამოვიყვანდით.

ყასნაყით დავაქსოვდით ხოლმე დარაიაზე ქარგას. ქარგას საცვალზედაც ვივლებდით და მერე იმას ბაფთას შემოვაველებდით.

მთხრ. ნათელა პეტრუსოვი, 50 წ. (სოფ. ჩხარი).

ხვანჭრის საქსელავ ჯოხებს ყდას უძახით. ექსოვთ გრძელი, პტყელი ჯოხებით და ამ ჯოხებს ფირფიტებს უძახით.

მთხრ. ლიზა კალოვი, 60 წ. (სოფ. ჩხარი).

ყდაზე დავქსელავთ ძაფს; ძაფებს გადავაჯვარედინებთ და გოუყრით ერთმანეთში თითებით; მერე ჩავბეჭავთ ჯოხის ფირფიტებით. მანამდის ექსოვდით ლეკვერთებს, ჩაფარიშებს¹⁹, შერითებს, ახლა მარტო ხვანჭრებს ექსოვთ.

ხვანჭრებს უკეთებთ ფოჩვებს; ფოჩვის თავებს კაკვებს გოუკეთებთ ხოლმე, რგვალათ არი დახვეული აბრეშუმის ძაფი, კაკვივით. ძაფს ასე ვაკეთებთ: ხამ ძაფს²⁰ დავახვევთ ფირფიტაზე, მერე დავართავთ, დავძახავთ, მერე მოვხარშავთ საპონში და ნაცარტუტაში; მერე გავრეცხავთ კარგათ. მერე ვვიღებთ უანგიან რკინას, გავახურებთ, ჩავყრით მოჭანგულ ღვინოში და გავაკეთებთ სევადას (საშავოს). ძაფს ჯერ ბროწეულის კანში დავტრტავთ²¹ სამჯერ, მერე — საშავოში; საშავოს სამჯერ ავადულებთ. მერე გავრეცხავთ ძაფს და გავაშრობთ. ფიფქი ძაფი ქვია აბრეშუმის თეთრ, დოუძახავ ძაფს. ამ ძაფს ყასნაყით საქსოვთ ვხმარობთ.

ყასნაყით ექსოვდით ხოლმე ბუზმენტის ქამრის ფოლაქებს. ბუზმენტის ლენტებსაც ექსოვდით ხოლმე. ბუზმენტი იმიტომ ერქვა, რომ ოქრომკედის ძაფით იყო დაქსოვილი ხვეერდზე ფოლაქები.

მთხრ. აღექსანდრა გეწამისა, 60 წ. (სოფ. საქარა).

კოჭებით ქსოვა. გავესებდით ტომარას სიმიდის ფუჩეჩით. ზედ ჩამოვივლებდით ხის კოჭებს; რვა კოჭი უნდა ყოფილიყო. კოჭებს ბოლოებიდან ვადააჯვარედინებდენ ერთმანეთზე; შუაში დარჩებოდა ორი და იმ ორსაც ვადააჯვარედინებდენ და ასე ქსოვდენ ყაითანს. ყაითანს ავლებდენ ჩაბალახვას, ჩოხებს.

ხის ჩარჩოზე დავქსელავდით აბრეშუმის, ყაქის ან ბამბის ძაფს. ექსოვდით ტყავის ან ხის თხელი ფირფიტებით ხვანჭრებს.

მთხრ. ოლია ყაფამაჩიანი, 40 წ. (სოფ. ჩხარი).

ყაითნის საქსოვი მანქანა. ყაითნის საქსოვი „მამინა“ პირველათ ჩემმა

18 გრეხილი — ყაითანი.
 19 ჩაფარიში — ზონარი.
 20 ხამი ძაფი — დატრთავი ძაფი, აბრეშუმისა.
 21 დატრტვა — მოხარშვა.



ქმარმა, ნერსეს ყაფმაჯიანმა მოიტანა ჩხარში, თორემ წინეთ კოჭებით ქსოვ-
დენ. „მაშინის“ ქვედა ნაწილს ქვია ტაფა. ტაფაზე ბრუნავს რვა კოჭი. ტაფაზე
არი გზები და კოჭები ამ გზებზე დადიან. რკინის კოჭზე წამოცმულია მასრა და
ზედ ძაფი იხვევა. რკინის კოჭს აქს ენა. ენა აწვდის ძაფს. „მაშინას“ აქს კიდე
ღერძი, ზედ ხის ხარატული რგოლია წამოცმული, ამაზე ხერხია. ღერძის ბო-
ლოს რკინის ჩარხია, კბილებიანი. ტაფის ქვეითაც არი ოთხკბილიანი ჩარხი. ამ
ჩარხებს აბრუნებს პატარა ჩარხი და პატარას — დიდი. დიდი ჩარხი გარედანა
და ტარიანია.

მთხრ. სოფიო ბიწაძე, 60 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

წინდინხირებზე ვქსოვდით კიდე პაიჭებს²². პაიჭებს იმაგრებდენ ხოლმე
წვივსაჭერებით, ანუ ლეკვერთხებით. ლეკვერთხებს ვქსოვდით უდაზე, ფირ-
ფიტებით, რავარც ახლა ხვანჯარს ქსოვენ.

მთხრ. აბაშიძე, 60 წ. (სოფ. რგანი).

ხვანჯარი. ხვანჯარის ქსოვა ვიცოდით უდით. დავქსელავდით ძაფს ოთხ
ჯოხზე. უდას ქვია დაშნა და არი დასაბეჭავათ. რომ გათავდება ერთი წყება,
ჩავკრავ ფირფიტას და გამოვწვევ დაშნას, ასე იქსოვება.

ზონრებს ვქსოვთ კოჭაზე. კოჭაზე იყო ქინძისთავეები ზედ ძაფით. ყანა-
ყით იქსოვებოდა და თანდათან იწეოდა ძირს.

სელის ტილოსა და სელის ბადის ქსოვა

მთხრ. ეკატერინე გელაშვილი ფხალაძისა, 41 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

ჩემ საყოლში ვიცოდი სელის ქსოვა და აქ არც ქე მიქსოვია. გეზრულში
ახლაც თესენ სელს.

სელს დათესენ მარიობისთვეში. კვირიკობისთვეში უნდა ევიდოთ. მერე
გავძეძავთ სელით, რავარც კანაფი გავიტეხია. მერე დავართავთ ტარზე ცალ-
წვერათ, მერე დავქსელავთ ჯოხებზე. დაქსელვის დროს უნდა თერთმეტი სა-
თვალავი; ოთხი ძაფი არი ერთი სათვალავი, თერთმეტჯერ ოთხ-ოთხი ძაფი უნ-
და დავთვალოთ. მერე გევიდებთ დგომ-სავარცხელში და მოვქსოვთ. ასე იქსო-
ვება სამფთა ბადე. რო ამოვქსოვთ, დავჭერთ. აღლს აკლია სიგაქე ორი თითის
დადებოი. მერე შევიკრავთ სამფთათ. გადავაკრავთ ჯვარედინ ჯოხებზე. ამას
ქვია საჩხრეცი ბადე.

სელის ტილო ასე იქსოვება: უნდა დაართა, რავარც აბრეშუმი, ორწვერათ.
გამოხარშავ ნაცარში, გათეთრდება, როგო პირკალი, ისე გედიქევა. გარეცხავ
საპონში, გადმოხარშავ ისე წყალში, მერე დაქსელავ, როგორც შალი დაგექ-
სელია და მოქსოვ. სათვალავი უნდა, რავარიც შალს, ორმოცდაათამდი. ზედა-
წენ-ქვედაწენათ ვხმარობდით, ტომრათაც შეგვიყვარია. ტომარს რო აკეთებ,
ორი ძაფი უნდა გეილო სავარცხლის კბილში; თუ ტანისამოსათ გინდა — თი-

²² ეს მოკლე ცნობა ამოღებულია მთხრობლის იმ მონათხრობიდან, რომელიც წინდების
ქსოვას შეეხება. ცნობები წინდების ქსოვის შესახებ მოტანილი იქნება III ტომში — „ტან-
საცემელთან“.

თო. საზღვსულო ტანისამოსი გამოდის მითანა თხელი ტილო რო იქნება დადისარ ქირქლოთ (გრილათ). ზოგი ორმაგსაც ქსოვდა, ზოგი — ორმაგს — ორი დგიმი უნდა და ერთი სავარცხელი; გამოდის ხარვეზი არღი-გარდის.

ქილოფის ქსოვა

მთხრ. სოფიო ბიწაძე, 60 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

ქილს მოვიტანთ ტყიდან, საცა ქაობიანი, ჭენჭყო ადგილია იქიდან. გავხმობთ. ჩამოვქსელავთ კედს ქილოფის ჩარჩოზე. ჩარჩოს აქვს საბარცხალი. საბარცხალი დახვერტილია სამ-სამი თითის დადებაზე; იმაში არი გაყრილი ორ-ორი ძაფი. წოუგრეხავთ თავს ქილს, დოუყრით ძაფებში (კედში). ჩაბეჭავ ხელით. საბარცხალი მალლა არი, იმითი არ ვბეჭავთ. ქილოფს აქ გარშემო ნაწიბური; ნაპირს გოდოურაგვავენ ხოლმე ლობესავით. ზოგი გრიგალს უძახის.

მთხრობლის გვარი არ ჩამიწერია, დაახლოებით 50—55 წლის ქალი იყო. სოფ. წისოფლიდან.

ქილოფს ვაკეთებთ ხმალასაგან. ხმალა მცენარეა, ლეფერთინა ფოთლები აქ (ლეფერთინა — დიდი). უდაზე მოვქსოვთ. გოდოუბვევთ თავს და გოუკეთებთ გრიგალს.

მთხრ. ვალენტინა კაპანაძე, 35 წ. (სოფ. ბოსლევი).

უდაზე დაქსელავენ კედს. ქსოვას იწყებენ გვერდიდან; გვერდის კედზე ძირიდან გოდოუგრინხვენ თავს ქილს და გოუყრით დაქსელილ კედში. ქილს ქსოვის დროს ერთმანეთზე აბამენ, პირდაპირ გადაადებენ ერთმანეთზე ისე, რომ თავს არ უგრებენ, მარტო გვერდებზე აქეთ თავები გადაგრებილი და თავში და ბოლოში შემოწული ზქვს ნაწნავით.

საქსოვ უდაზე სიგანეზე გადებულია სავარცხალი²³. სავარცხალს აქვს თვლები; თვლებში უყრიან ქილს. დაწყებისას სავარცხალი ძირსაა. მერე თანდათან ზევით წიგენ და ჩაბეჭავენ ხოლმე იმითი მოქსოვილ ქილოფს.

მეხრობა

მთხრ. მზეხათუნ რობაქიძე, 50 წ. (სოფ. სვირი).

შავათ შედგება თუ გვინდოდა, შალს ჯერ ვლებავდით ნიგვზის წერში (დამწნილით²⁴ ნიგვზის კანს); მერე შევლებავდით საშავოში²⁵, საშავოს წარნაქიდან და ღორის ქონიდან ვაკეთებდით. წარნაქს და ღორის ქონს დავწვამდით ერთათ, ანდა წარნაქის მავიერთ ლიას²⁶ და ღორის ქონს დავწვამდით ერთათ და ჩავდებდით გადმოდულულ ნიგვზის წერში, კიდე მოვადულებდით და ჩავდებდით შით შალს. ყურჭე²⁷ წითელი თუ გვინდოდა რო გამოსულიყო,

²³ ამ სავარცხელს არაფერი აქვს სავარცხლის სავარცხელთან — ეს არის გრძელი, თვლებიანი ჯოხი.

²⁴ დამწნილა — მწნილად ჩადება.

²⁵ საშავო — შავი სადებავი.

²⁶ ლია — მთხრობლის სიტყვით, შავი ტალახი.

²⁷ ყურჭე — ძალიან წითელი.



ენდროში შევლებავდით. ყვითლად — ვაშლის ან რთხმელის კანში ვიკვამლე²⁸ და ვიშვებავდით. აბრეშუმს ათასში ერთხელ თუ შევლებავდა ვინმე.

აბრეშუმის ძაფს ქვაბიდან რო ამოვიღებდით, მერე დავართავდით. საქსოვს კარგათ ვართავდით და სასხამს ცოტათი გადავბარუნებდით. საქსოვი ცალფა უნდა იყოს და სასხამი უნდა გამოფიქვო ცხელ წყალში და ცოტა საპონში და მერე უნდა მიასხა. მერე ძაფებს დავქსელავდით საქსელავი ჭოხებიით. მერე ავცანდავდით²⁹ და დავადგიმსავარცხლებდით, ჩავდგამდით საქსლეში. ლევისპირებს მოვქსოვდით ღვერელებიანს²⁹, ქალის კაბათ ხანდისხან ვიკვამლავდით კუბოკრულის მოქსოვა³⁰.

მთხრ. ფოტინე არაბიძისა, 90 წ. (ქ. ზესტაფონი).

ლებავდენ ნიგვზის წერით. მოადლელებდენ, დაასხამდენ, მერე გააშრობდენ; ასე დაასხამდენ სამჯერ. მერე ბოჭავდენ³¹ წარნაქს (წარნაქს მიწაში ნახულობდენ აქავე, ზესტაფონში). წარნაქს წვამდენ უხმარ ქოთანში, ღორის ქონში. დამწვარს ჩავვლებდენ წერში და შევლებავდენ შიგ ქსოვილს.

მუჭი წითელისთვის იკოდენ ენდროს ხმარება. ენდრო დათესილი ქონდათ ხოლმე სავანგებოთ.

მზისუმზირას გამოხდიდენ, უხამდენ შაბს, მოადლელებდენ, თიხისფრათ ლებავდა ძაფებს. მოხარშული ხახვის ფურცლის წვენშიც ლებავდენ, ფიფისფრათ გამოდიოდა.

აღისარჩული ყვავილი იყო, წაყვითანო მუჭი; იმის ქუჩუჩებს ხარშავდენ, უხამდენ შაბს და ლებავდენ მუჭყვითლად.

მთხრ. ალექსანდრა გეწაძისა, 60 წ. (სოფ. საქარა).

ლურჯათ ვლებავდით ლილით, შავათ — ამნაირათ: ჩაფის ძროში ჩავყრიდით რკინებს, ჩავასხამდით ძმარს, ცოტა წყალს. ერთ კვირას დავტოვებდით; მერე მოვადლელებდით და ჩავავდებდით შიდ ნიგვზის წერში დამწერილ ნართს.

წითლად ვლებავდით რთხმელის, ტყემლის ან მუხის კანში. სამ-სამჯერ უნდა შევლებვა. წითლად ვლებავდით კიდე ენდროში; ენდროს დავნაყავდით, გავტრიდით, მოვადლელებდით და ვდებდით შიდ დაშამბულ ნართს.

წარნაქში ვლებავდით აგურისფრად: დავწვამდით, მოვხრესავდით³², ჩავყრიდით ადლელებულ ნართში, მალე უნდა ამოღება.

ლაფანის კანში ვლებავდით ყავისფრად; ვაშლის კანში — ყვითლათ.

ქარბულობა

მთხრ. აბაშიძისა, 60 წ. (სოფ. რგანი).

კვირგავდი ქარგის ზეზე. ორი მრგვალი ზე იყო და ორი — პრტყელი. პრტყელი იყო დახვერტილი დასამაგრებლათ. ამაზე შემოკერდებოდა საქარგი

28 აცანდა — ნართის გამოღება.

29 ღვერელებიანი — ზოლებიანი.

30 კუბოკრული — უჭრედებიანი.

31 ბოჭვა — მოგროვება.

32 მოვხრესავდით — დავფშენდით.

აბრეშუმში ან ხავერდი ოთხი გვერდით. გვერავდი ქალღმადის საშვალბით; ქალღმადსე მქონდა „უზორი“, მას დაჩხვლუტავდი ნემსით და დავაფენდღ ქსოვილს. მერე წმინდა ნაცარს დავაყრიდი და შემოვხაზავდი „უზორს“ ცარიტით. გადავიღოდი ქსოვილზე. იქარგებოდა ოქრომკერდის ძაფით და სირმით; წყალს ვავაკეთებდით ოქრომკერდით და კვირტებს — ფერადი აბრეშუმის ძაფით. ალაგ-ალაგ ჩაურთავდი სირმას. თეთრი სირმა კეთდება ბამბის ძაფისგან, ყვითელიც — ბამბის ძაფისგან, მარა ვაშლის კანში შევლებავდი. სანამ ოქრომკერდით დევნიყებდი ქარგვას, დავხითავდი „უზორს“ ბამბის ძაფით და მერე ზევიდან მოვქარგავდი ოქრომკერდით. ვიცოდით კვირტების, კაკიების (ყვავილის), მტეენების, ვაზის და ისე ფოთლების ქარგვა.

მთხრ. ლიზა კალოვი, 60 წ. (სოფ. ჩხარი).

ვექარგავდით ზოლმე ყაჭრებს (ყაურებს)³³. დაზგებში³⁴ გავმართავდით მადულს და მოუქარგავდით კუთხეებს აბრეშუმის ძაფით ან სირმით, ან ოქრომკედით. გამოგყავდა ზედ ვარდები. გარშემო წყალს³⁵ გავავლებდით.

მთხრ. ქრისტინა ვაშაძე (მონაზონი), 70 წ. (ჭიათურა, მღვიმევის მონასტერი).

ძველათ მონასტერში მოლოზნებმა იცოდნენ ზოლმე ქარგვა. ქარგავდნენ დაფარნებს³⁶, ხატებს, ხატების გადასაფარებლებს, კიდე—სარტყელ-გულისპირებს, ჩიხტების თავსრაყებს³⁷ და სხვას.

კანვას გადააყრავდნენ ქარგაზე და ისე ქარგავდნენ. ქარგავდნენ აბრეშუმის ძაფით ან ოქრომკედით. სარტყელ-გულისპირზე და თავსრაყებზე გამოყავდათ ყურძნის კუმბლები, ვარდები, ანდა ისე სახეები. დაფარნებს ამშვეენებდნენ კიდე კენთელით³⁸ და კილიტით. კილიტა თადლითის³⁹ ბაწაწუნა თვლებს ქვია. ახლა ოთხი მონაზონი ვართ დარჩენილი. ჩვენში ერთმა იცოდა ქარგვა, მარა ახლა ველარ მუშაობს, ძაან დაბერდა, კარგი ველარ გამოდის. ძველი ნაქარგები გვაქ — დაფარნები და ერთი გარდამოხსნის ხატი.

ბ ა წ რ ი ს ბ ა კ ე მ ე ბ ა

მთხრ. ფოტინე არაბიძისა, 90 წ. (ქ. ზესტაფონი).

ბაწარს აკეთებდნენ კანაფიდან. კანაფს მოჭრიდნენ, გაახმობდნენ: რო დააწვიმებს, დოულბება კანა; ვაატყავებდნენ, დაგრეხავდნენ კაკუში ჭობით, ერთიმეორეზე ვადაბამდნენ და ატრიალებდნენ, გრეხავდნენ და გაკეთდებოდა ბაწარი, ჭერ ცალწვერათ დაგრეხავდნენ და მერე — ორწვერათ. გრეხილის გასაკეთებლათ ორკაბა ჭოხი ქონდათ ზოლმე.

³³ ყაჭარი — ქალის უნაგირის გადასაფარებელი.

³⁴ დაზგებს უწოდებს ყდას, ჩარჩოს, რომელზეც გადაკიმავენ ზოლმე ქსოვილს.

³⁵ წყალი — დაქარგული ზოლები.

³⁶ დაფარნი — საღვდელმსახურო ჭურჭლის გადასაფარებელი.

³⁷ თავსრაყები — თავსრაყები, თავსრაყები.

³⁸ კენთელი — ალუმინის სინა, დახვეული.

³⁹ თადლითი — შეშისნაირი მძივი (მთხრობლის ცნობა).

ქვემო იმერეთი უნიკრობა

მატყლის ქსოვილება

მთხრ. თევდოს ოქროპირის ახ. კლაძისა, 52 წ. (სოფ. ეწერაველი-სამტრედია).


შალის ქსოვა. 30 წელია, რაც ეს ხელობა ვისწავლე. საქსოვად ჩვენ ბატკანის მატყლს ვხმარობთ, რადგან რბილი და კარგი მოსაქსოვია. ვხმარობთ აგრეთვე მთავარი ცხერის მატყლს. პირველად მატყლს გადავართმევთ წვერს, მერმედ დავწყავ-დაკეკვას იმას ვეძახით, რომ ევილებთ და მატყლს დავანაწილებთ. დავწყევთ, რომ კარგი დასაჩეჩი შეიქნეს, მერე საჩეჩელზე დავჩეჩავთ. ჩეჩვას რომ მოვათავებ ევილებ დაჩეჩილს, ხელში რომ მიჭირავს ცალცალკე, ამოუხვავ პირ საჩეჩელზე, შევავერთებ ერთად და დავაწყობ ნაქერ-ნაქერ, რომელსაც უძახით ფანტელებს; შემდეგ კი დავასტავდი. ვისაც ღუშის ფერი [შალი] უნდოდა, შავი და თეთრი მატყლს ოურევედით ერთმანეთში ჯამივილებდით მას. მაგრამ ვისაც თეთრი შალი უნდოდა გამოსულიყო, იმას თეთრი მატყლისაგან გოუკეთებდით.

რომ შევლებავდით, მერე დევიწყებდით ქსოვას საქსოვზე. ავილებდით და შამოვაბავდით ბაწარს სახლის პერზედ ან რაიმე სხვა სიმაგრეზედ, დავკიდებდით ზედ დგომს და სავარცხალს. კარვად რომ დავართავდით, შემდეგ დავქსელავდით გრძლად, თოკად. გაუყრიდით ჯერ ორივე დგომში ძაფებს და მერმედ — საბარცხალში. დგომს ქვემოთ გამოვაბავდით ბაწარს, გაუყრიდით შიგ ფეხს და ვანძრევედით დგომს, მარჯვით კი ვქსოვდით. მარჯვა ხელით მიდის-მოდის, ძაფი კია შიგ.

დგომ-საბარცხალით ვქსოვდით საჩოხე შაღებს და აბრეშუმებს. აბრეშუმში უფრო წმინდა საბარცხალით იქსოვება. ვქსოვთ აგრეთვე ცუცურაკე აბრეშუმს, ნაგვიანებ აბრეშუმს, რომელიც უფრო ცუღია და მდარე შედარებით კარგ აბრეშუმთან. ამ აბრეშუმს[ს] კვირკობისთვეში მოვიწყევთ. კიდევ ვქსოვდით დარაიებს, ბამბებს და ხამებს.

აბრეშუმის ქსოვაც ისე იყო გასაყარად დგომ-საბარცხალში. აბრეშუმში მეტი წმინდა და მეტი აზიზია, დღეში ორი არშინს ვქსოვდი ოჯახთან. მაგრამ თუ ოჯახი ხელს არ შემიშლიდა, ოთხ არშინსაც და უფრო მეტს მოვქსოვდი. დარეიაც, როგორც აბრეშუმიც, ისე იქსოვებოდა. მხოლოდ ძაფებშია განსხვავება, მაგარი დასაქსელავია და უფრო სუფთა ძაფია. შალი ისე იქსოვება, როგორც ხამი და აბრეშუმი, მაგრამ საბარცხალი უფრო ნაკლებად წმინდა არის.

დგომი იქსოვება. დგომი მე თვითონ მომიქსოვია; ფართე ყავარზე ვქსოვ
 დი; ყავარს კიდანებზედ ბაწარს ჩავატანებდი, შემდეგ ძაფებს ვავორდიკალებ-
 დი. მეორე კედრით იედა ქალი და ის ძაფს მომცემდა, მე გამოვიტანდი ძაფს
 და ისე, იმგვარად კიდევ გავავარძელებდი, სანამ დგომს არ მოვქსოვდით. საქსო-
 ვად, საერთოდ, საქირუა ორი დგომი.



სურ. 72. დგომ-სავარცხალი

საბარცხალი ორგვარია: ერთი არის შალის და მეორე — აბრეშუმის. შა-
 ლის საბარცხალში კბილები ერთიერთმანეთზე უფრო დაცილებულია, ამ სა-
 ბარცხალში იქსოვება ბამბაც. აბრეშუმის საბარცხალს უფრო წმინდა კბილე-
 ბი აქვს; ამ საბარცხალში იქსოვება დარეიაც.

მასლა. მასლა მარქვაშია გაყრილი, მასლაზე კი ძაფებია გაყრილი. ქსო-
 ვის დროს მასლა ტრიალებს და დახვეული ძაფი თანდათან ცილდება.

ჯარაბა. ჯარაბა ძაფს ახვევს ჩერიზზედ, უამისოდ კი საქსოვი არ ვარგა.
 გამართვას ჩვენ ვეძახით, დახიფულ ძაფებს რომ გავაწყობთ. ჩერიიდან
 დასაქსელა[დ] დახიფული ძაფებით გაეწყობა მთელი ქსელი.

სადა ნაქსოვი ერთიან[ი] და თეთრი სახის არის. საზიანს ჩვენ ზოლებიან
 ნაქსოვს უძახით.

ვორდიკალება — ძაფები ტრიალის დროს რომ იბეჭება, გადაორდიკალება
 კი გადახვევას ნიშნავს.

კაპეტი — ტყეს რომ ვევიღებთ და შიგ რომ რაიმეს დავეთესთ.

მთბრ. კესარია ივანეს ას. მორჩიაშვილი, 90 წ. (სოფ. ხანი, ბაღდადის რ.).

რაზედაც ჩვენ შალს ვქსოვთ, იმას უძახით საქსლეს. მოქსოულ შალს რომ
 დავახოვთ, იმას კი რილვას უძახით.

საქსლე შესდგება საბარცხალისაგან. საბარცხალი ჩადგმულია ლაფათი-
 ნებში. საქსლეს აქვს ორმაგი დგომი, რომელიც აიწვევ-დააწვევა. დგომი კი ზე-



ვით არის დაკიდებული ჩიტებზედ. მოსაქსოვი ძაფები დამაგრებულა მოსადებ ჯოხებზედ. მეორე თავის ძაფებს კი მივაბავთ ბაწარზედ, ბაწარი კი მომბულია სიმარტზედ. დგომზედ ვქსოვთ შალს. ერთ დღეში მოვექსოვთ ნაწი არშინს. შალს რომ მოვექსოვთ, შემდეგ მოვძაგრავთ, რომ დაკუჭული არ გამოვიდეს. მატყლს ჯერ დავკეცავთ, მერე დავჩეჩავთ, ავიღებთ და დავაწყობთ ფთილად, მერე დავართავთ. ამის შემდეგ ორწვერად დავძახავთ, მერმედ დავქსელავთ დგომში და საბარცხალში. ჩემს დგომსა და საბარცხალს აქვს სამოცი თვალი. მაქოში ჩადებული გვაქვს მასრა.

სამუხველი — ნართავს მოვახვეთ ზედ. ნარი — ნართავი.

რანედაც ძაფს ვახვეთ, უძახით ტარს. ტარს სიმპომისათვის აქვს დაკიდებული კვირისტარი. ორივეს ერთად კი უძახით ტარ-კვირისტარს.

ჯარას სამულებით ვახვეთ დახტულ ძაფს. ძველად კი სხვაგვარი ჯარა გვქონდა მასრაზედ დასაზოვად.

მთხრ. ივანე რომანოვის ძე გიორგაძე, 70 წ. (სოფ. ხანი. ბაღდადის რ.).

ჩემი ბებიიდან გამიგონია, რომ აზიდაზს, თურმე, უწინ დგომს უძახოდნენ. მისაჯეგვს — საბარცხალს და მაქოს კი — შიგავარდს.

მთხრ. ლიბრა კოტრატის ას. შარაშიძისა, 78 წ. (სოფ. გაღიდი, ვანის რ.).

ჯერ მატყლს დავკეცავდი, მერე საჩეჩელზედ დავჩეჩავდი და ჩავაწყობდი თიღებად კალათაში. თიღებს მერე დავასტავდი და დავახობდი თითისტარზედ. მერე ჯოხებს დავასობდი მიწაზედ და დავქსელავდი. დაქსელალი შალს მოვთოკავდით და გაკეთებოდა ხიფი. ძაფების დათოკვას ჩვენ უძახოდით, ძაფების დახიფვას. საქსლეს დგომსა და სავარცხალში უნდა ვაუყაროთ ძაფები. შალის იქნება თუ ბამბის. საქსლის შტოზედ უნდა დააყარო ძაფები. უნდა ჩამოვიწყო პირი დაწყების და მოქსოვის დროს. პატრუანი მასრაზე ძაფი უკვე დახოვილია და ფეხს რომ დავაბიჯებ საფეხურას, ფეხქამს ძაფი და მამინ ვაუყრი მარქვას.

შესიფული ძაფები რომ დვირღვევა ქსოვის დროს, ამას უძახით გამართვას საქსლისას. ქსოვის დროს საქსლე ცოტათი უნდა გავხსნათ და ამას ეეძახით გაშლას.

მთხრ. ევა სიმონის ას. ბენიძე-კობზირიძისა, 67 წ. (სოფ. ნოლა, ხონის რ.).

ცხვარი რომ გაიპარებდა, მის მატყლს ჯერ დავწეწავთ და მერე კი მატყლს დავბარყნით. დაბარყვნას ჩვენ საჩეჩელზე ჩეჩვას უძახით. შემდეგ დაბარყვნილი მატყლს საჩეჩელზედ გადავწვევრავთ. გადაწვევრას ჩვენ უძახით, დაბარყვნის დროს წვერს რომ ცალკე გადავიღებთ და გულს ცალკე გადავიღებთ. წვერი გრძელბეწვა მატყლია; ამისაგან კარგი ძაფი გამოდის, ქსოვის დროს ქვეშ საქსულაია. გული კი დაბალი ხარისხის, უბეწვო მატყლია და მისაქსულაია მაქვით დადგომსავარცხლებულ ძაფებზედ.

გადაწვერის შემდეგ გავაკეთებთ ფანტელად. შემდეგ პირს ამოუხოვთ.



პირქის ამოხვას უძახით, ფანტელებს რომ პირს შემოუყვავთ საჩუქრულად წვერებზედ. შემდეგ დააწყობთ მუხლებათ. მუხლებათ დაწყობას ოცი ცალი ფანტელს ერთად ფეხს რომ მოვკვავთ და ამოვიწყობთ ან მუცელს რომ მოვკვავთ და შიგ ამოვიწყობთ. მერე ჩერიანზე დავასტავთ. ჩერიანზედ კვირისთავი არის გაკეთებული. პირველად ჩერიანზედ შევიწყობთ მატყლს. შეწყობას იმას უძახით, რომ დავაგარებლეთ მატყლს და გადავაცობთ ჩერიას თავს. მერე დავაბრუნებთ ჩერიას და დავასტავთ ერთი ხელის ამოხაზედ. ამის შემდეგ ამოვახობთ ჩერიანზე. ერთი კვერცხამდე რომ გამოვა, ვიტყვი, გემისო ჩერიანო. ამის შემდეგ გადავახობთ ტარზე ცალფად და შევინახავთ. ტარზე იმდენი უნდა დავახვიოთ, რომ ერთი გირვანქა ვახდეს. ერთ ტარზე რვა ჩერია უნდა დავახვიოთ. მერე დავქსუავთ ჯოხებზედ ასე: დავასობთ თავში ორ ჯოხს, ბოლოში კი ერთი ჯოხს; მოვამბავ ძაფს თავში, გამოვყობი ბოლო თავში და მოვახობ, შემდეგ გადავამაწვილებთ. გადავამაწვილებას იმას ვეძახით, რომ ჭვარადინით გადავქსავთ დასაქსუალი ჯოხით. დასაქსუალი ჯოხს აქვს ერთი არწინი სიგრძე. თავში გამომწვარი აქვს ჯოხს და შიგ ვაუყრით ძაფს. ორი ჯოხი რომ არის დასობილი, პირველად იქიდან დავიწყებთ, მერე ბოლო ჯოხს მოვახვივთ. გადავამაწვილება იქ ხდება, სადაც პირველად ვამოყრბავთ ძაფს. რა სიგრძისაც გინდა შალი, იმ სიგრძისას დავქსუავთ ძაფებს ჯოხებზე. ერთი სათვალავს ჩვენ უძახით, ოთხი ძაფი რომ არის გადავამაწვილებული ან გადაჭვარადინებულო.

როდესაც დაქსვას მოვთავებთ, სადაც გადაჭვარადინებულია ძაფები, აუხობთ პირს და ამოვიღებთ ჯოხებს. ამის შემდეგ გავახამებთ ღერძილის გადადღებულ წყალში, რადგან ღერძილის გადადღებული წყალი უფრო ამაგრებს და ახმობს შალის ძაფებს. გახმარი ძაფები კი ქსოვის დროს ერთმანერთს არ მოედობა. ამის შემდეგ გავაშრობთ და ამოვხიფავთ (ამოვკრიფავთ) ძაფებს. შემდეგ გადაჭვარადინებულ ძაფებს გაიკეთებს ცერზე და ნეკზე ერთი ქალი, მეორე ქალი ღვიმს ეიღებს ხელში და ძაფს გეიტანს გადაჭვარადინებულ[ი] თვლიდან ცერის თავში რომ არის გაწვეტილი ძაფი. შემდეგ კი გაიტანს საეარცხალში. დაქსელვის დროს სათვალავი უნდა სამოცი ცალკე და დავამაწვილებული რომ არის, ასოცი უნდა მაშინ. მაგრამ ჩვენ ცალკე სათვალავს ვითვლით, რადგან მეორეც იმდენი უნდა იყოს. დაღვიმისავარცხლებას ჩვენ ვეძახით, ღვიმში და საეარცხალში რომ ვაუყრით ძაფებს. ძაფებს რომ დაქსავდებიან, შემდეგ გევიპირავდით. გაპირვას უძახობდით. ღვიმსავარცხელი რომ საქიანზედ კილია, მაქვას რომ ვაუყრით და ვქსავდით. მუშაობას რომ ღვევიწყებთ, ქსოვას უძახით; მერე მისაქსუალს ნივაქსავდით, მაგრამ ბოლოს, როცა დავამთავრებდით, იმას ამოქსოვას უძახდით. რომ დამთავრდებოდა შალის ქვსვა, ამოვჭრიდით მიმბულ ძაფებს. ამის შემდეგ მოვთვლავდით ასე: თფილი წყლით დავასოლებდით მოქსულს, დავაგდებდით მერე ჩელტზე, კაცი შედგებოდა მაზე ფეხით და მოთელამდა. ანდა იყო თითონ შალის სათვლავი. შალის სათვლავს აკეთებდენ ასე: აიღებდენ გრვალი ხეს და თანაც გრძელს; ამ ხეს პირი დახიტყუნი (დახიტყნული, პირდაჭრალი), კბილებიანი ქონდა. დავახვიდით შალს ჯოხზე, ქვეშ კი ვადებული ქონდა მოღრა-
[მული] ჩელტი და ვაბრუნევდი ზედ.

რომ შეითელებოდა შალი, მერე დავხვიტავდით შალს. შალს ვაწმენდ[დი]თ,



რადგან შეთელის დროს ბევრი ხინკლები¹ ცვივა. შემდეგ დახვეტილი შალს² დაეხრათ ჯოხზედ, გამოეხარჩავთ და შეეხვევთ. შემდეგ კი დავექებლავთ. დავქველავს იმას უძახით, რომ დავადობდით სუფრაზე დახოულ შალს, შემდეგ ზევიდან დავადობდით ფიცარს, ფიცარს კიდევ ზევიდან დავაწყობდით ქვებს; იმ ლამეს დავტუებდით ასე; მეორე დღეს გადმოვიღებდით და გავაშრობდით.

მატყლი ორჯერ იჩეჩება — ერთი დაბარყვანაზე, და მეორეჯერ — გადაწყობაზედ. როცა აქრელება გვინდოდა, კრელას თითო ვერსოკის სიგანეს [ჩავატანდით] საქსელში ძაფების ჩამოყვანის დროს.

ჯვარულ შალს უძახოდით, სხვილათ აძახული ძაფებით [რომ] იყო დაქსული და შალიც მეტი მსხვილი იყო. ონური შალი ფსხვილად აძახული შალია, მაგრამ მეტი წმინდა არის. ლეკური შალი ორფად აძახული შალი იყო. ხონური შალი ცალფად აძახული შალია.

ორდგიმული შალი. ძაფები ორ დგიმში გაიყრება, ასე ვამბობთ, თორე ისე, ოთხი ცალი დგიმში გაიყრება ძაფები. ამ ოთხი ცალი დგიმიდან კი ერთ სავარცხელში შევა ძაფები. ოთხი ფეხის შეშაშალი² აქვს. თითო თვალი დგიმში თითო ღერი ძაფი გადის, სულ ორდგიმულში კი ოთხი ღერი ძაფი გადის, ეს ოთხი ღერი ძაფი შედის ერთ თვალი საბარცხალში, ამით კი ერთი[ი] მაქვა ქსოვს. საერთოდ, რამდენ ფერადიც ვინდა, იმდენი ფერის ძაფია საჭირო და იმდენი მაქო.

მთხრ. ბარბაღე მელიაშვილი-არსენიძისა, 76 წ. (სოფ. სოხებით, ტყიბულის რ.).

როდესაც კრავს გავარსავდით, იმას კრაველ მატყლს ვეძახოდით. რაც კარგი შალი იქნებოდა, კრაველი მატყლისაგან კეთდებოდა. დიდი ცხვარს რომ გავარსავდით, დიდი ცხვარის მატყლს ვეძახოდით. ჭერ გავებურტყნიდით მატყლს საჩინელზედ, მერე პირს ამოუხოვდით მატყლს, ვეტყვიდით ფთილას, ერთკეტს. მაგრამ, როცა ორკეცად დავაწყობდით, მაშინ იქნებოდა ორი ფთილა. ფთილებს დავაწყობდით მუხლებად. ერთ მუხლში უნდა ყოფილიყო ათი ფთილა. შემდეგ დავასტავდით ტირისტარზედ, მერე ამოვანოვდით შორგვად. ამას მერე საქსულას ავძახავდით, სახსამს კი ავლამბავდით. საქსულას ავძახავდით, იმას ვეტყვოდი, რომ დაქვსუამდით, ტირისტარზე რომ იყო ამოხოული, ავატოლებდით (ორს ერთად ავძახდით). სახსამს ავლამბავდით — იმას ნიშნავს, მაქვაში რომ ჩავდგამდით ძაფს სახსამს, შემდეგ დავქსევდით ამ აძახულს ჯოხებზედ, რამდენიც იყო საჭირო. ევილებდით მერე და გავაკეთებდით გვერგვებს, დავგვერგვავდით, დავახვევდით ჯოხებზედ, შემდეგ გავიყვანდით დგიმ-საბარცხალში, ჩავადგამდით მერე საქსულაში და მოვქსოვდით.

დგიმ-საბარცხალი. საბარცხალი ჩადგმული იყო ლაფათინში. თოკებზედ იყო დგიმ-საბარცხალი ჩამოკიდებული. შალი რომ მოიქსოვებოდა, მოქსოვილს დაეხოვდით რვილაზედ. ბარამბოში იყო გაყრილი ტირისტარი. დავანოვდით ბარამბოთი ძაფს მასრაზე და ჩავდგამდით მაქვაში. მე მომიქსოვია

¹ ხინკალი — დამწვარი ქალაღის ნაშენი.

² დგიმის ამუშავების პროცესია, მაგრამ რითაც დგიმის შეშაშალი (აშლა) ეწყობა, იმას საფეხურას ეტყვიან.



ქიხორი შალი. ქიხორი შავი და თეთრი ფერია ერთად არეული და იმას ეტყვიანთ ხით. მე აგრეთვე მომიქსოვია თეთრი, შავი და წითელი ფერის შალი. **ხეცლირთხა**

ქსოვის დროს ერთი ზოლს რომ გავიყვანდი, მერე მეორე ზოლს ჩამოუშობდი საწინააღმდეგოთ. ამას უძახით **ქრელს**. რამდენი ფერისაც გვინდოდა, იმდენი მაქვას უხამდით.

მთხრ. ელუკი ლოსაბერიძე გიორგაძისა, 70 წ. (სოფ. კურსები, ტყიბულის რ.).

ჯერ მატყლს დავწეწავდით, მერე დავჩეჩავდით. დავანაწილებდით ნაგუ-ლარს ცალკე და ნაწვერალს დავაწყობდით ცალკე. ამოუხოვდით პირს საჩე-ჩელზე და დავაწყობდით ფთილებით. თილებს და[ვ]მუხლავდით, მუხლში იცი თილა იქნება. ჩავაწყობდით კალათაში მუხლებად. ავიღებდით და თირისტარს მოვბაბდით თილას და დავიწყებდით სტვას. თირისტარს ჰქონდა წამოცმული კვირისტარი. როცა თირისტარით მოსტული ამსებოდა, ვიტყოდით, თირის-ტარი შეიმოსაო. ვინაც უნდოდა ცალფად მოქსოვა დგიმ-სავარცხალზე და ვი-საც უნდოდა ორფად, შეამსებდა კიდევ თირისტარს და ორფად დავახოვდით მორგვს. ეს ორფად დახოული მერე დეიძახებოდა.

როცა შალის მოქსოვა გვინდოდა, დავქსელავდით ძაფებს ჯოხებზედ, რომელსაც თავგასარჩია ჯოხებს უწოდებდით. რა სიგრძეზე გვინდა შალი, იმ სიგრ-ძეზე დავქსელავდით თავგასარჩია ჯოხებზე ძაფებს. ძაფებს თავს გაუჭრიდით და პირველად დგიმში და მერმედ საბარცხალში გაუყრიდით. მერე გავაწყობ-დით საქსლეზე და ხელქრელაზე გადავახოვდით ძაფებს. მერმედ დავკვებო-დით დგიმთან. დგიმს ჰქონდა ფეხები, რომელსაც საფეხურს უწოდებდით. სა-ფეხურს დავაჭერდით ფეხს, შეუცვლიდით პირს. ერთი ფეხს რომ დავაჭერდი საფეხურს, პირს ააღებდა და ძაფებს გაუყრიდით მაქვას. მაქვასი იყო მასრა და ზედ ძაფი იყო დახოვილი; ირღვეოდა მასრაზე ძაფი და დგიმ-სავარცხელი მა-შინ ქსოვდა. დგიმ-სავარცხელი საქსლეზია თითონ გაკეთებული, რომელიც თოკებზედ იყო ჩამოხმული. მოვქსოვდით შალს საქსლეზე და დავახოვდით რიღვაზე, რომელიც თით საქსლეს ჰქონდა.


რომ მოვქსოვდით, მერმედ ფეხით მოვთელავდით თფილ წყალში. თფილი წყლიდან რომ ამოვიღებდით მოთელილს, მერმედ ვაგორებდით ერთი-ორ საათს და მერმედ დავალამაზებდით. მერმედ ვადმოვკიდებდით ფიცარზედ მოქსოული შალს, მაღლიდან ქვებს დავადებდით და დავმართავდით. მერე დავ-კეცავდით და შევეკრავდით.

ერთ დგიმში (ისე კი ორი დგიმია ცალკე, მაგრამ ჩვენ ერთად ვანგარი-შობთ) რომ ცალფად შალს გაუყრიდით, ეწოდებოდა ცალფა შალი. მაგრამ და-ძახულ ძაფებს რომ გაუყრიდით, მას ვეტყოდით ორფა შალს. სახეიანი შალის ქსოვა მე გამიგონია და ისე კი, მისი ქსოვა მე არ მინახავს.

მთხრ. სოფიო გიორხელიძე-მეძველიასი, 40 წ. (სოფ. ძეძილეთი, ხონის რ.).

მატყლს რომ დავბარყვნი, შემდეგ გადაწვერავთ. გადაწვერას ჩვენ უძა-ხით, გულს რომ ცალკე გადავიღებთ და წვერს — ცალკე. წვერი გრძელი მატყ-ლია და კი არის კარგი. მაგრამ გული დაბალი მატყლია, ამიტომ საჭირუა მისი დაპენტა. ხელში გვიჭირავს კინთე. კინთე სიგრძით იმხელა არის, რომ მარტო

ხელი მოეწვია. კინთეს თავები აქვს. თითონ საპენტავი შესდგება მოლალული ჯოხისაგან, რომელსაც ლარის ჯოხს უძახით. ეს ჯოხი, როგორც ვთქვით, მოლალულია, ზედ წამონცობილი აქვს ლარის ჯოხზე ლარი. ლარზე შუაში დამაგრებული აქვს დასადები. როცა გაპენტავა გვინდა, ვეილებთ და დავყრით მატყლს, ზედ დავადებთ დასაპენტს, მატყლი ქვეშ რომ ყრია. ჩვენ ხელი ვეილებს დასადებზე, კინთეს ურტყავთ ლარს, დასადები ჯოხი კი პენტავს მატყლს.



სურ. 73

მთხრ. მაშო პავლეს ას. კახიანი, 69 წ. (სოფ. ეწერძეელი-სამტრედია).

ჭერ დავეკამდი, მერე დავჩეჩავდი მატყლს. მერემდ გადავწყობდი ნაგულარს ცალკე და ნაწვერალს ცალკე და დავაწყობდი ფანტელეზად (ფანტელა). მერემდ დავართავდი, მერემდ გავახამებდი, მერემდ დავქსელავდი. დავასობდი სამ ჯოხს, გადავად-გადმოვადებდი ჯოხებზე ძაფს. მერემდ იმას გავახამებდი და დავკიდებდი, რადგან დვიმში უნდა გაჩერებულიყო მაგრად, თორემ დვილაღე-



სურ. 74. დგიმ-სავარცხალი

ბოდა (ნასტავი დეიშლებოდა). შემდეგ გოფურიდი დვიმში, მერემდ — საბარცხალში. დვიმ-სავარცხალს ჩამოვკიდებდით სანაქსელაზე (ოთხი ჯოხი იქნებოდა გაკეთებული და დვიმ-სავარცხალი მაზედ ჩამოვკიდებოდა), მერემდ იმას



ჩამოვპირავდით. პირს და ძაფებს ლილვაზე გადავაბავდით და დავიწყებდით. **საქართველოს ენციკლოპედია**

ქსოვას. მაქვა გვეპირა ხელში.
 ნაგულარს სხვილად დავსტავდით და მოვქსოვდით. რომ მოექსოვებოდა, მერე იმას მოვთელავდით თბილ წყლით, ფეხით, ფიცარზე, გინდ ჩელტზე. მერემდ მოთელილ შალს დავავაორებდით და მოვზარავდით. თუ არა და, დავჯოლავდით, დავტკაპნიდით, დავაწყობდით ზედ რამეს. მერე მოვქსოვდით ხამ შალს, კიდევ ვქსოვდით შალ-აბრეშუმს.

მთხრ. ეკატერინე ბობოხიძე, 60 წ. (სოფ. გალმა ნოლა, ზონის რაიონი).

ფარდაგის ქსოვა³. ძაფს შევლებავთ, რამდენი ფერადაც გვინდა ფარდაგი გამოვიყვანოთ. მატყლს ჭერ დავჩეჩავთ და მერე დავასტავთ. შემდეგში დავძახავთ ოთხფათ, სამფათ. ამის შემდეგ შევლებავთ ძაფს და დავქსელებთ და დავიწყებთ ქსოვას საქსელზე. პირველად დავქსელებთ ქვეშასაქსულს საქსელზედ. ქვეშასაქსული არის ბამბის ძაფისაგან დასტული, დამახული ოთხფათ. ქვეშასაქსულის შემდეგ დავიწყებ მისაქსული არშის ქსოვას, მერემდ — კუპონებს. კუპონების შემდეგ პატარა სახეს, პატარა ვარდებს ჩავაჯენთ, მერემდ ისევ კუპონებს ჩავაჯენთ. კუპონების შემდეგ მთავარი ვარდებს ჩავაჯენთ. დამთავრდება და შემდეგ გაუკეთებთ კვატუშებს. კვატუშებში ყოველივე სახეს ჩავაჯენთ, ყოველივე ფერადებისას. ამის შემდეგ კიდევ გამოვიწყებთ მთავარ ვარდებს და ვიმეორებ ისევ იმ მუშაობას, როგორც პირველად დავიწყებ.

დადგიმვას ვეტყვით, როცა მისაქსოველში მოსაქსოვი ძაფებს, ქვესაქსულს ამოკრიფამენ.

ნოხი მე არ მომიქსოვია, მაგრამ მიყურებია. ქვეშასაქსულში რომ ამოიყვანებენ მოსაქსოველ ძაფს, დაჭრიან მაკრატლით, ერთიანად კი არ ამოიყვანებენ თითო ღერ ძაფს, თითო თვალ ძაფს და, რომ ამოიყვანებენ, დაჭრიან და დარჩება ბუყუყიანი ნოხი.

მთხრ. შუშანა სოლომონის ას. გერდელაძე, 27 წ. (სოფ. აბაშა, სამტრედიის რაიონი).

ფარდაგის ქსოვა. ხელობა ვისწავლე დედაჩემისაგან. ფარდაგს ვქსოვთ ცამეტი ფერისაგან. ფარდაგს რითაც ვქსოვთ, უძახით ფარდაგის საქსოვს. საქსოვი შესდგება ოთხი ბოძისაგან, შუაში ღულისაგან და მალღა ლილვისაგან. ლილვის დანიშნულება არის მოქსოული გადმოიტანოს და დაახვიოს. ღულის მოვალეობა კი არის მოსაქსოვი ძაფები მიცეს მუშას.

საბეჭავი მანქანა (ხის). ძაფებს რომ ჩავაქსოვთ ფარდაგს, შემდეგ საბეჭავი მანქანას ჩავარტყამთ, რომ ჩაწიოს ძაფები, ოკო-ბიკო (აწეულ-დაწეული) რომ არ დარჩეს.

ხიფვა. მოსაქსოვ ძაფებს რომ ჩავაქსოვთ საქსელზედ, იმას ხიფვას ვეძახით. ამოხიფვას კი ამოქსოვას ვეძახით.

ჯერ საქსელზე დავქსელებთ ბამბის ძაფებს, შემდეგ გავიდგამ საქსელ მანქანაზე დაქსელილ ძაფებს და დავიწყებ ამოხიფვას ხელით დაქსელებილ ძაფისას, ამ დახიფულ ძაფებს კი ზედ მივაქსოვთ ფერად ძაფებს. პირველად დავიწყებთ ქსოვას კიდისას, მოვქსოვთ ერთ ჩარექს. ამის შემდეგ კიდეს მივაქ-


³ ქვესათაური მიცემულია ივ. ჭავჭავაძის შიგ.



სოვთ პატარა ვარდს სიფართით, სულ თორმეტამდი, ორი გოჯანახევიარი სი-
 მალლე ექნება. ამის შემდეგ პატარა ვარდს მიეჯსოვთ არშისა სამი გოჯი სი-
 მალლისას. არშისა შემდეგ მოვქსოვთ დიდი ვარდს. ეს დიდი ვარდი ოთკუთხე-
 ამ ოთკუთხეში ჩავქსოვთ შუაში სწორედ, შემდეგ კი გვევიმეორებთ, როგორც
 დასაწყისში, გვერდებზე რომ აქვს კიდე მოქსოვილი. ამის შემდეგ მოიქსოვება
 ნაკიდარი, ანუ ნაკიდური, ამის შემდეგ — პატარა ვარდი, ნაკიდურს შეუერთ-
 დება არშისა. არშისა კი შეუერთდება დიდი ვარდს; ასე გამეორდება წინაჲ. რო-
 დესაც ვქსოვთ ამით, ცალ-ცალკე კ-
 არა ვქსოვთ, არამედ ერთად.

მთხრ. ეკატერინე ზობოზიძე, 60
 წ. (სოფ. გაღმა ნოლა, ხონის რაიონი).

მუთაქის [პირის] ქსოვა. ვქსოვთ
 ყაისნალით. პირველად დავიწყებთ თა-
 ვის ქსოვას, მერმედ დაძენს იმას
 ვარდებს გულიანს. მაგრამ სანამ ვარ-
 დებს დააძენენ, მანამ არშისა გაუკე-
 თებენ. მეორე არშიამდის, რომელიც
 ბოლოს არის, უკეთებთ შვიდ ვარდს
 სიგანით. რომ მოვქსოვთ, გასათავე-
 ბელში უკეთებთ ტუჩებს. შიგ კი გა-
 უყრით შესაყრავად ზორანებს (ზო-
 რანი).



სურ. 75. ფარდაგი

ბამბის ქსოვილები

მთხრ. თევდოს ოქროპირის ას. კალაძისა, 52 წ. (სოფ. ეწერძველი-სამ-
 ტრედია).

ხამის ქსოვა. ჯერ გაუყრიდით ბამბას კარგად დასტულს და კიდევ ბამბას
 დავასტავდით ზედ და მოვქსოვდით. ხამს იშვითად ვქსოვდით. იყო ხანდახან
 შემთხვევა, რომ უაქცივ გამირევია ბამბაშიც. ამასაც ხამს უწოდებდით, სამა-
 გიერთო მაგარი იქნებოდა. მთელ დღეს ხუთ არშინამდი მოვქსოვდი, მხო-
 ლოთ ოჯახთან — სამ არშინამდი.

მთხრ. ლირსა კოტრატის ას. შარაშიძისა, 78 წ. (სოფ. ვაღილი, ვანის
 რაიონი).

ხამს ორი ჯოხით ვქსოვთ. ერთი ჯოხი თეთრი ძაფებით უნდა იყოს დაქსე-
 ლილი, მეორე კი, რა ფერიც მინდა, იმას მიეჯსოვ ზედ. სადა ნაქსოვ იმას
 უძახით, ერთიანი ძაფებით რომ იქნება მოქსოვილი შლი.

ჯერ ბამბას დაეპენტავდით, მერე დავასტავდით და თითისტარზედ ამრეკავდით ხობლით ძაფებს. მერე კი ისე დაექსელავდით, როგორც შალს და ბოლოს შოქსოვდით და გამოვიდოდა შალი.

როცა გვინდოდა, რომ შალში ჯვარი ჩაგვექსუა, ამისათვის დავასობდით ორ ჯოხს ერთად; ორ ჯოხზედ რომ ძაფები იქნებოდა გაყრილი, აქით-იქით გადავდებდით ჯოხებს და ჯვარი გამოვიდოდა ქსოვის დროს.

ერთ სათვალავს ოთხ ძაფს ვეძახდით. გამართული ჯვარზედ ჰრელი როცა გინდა, მაშინ სამი სათვალავს უზამ თუ ფართე-ფართე და ზოლებიანი გინდა, თუ წვრილად გინდა ჰრელა, ორ-ოლს ან თითო სათვალავს უზამ.

მთხრ. მაშო (მაშეკო) პავლეს ას. კახიანი, 69 წ. (სოფ. ეწერძველი-სამტრედია).

ფოტური ხამის ქსოვა. დაექსელავდით თორმეტი ბამბის ძაფს და თორმეტი ლურჯი ძაფს ბამბისას. ორი მაქვა და ორი მასლა ქონდა გასაყრელად, ისე თორმეტი ძაფს ჩაეაქსოვდით და გამოვიდოდა ჰრელი. მასალაში არის გასაყარი ჩხირი. სატვინიას ვეტყვით მაქვაში გასაყარი ფთას.



სურ. 76. ჯარაბა, ძაფის დასვევა

შოლას ვეძახოდით ბამბით დასტულს.

ბარამბა — მასლაზე ვამსვედით დასტულს.

ჯარაბა — შოლას გადავადებდით სხვადასხვაფერი რომ იქნებოდა და იმათ მერე ჯარაბას საშვალეებით ერთად ავახვევდით.

როცა გვინდოდა ლურჯად შეგვეღება, ჯერ შემოვაჭირებდით ხამს ისტველე ბამბის ძაფს, იქნებოდა ის ხამი დაკოჭილი. მერემდ თეთრი ხამს ჩავდებდით სალურჯავში და შეიღებებოდა. მერემდ იმას გამოვიტანდით და გავხსნიდით და ირგვლივ დააჩნდებოდა სალტე. სადაც თეთრი ძაფები იქნებოდა შე-

მოხვეული, იქ დააჩნდებოდა თეთრი სალტე, ლურჯი კი იქნებოდა მიწად. მიწას ჩვენ ვეტყოდით, თითონ რა ფერისაც იყო მატერია. მაგრამ, როცა ფოთოლი აჩნდა ან სხვა რაიმე, იმას სახეს [ვეტყოდით]. კობროკულს ვეძახოდით რგვალი სახე რომ იქნებოდა შემოყოლებული.

აბრაშუმის ქსოვილება

მთბრ. პილა პავლეს ას. შარაშენიძე-ყუბანეიშვილისა, 60 წ. (სოფ. შუამთა, ვანის რაიონი).

თავშალის ქსოვა. აბრაშუმის ძაფს დავასტავდით ჯერ ცალფად, ზოგი ორფა იქნებოდა. მაგრამ თუ წმინდა იქნებოდა, ძაფი ოთხფაც იქნებოდა. თუ მომსხო იქნებოდა ძაფი, მაშინ ორფად იქნებოდა, ეს გააჩნდა თვით ძაფის სიწმინდეს. მერე დავძახავდით ორ ძაფს ერთად და დავასტავდით თუ წმინდა იქნებოდა, მერე მოვაორფებდით და ისევ დავძახავდით. მერემდ მოვქსოვდით **ასნალით გაროზს** („ნაკოლკას“ ვეძახოდით). ჯერ დავიწყებდით და მერე უვლიდით გარშემო ასნალით. მაგრამ თუ სამი კუთხიანი გვინდოდა, იმას უნდა წაღმა-უკულმა მოქსოვა, სამივე კუთხის გვერდებზე მოვქსოვდით, გვერდზე კი ვუმატებდით თვლებს. ერთ კუთხეში ოთხ თვალს მოუმატებდა და მეორე კუთხეში კი — ორ-ორს. მერე ისევ უკან დავბრუნდებოდი ქსოვით და ამ წესით უმატებდით, სანამ არ მოვამთავრებდით. მოვქსოვდით, რამხელაც გვინდოდა. გამოვიდოდა სამკუთხედი, გვინდოდა თავზე მოვიზოვდით და გვინდოდა — ბეჭებზედ. ასეთ ქსოვას ჩვენ უძახით **სამყური ქსოვა** ან მიტომ, რომ სამი ყური აქვს.

ქსოვდით აგრეთვე ოთხკუთხედ გაროზს მატყლისას. დავიწყებდით პატარას შუაზედ ქსოვას მრგვალად და მერე კუთხეებს გაუყეთებდით. მრგვალი რომ იყოს, უნდა გაყო ოთკუთხივ და უნდა დაიწყო მატება თვალში ოთხივე კუთხის კიდეზე. თვალში უნდა ამოვიყვანო ორ-ოლი ფეხი. **ფეხს ვეძახით, აისნალით რომ ვქსოვთ.** ძაფს ვახვევთ აისნალზე თითოჯერ და უმაღლდება ფეხი. ფეხით ვაერთებთ თვლებს. ერთი აისნალის ამოლებას თვალს ვეტყვით. გაროზს ოთხივე ყურს უკეთებთ და მოვათავებთ. რა ზომისაც გვინდა, იმ ზომისას მოვქსოვთ გაროზს. ჯერ დავკეკავთ მატყლს, მერე დავჩნავთ, მერე დავასტავთ. დასტულს ორი ძაფს ერთად შევავრთებთ და დავძახავთ. მერე დავიწყებთ თვლის ამოყვანას. ხელზე დავიზოვ ძაფს და ასნალით ასე ამოვივლებდი. (გაროზს მეტწილად, სამტრედისის რაიონში, თავშალს ეტყვიან ან თავსახურავს. — კ. კ.).

გაროზს და თავზე მოსახოვს უკეთებდით **ჩიტის სახეს**. ჯერ დავიწყებდით ფეხებიდან მოქსოვას და ფეხებზე დავაყენებდით, ფეხებათ ამოვიყვანდით იქით-აქით თვალით. მერმე ტანს, ფტრებს და კუდს გადავანღვალვებდით, შემდეგ ნიკარტს და შემდეგ — თვალებს.

მეორე სახე — მოხატული იქნებოდა ქათამი. ქათამს ამოვიყვანდით მამლისას, მამლის ღვანღვალებს დავხატავდით.

მესამე — ადამიანის სახეს დავხატავდით. დავიწყებდით ფეხიდან, ხელებს და მკლავებს ისეთ გაუყეთებდით, თუგინდ ცეკავდა.



მთხრ. მაშო (მაშოკო) პავლეს ას. კახიანი, 69 წ. (სოფ. ეწერძველანთაში, მცხეთის რაიონი).

გაროზის ქსოვა. ამომილია აბრეშუმის შემდეგ, დამირთავს და დამიძახავს; შემდეგ დამიხვეწია და მომიქსოვია ასნალით; მერმეთ გამიკეთებია სამყური გაროზი და ზედ სახეები გამიკეთებია. ქსოვის დროს ამოვიღებთ თვლებს. თვალში ზოგი ორი, ზოგი სამი ფეხია, გადაბმულ ფეხს ვეტყვით სამს, ერთად რომ ამოვიყვანდით ფეხს.



სურ. 77. აბრეშუმის ძაფის ამოღება

ზონრეპის ქსოვა

მთხრ. თებრო ივანეს ას. ლორთქიფანიძე-ყუბანეიშვილისა, 65 წ. (სოფ. შეაშთა, ვანის რაიონი).

ბადურის ქსოვა. მე ბადურის მქსოველი ვახლავართ. ზოგი ბადურს ლარსაც უძახის, მაგრამ ბადური უფრო ძველი სახელია. ბადურს ზოგნი კიდევ ხვანჭარსაც უძახის.

ბადურის მოსაქსოვად დომფალი ძაფს გავაკეთებდით. აგრეთვე ამონაყარი ძაფისაგანაც გავაკეთებდით. ამონაყარი ძაფი ხასის ძაფის არის და უფრო ნაკლებია. ბადურს ვაკეთებდით ყაქის ძაფისაგან. ყაქი ჯერ გამოირეცხებოდა და შემდეგ გამოიხარჩებოდა ნაცრის ძალში. ნაცრის ძალს ჩვენ უძახით ტუტის ნაცარს რომ ჩაყურით ქვაბში და ვაღმოვადლებთ წყალში. შემდეგ აღმოდგამთ ქვაბს და დაიწყობთ. მერე ქვაბში ვაღმოვადლებთ გაღმონადულ ბელ ნაცრის წყალს. ყაქს შემდეგ ვაერეცხავთ ცივ წყალში, [რომ] გავიდეს



ტუქუცი. ჩამოკიდებთ ქვაბს, ნაცარწმენდილს ავადულებთ. შიგ ჩაყვრით რეცხილ ღომფალს თუ ხას. შემდეგ უნდა დაებრიგოთ, დაეთათხოთ, გავალს ლულოთ. მერე დავსტავთ ყაჭს თირისტარზედ, მერე უნდა დავძაბოთ და დავაორფოთ ძაფი თირისტარზედ. შემდეგ დავხვეწავთ და მერე გაუკეთებთ ბადურის საქსოვს პაპაჯვარას და მერე დაექსელავთ სიმალით. პაპაჯვარაზედ გავიმბავთ ქსელს და მერე პაპაჯვარაზედ მოყვება მქსოველი და დამქსელი, სიგრძისად კი იქნება ბადურისათვის დაქსელილი.

ბადურ ფირფიტები ერთი ზევით იქნება და ერთი — ქვევით. ხელიდან რომ ძაფებს გადავიღებთ ფირფიტებით, ჩაებეჭავთ (ჩაეკეცავთ), ასე გავყვებით და მოიქსოვება კარგი ბადური. ბადურს ორივე თავში ყვითელ ძაფებს წაგახვევთ ერთ ციდაზე მაინც. მერე კიდევ ყვითელ ძაფს შუაზე დაიხვევთ. ბადურს რომ შუაზე დარჩება ფოჩეები, უნდა დავახვიო ყვითელი ძაფით. ფოჩეები რომ დარჩება ბადურს, თავს მოუღუნავთ შუაზე ძაფით. წოუხვოვ იმას თავს და მივახვოვ იქვე და ქე იქნება მშვენიერი მოღალუნებული.

ძაფები რომ იყო ამოჯაჭული — რამდენს მოქსოვდენ, იმდენი ჯაჭვი დაირღვეოდა.

ფირფიტას სოფელ გორდში ფიტონებს ეტყვიან (ცნობა მომარწოდა სოფ. გორდის მცხოვრებმა კიკალეიშვილმა, 102 წ.).

პაპაჯვარა დასაწყისში საქსელის დროს არის საჭირო. ორი გოჯა რომ მოიქსოვა, მერე პაპაჯვარა გამოწყდება, რადგან იგი აღარ არის საჭირო, მერე თითონ მოყვება მქსოველი და ქსოვს.

ბადური არის სიგრძის ძაფები, ზოგი ლარს უძახით. ეს სიგრძის ძაფები მოიქსოვა. ბადურის ზევითა თავი ერთი ციდასოდენა უნდა დარჩეს მოუქსოველი, რომ გაკეთდეს ფოჩები.

ფირფიტები უნდა პატრუან-პატრუანი და ამით ჩეიქსოვა რაცხა იქნება, მქსოველი ძაფს რომ ვადააკვანტილებს (გადაადებს) მაშინ. რომ მოექსოვდით ბადურს, ქალები ვიტყოდით: — შეიქსოვა, ბეჩა, ბადურიო და რამდენზე დეტურთ თავიო? მაშინ იტყოდენ, ამდენზეო და თავი უნდა გაუძრან სიგრძეზედ.

რომ მოექსოვთ ბადურს, გადავიღებთ ერთიანად, შემდეგ შევინახავთ იმას. აფთიაქში ვიყიდით წითელ საღებავს, უნდა გვექნა კიდევ შაბი და შეიღებებოდა წითლად, მერე ადუღებულ წყალს გადმოვასხამ ტაშტზე და იმ ცხელ ტაშტზედ ჩავდევდი შაბს და შეიღებებოდა. რომ ვადემრობა ბადური, მერე ენდროში ჩვიდება და შეიღებება. ენდრო ბალახი, რომ მოვკრეფავთ, ვახმება ერთ კვირაში. მერემედ დავნაყავდით და ჩავალბობდი წყალში და ვადმოვადულებდით. იმ ცხელ წყალში ჩაყვრიდით ბადურს და შეიღებებოდა ფოჩებიანათ ერთათ. როცა ამოვიღებ შეღებულს, იმას დაეხვევა ყვითელი აბრეშუმის ძაფი; რაც დანახვევს აქით დარჩება, ის იქნება მთელი ბადური. ერთ ყდაზე შეიძლება ოცი ბადური მოექსოვო. ბადურები ერთათ შეიძლება მოიქსოვოს, მაგრამ როცა გვინდა ბადურები დავანაწილოთ, უნდა გამოვწყვიტოთ ძაფი ნაქსოვ ბადურებში და მერე თითონ დანაწილდება. ბადურს სისხო სამი გოჯის ხელა (ოდენი) ექნება.

ბადურის თავის გადახვევა. დაეხვევა ბადურს ფერადი ძაფი თითო გოჯაზედ, მერე მოვკანჩხავ (მოვხრი), მერემედ წავტუქვავ და მოვწყვეტ. რომ დაეხ-



ვევა, იმ ყვითელზედ (ძაფზედ) უნდა იყო[ს] უბრალო ძაფი დატანებულა. უფრო ნეფსივით და იქნება მშვენიერი. ბაღურს მეტრონახევიანი ძაფი ორმოცი ცალი დაჰირდება.

მ ლ მ ბ რ ო ბ ა

მთხრ. თევდოს ოქროპირის ახ. კალამისა, 52 წ. (სოფ. ეწერძველი-სამტრედია).

შავად შეღებვა. ვისაც შავი ფერის უნდოდა შალი, იმას შეუღებავდით ასე: ამოვიღებდი მდინარის ნამეტანად მუქი მიწას, რომელსაც **ლეკი მიწას** ვეძახით; გურევედით **დანწერულ წყალში**⁴ ლეკ მიწას, კიპაროს, რადგან კიპაროსი სიმაგრეს აძლევს საღებავს, რომ არ გამოვიდეს. ჩაედებდი შიგ და შევეღებავდი.

მოყვითალოდ შეღებვა. კიდევ ვღებავდი **ვაშლის ტყავით**. კარგი ფერის მოდიოდა. მოვხარჩავდი ვაშლის ხის კანს. მერე კანს ამოყერიდი, მერემდ შიგ ჩაყერიდი მარილს, შამბს, ერთი ცალი ხელში რომ დაეტევეოდა, იმდენს. შამბს მარილზე ცოტას ჩაყერიდი. ამდენი მარილი და შამბი დაახლოებით ოცი გირვანქა წყალს ეყოფა შესაღებად. ჩაედებდი შიგ შალის ნაჭერს და გადაკადულედი. უნდა ედულა ერხანს, მერე ამოვიღებდი და გავრეცხავდი, გადაკვიდედი და გავაშრობდი. ასე შეღებილი გამოვიდოდა ღია **მოოქრო-მოყვითლო ფერისა**.

მოყვითალოდ კიდევ [ვ]ღებავდით ხანვის კანის ფურცლებით. ხანვს რომ გავფრცქვინდით, ნაფრცქვენებს ავიღებდი და წყალში გამოვხარჩავდი, შიგ ჩაყერიდი მარილს ან შამბს. ოც გირვანქა წყალში ერთი პეშვი მარილს ან ერთ პეშვზე უფრო ცოტას უზამდით შამბს და გამოდიოდა **მოყვითალო მუქი ფერისა**.

წითლად შეღებვა. ვღებავდით აგრეთვე **ჩიქური ცოცხის კეკლით** ამავე წესით, როგორც ვაშლის კანს; მხოლოდ ცოცხის კეკალი ორგვარია: ერთი წითელია, ამით წითელი ფერის გამოვიდოდა, მეორეგვარი ცოცხი უფრო ღია მოოქროფერის არის და ამით უფრო ღია ფერის გამოდიოდა.

მწვანედ შეღებვა. ვხმარობდით აგრეთვე **ლუკურხოს კეკალს** საღებავათ. ლუკურხო თითონ ხე არის. ამ ხემ სწორეთ შავ-შავი კეკლების მოსხმა იცის. ეს ხე იყო ჩვენს კაპეტებში. ლუკურხოს კეკალს ჭერ მოვხარჩავდით, მერე გავწურავდით. გაწურულ წვენში, ოცი გირვანქა წყალი რომ გამოვიდოდა, ასე ერთი პეშვი მარილს ან შამბს უმფრო მომცროს ჩაყერიდი და ჩავლობდით შიგ შესაღებად ნაჭერს ან დასტულ ძაფს. ვადულედიდით და რამდენიმე ხნის შემდეგ გავფენდით, გავაშრობდით და მივიღებდით ძალიან კარგს **მუქმწვანე ფერისა**. ამით შეღებილი ახლანდელ საღებავს ბევრად ჯობს.

ნაცრისფრად შეღებვა. კიდევ ვღებავდით **ქალღლით**. ავიღებდი ქალღლს და დავწვავდი, მერე შეურევიდი წყალს და დავადულედი, მერემდ გავწურავდი, ხინკლები არ ჩაყოლოდა, მერე წყალს გადაურევედით და ისე ავადულედი. ჩაედებდი შიგ „ნასკებს“, ამაშიაც მარილს ან შამბს შეურევედი ისე, როგორც

⁴ დანწერულს ჩვენ უძახით, ნიგვზის ან ლეფნის კანით რომ გავაშვებთ შესაღებად მომზადებულ წყალს.



სხვა საღებავებს ურევდით და მივიღებდით შენაღებს მუქს, ან ნაცრისფერს.
რისა.

მთხრ. ლირსა კოტრატის ას. შარაშიძისა, 78 წ. (სოფ. გალიდი, ვანის რაიონი).

შავად შეღებვა. ნიგოზს რომ ტყავი აქვს, რომელსაც ჩვენ წერს უძახით, უნდა გავართვათ და უნდა მოეჩეჩოთ ან კაკლის ლენჯი (კაკლის ვანი) უნდა წამოაღულო და სახლში დადო ერთ თუ ორ ღამეს. როგორც რკინის ნალექი, რკინის ტურტყლი რომ არის დარჩენილი, უნდა ამეილო იგი, ჯერ წერში უნდა წამოაღულო შესაღებავი სამჯერ, მერმეთ ამოვიღებ და შესაღებავს ჩავდებ ტურტყლიან ჯანგში და წამოვადულებ ერთს. ამის შემდეგ ისევ ჩავდებ მატერისა და დავდგამ ერთ ღამეს, მეტი არ უნდა, შეიღებება.

ყვითლად შეღებვა. ყვითლად ვღებავდით თხმელის კანით. წამოვადულებ თხმელის კანს და დავდგამ ერთ ღამეს. მერმეთ შევღებავ ასე: ჩავაგდებ და დამწერავ სამჯერ ძაფებს, რომ ამოვიღებ სობლად, თბილად ტუტა მექნება გაცირილი და გამოვხვავ ტუტაში; ისე უნდა გავხვიო ტუტაში თფილად, რომ არც ერთი ნაწილი არ უნდა დამარჩეს ცივად, თვარა არ შეიღებება და ცუდი გამოვა.

მიხაკისფერად შეღებვა. წყავის, თხმელის და ვაშლის კანი უნდა განწერო ერთად სამჯერ და მერე იმ წესით, როგორც სხვებზედ ვთქვით, ისე შეიღებება.

ლურჯად შეღებვა. ლურჯად ღებავდა ანწლის კაკალი. მოვქვლევდით ანწლის კაკალს, შეურევდი ცოტა წყალს და შევღებავდი სამჯერ.

მთხრ. ებრასია ვახუშტის ას. გლენუიძე-მსხვილიძისა, 87 წ. (სოფ. ხანი, ბაღდადის რაიონი).

საღებავათ ჩვენ ვხმარობდით ენდროს. ენდრო თითონ ბალსი იყო და ღებავდა წითლად. მოვთხრიდით თითონ ბალასს, გავახმობდით მის ძირს, დავნაყავდით, ჩაეყრიდით წყალში, გავხსნიდით წყალში მარილს ცოტა მომატებულს და შამბს და შესაღებს ჩაუშობდით შივ და შევღებავდით. ენდროთი ვღებავდით აგრეთვე კვერცხს.

აგრეთვე კიპაროსით ვღებავდით. ვიყიდით ბაღდადში კიპაროსს, დავნაყავდით, ჩაეყრიდით წყალში, გავხსნიდით მარილით და შამბით და ამით ვღებავდით შამბს.

მთხრ. პილა პავლეს ას. შარაშენიძე-ყუბანეიშვილისა, 60 წ. (სოფ. შუამთა, ვანის რაიონი).

აბრეშუმი ძაფის გამოხარჩვა ხდებოდა ამ წესით: გადმოვადულებდით ბუფლის ნაცარს წყალში. წყალი იქნებოდა სამი ჩარეჭა, ნაცარი კი იქნებოდა სამი პატარა საინი. ერთ დღეს დავადგავდით და დადნებოდა. მეორე დღეს კიდევ ავადულებდით იმ წყალს და ჩავდებდით აბრეშუმის ძაფებს და გამოვხარჩავდით; ეს გამოვიდოდა კრემისფერი.

ჩვენ ვღებავდით ლაფანის ფურცლით, ნიგვზის ფოთოლით და ბრეწოლის კანით. ამას ჩაეყრიდით ქებაში. ნიგვზის ფოთოლი და ლეფნის კანი ერთიხელა



იქნებოდა; ბრეწული — უფრო ნაკლები ნახევარჯელ. გადმოვადუღებდით და ვაცილიდით სამი დღეს. მესამე დღეს ავადუღებდით იმ წყალს, ჩავდებდით მესალეზს [და] დაეწერადით. **დამწერას** ვეტყვი, მართო ყავისფერად რომ გამოდის. სამჯერ ავადუღებთ ქვებს და სამგზობა უნდა დამწეროთ. მერე, რომ გაშრება, მძარში რკინებს ჩაყვრიდით, ყოველგვარი ქანგისანი რკინა უნდა ყოფილიყო. გადმონადულში მესამე დღეს ჩავდგამდით შესალეზს, ავადუღებდით. მეორე დღეს იმ შალს ისთევ ამოვიღებდით.

მთბრ. ედუი ლოსაბერიძე-გიორგაძისა, 70 წ. (სოფ. კურსები, ტყიბულის რაიონი).

ამოვთხრიდით ტალახივით ლიდასფერ მიწას (ნოტიო მიწა არის), ამოვქნიდით ქვებში და გავწურავდით. მერმედ ავადუღებდით. წყალი რომ გოწუწითლდებოდა, მერმედ შიგ ჩავდებდით შოლოს აბრეშუმს ან მატერიას და შევეღებავდით წითლად. შესალები სამ დღეს უნდა ჩაციებულიყო, რომ მოკიდებოდა სალებავი. მერე კი ამოვიღებდით.

ხვადასხვადრაღ შეღებვა. ვაშლის ხის კანი რომელიც არ უნდა იყოს, მოვხარჩავდით და ჩავდებდით შალს შიგ. ნიგვზის კანს თვისათ მოვხარჩავდით და გადავასხავდით ლიდიან მიწას და იქნებოდა შალი რამოდენიმე საათს და ამოიღებდენ იქიდან და შეიღებებოდა შავად. როცა ყავისფრად გვინდოდა შეღებვა, მაშინ ბევრს არ ჩაყვრიდით ნიგვზის წებეროს შიგ.

ქ ა რ გ უ ლ ო ბ ა

მთბრ. მარიამ ვახილის ას. ლორთქიფანიძე-აბულაძისა, 38 წ. (ქ. სამტრედია).

მე ქარგვა მამიდაჩემ ეკატერინემ მასწავლა, ის იყო მონაზვნათ ნაღვინებში. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული. მამიდაჩემი ქარგავდა არაჩვეულებურივ კარგსა და ლამაზს.

ქარგა არის საქარგავი იარაღი. გამოჭრილია ხის ჩარჩო, გვერდზე გაუკეთებთ მოძრავ ჩარჩოებს. „პეტლებში“ და მოძრავ ჩარჩოებში ვავაკეთებთ ხავერდის ნაჭრებს და იმ ნაჭრების „პეტლებში“ გადმოვხლართავთ პატარა წვრილ-წვრილ ბაწარს. ჩარჩოში რომ უბრალო ნაჭერი არის გადახლართული, იმას მოვაკერებთ გასაკეთებელ ხავერდს. ხავერდი მაგრათ გაიქიმება და გამაგრდება.

ხავერდის მოქარგვა ყუთისათვის. გადავკვიმავთ ხავერდს ყუთისათვის, ვაუკეთებთ კიდეს, დავხატავთ ფარშავანგს ვენახის ტოტებზე, ვაუკეთებთ კულს, თავს, თვალს, ქოჩორს, ვაუკეთებთ ღვარალებიან ფრთებს და თითებს. ფეხებს დავადებინებთ ვენახის პატარა ტოტზე, ყურძენს ვაუკეთებთ თავის ფოთოლს. ხავერდს რომ გადავკვიმავთ, ზედ დავადებთ ქალაღის სახეს. ეს ქალაღის სახე არის ნემსის წვერით დაჩხვლეტილი. მერმედ სახეს დავამაგრებთ სისწორით. შემდეგ დავაყრი ტუტას ქალაღის ჩახხვლეტილ სახეზე, მოუსობ ქათმის რბილ ფრთას, ნაცარი ვაცვივა ხავერდზე და დაიხატება, რაც გვინდა, გამოვიყვანთ. მერმედ თავსაბანი მიწა გვექნება გახსნილი წყალში და ქათმის



ფრთის კალამს ჩაუწევთ თავსაბან მიწაში და დაეხატათ, ხვერღზე რაც არის გაეცენილი, სახიდან დარჩენილი. ამის შემდეგ გავაშრობ დახატულს, მივეყვებ და ვიმუშავებ.

ფერადი ხვერღის ძაფები მაქვს კოჭაზე დახვეული, მივეყვები და ავაწყობ ზევიდან. ეთქვით, ფოთოლის სახე მინდა ამოვიყვანო, მივეყვები და ვაწყობ ფოთოლის სილამაზზე და ვაბნევ კოჭადაფით ქვეშიდან. როდესაც დავამთავრებ გაეკეთებას, მოვადლებ პურის ფიფინას და გავახამებ ქვევიდან, რომ გამაგრდეს ნამუშევარი. გვერდებზე ამოვიყვანთ ამავე წესით ტოტს. ტოტებზე ფოთოლს გაეკეთებთ, ფოთოლზე კი ყვავილს. ყუთს გაუკეთებთ ხვერღის ფეხებს.

პირსახოცის დასაკიდებელი. დაეხლართავ. დაეგრეხავ სირმას; მერმედ იმას დავაკერებ ზემოდან ხვერღზე. ყვავილების ტოტების მაგვარად, სილამაზისათვის გავაწყობთ ძივით. მის შემდეგ ჩაუმატებ ფერად ძაფებს, გაუკეთებ ძივის კიდეს. მეორე კედრით გაუკეთებთ კიდევ ყვავილს, იმ წესით გავაკეთებთ, როგორც უწინ. ევიღებ მთლიან მუყაოს, გამოვჭრი ლამაზათ, შემდეგ შემოვავალოებ სინას და გადავლუნავ სილამაზისათვის პატარაზე მუყაოს. ყვავილ გაუკეთებ გულს ყვითელი ხვერღის ძაფით, მერმედ ყვავილს შემოვავალოებ ღია ვარდისფერს, მერე — მუქი ვარდისფერს, სილამაზისათვის გაუკეთებ პატარ-პატარა მწვანე ფოთლებს ხვერღის ძაფით. მეორე ვარდის ამოჭარგვას დავიწყებ; გულს დავიწყებ ყვითელი ხვერღის ძაფით. მერე ღია წითელს შემოვავალოებ, მერმედ ბორდოსფერს შემოვავალოებ, შემდეგ კიდევ უფრო ღია ბორდოსფერს. ერთ სიტყვით, შევახამებ, როგორც საჭირუა. შემდეგ გამოვიყვან ვეგრდებზე სილამაზისათვის სირმის ტოტებს, შემდეგ გამოვიყვან მწვანე ფოთლებს და გაუკეთებ პატარა თითო ფერ კუკუროს.

საათის ჩასადები ჭიბის გაკეთება. სირმით, მძივით და ხვერღის ძაფით გავაკეთებ საათის ჩასადებ ჭიბეს და დავკიდებ კედელზე. გაუკეთებ ჩამოსაკიდებელ ღილს.

სურათების ჩასადები ჭიბის გაკეთება. დაეხატავ დიდი ვარდს ოჯის ფოთლებით და თავის კუკუროებით, ტოტებს გაუკეთებ დაგრეხილი სირმით, მუყაოში ჩაუდენ ბამბას და გადავაკრავ სილამაზისათვის აბრეშუმს; შემოვავალოებ დასაკიდებლად ძივებს, გაუკეთებ დასაკიდებელ ღილს.

სახის გაკეთება კანვით. გადავაკრავ ხვერღზე კანვას, მერმედ პვიღებ ნემსს და ძაფს და ვაკეთებ სახეს გათვლით. გავთვლი და თითოეული ნემსის წვერით გაკეთდება თითოეული მძივის კაკალი. გამოვა ამ გათვლით სახე. გაუკეთებ კიდეს. შემდეგ ამოვიღებ საჭარავიდან და დავარღვევ იმ კანვას ღერ-ღერე და დარჩება ხვერღზე ნაკეთები სუფთად.

მუთაქის პირის მოჭარგვა. მურთაქას გავაკეთებ დაგრეხილი სირმით; გავაკეთებ ხაზებს და უჯრებს შუა აცმული ძივით. უჯრებს ამოვამსებ აცმული მძივით და ჩავყრი სილამაზით ყვითელ აბრეშუმის და მოლისფერ ძაფს კაკლებათ, მარცვლებათ. გავაკეთებ დაგრეხილ ორ სირმას აქით-იქით, შვაზე ავამსებ აცმულ მძივის კაკლით, შემოვავალოებთ დაგრეხილად გარშემო მურთაქას სახეს, წყალს. აქეთ-იქით გაუკეთებ ტოტებს. ასეთ დაგრეხილს უკეთებთ ორს ერთნაირად.

მთხრ. მაშო (მაშოკო) პავლეს ახ. კახიანი, 69 წ. (სოფ. ეწერძენი)
ტრედია).

ახნაღის ქარგი. ვადაკვიძავდი მოსაქარგავს გარაზე, მერმედ მოვხატავდი ცარციო სახეებს, რაც გვინდოდა, ხან ჩიტს, ფურცელს ვარდისას, რაცაც გვინდოდა ისე; მერმედ იმას მივყვებოდით და ამოვქარგავდით აისნალით, აბრეშუმის ძაფით აბგის პირს, მერმედ გამოუღებდით სარჩულს. შიგნითურ პირს ტილოს გამოუღობდით ჩამოსაკიდათ; მერე შევკერავდით დაგრეხილი აბრეშუმის ძაფით. მერმედ მოქარგულს მივაკერებდით ტილოზე და ვაკეთდებოდა პატარა აბგა, ან ცხენზე ვადასაკიდებელი პატარა ხურჯინი გრეხილით.

კანოს აბგა. ამომიყვანია ღანძლის ძაფით; მიწა წითულა ღანძლის ძაფი იყო და ფოთლები — მწვანე. კანო იყო დოღბანდივით ოთყურე ამოსაღები. კანოს ამოვიღებდით ნემსით, მერე შევკერავდით ტილოზე ისევ გრეხილით. როგორც წინა აბგას.

ქვემო რაჭა

შვიტრობა

მატყლის ქსოვილები

მთხ. ანა გაბიციანაშვილი, 80 წ. (სოფ. ჭყვიში, 5.VIII.1935 წ.).

წელიწადში სამჯერ ეპარცავთ ცხვარს: ერთ — ნაზამთის და ორ ნაზაფხულებს — აპრილში, კვიციობისთვეში და ენკენისთვეში. ბარკალზე და კისერზე ნაპარტი მატყლი მოკლეა და ცალკე გადავლებთ: ზე ზურგზე (ზურგის შუა ნაზზე) კარგია, გძელია და ამას ცალკე ვაგროვებთ. მუცლის ნაპარტი არაფრად ვარგა და მურთაქეში ეტენით. თუ დაუბანელი ცხვრები ვაეპარცავთ, მატყლი უნდა გავრეცხოთ. მე ყოველთვის წინდაწინ ვბან ცხვარს და იყე ეპარცავ. მატყლს გავაუენთ ყავარებზე და გამრება.

დაეწეწავთ ხელით და მერე დავჩეჩავთ ხაჩეჩელზე ფთილა-ფთილა (გადაკეცალად) და ჩავაწყობთ კალათში. მერე ფთილებს შევრთავთ თითისტარზე, ამოვხვოვთ ორფათ და ავძახავთ ტარზე. აქიდან ამოვხვოვთ მურგევათ. დავასობთ ორ ჯოხს და დავქსელავთ თუ შალათ გვინდა და ქსელში გავიბამთ, დგიმ-სავარცხალში მოვქსოვთ; თუ არა და უახნაყოთ ვქსოვთ მოსახურავე შალებს, საბეჭურებს, ან წინდისჩხირებით — ქალის და კაცის, ბოშების ყელიან და უყელი წინდებს. წინდები რომ მოთაეღება, თავს ნართით გადუბეჭავთ (გადაუხვოთ).

საქსელავი ძაფი ქსელში გვაქ გამართული, დგიმ-სავარცხალშია გაყრილი და მისასხამს მაქოთი დგიმებში გავატარებთ და მივასხამთ. საქსელავი ძაფი შეიძლება ერთფერი იყოს და მისასხამი — მეორე ფერი. შეიძლება ერთ საქსელავზე სამნაირი, ოთხნაირი ძაფი მივასხაოთ. შალ-აბრეშუმსაც ასე ვქსოვთ, საქსელავი რომ ნართია, მისასხამი — აბრეშუმის ძაფი. ფარდაც, ხურჯინსაც ასე ვქსოვ. საღებავებს მე ყოველთვის ვყიდულობდი. ხურჯინს როცა მოვქსოვთ, თავის ძაფით ავეკრავთ და თავკაუჭებს მივავსოვთ, შიდ მოქსოვილ ზორანს გაუყრით თავის მოსაკრავად.

ღართულ ბამბას ერთწევრად მივასხამთ, დაქსელულ აბრეშუმს — კუბო-კრულად (სხვადასხვაფერის ოთხკუთხი სახეები). მარტო აბრეშუმს ჩაბალახევათ ვქსოვდით და ახლაც ვქსოვთ. აბრეშუმისას ვქსოვდით კიდევ სახნისპირებს, სახალუხეებს, საკაბეებს.

როცა ქსელში შალს მოვათავებთ საჭირო ზომაზე, ამოვჭრით და ჩავავდებთ ცხელ წყალში, გადმოვიღებთ, გავაგდებთ იატაკზე და დავიწყებთ თე-



ლას (თელვას) ფეხით. კიდის-კიდემდი გაგვაქ-გამოგვაქ, თან ვასველებ, ნამქ თელვა არ მიუთავადება. სამჯელ-ოთხჯელ ვასველებთ. სამ-ოთხ დაიკლებს სიგანეში და ხაოს გეიკეთებს, შალი მოთელილია.

შეთელილ შალს გაერეცხავთ, ჩამოვიდებთ შრამელის სარტყელზე, ბოლოებს გაუყერავთ და ზედ სუფრას დავადებთ. სუფრაზე ქვას დავადებთ, სიმძიმე რომ ექნეს და შალი დაიპეღლება (სველად გასწორდება). რომ გაშრება, ჩამოვიდებთ, ლამაზ ყვარის დაუტენვეთ და გაუქსწორებთ კიდევს, ზელით დახხოვთ.

შალ-აბრეშუმს ასეც ვქსოვთ: ერთ თითისტარ აბრეშუმს ამოუწერავთ. მეორე თითისტარ მატყლს დავქსელავთ და მარტო მატყლს მივასხამთ. ვაეც შალ-აბრეშუმი იქნება.

ძველი ქსელი. ქსელს შეადგენს ქსელის ფეხები (სარძიკველივით): ფეხები შეერთებულია სქელი ფიცრებით ისე, რომ ფეხებს ექლობა ფიცრები. ფეხები სარძიკვლის მსგავსად ამოჭრილია და შიდ ამ ჭრილებში ჩასმულია სვეტები ან, როგორც აქ ეძახიან, კოჭები. უკანა სვეტები შეერთებულია ქსელის თავით (სარტყელივით). ქსელის თავს კიდევ გადასაკიდებელს უწოდებენ. წინა სვეტებს ემცობა დვილა (ღარიანი ღერძი, შიგ ძაფის გასამტარებელი¹ ჯოხი მოძრაობს). ქსელის ფეხებს შუაზე მიკრული აქვს (ორი მეტრის სიმაღლეზე) შუა სვეტები. ამ სვეტებიდან უკანა სვეტებამდე გასდევს შემაერთებული სარტყელი და ამ უკანასკნელზე გადაკიდებულია მსხვილი თოკი. თოკს ორთავე თავებთან, ერთიმეორეზე დაცილებით, ჩაბმული აქვს დგიმები (ერთი დგიმი თოკის თავის ნასკვთან 10 სმ დაცილებით მეორე ნასკვზე ჩაბმული). დგიმებს აქვს მობმული თოკის საფეხურები. ამ საფეხურებში მქსოვანი ფეხს დებს და ზევით და ქვევით სწევს დგიმებს ისე, რომ ერთი დგიმის ქვემოთ დაწვევა იწვევს მეორე დგიმის ზემოთ აწევას. ცანდს (შულოსაც უწოდებენ, დაქსელილი ააფია) მოებმება ბაწარი და ქსელის ორივე თავში გამაგრდება. წინა თავს ცანდისას აუშობენ და მთელ ცანდს ჭვარედინად გაატარებენ დგიმებში და სავარცხელში. შემდეგ ცანდის თავს ისევ დაამაგრებენ ქსელის წინა თავში. მასრაზე დახვეულია მისასხამი ძაფი და ჩადებულია მაქოში. მქსოველი მაქოს გაატარებს დგიმებში. როცა ერთ ჭვარედინში გადის მასრა (მაქო), მქსოველი ფეხს დაკრავს ზედა დგიმის საფეხურს, ქვედა დგიმი ამ დროს აიწვევა და მეორე ჭვარედინი ჩნდება. მეორე მხრიდან ამ ჭვარედინში გამოატარებს ისევ მაქოს (მასრა ტრიალებს მაქოში და ძაფი იშლება). მისასხამი ძაფი მაქოდან (მასრაზე დახვეული) ჭვარედინებში გავლით ექსოვება დაქსელილ ძაფს (ქსელს) და სავარცხელი ებეჭება (მაგრად და მჭიდროდ ეწვნება). ქსოვილი დვილაზე ეხვევა. დვილა ქსოვილს სჭიმავს და სავარცხალს უადვილდება მოძრაობა.

მთხრ. ქავაჯან დვალაძე, 90 წ. (სოფ. ქვედა შავრა, 3.VIII.35 წ.).

თითისტარი წიფლის გათლილი პატარა ჯოხია, მუცლიანი. თავი და ბოლო მახვილი აქვს. ბოლოზე წამოგებული აქვს ქვის ბზრიალა — კვირისტავი. კვირისტავი თითისტარს აბრუნებს და მატყლი ირთვება. ტარი თითისტარივით რგვალაია, მაგრამ უმუცლოა, თავი რგვალად აქვს წამოირილი და ბრანხანია. ყასნაყი — ენიანი ლითონის ჩხირი. წინათ ვურთხელის ხის სკოდნიათ.

¹ დღესასწაულის ოკითხვა — „გასამტარებელი“.

ბამბის დამუშავება

მთხრ. ქავაჯან დვალაძე, 90 წ. (სოფ. ქვედა შავრა, 3.VIII.35 წ.).

ბამბას ვენეტადით და ახლაც ვენეტავთ შვილდით, ლარით და კინთით. ერთ ზელში ვიღებთ შვილდს და რალს [ლარს] დავადებთ წვრილ ჯოხს. ამ ჯოხიანა რალს დავადებთ ბამბას, მეორე ხელით, კინთით ჩქარ-ჩქარა ვწვეთ რალს. ბამბა ივენტება და გადმოდის შვილდის ქვეშ. დავაქულავებთ ხელით. მერე ქულას დავართავთ თითისტარზე. თითისტარიდან დავებუბკავთ პურის ფქვილში და მერე დავმუხვავთ სამუხველით. ასე გავაკეთებთ შულოებს. შულოებს საბრიალოს გადავაცმთ. დავასობთ ორ მანქოს და ოცდახუთ მცხდაზე დავქსელავთ, დავადგომსავარცხლებთ და ქსელში გავიდვამთ; მერე ვქსოვთ. ახლა უფრო აბრეშუმს ქსოვენ. წინათ სულ ხამებსა ვქსოვდით ბამბისაგან და ვღებავდით.

ბამბის საპენტი რალი ძალის წელებსაგან კეთდება. გავრეცხავდით ძალის გველ წელებს, მზეზე გავახმობდით და მერე წვრილათ ჩავერდით სიგძეზე, ხელში შევეგრეხავდით და დავარგვავლებდით, ცოტა სანთელს გავუსობდით და გავაბამდით შვილდზე. შვილდი მოკაული, რგვალი თხილის ან წაბლის ჯოხისაგან კეთდება.

კინთი რგვალი რიკია; ორივე თავები ერთმანეთზე შექცეული აქვს და მოკაუქებული (ჩაჭრილი). ამ კაუქით ვწვეთ რალს. კინთს ერთი ტკაველი აქვს სიგრძე.

სამუხველი ორკაპიანი (ორტოტიანი) რიკია, ორი ტკაველი აქვს სიგძე. კაპებში ეხვევა ძაფი და ნართი და, როცა კაპები ამოივსება, სამუხველს გადმოვადძრობთ და წვრილ ნაქერს ჩაუჭირებთ თავებში, გავეთდება შულო.

საბრიალოს აქვს ჭვარედინათ მოლუნული სქელი ტყეჩები. ეს ტყეჩები გამართულია ფსკერის ჭვარედინით. საბრიალოს ვახოვთ შულოს და საბრიალოთი ვქსელავთ.

თუ ჩულქი გვინდა, შევაორწვერებთ (შევაორტოლებთ) და ისე შევქმნავთ ტარზე. სამწვერაც შეიძლება გავაკეთოთ. სამწვერათ უფრო ნართი ამოგვეყავს და ყასნაყით ვქსოვთ მოსახურავ შალებს და კაბებს. პერანგები და ნიფხვები ხამის ვიკოდით. პაიჭებს ჩონისაგან (შალისაგან) იყერავენ. არტაშენებსაც (ბავშვის აკვანზე სახურავის გადასაჭიმავი) ყასნაყით ვქსოვდით.

ზონრეპის ქსოვა

მთხრ. პაშა მახარაშვილი (სოფ. ლაღიში, 27.VII.1935 წ.).

ფირფიტებით ქსოვა. ავიღებთ ორ ჩამონაქერს და სამ ჩარქქ სიგძეზე გავათლევებთ დურგალს. თავს სატეხით ამოულებს და გაუყეთებს გამირს (შემაერთებელს). ბოლოსკენ მეორე, ქვედა გამირს მიაუქდავს ან შიგნი ჩარგებს. ამ მოწყობილობას უნდა კიდევ ფირფიტები. ფირფიტებს ყავრიდან გამოვითლით, თავს წაფუწვეტიანებთ. გამირებიან ცერის ჯოხებს დავასობთ გამირსა და მიწას შუა, რომ ზელმა იმოდრავოს თავისუფლათ — ისე. გამირებს შუა გავაბამთ ძაფის ქსელს. ქსელს შუაზე გადავლობამთ ორფა ძაფით. ეს ორფა ძაფი დახოვილი გვაქვს გვრიჭაზე (იგივე მურგვი). წამოვიღებ ამ ორფა

ძაფს და გადაეახოვ ზედა გამირს, ჩამოვეუშობ და გავატარებ შუაგვარდინის
თაფზე, [შემდეგ] ამოვასხვევ ქვედა გამირს და შევასხვედრებ განის ძაფებს შუაგვარდინის
ზე, ცალი ფირფიტით დავაცალკევე ძაფებს და ცალით შევაწინავ ერთმანეთს.
ამ შენაწინავს პირველი ფირფიტით მაშინთავე დავეჭეპავ (დავიტან). ასე ვქსოვთ
ხვანჯრებს (შარვლის შესაბნევი), ლეკვერთხს, ზორანს, წვივისაკრავს, პტუელ
ზორანს.

მ ლ ე ბ რ ო ბ ა

მთხრ. ქავჯან დვალაძე, 90 წ. (სოფ. ქვედა შავრა, 3.VIII.35 წ.).

ვლებავდით საახალუხეებს, საბნისპირებს, პერანგებს, ჩულქებს, კაბებს-
საც, მოსახურავ შალეებს კიდევ; საახალუხეს და კაბებს შავით და ლურჯათაც
ვლებამდით.

ლურჯათ როგორ ვლებამდით აღარ მახსოვს. შავით ვლებამდით წანაქოთი
და წერით. წანაქოს ბლამეში² ვშონილობთ; შავი მიწა მარილიანი. წერს
ნიგვზის ქერქისაგან ვადულებთ. წანაქოს დავნაყავთ და ჩაეყრით წერში.

საბნის საპირეებს და საპერანგეებს წითლად ვლებავდით ენდროთი. ყმაწვი-
ლებს საახალუხეებსაც წითლად ვულებავდით.

ენდრო ბალახია, კდის ძირებში იზდება. ენდროს ძირები უნდა დიჩეჩ-
ქვოს და წამოდუდდეს; გამოვა საღებავი. კარგი იყო თუ მოქსოვამდა ძაფს შევ-
ლებამდით.

საღებავში ჩავდებდით ნაქსოვს ან ძაფს და კარგათ წამოვარხვავალე-
ბდით (ძლიერ ავადულებდით), გადმოვდგამდით და გაცოდებოდა. ამოვიღებდით
და ცივ წყალში გავრეცხდით; გავკიდებდით თავგალამბულათ (თავგაკერილად).
თავი ქვეშ ექნებოდა მოქცეული და შრობის დროს პტყელი ჯოხით ქვევით ვა-
წობოდით, კიდევებს ვუსწორებდით. გაშრებოდა და ჩამოვიღებდით. ეს უფრო
ჩოხას უნდოდა, ბამბას იმდენათ არა.

² ბლამე — ჩამეწერილი ადგილი სოფ. ბაქსა და სოფ. ქვედა შავრას შუა.

შემო რაჰა


ფეიქრობა

მატყლის ქსოვილება

მთხრ. გაიანე ჭიტეხას ას. ბიჭაშვილი, 55 წ. (სოფ. გლოლა).

შალეულის ქსოვა. მატყლი ზოგი შინაური იყო, ზოგი ოსებს შემოქონდით და ამი შალეებს ექსოვდით.

მატყლ გავწეწავდით, მჯობებით აურევდით, რაა კარჭი და გლაზა გაქნილოყო ერთიმეორეში. მერე საჩეჩელეზე გავჩეჩდით, წვერს ცალკე ჩაეაწყობდით ბოყვეში და გულს — ცალკე. წვერი გქელი ბეწვის მატყლია, გული სა-



სურ. 78. შალის საქსოვი ქსელი

ჩეჩელეზე რჩება მოკლადეწვის და იმას ვეძახით. ცალ-ცალკეთ ჩამოვართამთ ორივეს თითიტარზე. მერე ამოვახვევთ ორტოლათ გვრიჭაზე და ავძახამთ ტარზე.

წვერი საქსვლათ ვიცით, გული, ნაგულარი — მისახხამათ. უკალ დავქსელამთ კალოზე, ორ-სამ ჯობებზე (მიწაზე ასვია სამივე პალო), მერე ავჯა-



ქვამთ ხელით. ამას დავადგინ-სავარცხლებთ, გავიკაწმავთ ქსელს; უმაღლეს ქულს გავაკეთებთ ყდას და შეუდგებით ქსოვას.

შალისა და სამოსლის საქსოვი ქსელის [ნაწილები]:

1. ყდა (ბოჭღვედი, ორბოძალი ხე), ძირი მიწაზე დევს;
2. დედაბერა — თავმოკაული ან ჩაჭობილი, გამოსაბამი ხე;
3. ყდის ფეხები — ბოლო თავებში ჩასმული, რვილას მოსადები;
4. რვილა — თავკომბალი გათლილი ჯოხი, შალის დასახვევი;
5. დგომი — დაგრეხილი კანაფი ძაფისგან ორ რგვალ თხილი ჯოხებზე დახვეული სავარცხელი, ძაფი პირი ვასახსნელად. აქვეა მასთან სავარცხელი ლაფათინში გაყრილი დგომის წინ და, როცა დგომი დაწვეს, ამით მიბეგვამენ, რათა მიიჭაროს ძაფი საქსუალი ან მისასხამი ნაქსოვი.
6. თავსაპირი თოკები — ამათი მეოხებით ჩამოხმულია ქსელა;
7. ჯოხები — გაყრილი თოკებში, დასამოკლებლად, ასაწვე-დასაწვევად;
8. საქსუალი — ორწყებათ იშლება, შუაში მაქო გადის;
9. ჯაჭული — მალყუჭით დაწნული ნაქსელი (ეწოდება ცანდი);
10. სყამი — ფიცრის, სამფეხა, რომლითაც მქსოველი უზის საქსოვს.
11. ჩაბმულები — ფეხის საშუალებით ეს თოკები აღმა-დაღმა ეწვევა ქსელს და ეხმარება გაშლაში.

ნაქსოვს მოვთვლამთ ჩელტზე ფეხით, თან ვწმენდამთ მკლავებზე და ვალამაზებთ ხელით. შევავარებდით ახლა შალს. შალიგორა ქვიოდა ამას.

სამოსელი მოჭონდათ მოქსოველი, ჩვენ არ ვიცოდით. ჩვენ ვქსოვდით გრებილებს თითებით, იმას წინსაფარზე, პერანგებზე და წინდი ყელზე ივლებდეს¹, გურგალი იყო; ლევვერთებებს წინსაფარზე დაიკვრებდეს და კაცებმა წისკვრებათ პაიქებზე იცოდეს.

თხისური შალები. ვქსოვდით თხისურ შალსაც. თხისური შალი ფხიანია, კარქი გამძლე და ამტანი. ჩოხებათ არ ვარგა, ზოლოთ ლოვინათ, წინსაფრათ და ცხენი მოსაპირებლებათ ამას არ ჯობია რა.

ნაზამთრ ბეწვს სავარცხლით გავართმევთ თხებს და ამას თიშოიკი ქვია. მისთანა რბილი და კარქი ქუდები გამოდის მისი, რომ არაფერი ჯობია! ნართათ თხი ბეწვის გარჩევა არ ვიცოდით. ისე დავართამდით გაპარცული ბეწვისას და ვქსოვდით თხისურ შალებს. გავიწაფამდით ქსელს. ქსელი და საფაიქროა ერთია.

მთხრობლები: ანა გიოს ჯს. ჩალაძე, 60 წ.; ეფროსინე მიქელას ას. ჩალაძე, 63 წ. (სოფ. ძეგლევი).

შალების ქსოვა. მატყლს ვიყიდოდით ოსებიგან. გავრეცხდით, გავაშრობდით, მერე დავწენდით, გაჩენდით. გავაწვერგულებდით: წვერ ცალკე და გულ ცალკე. ფთილა-ფთილათ ჩავალაგებდით გაჩენილს. მერე მოვდებდით და დავართამდით თითითარით ნაგრეხალზე; ნაგრეხალას ვეტყვით ჯამუკას. დავიდებთ წინ და იმაში თითითარი წვერს ვატრიალებთ. რომ დავართამთ, ამას გვრეიქებათ ამოვახვევთ. ზამბი ძაფზე გვრიქას არ ვიტყვით, იმას შულოს ვეძახებით, შულოებათ ამოვახვევთ. მატყლი ნართს დავძახდით ტარებით, დავქსელამდით და ისევ ავჯაჭვამდით. მერე გაუკეთებდით დგომ-სავარცხელში და გა-

¹ ივლებდეს — ივლებდენ, გლოლელთა თქმებს ამგვარი ღორმეხი ახასიათებს (—ნ. რ.).



ვაწურობით საქსოვს. დავახვევდით მასრაზე აუძახავ ნართს, მისასხამს და გაუჭრავს რილით მაქოში. მაქოს ჩაუღებდით რკინი ჩხირით ამ მასრას და გავავებ-გამოვავებდით ქსელი პირში. მერე ლაფათინით მოვჯარავდით და მოვქსოვდით უნდა შალს, უნდა ლაინს. ლაინი, რომ შეიღებება, მერე ქვია, უმაღ კი სამოსელი ქვია (ზემო რაჭაში ბამბის ქსოვილს სამოსელს უწოდებენ, ხოლო ლეჩხუმში — ხამს. — ნ. რ.).

მოქსოვილ შალს მოვზელთ ჩელტზე. თან ხელუკათი ვალამაზებთ, ვეწმენდავთ მკლავებზე. დავწუთავდით ადლიანი წყლით. ადლიანს ვეტყუოდით, ნიდაყვიდან ხელი კვანჩხამდი რომ დავაზმანებდით, იმას.

შაღუღლობის ფერები ვიცოდით: თეთრი, რუხვი, წყლიფერი, შავი და ღვინიფერი შალები. სამოსელი ლურჯი იღებებოდა. თეთრი თავათ იყო მატყელი; რუხი გამოგვეყავდა, თეთრი და შავი მატყელი რომ აირეოდა, მაშინ, ან მისასხამი რომ შავი იქნებოდა, მაშინ საქსულალი თეთრი იყო. წყლიფერი მატყელი იყო და იმისას წყლიფერს გამოვიყვანდით, ყარაჩაული მატყელი იყო ამითანა და შინაური. შავი შალები შეღებვა ვიცოდით შავათ. ურბებს მოჭობდა-ყე მიწალები. ჯერ დავყვითლავდით და მერე უკეთ მოეკიდებოდა მიწალები.

მთხრობლები: რუსულან ვანოს ას. ლობჯანიძე, 69 წ.; ლიზა გივოს ას. გელაძე, 68 წ. (სოფ. ქაშქვა).

სხვადასხვა ქსოვილი. ხვირჯინებს ჩვენცა ვქსოვდით ნარმისას (იგულისხმება ბამბა). შევეღებდით წითლა-ყვითლათ ნართს, ამისას მოვქსოვდით და შევეკრებდით ხვირჯინებს. სახვირჯინეს ოთხ შეს მოვქსოვდით. მეტი მაგარი იყო. ოთხ შეს იმას ვეტყვით, ოთხი ღვიმით ვქსოვდით ამითანებს. ზოლებივით მიყვებოდა ნაქსოვი; სქელი იყო, ვერ გადატენდი ხელით, ისეთა. ბამბი მოქსოვილს ნარმასაც უძახდით და სამოსელსაც. ერთი ჯინი ახე იქსოვებოდა ოთხ შეთ, მეორე ჯინი ორი ღვიმით იქსოვებოდა, ცალფათ. ცალფათ ვქსოვდით საჩოხე შალებს, სამოსელს. ცალფას ჭირდებოდა ერთი ტოლი ძაფი და მისასხამი აუძახავი; ოთხ შეს — ტოლი და ცალი (ხამი ძაფი) სამი ნართი და მისასხამი. ე სამი ნართი საქსულალი — ერთი თეთრი იყო, ერთი წითელი, ერთი — შავი. რიგ-რიგათ მივასხამდით ფერად ნართს და გამოდიოდა ჭრელი; ამას ნახქიანი ერქვა, ზოლუკები მიყვებოდა. საბანათ და მაგარ რამე სამუშაოთ ვქსოვდით ამითანებს. სადა გვექონდა მეტი შეძლება-ჭი! ნახქიანი შალი წინსაფარი ვიცოდით ქალებმა. წინსაფარითვინ ორი ღვიმითაც ვქსოვდით კუბოკრულ შალებს და სამოსელს. თქვენ რომ მოიღეთ ახლა ფართალა, „ლერჩატიო“ (რუსულად კლერჩატკა)² თუ რალაცას რომ უძახით, იმას ვეტყვით ჩვენი ერთი კუბოკრულს. ამისი მეტად წინსაფარი ვიცოდით და აკავანის არტაშები. კუბოკრულს ოთხ შეთ უფრო ვქსოვდით უმაღ.

მოქსოვილი ტანისამოსი. „იუბკას“ ვწინდით ნართისას. ეს იყო ქვედატანის კაბუნა; რკინი ჩხირებით ვქსოვდით, წინდებივით.


ქალი წინდები და საწუები მოქსოვა ვიცოდით მატყელი ნართის.

გაროზი. შავი ნართი გაროზი ვიცოდით მოქსოვა სამკუთხი, ბადურათ მოვქსოვდით უბირს, ნაწიბური მიყვებოდა, არშია ქვია. ამას მკვარი ჯოხუკათი ვქსოვდით, წაგვანებული იყო ყასნავს.

² ღრჩხილებში მოთავსებული სიტყვები ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს.

მთხრ. ხალომე დავითის ახ. გავაშელი, 100 წ. (სოფ. ღები).

გვექნებოდა ცხვარი, გავებარცემდით, გავრეცხდით, კაა პატოსნათ გავყურდით, გავჩენდით საჩენელზე, ფეხმორთქმული. მუხლ გაუყრიდით საჩენელში, რაა არ განძრეულიყო. ჩამოვართებდით, ავძახებდით ტარებზე და კვრიტავზე. მიწი კვრიტავს დავაკვემდით თავზე ტარს, ტარუკას კაბი აქ და ნართს მოვდებთ, დავაშტიალებთ და ვძახავთ. აძახულ ნართს გვრიჭებათ ამოვახვევთ. ტარებით დავქსელებთ, მერე ავჭაქვამთ, გაუყრით დგომ-სავარცხელში და გავიკაშმებთ ქსელს. მოვქსოვდით შალებს და ჩავიმოსებდით ქმარ-შვილს. ქალი ხელით ყველაფერს ვაკეთებდით. შალებისას ვიყერებდით ჩოხას, შარვალს, პაიჭს, ბაშლაყს, წინდებს; ასე ვიცვამდით და ვიხურამდით.



სურ. 79. ტარი და საჩენელი



სურ. 80. ლარი და კინთა

ბამბის სამოხელს ვქსოვდით: თავსაკონებს, ხარტყლებს და ფოჩებს. კანაფის ჭაბი, მეტი არაფერი ვიცოდით. ჭაპს დავიგრებდით ქალამნი შემოსაკონათ, თუ არა, ქვე გაგვეხლებოდა ისე. ბამბას ვიყიდიდით, გავბენტავდით ლარი და კინთათი. კინთა ჯოხუკას] ცერზე მივიდებთ და გამოვყრამთ ლარს საპენტელისას. დავართამთ მატყლივით. აძახვა არ ვიცით ბამბი ძაფის, ხოლოთ საქსულას მეტათ დავართებდით და მისასხამს — ცოტა შოფათ-შოფათ. ამას ვერტყვით, მაგრა რომ არ იქნება დართული, დავრეხილი.



მოგიყვებით ჩვენ მუშაკობას, ჩვენ გაფთხილებას, ყველაფერს. ვშრომობდით. მარა მაინც კარქა ვიყავით. მოვიყენებოდით და წავიდოდით ჯეირნებით წირვა-ლოცვაზე და შევერეოდით ქარავანს. ჩვენი ხელით ნამუშაარი გაგვიჩნდა, თუ რამე გვქონდა.

ტარებს რომ გავავსებთ დართულ-აძახულით, კატითავე ქვია; რამდენი კატითავე დაგვირდებო, ვეტყვიტ ერთმანეთს.

ზონრების ქსოვა

მთხრობლები: ფროსინე თედორეს ას. რეხვიაშვილი, 60 წ. (ხინოლენით). ნინო აღექსის ას. რეხვიაშვილი (სეხნონით), 69 წ. (სოფ. კიორა).

ფოჩების შექნა. სახიანი ფოჩი. ფოჩი იქსოვება აბრეშუმის, მატყლის, ბამბის და კოჯა ძაფის. ერთი ქალი აუგებს ძაფს მახათში ან ფსხვილ ნეფსში და ამით ვქნით ფოჩს.

ყაიზნახი (ლორის ძელის) ბადური ფოჩის შესაქნელი (მოსაქსოვი) — ღორის კანკის წვრილი ძვალია გახვრეტილი მახათით. მახათში, ყაიზნახში გამოხიფულია ძაფი მარყუჯათ და მარაგშია საქსოვათ; ეს რომ გამოიღვეა, მერე ისევე ავხიფავთ, ვქსოვთ ბადურ ფოჩს. ყაიზნახი კვარტკასიცი ვიციტ, წავამკვარებთ კვარი ჯოხუკას.



სურ. 81. ყაიზნახი

[ფოჩის ქსოვას] რომ წამოვიწყებთ, დასაწყისი ბოლოს ვეტყვიტ ამას. ჯერ თვალუკას გავაკეთებდით და მერე იმაზე ვქნიდით ფოჩს. ჯერ ცალ ნაპირ გამოვქნიდით, მერე მოვიბრუნებდით და ახლა იქიდგან ვქსოვდით, ვქნიდით; გამოვიყვანდით თვალუკეებს, მერე მივასკენიდით და ასე ბრუნებით შევქნიდით ფოჩს. რომ მოვთავებდით, მეორე ბოლოს მოთავებული ვერქვა.


ბადური ფოჩი: ა. ბადური ფოჩი — უსახო, უბირი, ჯერეთ დაუსახავი. ბ. ბადური ფოჩი — დასახული. I — მთვარე (თეთრი); II — მარსკვლეები (წვანე); III — თვალი ჩასახული. 1 — დასაწყისი, 2 — ბოლო დასაწყისი, 3 — ბოლო მობრუნებული; 4 — ბოლო მოთავებული. თეთრი რომაა მოვლებული, ის იყო მთვარე; იმას რომ დაყურებს თვალუკეები შიგნი, ის მასკვლავია; შუა რომ უხის, ის თვალუკაა (იხ. „დასახული“, სახიანი ფოჩი).

ყაქის პარკები მოქონდათ გასაყიდი და იმას თვითან გავწეწდით, დავართებდით ძაფათ. **ორტოლათ** ამოვახვევდით, ავქანდით ტარზე, დავახვევდით ფირფიტებზე და მერე ვქსოვდით, რაც გავგებარდებოდა. ისე აბრეშუმი ძაფა-



თაც მოდიოდა დამუხვები, შულოსაც უძახოდით ამას. გამარყუებულნი დამუხვები, მარყუებათ ვასკენილი.

აბრეშუმი ძაფი თუ არ გამოიხარჩებოდა, ისე ფიცხელი გამოდიოდა და არ ვარგოდა. ნაცარ გავცრიდით და წამოვადუღებდით, ნაცარწმენდალს ვეტყვით ამას. გადავწურამდით, ამაში ჩაუდგამდით ძაფს და წამოვადუღებდით. ვამოიხარჩებოდა ძაან, თეთრიც გასდებოდა და რბილიც. პოდა, ამ ძაფით ვა



ლამაზათ მოექსოვდით ბადურ ფონს. ფონი თვალუკვებ მოვავლებდით თეთრი ქაჯა ძაფით (ქაჯა ძაფი მოქონდათ, ცო-ცოტა იყო, არაფერზე არ ეხვია, ისე იყო ალამბული ქაჯათ) ან წვანეთი, ერთია, რომელიც უნდა იყოს, ამას მაინც დავლებულს უძახოდით. შუა რომ ყვითელი დავლებულია, ოთხკუთხე ჭვარედინს ვეტყვით.

მთხრობლები: ფროსინე მიხელას ას. ლობჯანიძე (ჯავახიანი). 69 წ.; სოფია ნესტორას ას. გობჯიშვილი (გივიტიანი), 52 წ.; სალომე დავითის ას. გავაშელი (ხუციანი), 100 წ. (სოფ. ლები).



ლექვერთხები. 1. ცხრაძაფიანა — ოთხთვლიანა ლექვერთხი. ვიყიდდით ბამბი ძაფს, ქულუჩას, დართულს, ან თვითან დავართებდით. ასე დავქსელებდით: თერთმეტს უქმოდით თეთრს, ცხრა ძაფს — წითელს და ოთხი შავი იყო. ახლა ავჯაჭვებდით და მერე მიწაე ფეხ მოვირთხამდით, იმე გავიკაზმებდით, მუხლებზე ვადვიცვამდით და ისე ქილაზე ვქსოვდით; თავისი პატარა დგიმუკავით ქონდა, ძაფ დავახვევდით პატარა მასრუჯაზე; ხელში ლექურა გვექირა, ჯოხუნაა, გამოთლილი ლექურივით და ამით მივჯარამდით რომ ჩავკრამდით ქსელში. დგიმუკათი ავიყვან-დავიყვანდით, მასრუკათი ძაფუნას გავიყვან-გამოვიყვანდით და თან ჩავკრავდით ლექურას. ასე მოექსოვდით ფტყელ ლექვერთხს. ამი დაკერება ვიცოდით წინსაფარზე, ზორტებათ, ამითი შევისკენდით უკან. ჭრელი გამოდიოდა ეს ლექვერთხი და ცხრაძაფიანა-ოთხთვლიანა ერქვა.

სურ. 52. ბადური ფონი, ძელის ყანსახი



2. წარბულას ვქსოვდით პაიქების წასაკვნათ და ხვანჯრითვინ. შვიდი ძაფა წითელი იყო, სხვა დანარჩენი მისი ტოლა იყო. ამასაც ქილაზე ვქსოვდით ფეხ-მორთხმულათ. ამას შვიდძაფიანა-ცალთვალას ვეძახდით.

3. გლოლულა. ამისი დაქსელილი რვა ძაფი შავი [იყო], სხვა სულ — თეთ-

რი, წითელი არ ერია. ამას წორი ზოლუკები მიუყვებოდა. [გლოლულა] უფრონაწილი
რო უბირი ვიკოლით, პაიჭებზე ვიკონებლით.

მთბრ. ვაიანე ქისტესას ახ. ბიქაშვილი, 55 წ. (სოფ. გლოლა).

ლევერთხ ბალანები სარტყლებათ შემორტყამდეს. ზოლ-ზოლათ აქრე-
ლებულათ დავქსელებლით, რომ გამოვათაეებლით, მოკლე ფესვებს დაუტო-
ვებლით სალამაზოთ. ლევერთხი ქილაზე იქსოვებოდა ფეხმორთხმული, ხან-



სურ. 83. ხელნაქნარები

ჭართი (ლეკურა). ხელით სახეებს ამოვიყვანდით, სხვაფერი მისასხამით ამო-
სახავდით: თეთრ წითელში დაახმარდის კაცი, თუ არა, შავს წითელში დაახ-
მარდის. კიჭკიჭა ლევერთხი (თეთრი და შავი ნართის).

ნაბირებს ნაწიბურს ვეტყვით, შუაშია კიჭკიჭა.

ლევერთხის ქსოვა. წამოიცვამს ხელზე ორი კაცი და დაიქსელება ესე,
მერე აიჭაჭებება. აჭაქულში ჯობუჯას გაუყრით, რომ არ დაიშალოს, ეს რვი-



სურ. 84. ხის ლეკურა

ლას მაგიერაა. მერე დაედგინავთ პატარა ჯობუჯათი და ძაფით. გაუყრით მას-
რას (ჯობუჯაა, ვითამ მაქოა), ჩაბეჭავთ და ლეკურას ჩავკრავთ. ლეკურა ძა-
ფების ამოსაყვანათ და ჩასაყვანათაც იხმარება. ლევერთხი ზოგი უბირია, ზო-
გი — სახიანი.

გრეხილის ქსოვა. გრეხილები ქსოვა ნართი, კოჭი ძაფი და აბრეშუმის ვი-
ცოლით. ამას ორი ქალი ქსოვდა თითებით. გადავიქსელამდით თითებზე, მერე
ერთი რომ ქვე ქსოვდა, მეორე ჩაბეჭავდა და იქსოვებოდა ასე. ხუთ ძაფს დავ-
ქსელამდით გრეხილითვიან.

გრებილს მოვავლებდით საგულეს, პაიჭებს, წინდებს, ქუდებს. გვეყვანი
დით ამი ღირ-კილო დედალ-შამალს და შესაბნევით ვიცოდით ამი დაკერება.
ჩვენებურათ ღირ-კილოს თვიმა ქვია, ღირ-კილო მგონი ოსურია³. ვრებილი ჩა-
ყოლება ვიცოდით პერანგი ჩაჭებითვის კაა.


ჩამჩიყი. ჩამჩიყი ვრებილივით იქსოვება, თითებით, ოთხი თითით. იმი ნა-
პირს ნაწიბური ქვია. ბოლოში ფესვებ დავასხამთ, ავკიბავთ ნაწიბურ და ფეს-
ვებს და გამოგვეყავს ფორი-ჩიმჩიყი ორზურგიანი ჩიმჩიყი. ა. ზედა ზურგი;
ამით მოვავლებდით ჩიქილი ფოჩს, ისე ერთობით კი — ნაწიბურს; ბ. აკიბუ-
ლი — ქვედა და ზედა ზურგ შუა; გ. ქვედა ზურგი და დ. ჩიმჩიყი ფესვი. ჩიმ-
ჩიყი მოველება ჩიქილაზე და შეიკერება მოკუთხულათ.



სურ. 85. კიკიკა ლეკვართი

სულ ძველათ ბადური ფოჩი არ ცოდნიათ, მერე მოუღიათ. უმანდელი
ფოჩი ყოფილა სამწყებას ნამახურან, რა ვიცი, ასე გამიგონია; მერე დავიწყეთ
სამპირი ფოჩი.

სამპირი ფოჩს სამ რიგი ძაფისაგან ვქსოვდით. ეს ვიცოდით ჩიქილაზე შე-
მოსავლებათ. რომ წამოვიწყებდით ვიტყოდით: „ახლა წითელი შევქენი, ახ-
ლა — თეთრი, ახლა შავი შევქენიო“. თვითო რიგი ცალკე იქსოვებოდა, მერე
სამ ფუქარათ მიუყენებდით, ერთმანეთს ვადგამდით და გამოდიოდა სამპირი



სურ. 86. ძველი სამპირა ფოჩი

ფოჩი. მერე რომ მოვექსოეთ, შევეკერავეთ სამკუთხეთ, ძაფით ამოუხვევეთ და
მოვავლებთ ჩიქილას დასახულებს, კუთხედი თვალი ქვია. ნეფსით იქარგებო-
და, იქსოვებოდა ლურსმით.

მთბრ. ნინა ბიჭიას ახ. რეხვიაშვილი.

ფოჩიები მოქსოვა ღორი კანჭი ძვლით ვიცოდით. წვრილი ძვალი რომ არი,
ჰე იმას გავხერტავდით ყურწივით, გაუგებდით ძაფს და ვქსოვდით ფოჩებს:
ბადური ფოჩი (უბირი, ან სახიანი), სამპირი ფოჩი, სამწყება ფოჩი.

³ „ღირ-კილო“, ანუ ღირ-კილო ქართული სიტყვაა და ოსურთან სავსაშაო არაფერი
აქვს. — რედ.



ლეკვერთხები იქსოვებოდა მუხლებზე გადაცმულათ, ქილათი, ლეკურა (ხანჯარაც) და უბრალო ჩხირი დვიმუკა და მასრუკათი; ოცდაათი ძაფი იყო თორმეტი ძირს იყო და თორმეტი — მაღლა. ვქსოვდით: წარბულას, გლოლულას — ზოლიანს, ცალთვლიანას, სამთვლიანას, ოთხთვლიანას, ექვსთვლიანას. სამთვლიანა ერთი თვალი რომ იყო, იმას ერქვა.

მ ლ მ ბ რ ო ბ ა

მთხრობლები: ანა გიოს ას. ჩალაძე, 60 წ.; ეფროსინე მიქალას ას. ჩალაძე, 63 წ. (სოფ. ძეგლუვი).

ყვითლად ვღებავდით ვაშლი და თხმელი ქერქით. გავატყავებდით ხეს, გამოვასმობდით ცოტათი და მისი ნახარშით შევღებავდით.

წითლად ვღებავდით ენდროლათი, კახეთიდგან და იმერეთიდგან მოქონდათ. ჩხირუკები იყო. წამოვადუღებდით და დაყვითლულ ძაფს ან შალს იმაში ჩაუყვავდით და ცოტახან ვაცილიდით. მერე გავაშრობდით. ამ წითელს ჭიფრათ შეღებულ უძახოდით. ტანისამოსის და ნართის დამუხვა ვიცოდით. დამუხვა ესაა, შეღებას ვეტყვით. ზოგი უსახო ვიცოდით, უბირი, ზოგს ვაჭრელებდით. ზოლიანათ ჩაექსელებდით შავს, თეთრს და რუხეს. შალი ტანისამოსი ვიცოდით ქალმა და კაცმა. თითო შალი 20—40 წუთა იქსოვებოდა.

მთხრ. გაიანე ქისტეხას ას. ბიჟაშვილი, 55 წ. (სოფ. გლოლა).

თეთრი, შავი, რუხი შაღები ვიცოდით. როცა შავათ გვინდოდა შეღება, ჯერ თხმელის ქერქს წამოვადუღებდით, იმაში დაყვითლებდით, მერე მიწალებში შავათ შევღებებდით. მეწვრიმალე ურიებს მოქონდათ გასაყიდლათ მიწალები. მიწალებს გადმოვადუღებდით, იმაში დაყვითლულ შალს 20 წუთი ჩავღებდით. ამოვიღებდით, გავაშრობდით, მერე მდინარეში გავრეცხდით, დავკიშავდით და ისევ შევაგორებდით.

მთხრობლები: აღექი სტეფანეს ძე ბერუჩოვი, 75 წ.; გერასიმე სტეფანეს ძე ბერუჩოვი, 71 წ. (ქ. ონი).


(მათი მამებიც პროფესიით მღებრები იყვნენ, ხალხი მღებრაშვილებს ეძახის).

ჩემი მამა მღებვარი იყო და იმით ვცხოვრობდით. სად იყო მამინ ამდენი რამეები! სოფლებში ქსოვდენ სამოსლებს და ჩვენთან შესაღებავთ მოქონდათ. გეტყვი, როგორ იყო მოწყობილი სამღებრო. რასაც წინით გადავწვდებოდით, იმ სიმაღლეზე იდგა ქურა: ეს იყო მიკეთებული კედელთან ერთი მხრით. შიგ ქურაში ჩატანებული იყო სამი ჭური, თვითო ოცფუთიანი იქნებოდა. მათ შუა, ქვევით, ორი ჭურის მუცლებქვეშ გამართული იყო ბუხრები ისე, რომ კვამლი ზეით კი არ ადიოდა, უკან ბრუნდებოდა. ანთებდენ ზამთარში, ხელის მოსარევათ ნელთბილი უნდოდა; ზაფხულში გათბობა არ უნდოდა.

ლლა მოქონდათ ურიებს სტამბოლიდან. ეს ლილა ეწყო თბის გულაში რომ ფხვნილი არ დამნეულიყო, ისე იყო, ნატეხ-ნატეხათ, გაუხვეველი ეყარა გულაში. შავი ფერის იყო. თითო ნატეხი ზოგი 4 კვ. ვერშოკი იქნებოდა ასე. ჰოდა, მოხელეებს ჭონდათ ამის ჩასაყენებლათ ფილივით ჭურჭელი თხის („ბოკუა“ რომ გადახერხო, მისთანა იყო), თადარი ერქვა და ძირს ნახვრეტი



ქონდა. ამაში ჩამზადებდა მოხელე ჯერ და აქიდან, ამ ნახვრეტის საშუალებით დაუქცევლათ ჩასხამდა ქურის ჭურში. თალარში [საღებავს] ასე შეზღვევდნენ: აიღებდნენ ცოტა წყალს (ორი ჭიქა), ლილაქს] სამ ან ორ გირვანქას] ჩაუშვებდა ამაში და შემდეგ ბტყელი ჭვა ქონდათ და იმით სრესავდნენ ამ თალარში, სანემ კარგათ არ შეზავებდა და მერე, როგორც გითხარი, ისე ჩაუშვებდნენ ჭურში. იქ წყალი დაყენებული ქონდათ ერთი კვირით მაინც; შიგ შეურევდით ოთხ გირვანქამდი კირს და გქელი, დიდი ჯონით კარგათ დაურევდით. ეს კირი და კალი ჭვა მძვეალივით იყო ჩაძირული (კალი ჭვავზე მერე გეტყვი); ჰოდა, წონა სად იყო, ისე, ვარაუდით მისცემდნენ ერთ მუქს და კირს და იმას მაგრა დაურევდნენ კიდე და მერე იმ ფილში შეზავებულს ლილას ჩასხამდნენ, მაგრა დაურევდნენ და მზათ იყო საღებავი. თუ ცივი იყო, ცოტათი, ჭვე არ ვთქვი, შეათბობდნენ. ჭურს დააკლებდნენ ორ მტკაველს, ანვარიში იყო, შეღების დროს დაიქცეოდა თუ თავამდე იქნებოდა სავსე.



სურ. 87. საყები ურო, თონხახი

კალი ჭვა ურავიდან მოქონდათ. თელის ხე რო დაფუტუროვდება, ამას შეუნთებენ ცეცხლს თავისი ზომავზე მოხელე, მცოდნე კაცები და ფისივით ჩამოდნება ძირს და ერთიმეორეს დაეკვრება; წათეთრო იყო, ნაცრისფერი, ხორკლებიანი რომ რამე იქნება, ა. მკედლები, რომ რკინანაწურს ამოავდებენ, მისთანა ჩონჩხებიანი იყო. ეს იყო და ეს, კალი ჭვაც ერქვა და ლილის ძირიც. კალი ჭვას მიცემდნენ ზომით, როგორც დედა ისე იყო ჩადებული. ეს კალი ჭვა ძალიან მცხუნვარე იყო, წვერით გასინჯავდნენ. ასეთი შემ-

ზადებული საღებავი აღარ მოგშორდება, საფლავეში ჩაყვა მათ.

შეღების წინ [ქსოვილს] გარეცხდნენ ცალკე ჭურში, გასწურამდენ მაგრა და ისე დაუწყებდნენ ღებვას. შიგ დაავიანდებოდა ორი საათი. ვისაც საპერანგედ უნდოდა, გასწურამდენ და გააშრობდნენ ლატანზე; თუ აბალუბად უნდოდათ, გაშრობის შემდეგ აწყოლ ცოცხით დალამავდნენ, მერე დაზგავზე ათონხახებდნენ. არა, ჯერ ხის უროთი ეყამდნენ შეღების წინ, დიდი ტყელი ჭვა ქონდათ და იმაზე — ჯერ ერთ თავს, მერე — მეორეს და ასე ამგვარათ ასეველებდნენ დიდ ჭვებში, რომელიც წინ ედგათ და ეყამდნენ მახე ხის უროთი. ეს იმიტომ, რომ უფრო დოუვლდა, უფრო შეირგებდა ლილას. მერე, რომ შეღებამდენ და გააშრობდნენ, ახლა სატკეცავი იყო, უნდა გაეტკეცათ თონხახით. გათონხახების მერე ისეთი პირი ქონდათ, „მაშინაში“ გამოუყინილა გავდა, აპა! დაზვა — თქვა, რო გითხარი, აი იმაში ვათონხახებდით, ვტკეცდით.

დიდ ჭვაში, ამოჭრილი ნაწილში, ჩასმული იყო ბზის ნაჭერი, ერთი არშინი სიგამე ექნებოდა და განი — ერთი ტკაველი (1/4 არშინი); შუა ეს ხე ამიზურგული იყო (ე. ი. ოდნავ ამოზნექილი), გულიანი, რომ კარგა გაეტკეცა. ეს ჭვა თავისი მოწყობილობით მიწაში იყო ჩაფლული, რომ სიმაგრე ქონოდა, ისე, რომ ზეით იყო ერთი ტკაველი ამოშვერილი. ამაზე დააფენდნენ ნაკეც-ნაკეც ჯერ ერთ თავს და მერე — მეორეს და ათონხახებდნენ თონხახით. ესეც ბზის



იყო, პირი მოლიბულები ქონდა, სქელი იყო და მოკლე ხელი ქონდა. ამას დონე
შენდენ და გიყვარდეს, ერთი ბაგა-ბუგი გაქონდათ.

რომ მოიტანდენ შესაღებავად, მამაჩემს ეტყოდენ: „აბა ერთი კარგა გა-
მიღანდალეო“. მართო **სამოსელს (ლაინს)** ვღებავდით. გატყეცილს დააგურგვა-
ლებდნენ და სახელს და გვარს ჩავწერდით.

ერთი საახალუხე, დაახლოებით 25 წყთა, თუ კარგა დაათონმახეზი, შე-
ღებინათ ღირდა 3 მანეთი, თუ არა და — 12 აბაზი. ერთ კაცს დღეში შეეძ-
ლო ათი საახალუხეს შეღება, გათონმახეზა კი — ხუთის. ღამე ატანდენ. სულ
ტყაცატყუცი გაქონდათ. ღამე კი არ გვაძინებდა იმათი ჩახმახი.

სულ ექვსი სამღებრო იყო ონში.

ლექსები

შეიქრობა

მატყლის ქსოვილება

მთბრ. სალომე ანდრიას ას. ჩხეტიანი, 80 წ. (სოფ. ნაკურალეშა).

მატყლის დამუშავება და ქსოვა. ასე კი არ ვიყავით ძველათ, შვილო, ყველაფერს ჩვენით ვიხერხებდით, თუ ჩასაცემელს თუ სხვა რაიმეს. გვყავდა ცხვრები. გავპარცავდით მაგრატლით. ნაპარც მატყლს ფოხალში ან კალათში შევინახავდით. როცა გვინდოდა, დარე მატყლი რომ იქნებოდა, გადავარჩევდით, კარგს თვისათ და დარტს თვისათ. მერე გავწეწავდით, ფეხს მოვირთხამდით და საჩეჩელზე ისე გავჩეჩდით. გაჩეჩილს ისევე ფოხალში ჩაეწეწებდით და შევინახავდით. გაჩეჩილი მატყლის დაწეწობა ფანტელებათ¹ ვიცით. მერე, რომ ამევიღებთ, დავსთავთ ჩერიაზე², კაის და გლახას თვისათ. გაპარცვის დროს კაისა და გლახას ვეპასწორებდით. დანეჩვისას ავწვევრელებდით³, კაი რომელიცაღა იყო და გძელი ბეწვი, ის ზეით, ცალკე მიდიოდა საჩეჩელზე: ამას ნაწვერელი ერქვა; ძირს რომ რჩებოდა საჩეჩელზე, მოკლე ბეწვი, იმას ნაგურალა⁴ ერქვა. ამას ცალკე დავსთავდით და იმას — ცალკე. ნასტს ამოვახვევდით ორწვერათ, ორმაგათ. თუ საწინდეთ გვინდოდა, იმას სამწვერათ ამოვახვევდით. ამოხვეული რომ იქნებოდა ბურთივით, იმას კვირკვიტებს ვეტყვოდით.

აგიღებდით კაი მარჯვე ტარს⁵, ჩამოვაცემევდით კვირისტავს და დაეატრილებდით და დავაძახავდით იმაზე, მერე ისევე კვირკვიტათ ამოვახვევდით. საქსულს მეტათ აეძახავდით, მისასხამს — ცოტა შოფათ⁶. მერე ამ აძახულ ნასტს დავქსელამდით და ავცანდამდით⁷. ცანდს მოთავისკენ⁸ ვუუყრიდით დგომ-სავარცხელში. დაქსელულს რომ გადავტყრიდით, ოთხ-ოთხ ძაფს თვის-თვისათ გა-

1 ფანტელები — ფთილა; გაჩეჩილი მატყლის ერთი ნაგლეჯი (ფთილა — რკაში).

2 ჩერია — თითისტარი; მუცლიანი ჭოხი ორივე თავით წაწვეტებული.

3 აწვევრელება — საჩეჩელზე მაღლა წამორთმევა გრძელბეწვიანი მატყლის.

4 ნაგურალა — მოკლებეწვიანი მატყლი. დატოვებენ საჩეჩელზე და ცალკე გამოყოფენ მისასხამათ.

5 ტარი — გრძელი თითისტარი, მისგან ცოტათი განსხვავებული.

6 შოფათ — მოშვებული, რისამე ოდნავ დაგრება.

7 ცანდი — იგივე ნაჭაჭვი საქსლე, აქაულები ნაქსელი.

8 მოთავე — აქაულების ის ნაწილი, რომელიც ვაეგება დგომში.



მოვარჩევდით, ამას სიტყვა⁹ ერქვა. ათი-ოთხ ძაფს ერთათ წავსკვნდით, ლანდი¹⁰ ერქვა. ლანდი ორათ ვაიყოფა თავსაპირი ჭოხით: ნახევარი ქვეშა, ნახევარი — ზეით.


ჩამოვიპირებთ¹¹ საქსელს, ჩამოვიბამთ სარქიანებს და გავიწყებთ ქსოვას. მასლაზე ნასტს დავახვევთ ბარამბით¹² ან მარჯანიეთი¹³, გოფურით მერე მაქვაში და ვქსოვთ. როცა ქსოვა გათავდება, თავს წოულამბავთ, რომ არ წაიშალოს ნაქსოვი; შემოგვეცამთ, მოვთელამთ ჩელტზე. მერე მალალ რამეზე ჩამოვიკიდებთ ორჯათ და ჩოუდებთ ქვას, რომ მვარა დეიჭინოს. მერე გავალამაზებთ სოველი ხელით და თან ქვე ვაგორებთ. დაეწყთავთ, დევითვლით რამდენი წყთა არის. შეთელვისას შესქელება იცის და უმანდელზე მოკლება. ერთი წყთა შაური იყო მაშინ. ეს იყო ჩოხები, შალეულობა.

სახიანი შალები. ღვედებიანი შალი მოქსოვა ვიცოდით. ამას ვამევიყვანდით საქსულაი ძაფის და მისასხამის ნაჭრებით; ერთი რიგი ხაზი რომ ერთკენ მიყვებოდა, მეორე რიგი მეორეკენ იყო და ასეთი ღვედიანი გამოდიოდა (დაწვრილებით ვერ მომითხრო ღვედებიანი შალის შესახებ, მხოლოდ შალის ნაქსოვზე მიჩვენა დაახლოვებით ისეთი სახე, რომელიც, მისი თქმით, ქონდა ღვედებიან შალს და რომელიც აქაა ჩახატული. — ნ. რ.).

ქისონი შალი. დაქსელამდით შავ ან თეთრ ნასტს, მერე იმაზე მისასხამათ თეთრ ნასტს ან შავს მივაქსოვდით, ისე კი, რომ ერთი რომ თეთრი იყო, მეორე შავი უნდოდა. გამოდიოდა ქისონი შალი.

თუ ჭერ თეთრი და შავი მატყლის არევის მოვახდენდით და მერე იმას თუ შევსთავდით, სხვა ფერი გამევიდოდა. ამას შქირუ შალი ეთქმოდა, წელიფერი იყო. თეთრი და შავი მატყლი არევას აქისუნებას უძახოდით. უღალი შალი მოქსოვა ვიცოდით შინაური მატყლის, თავად ცხვრები იყენენ იმ ფერი, წაბლიფერივით.

კუბოკრული ვიცოდით კიდე. რომელი თეთრი ზოლი მიყვებოდა, რომელი — შავი, რომელი — წითელი და წვანე. ამისთანე ნაქსოვი თუ გვინდოდა, საქსულას ფერადი ნასთით დაქსელებდით დათვლილათ ყველას და მისასხამსაც სხვადასხვანაირს ვიხმარდით. მაშინ ასეთი კუბოკრული გამევიდოდა, გინდა პრელი: დაკუმბული იყო ღვედებით სიგამე-სიგანით. (მიმითითა იქვე მდგომ ქალის კაბაზე, რომელიც სხვადასხვაფერის ზოლებით იყო დაკუმბული. — ნ. რ.).



სურ. 88. ბარამბია, კინთა, მარჯანიე

9 სიტყვა — ოთხი ძაფი საქსელსი ერთად.
 10 ლანდი — [საქსელსი] 40 ძაფი ერთად.
 11 ჩამოვიპირებდით — ჩამოვიბამდით, გავიწყობდით საქსოვს.
 12 ბარამბია — ძაფის დასახვევი იარაღი მასრაზე.
 13 მარჯანიე — ძაფის დასახვევი იარაღი მასრაზე სხვაგვარი სახის.



თეთრი ფერის ვიცილით ჩოხები, ხამი, საწყლე, პირახოცები. ქვიშეფერე შალეები — რუხი მატყლის; უღალი შალეები — შინაური მატყლით გაკეთებული შქირაუ წყლიფერი შალეები, თეთრი და შავი მატყლით აქისუნებული; შავი [ფერის] — შალეები, კანაფის ძაძა (შავები), ბამბის სასუდრი; წითელი [ფერის] — ბამბის ხამი, წითელი შეღებული შილა, აბრეშუმის მოვი.

ლურჯი [ფერის] — ბამბი ხამი, ლურჯი შეღებული ლაინი, კაბა — ახალუხათ.

მთხრ. თათია როსტომის ას. ჩირგვლიანი, 80 წ. (სოფ. ლუ).

შალეების ქსოვა. შინაური მატყლი გეკონდა. გარეთიდგანაც მოდიოდა. რაპიდვან, ერთი გირვანქა 40 კაბ. ღირდა. გავრცხლით, დავწმენდით, გავაშრობდით კაა; დავჩეჩდით საჩეჩლით. საჩეჩელზე ავაწვევრალდებდით მოგრძობეწეს. საჩეჩლი კბილზე რჩებოდა ნაგურალა. ორივეს თვის-თვისათ დავფთობდით და ჩავილაგებდით კალათში ან წიფხაში¹⁴. შავი და თეთრი მატყლის შერევა ვიცილით, ამას აქისუნებას ვეტყოდით. დავსთავდით და ვქსოვდით შალეებს. მოქსოვილს შევთელადით ჩეღტზე: დევიბიჯანდით ჯონს, საბიკგებელას, აქეთ-იქით და შევადგებოდით ფეხით. ამისას ქალებიც იკერამდენ ჩოხებს და კაცებიც. ისე ლაინის კაბები ვიცილით, დამტკიცული (დაუთოებულნი. — ნ. რ.). ვინ ლაინს შემოაპირავდა¹⁵ ლოგინი ქვეშაგებს, ვინ სხვა რამეო ხმარობდა. ლაინი შალივით იქსოვებოდა.



სურ. 89. ლეღებიანი შალე

მთხრ. მატრონა ახვლედიანი კოპალიანისა, 68 წ. (სოფ. საკოპალიანო).

მატყლის დამუშავება. ცხვარს რომ გავპარცემდით, მატყლს კაა გავრცხამდით, გავაშრობდით, გავწეწავდით. ხელით უნდა ჯერ დაპუტყენა და გამოცეინდება ბუწალი, დასვრილი თუ რამეა მატყლში. თუ მატყლი ვიციდეთ, გარეულს ვეტყვით, ჩვენი ცხვრი მატყლს შინაურს უძახით. დავჩეჩავთ ახლა პატარა ფთილგბათ. დევიკაებზე ფთილას ორ თითში და ვსთავთ ჩერიაზე კვირისტავით. გაჩეჩვისას გძელი ბეწვი ზეით მოყვება საჩეჩლი კბილს; ნაწვერალი ეთქმის; რომ რჩება ბურღივით, იმას ცალკე გადავდებთ; გულს ან ნაგულარს ვეტყვით. გძელბეწვიანის კარგი გამოდის დასაქსოვი, მოკლესი კი — მისასხაში. ნართი უნდა იყოს უბლოკნო, კვირტები არ უნდა ქონდეს, სწორი დართული უნდა იყოს ხასივით. ხასი ქვია, უბლოკნო სწორი ძაფი რომ იქნება. მერე მოდის ამისი კაი შალი. წმინდა ბეწვის კარგ ფთილას სორხალი ქვია.

თუ შალი ცალფასი გვინდა, ნართი მომსხო და კარგი დაგრებელი უნდა იყოს. ამისი მოქსოვა ყველას არ შეეძლო, ორმაგი ძაფის მეტი საადვილო იყო.

¹⁴ წიფა — ცაცხვის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი (ბოყვი — რაქაში).

¹⁵ შემოაპირავდა — საპირით დაუღებდა, შემოაკერებდა.



ამოწვევრავდით¹⁶, ორფას შეეგრებდით ტარზე და მისი ნაქსოვი გამძლე გამოდიოდა. ეს კია, რომ სილამაზით და შნითი ცალფასი ჯობდა შალი.

ძველი ჯიშის ცხვარი ვიცოდით, ტანთ პატარა იყო, დუმაც პატარა ქონდა, რქები კი დიდი. მისი მატყლი არღვანოვით იყო, სულ რბილი-რბილი, ნაზი; ახლანდელი ცხვრი მატყლი ძალიან ხმელია და ცუდი შალი გამოდის.

კალღას მოორფება არ უნდა, ორათ შერთვა-შეგრება. დასატყვით ხი „მამინაში“ ჩადებენ, რომ ლამაზი გამოვიდეს; გამტყიცვას ეტყვიან. ფიცრებს წააწყობენ და ქვებით დასაბნავენ¹⁷. შეთელვის დროზე ათი წყთა ორ წყთას შეითელებდა.

თითო კაი უბაღას თითო ქსანი მატყლი უნდოდა. ერთი ქსანი არი შეიდი კვერცხი წონა. ჭერ ავწყავდით და ისე დავადგებოდით სამუშაოს. თითო-უღ ძაფს, სავარცხელში რომ იყო გაგებული, ლანდი ერქვა. ლანდს სავარცხელში მოვავლებდით, რამდენი განი სავარცხელს ქონდა, იმდენი შალს ექნებოდა. ქსოვა კაი ყველას არ შეეძლო, ისე ერთგვარათ მიჩანჩლაგ-მიჩანჩლაგდა.

ბამბის ქსოვილება

მთხრ. ხლომე ანდრიას ას. ჩხეთიანი, 80 წ. (სოფ. ნაკურალეში).

ვიცოდით ხამების მოქსოვა. ხამი რომელი გამევიდოდა კაბა, რომელი საცვლებათ, რომელი — ახალუხი. ვისაც შეძლება ქონდა, გაგზავნიდა ქუთაისში და შეაღებებდა ლაინათ. ლურჯ შეღებილს ლაინს ვეტყოდით, წითლად შეღებილს კი შილას. აბრეშუმოვით ბუღვინავდა, რომ შევლებებდით მერე.

ბამბას ვყიდულობდით და ვპენტამდით ბამბი საპენტელით. მერე მატყლივით შევსთავდით და ვქსოვდით ისე, როგორც ჩხოებს.

მთხრ. თათია როსტომის ას. ჩირველიანი, 80 წ. (სოფ. ღუ).

ბამბას ვყიდულობდით. მერე ლარით დავპენტდით, შევთილამდით, შევსთამდით, დავბუზავდით¹⁸ პური ფქვილის წყალში, რომ სიმაგრე ქონოდა. დავახვევდით სამუხველზე. აქიდან მურგეგებათ, რგვალათ ამოვახვევდით, რავარც გვეჩია, ორფად ან სამფად და ავძახებდით ტარი და კვირისტავით.

დავქსელებდით კალოზე, ჯოხებს დავასობდით და ისე; მერე ავცანდებდით, გოუყრიდით დგიმ-სავარცხელში, გავიმართებდით ქსელს; ჭერ საკინძღებს ჩამოვიბამდით, საფხურათი ავწევ-დავწევდით და გოუყრიდით მაქოს და ვქსოვდით. შიშტიკი და შიგავარდი¹⁹ მათხოვეო, მოსაჭეჭგი მათხოვეო, ვხუმრობდით; ამას ძველათ თურმე იტყოდენ.

მოქსოვილს დავწყთავდით. მოხვეტილი წყთა ვიცოდით და ისე წყთაც. მოხვეტილი წყთა მეტია ორი გოჯით ნიდაყვიდგან რომ გადმოზომავენ თითების ბოლომდით, მერე ხელმოყციკლათ გადმოზომავენ და ამას ვეტყვით მოხვეტილ წყთას.

16 ამოწვევრავდით — ამოვახვევდით ორფათ.
 17 დასაბნა — დატვირთვა; ნაქსოვის გამტყიცვა სიმძიმის საშუალებით.
 18 დაბუზავა — პურის სახამებელში გაკლება რისამე — ძაფის, ნაქსოვის და სხვათა.
 19 შიგავარდი — მაქო, ძაფ გასაღებები ქსელში.



ლიანი ჯერ უნდა სატუკელით დაგვეტუჯა, ისე არ გამოგვადგებოდა. ჯერ დავასველებდით და მერე დავტუკავდით, ავახვევდით და ლიანი მზახავდით. შესალებათ ქუთაისში ვგზავნიდით.

აბრეშუმის ძსოვილაბი

მთხრ. მატრონა გარსევანის ას. ყიფიანი ახვლედიანისა, 85 წ. (სოფ. ტვიში).

აბრეშუმის ღარაიას ვიქსოვდით. აბრეშუმს ვიწვევდით თავათ და იმისი პარკის ძაფათ ამოღება ვიცოდით. წითელი ან ყვითელი შეკბილული აბრეშუმში მოქონდათ საახალუხეთ, ამას ყუთინი ერქვა, წითელ, სადა აბრეშუმს კი ყანაოზი, შოვი დაკუბული იყო გოჯიანი ღვედებით სიგაჲ-სიგანით. ესეც მოქონდათ ჩვენში.

ზონარების ძსოვა

მთხრ. მატრონა გარსევანის ას. ყიფიანი ახვლედიანისა, 85 წ. (სოფ. ტვიში).


ხელით და ფირფიტებით ქსოვა. ყველაფერი არ მახსოვს ახლა, ვერ მოვახერხებ, შვილო, ყველას! ფირფიტებით ზონარების და გრეხილებას ქსოვა ვიცოდით. მახსოვს სამნაირი ზონარი, რომელიც ხელით იქსოვებოდა.

გვამაზიას ვეტყვოდით, მოვექსოვდით ფირფიტებით, ექვსი ფირფიტა გვეპირა ხელში. თხელი იყო, სუფთათ ნაქსოვი, ნახევარი გოჯი განი ექნებოდა;

ყაზაზური იყო, ესეც ფტყელი ზონარი იყო — ერთი გოჯი განის.

ასლის შემოსავლების მოქსოვაც ექვსი ფირფიტით ვიცოდით. ამას სირში ძაფით ვქსოვდით თავიან ფოჩვიანათ. ფოჩვი და ზონარი ერთად იქსოვებოდა, ერთი ქალი ქსოვდა. მოვალეობდით ასლს და ცხენს გადააფარებდენ სამშვენათ.

კაბი იყო რგვალი გრეხილი. ამას ხელი თითებით ვქსოვდით ორი ქალი. ერთი რომ თითებს უყრიადა, მეორე ჩაბეჭდავდა ამას. ქსოვის დროს თვალს შეუცვლიდით და მოქსოვის მერე ორი გამოდიოდა, ამას კაბი ერქვა.



სურ. 90. სამეხველი, საპენტლო

ხვანჯარი. გვეონდა ხტა²⁰. ამ ხტაზე დავქსელამდით ბამბის, შალის, ან აბრეშუმის ძაფს და იმაზე ვქსოვდით ხვანჯარს ფირფიტებით. ერთს რომ გავავ-

²⁰ ხტა — ყდა, ოთხუთხი ქსელი, მიყუდებული ან დამაგრებული რამეზე.



ვლებდით, მეორეს ჩავტოვებდით, კიდე ასე, კიდე ასე და მოქსოვდით სარტყელს. ხელით ვქსოვდით მეორე ბუნას, ერთი რომ ბეჭავდა, მეორე თითებით ქსოვდა.

ვიცოდით მოქსოვა სარტყელებისაც ზტით და ისედაც — შეეკერილი. თუ ისე შეეკერამდით, იმას დავაქარავდით, დავსახებდით. სახელები აღარ მაგონდება იმისი. ვიქსოვდით უსახო ან ჭრელ წინსაფრებს საქსლეით.

კანაფის ქსოვა

მთხრ. იესე დავითის ძე მუშუღიანი, 100 წ. (სოფ. ოყურეში).

კანაფის მოყვანა ვიცით ჩვენში. ყველა მცხოვრები ითვისავს კანაფს. რომ ავკრით, ავღვებთ და თუთხმეტი დღე მზეში დავაწყობთ, დაჩლოხს ვეტყვით. კაა რომ დავაჩთობდით მზეზე, დავასველებდით ცოტა, დავაქმნდით მერე. ხელით გავაქმნდით კანაფს. მერე ავიღებდით და ძროხის გვერდის ძვლით კაა მაგრა დავფხეკდით, დავწმენდდით. ამ ძვალს საფხეკელას ვეტყვოდით. დაუსვებდით და ვალამაზებდით, რომ კაი სასთავი ყოფილიყო. მერე დავსთავდით, კაა დავგრებდით. ნასთს ჩვენ კედს უძახოდით. კედი ზოგი ჩვენთვის გვინდოდა, ზოგი — ბატონისთვის, ზოგი ხონში გავგვეონდა და იქა ვყიდდით.

კანაფისაგან ვქსოვდით პირსახოცებს, საწყლებებს და ტომრებს. ტომარას ძანძასაც ვეძახოდით და მობაგულათ ვქსოვდით, ცოტა მომხნოთ.

თოკვები დავრება ვიცოდით კანაფის. მოქსოვის მერე გამოვხარშებდით და მერე ცივ წყალში გავრეცხავდით. ქსოვა ისეთივე უნდოდა, როგორც მატყლის ნასთს, ესაა რომ კანაფისაგან ვიწრო განის იქსოვებოდა უფრო.

მთხრ. თათია როსტომის ას. ჩირგვლიანი, 80 წ. (სოფ. ლუ).

კანაფისაგან ჩემ მახსოვრობაში ვიცოდით პირსახოცის, საწყლეს და საკაბოს მოქსოვა, რომელს შავათ შეღებავდენ და მიცვალებული სუღარათ ხმარობდენ. დავგერგვილი იყო, წყენის ნაწნავი გეგონებოდა კაცს. კისერი ჩაცვეთილი ჭონდათ იმისი ხეხვით; რომ გადაგეწია, ვერ გადადრეკდი, ისე იყო გაშეშებული. ამისი კაბა და კაბის ზედაწელი თავისათ იცოდენ. მახსოვს, ზეხა მოლოზონს რომ ეცევა, შენაღებავი იყო წერისფერათ (ნიგეზი კანით იყო დაწერული, ეს იყო მისი საღებელი — შავი).


კანაფს დავაჩთობდით. უკანასკნელი თუთხმეტი დღე მზეზე უნდა ყოფილიყო. მერე დავაქმნდით და საფხეკელით კაა დავწმენდავდით. შევსთავდით, დავგრებდით და დავქსელებდით. ამასაც საქსლეით ვქსოვდით. ზოგი ცალმაგი იქსოვებოდა, ზოგი — ორმაგი. ორმაგი ორი სავარცხლით იქსოვებოდა. პირსახოცი და საწყლე ორმაგის ვიცოდით.

ნაქსოვს ნაცარში გამოვხარშავდით და ცოტა სირბილე მოემატებოდა. მერე ავღვებოდით და სატკეცელით მაგრა გავტკეცავდით. სატკეცელა ღომის ამოსაღები ნიჩაბივით იყო, ჩოგანი რომაა, ჰე მისთანე, ძირს ლამაზი პირი ექნებოდა ხეს, ამას დაუღებდით და იმაზე სატკეცელათი ვტკეცდით. პირი დაუთოვებულოვით დაღურჩებოდა. ბაწრათაც ზომ ვიცოდით და ვიცოდით. ერთს კაკვი ეჭირა და მეორე მის ზომამზე აძლეედა კანაფი ნაქმნს და იგრიხებოდა ასე.

მთბრ. ნინა შარდენის ას. სვანიძე, 50 წ. (სოფ. ღვირიში).

სელი ნაქსოვი კანათის ნაქსოვივით კეთდებოდა, განსხვავება არ იყო. სელის კაი პირსახოცები და საწყლეები იცოდნენ. სელის ნაქსოვს ამოვანადვით ნაპირებს და დავხორკლავდით, რაა ლამაზი და მარჯვე გამოსულიყო სახმარათ. სელის საპერანგეებს და საკაბეებსაც ვქსოვდით. საპერანგეს წითლად შევლებავდით და საკაბეს კი ლურჯათ. კანათის ნაქსოვს შავათ შევლებავდით და ძაძებათ შეიკერებდა, მგლოვიარეთ ვინც იყო; ისე მიცვალდებულს დასასულ-რაათაც ვიცოდით. ხელმოცულ²¹ კაცს ყველაფერი მეტი ქონდა, სელი ნაქსოვიც და სხვაც. სელის მოქსოვილს ზუბუნოთაც ხმარობდენ. ზუბუნო ძველად საბანს ერქვა. „მოიტანე, ეგ ზუბუნო, დამაბურეთ“, — ვეტყოდით ერთიმეორებს.

წითელ აბრეშუმის საპერანგეს



სურ. 91. ქილოფის საქსოვი დახვა

მოვს ვეტყოდით. ბამბის ლაინებს დავქსოვდით თეთრს. სარეცხი რაკი ძნელი საშოვნელი იყო, ლურჯათ შევლებავდით. იმ ლურჯს, როცა გვინდოდა, ჭრელს მიეცემით. ისე მარჯვეთ დავეცავდით, რომ გავიკვირდებოდა. გამოვახვევდით ლამაზ ნაჭერში და ჩაუყოფდით საღებავში რიგ-რიგათ: სანემ ლურჯი იყო, სანემ თეთრი, მერე რომ გავხსნიდით, ჭრელობა ქონდა. ლურჯის კაბები შეეკრვა ვიცოდით, თეთრი ლაინის კი საცვლები. თეთრ ნაქსოვს ხამი ერქვა, შედებილს—ლაინი, თეთრ და ლურჯათ შედებილს — ჭრელი.

ქილოფის ქსოვა

მთბრ. ნინა შარდენის ას. სვანიძე, 50 წ. (სოფ. ღვირიში).

ერთნაირი ბალახია, ფოთლები ნიორი ფურცელს მიუგავს, საწყვერტელსაც ვეტყვით და ლაქაშსაც. ჭაობიან ადგილებში იცის. ტანი პურის ღერივითაა ასული (აშვერილი). მოვჭრით, დავაჩოხობთ მზეში, გავჯანავთ. მერე ჩამოვაბამთ ქილოფი საქსოვს, იმაზე ბაწარს დავქსელამთ წვრილი კანათისას და მივაქსოვთ ქილოფს. გძელი, ოთხკუთხი ქილოფი ქსოვა ვიცით. პურეულის გასაშრობელათ ან ქვეშაგებელათ ვხმარობთ ამ ქილოფს. ბევრი გასაყიდათაც აკეთებდა.

²¹ ხელმოცული — მომპირნე, თავშენახული კაცი.

ქვემო სპანთი

უპირობა

ლიჯვი - ქოვა

კანაფის და მატყლის ქსოვილები¹. [სუანეთში] საქსოვ მასალად იხმარება მატყ ი ქან (მატყელი და კანაფის ძაფი).

ახლო წარსულში საცვლები, უმთავრესად, კანაფის ძაფისაგან იქსოვებოდა, რომელსაც ეძახდნენ **სვირ-ს**. ქან-ს (კანაფს) ორი სახე აქვს: **დედლა** და **კერკლა**. დედლა ყვავილიანია, იზრდება უფრო მაღალი და თესლს არ გამოყოფს; კერკლა კი უფრო დაბალია და ხშირტოტებიანი, თესლსაც ის გამოყოფს. საქსოვად იხმარება **დედლა-ს ძაფი**, რადგან უფრო რბილია, **კერკლა** კი იხმარება უფრო მეტად **ბაწრებისათვის**, რადგან უფრო მაგარი ძაფი იცის.

კანაფის დათესვა დიდზე არ იციან; მხოლოდ, დაახლოვებით, 8—10 კვ. საყენი თუ ექნება კანაფს დათმობილი. კანაფი ითესება სიმინდის თესვის დროს. აიღება დედლა შუა მარიაშობისთვის, კერკლა კი შემოდგომაზე, ენკენისთვის ბოლომდე.


აღებისთანავე დედლა დაიფინება გარეთ, წვიმაშიაც ეგრე უნდა იყოს. ამას ეძახიან **ქანა ლიფხუე-ს** (კანაფის გაფენას). ამ მდგომარეობაში ის გარეთ რჩება ორი კვირის განმავლობაში, რომ უკეთესი **ლეხნორ-ი** (გასაძენძი) იქნეს. გაფენილი კანაფი თანდათან შავდება და შემდეგ ის შეიკვრება **ლუნჩორ-ებად** (კონებად). კერკლა აიღება შემოდგომაზე, მაგრამ კი არ დაიფინება, არამედ ცერად მიაყუდებენ ღობეს, რომ თესლი არ დაიზნეს. დააყოვნებენ ამგვარად ერთ კვირას და როგორც კი გახმება, გამოჰკრეფენ **ლან-ს** (თესლს), რის შემდეგაც უკვე ისე დააფენენ, როგორც დედლა-ს და შემდეგ შეჰკრავენ კონებად-**თესლი** (კაკალი) იხმარება **ზეთად** და ეძახიან **გიმბაშ-ს**.

კონებად შეკრული კანაფი საჭიროებისამებრ დაიძენძება, რასაც ეძახიან **ქანა ლიტმურ-ს**. თითო ღერს შუაზე გატეხენ და ნატეხებს ცალ-ცალკე გამოაცლიან კანს. დაძენძილ კანაფს, რამდენსაც დაიტევს ერთი ხელი, ეძახიან **ნაყვილ-ს**. ათი ნაყვილი-ი იქნება **თხუმ** (თავი). შემდეგ თითო ნაყვილ-ს საქონლის ბეჭით გაასუფთავენ; ამას დეყვიან **ლისნე-ს**. გასუფთავებულ ნაყვილ-ს **ღვხანა ნაყვილ-ს** ეძახიან. როდესაც **ლილთე-ს** (რთვის) დააპირებენ, ნაყვილ-ს მოამორებენ პატარ-პატარა ნაწილებს, რომლებსაც ეძახიან **ნაპირ-ს**. თუ რთავენ დედლა-ს ძაფს წმინდას, ხმარობენ **ჩურ-ს** (პატარა თითისტარს), რომელსაც

¹ შემკრებს მთხრობელი დასახელებული არა ჰყავს.

ქვემოთ გაკეთებული აქვს ქვის მრგვალი ჩირშტა; ხოლო თუ არაღვენი მსხვილ
 ძაფს, მაგ., ხაკ-ისათვის, რომელიც მარცვლის გასარეცხად იხმარება, მაშინ აუ-
 თავენ ლეშვერ-ით (მაღალი თითისტარით). ჩრ-ზე რომ გაავსებენ ძაფს, იმას
 დაახვევენ ლათღვრ-ზე; ხშირად ლათღვრ-ად იხმარება სკამის ფეხები და ასე
 დახვეულ ძაფს ეძახიან თვად-ს. რამდენიმე თვადუარ-ს მოხარშავენ ნაცარში.
 თუ უნდათ სუფთა ძაფი, მაშინ თითქმის მთელი დღე ხარშავენ და, თუ მსხვი-
 ლი — ხაკ-ისათვის, მაშინ ორ-სამ საათს ხარშავენ. იმ ნაცარტუტას, რომელ-
 შიაც ხარშავენ ძაფს, ეტყვიან ერამ-ს. მოხარშვის შემდეგ გაირეცხება, გაიფი-

საანთი ღვებ
 „ლაქარ“



სურ. 92. ლაქარ

ნება მზეში და შეინახება. ქანა ქიბ (ქანაფის ძაფი) ძალიან ხშირად იხმარება
 სვანის ოჯახში.

[სვანეთში] მეორე საქსოვი ძაფი მატყლისაა. ცხვარს დილას დაბანენ და
 საღამოს კი გაკრეკავენ. მატყლს ჯერ ხელით აწეწავენ (გასწეწავენ) და შემ-
 დეგ კი ლათღვრ-ზე (საჩეჩელზე) დაჩეჩავენ. ლითთი (დაჩეჩვა) ხდება ასე:



[მჩენავი] აიღებს ერთ მუჭა მატყლს და ორივე ხელით საჩენელის კბილებზე ჩამოასობს, ორივე ხელით აქეთ-იქით სწევს, ასწორებს, მერე ორივეს შეაერთებს, კიდევ დასდებს კბილებზე, გადააბრუნებს, გადმოაბრუნებს და ბოლოს მიიღებს კალ-ს. როდესაც მატყლი გაიჩენება და კალ-ებად შეგროვდება, იწყებენ ლითენ-ს (რთვას). რთავენ **ჩერი-ჩერშტა**-თი. ჩერი-ს თავზე, წვერში შეჭრილი აქვს დანით, ძაფის გადასახვევად; იმას ეტყვიან **ჭილ**. ერთი თითისტარი რომ შეივსება ცალფა ძაფით, ამას ეტყვიან **ჩერი ხენსგა**; ნახვეარი თითისტარი ორი შევსებული ცალფა ძაფით **ემხუ ჩერი** (ერთი თითისტარი) იქნება. ეს ძაფი ერთად შეერთებული წარმოადგენს **კუკვას** (მრგვალია). მერე ეს ძაფი დაიძახება **ლემგვერ-ზე**, რომელიც თითისტარზე უფრო მსხვილი და ვრძელია; მას თავში უკეთებენ ხის ჩერშტა-ს. **ლემგვერ-საც** თავში შეჭრილი აქვს ძაფის დასამაგრებელი **ჭილი**. **ღინჩრე** (დაძახვა) უფრო ხშირად ორ კუკვას-იდან (სიმალილიდან) ხდება. პირველად **ჭილ-ში** (თავში) დაახვევენ ძაფს **ლემგვერ-ზე**, რომელიც მიღებული აქვთ მუხლთან, სველ ხელისგულს ჩამოკრავენ, დაატრიალებენ და თანდათანობით უშვებენ დაბლა **ღეფან-ი**დან. დიდ ჩერი-ს ხის ჩერშტა ზემოთ აქვს მოქცეული. როდესაც ძაფი კარგად დაიგრიხება, მერე **ლემგვერ-ს** ამოსწევენ ზემოთ, მოჰკიდებენ ტარში ხელს და ახვევენ ჩერშტა-ს ძირში მჭიდროდ. ამგვარად დაძახულ ძაფს ხმარობენ საქსოვად.

მატყლის ძაფს ეძახიან **აშვი ქიბ**.

კულ-ის (შალის), მოქსოვა ძველად და ახლაც უფრო ხშირად უსახოდ იცოდნენ, **უსახ-ს** ეტყვიან; მაგრამ აქა-იქ დარჩენილი არის ორი სახე — **ღვე-ლიან** და **კიბოიან**.

საქსოვს, რომელსაც ლეჩხუმში ეძახიან **დგიმ-სავარცხელს**, აქ ეტყვიან **ლაჯშიარ**. **ლაჯშიარ-ის** ქვედა ორ ნაწილს **ლაფჯიარ-ს** ეტყვიან. **ლაფჯიარ-ში** ჩასობილია **წამარ**, ორი წინ და ორი უკან (უფრო ძველად იცოდნენ ერთი წინ). იმ ნაწილს, რაზედაც იყვება ნაქსოვი, **ლაჯშია უღვა-ს** (საქსოვის უღელს) ეძახიან. ნაწილს, რომელშიც ჩადგმულია **ლაცხნირ** (სავარცხელი), ეძახიან **დაფარ-ს**. დაფარ ჩამოკიდებულია **საგენწალარ-ებით** (ბაწრებით). დაფარ-ის უკან მოთავსებულია ორი **ლეღჯმარ**, რომლებიც შედგება სავარცხლისებურად გაკეთებული მსხვილი კანაფის ძაფებისაგან. ორივე ლეღჯმარ ჩამოკიდებულია ზემოდან **ლაყვეწილ-ით** (ბაწრით). ლეღჯმარ-ებს ქვემოდან მოზმული აქვთ ორი ბაწარი — ერთი — ერთს, მეორე — მეორეს და უერთდება ლაფჯვარ-ს. ამ ბაწრებს ეძახიან **საფეხურალ-ს**, რომლების საშუალებითაც ქსოვენ. ძაფი დახვეულია **მასგლ-ზე ბარანბა-თ**, რომელიც ფირფიტისებურია. ძაფით სავსე მასგლ-ი ჩაიდგმება **მარგვ-ში**. იმ ძაფს, რომელიც მარგვ-ში არის, ეძახიან **ლაჯიშ-ს**. ქსოვის დაწყებამდე საქსოვ ძაფს დაახვევენ სამ ან ოთხ სოლზე, ეძახიან **ლითდვის-ს** და მერე **ლისდვი** (დაწნავენ); დაუწველ ნაწილს გაუყრის ლეღჯმარ-ში მხოლოდ ორ-ორად, **ლაცხნირ-ში კი** — თითო-თითო ძაფს. ძაფების გაყრას სავარცხელში ეძახიან **ლიშდე-ს**. ამ ძაფებს ეძახიან **ლათხა-ს** და მასგლ-ზე რომ არის დახვეული — **ლაჯიშ-ს**.

როდესაც ქსოვდნენ ღვედიან შალს, **ლაჯიშ-ი** ძაფი თეთრი უნდა ყოფილიყო, **ლათხა კი** შავი ან **ქურუხ** (რუხი). კობოიან-ი რომ იქსოვებოდა, **ლათხა** ძაფი სხვადასხვაფერისა [იყო]: ერთი მასგლ რომ თეთრი იქნებოდა, მეორე მასგლ სხვაფერის უნდა ყოფილიყო.

კული — მოქსოვილი [ხამი შალია]. [იგი] უნდა **ლიკვლინე** (მოითელოს).



ახალ მოქსოვილს დაეცავენ; ნაკეცებზე **ლილგზბავი** (დალამბავენ) და **დეფიქტული** ბულ ნაჭერს ჩადებენ თბილი წყლით საესე ქვაბში ან ტაშტში. კარგად დასველებული დასველებული, ჩადებენ **ჩევ-ში** (ძარში) და ფეხებით თელავენ. სულ უნდა დაასველონ სამჭერ-ოთხჭერ და ხელახლა თელონ. შალის თელვა მთელ დღეს გასტანს ხოლმე. მოთელილი ნაჭერი ჩამოიკიდება მაღლიდან ორფად, ქვემოთ შეუკეცავენ და შეეცილებში გაუყრიან მომსხო ჯოხებს, რომ ნაჭერი გასწორდეს და კარგად გაშრეს. ამ ჯოხებს **საწონ-ს** ეტყვიან.

კული იზომება **კითხ-ით** (წყით)² და იხმარება **საჩოხედ** (**ოხარ** — ჩოხა, **ლევსარ** — საჩოხე), **საშარვლედ**, **საპაიჭედ**. კანაფის ძაფისაგან მოქსოვილ **სგვირ-ს** [ხამი ტილოს] ნაჭერს ჯერ გარეცხავენ თბილ წყალში საპნით, მერე დადებენ **კა-ზე**, რომელიც წყალში იქნება ჩადგმული; ნაჭერი **კა-ზე** მოეცილია; აიღებენ **წირწლ-ს** (ხის ურო) და იმით **ლიუფონე** (დაბეგვავენ), დაბეგვის შემდეგ გააფენენ მზეზე.

მ ღ ე ბ რ ო ბ ა

კული-ს შეღებვა ხშირად იციან, მხოლოდ სულ შავად. **ლილფენ-ისათვის** (შელღებისათვის) ხმარობდნენ **კუპაროსს**, რომელიც მოჰქონდათ ქუთაისიდან, **ლენხუმიდან**. ჯერ უნდა დაეგროვებინათ **გაკა ცილ** (ნიგვზის კანი), **ბელუჩი ცილ** [თხმელის კანი], **ბარყენი ცილ** (ტყემლის ხის კანი) და ყველა ამას ერთად მოხარშავდნენ; კარგა ხანს ადუღებდნენ; ცილა რომ მოიხარშებოდა, აიღებდნენ და მის ნახარში ჩაყრიდნენ **კუპაროსს**, წამოადუღებდნენ და მდულარე-ში ჩადებდნენ შესაღებავ ნაჭერს, წამოადუღებენ და მერე ამოიღებენ და გასაშრობად გაჰფენენ. გაშრება თუ არა ნაჭერი, მაშინვე გარეცხავენ ცივ წყალში და უკვე საბოლოოდ გააშრობენ შავად შეღებილი ნაჭერს. თუ კუპაროსი არ იყო, ხმარობდნენ **ჯერაბ-ს**, რომელიც სვანეთში არ არის და მოჰქონდათ **სავიდან**, ბალყარეთიდან. **ჯერაბ-ი** მიწისებური ნივთიერებაა, რომელიც გაქვევებულ მდგომარეობაში მოჰქონდათ; თვისებით კუპაროსი უკეთესად მიიჩნდათ და, თუ უკანასკნელი არ ჰქონდათ, ხმარობდნენ **ჯერაბ-ს**. ქსოვა-დართვას, შალის დამზადებას საერთო სახელი აქვს — **ლიქელტარ**.

თ ა მ ა ლ ლ ი მ ბ რ ა ნ ი (ბ ა წ რ ი ს ღ ა ბ რ მ ხ ა)

ბაწარს გრებენ უსათუოდ **ქერკლა** კანაფიდან, რადგან უფრო მაგარი. კანაფის **ნაყვილ-ი**დან იღებენ თითო **ნაპირ-ს**, მიბამენ **ღვერეც-ს** (ბაწარის დასაგრეხი, რომელიც წარმოადგენს ერთიმეორეზე ჯვარედინად დაკრულ ორ გათლილ ჯოხს); ერთი რომ კანაფის ნაპირ-ს აწვდის, მეორე ამ დროს **აღვრეცი**, ე. ი. **ღვერეც-ზე** ახვევს ჯვარედინად კანაფს. დახვევის დროს მარჯვენა ხელში ღვერეცი უჭირავს და აბრუნებს მას, მარცხენა ხელით კი დასახვევა კანაფი გაკიმულად უჭირავს, რომ არ დაიკვანძოს. როდესაც ღვერეცი შეივსება დაგრეხილი კანაფით, შემდეგ გასჭიმავს და მოსდებს ერთ სვეტს და მეორე სვეტზე გაკვანძავს ხოლმე; ამის შემდეგ იწყება **ლოშტრანი** (გრეხა), რომელიც მუხლის საშუალებით ხდება, რომ მაგრად დაეხვიოს. ღვერეც-ზე ჯერ დაიგრინება

² დედანშია — ცხდა.



ორფად და გათავებისას გაინასკვება და შემდეგ ამავე საშუალებით მიაგრებენ მესამე ფას, შეიძლება მეოთხეც თუ ლვერეკ-ზე თავიდანვე ბლომად არის დაფენილი. საზოგადოდ, მიღებულია სამფად დაგრება. თუ ეზიდებიან პურს, ქერს და სხვას ახლო მანძილიდან, საჭიროა სამი ბაწარი — თითო სამი კალ (მხარი), რომლებიც მარხილს მხოლოდ სივანეზე შემოეჭირება. ამ ბაწარს ეძახიან ლეტფი-ს. მეორე ბაწარი, რომელიც მარხილს სივანეზე გადაეჭირება, უნდა იყოს უფრო გრძელი, ოთხი ან ხუთი კალ და ეძახიან ლეკჩი-ს (კერზე). როდესაც შორ მანძილიდან ეზიდებიან, მაგ., თივას მთიდან, მაშინ ლეტფი უნდა იყოს ოთხი ან ხუთი სიმაგრისათვის, ლეკჩი კი მულამ ერთია.

გემო სამეგრელო

ფეიქრობა

მატყლის ქსოვილება

მთხრ. ესმა ჭანტურია ევარდავა, 67 წ. (სოფ. ჩქვალერი).

საჩოხეს ქსოვა. ვიღებთ გაზაფხულის დასაწყისში ანაკრეკ მატყლს. მთის მატყლი უკეთესია ნაბღისათვის.

მატყლს გავრეცხავთ უსაპნოდ, ცივ წყალში და გავაშრობთ. გამშრალ მატყლს დავწეწავთ და საჩეჩელზე დავჩეჩავთ. **ოშუალიშო** და **ომოშირისო**



სურ. 93. საქსოვი მოწყობილობის ნაწილები

(მისაქსოვი) ძაფს ცალ-ცალკე დავართავთ: **ოშუალს** — უფრო წვრილს და მაგრად, **ომოშირს** — უფრო მსხვილს. ძაფებს დავნამავთ ცხელი წყლით. რომ



გაშრება, **ოშუალს** დაექსელავთ, გავუყრით ჯერ **ზინგში** და მერე **აფხაში**. ოთხი წინა და ორი უკანა **ზინგის** ძაფი ერთი სათვალაია. ამას ოთხ ძაფს გავუყრებთ ჯერ — ორ ძაფს უკან და მერე — ორ ძაფს წინ. თითო ძაფი თითო ზინგშია გაყრილი. შემდეგ იქსოვება ისე, როგორც აბრეშუმში.

როდესაც ქსოვას [გა]ვითავებთ, ავკრით და ჩაღვებთ ცხელ წყალში. ვიღებთ წყლიდან და ფეხით ვთიშავთ. შემდეგ ცოცხით ერთი მიმართულებით გადავწმენდთ და ცივ წყალში გავრეცხავთ. როდესაც ცოტა გაშრება, **დობსკალატანთ** (დავახვევთ). მერე მეორე მხარეზე გადავახვევთ და ადუღებულ წყალში ჩაუშვებთ. ცოტა ხნის შემდეგ ამოვიღებთ, დავღებთ სკამზე და, რაც სიმძიმე გვაქვს, ზედ დავადებთ.

ღართი ერთი ღამე დევს სიმძიმის ქვეშ. მეორე დღეს გავშლით და გავკიდებთ. ამის შემდეგ შეიძლება ჩოხის შეკერვა.

მთხრ. ფაიანე **ქანტურია**, 31 წ. (სოფ. ჩქვალერი).

ფარდავის ქსოვა. **მატყლი** ჯერ **დაიწეწება**, მერე **დაიჩეჩება** და თითისტარით **დაირთვება**. შემდეგ ერთ წვერს **დავგრებთ** და **ორწვერად** **შევავრთებთ**. ასე დამზადებულ ძაფს კარგად გავრეცხავთ თბილ საპონწყალში. მერე ძაფებს ვღებავთ წითლად, ყვითლად, მწვანედ და სხვა [ფრად]. ამის შემდეგ ძაფს **ვკსელავთ**. გვაქვს **ჩარჩო**. როდესაც ძაფს დაექსელავთ, ვიწყებთ ხელით ქსოვას. შეიძლება ორი-სამი კაცი მიუჯდეს ერთ ჩარჩოს. **ფარდავის** საქსოვ ჩარჩოს სიმაღლე 165 სმ აქვს, განი — 132 სმ. ზევით და ქვევით **ღანები** აქვს, ქვევით კიდევ — **დასაქსოვი** კეტი. შუაში **ოპიჯალე** აქვს. დაქსელვას ქვევიდან ვიწყებთ, დასაქსოვი კეტიდან. ძაფი ქვევიდან ზევით მიგვაქვს, მერე ჩამოგვაქვს ქვევით, ისევ ზევით აგვაქვს და ა. შ. **ფარდავისათვის** დასაქსელი ძაფი სამწვერი უნდა იყოს, მისაქსოვი კი — ორწვერი. **დააქხელავენ** **ას სათვალს**. ას სათვალში 400 ცალია. პირველად ვიღებთ ოცდაათ ძაფს, მერე თხუთმეტს. ასე რვაიმდე მივალთ. თითო სახე მეტ-ნაკლები ძაფით იქსოვება.

ერთ **ფარდავს** სამი სახე აქვს: **გული**, **გარშემო** და **არშია**. **არშია** 16 სმ სიგანისაა, სიგრძე აქვს ოთხი არშინი. **პიჯიშ** **ეკოფუას** ეძახიან ძაფის გადატანას აქეთ-იქით. **ფარდავს** ზევით და ქვევით **ფოჩვები** აქვს.


ხალიჩისათვის ორჯერ მეტი ძაფია საჭირო. იქსოვება ერთბაშად ისე, რომ აქეთ-იქით არ ტრიალებს. ძაფები ერთიმეორეზე რომ გაივლის, ორ-ორს შეპკრავენ და ზევიდან ამ შეკრულებს შესჭირან მაკრალით. ხალიჩა სამი ნაწილისაგან შეისდგება: **არშია**, მის შიგნით **ნერჩი** და შუაში **გული**. გულში გამოჰყავთ სხვადასხვა სახეები: **პეპელა**, **ჯვარი** და სხვა.

ა ბ რ ე შ უ მ ი ს ქ ს ო ვ ი ლ ე ბ ი

მთხრ. **ცირვა დიდოშვილი აკობია**, 70 წ. (სოფ. ცაიში).

ძაფი ჩვენ აბრეშუმის პარკიდან ამოგვაქვს. ავადუღებთ ქვაბით წყალს და კარგა ღრმა გოპ[ით] პარკს ჩაყურით. კარგად დადუღრული პარკიდან ძაფის თავს ჯიხით ამოვიღებთ და დავახვევთ **ელართაშეზე**. პირველად ამოსული ძაფი მსხვილია. ამას ცალკე ვახვევთ, ვამზადებთ. მოსაქსოვად არ გამოდგება, ვხმარობთ სხვა საჭიროებისათვის. ამ ძაფს **დუღიშ** ძაფს ვეძახით. **დუღიშ** ძაფის შემდეგ ამოღის უფრო წმინდა ძაფი. ამ ძაფსაც ვახვევთ **ელართაშეზე**, სა-

ნამ არ გაივსება. ამას ვეძახით ერთ ლანდ ძაფს. ლანდს გარეთ ჩამოვკრდნენ გასაშრობად. ძაფი ვაშრება, რის შემდეგაც დობცარცენტ (ძაფებს ეწოდნენ დაეცილებთ) და შევინახავთ საქსოვად. საქსოვად ორნაირი ძაფია საქირი: ომოშირი (დასაქსელი) და ოშული (მისაქსოვი). [საქსელე]¹ ძაფი ცოტა უფრო მსხვილი უნდა იყოს. მას ჩვენ დიდხანს ეხარშავთ საპნიან წყალში, მერე ამოვრეცხავთ, ძაფი რბილდება. ზოგჯერ ომოშირს ვლებავთ. როდესაც ქავოკითან (გაშრება), ფირფიტებზე დავახვევთ. მისაქსოვი ძაფი უფრო წმინდაა. როდესაც ძაფს ამოვიღებთ [საღებავიდან] და თუ მაშინვე გვინდა შევუდგეთ ქსოვას, ძაფს გავაშრობთ (დობცარცენტ) და, რომ არ დაიბურღოს, ოკითერყაზე გადავდებთ. ოკითერყადან ძაფებს ფირფიტებზე ვახვევთ. შემდეგ ეს



სურ. 94. საქსოვი დაზგა ოშული

ფირფიტები მიგვაქვს მინდორში და ქსელს ვაბამთ. ქსელისათვის მიწაში სამ კეტს ჩავარჭობთ: ერთს მარცხნივ, მეორეს — ცოტა მოშორებით, მარჯვნივ და მესამეს — მარჯვენა კეტის პირდაპირ. ამ სამი კეტის გარდა, საქირთა კიდევ ამათზე დებალი, ოთხკუთხადა გათლილი მეოთხე კეტი. ამ კეტს ვდგამთ მარჯვენა კეტთან და ვუწოდებთ ობიჯალეს. ძაფის თავს ვაბამთ მარცხენა კეტზე, შემდეგ მიგვაქვს ძაფი და შემოვავლებთ მარჯვენა კეტს, მერე — მის მოპირდაპირეს და ბოლოს — ობიჯალეს. [ვ]უბრუნდებით მარცხენა კეტს და ისევ [თავიდან] შემოვუვლით კეტებს. მთელ ძაფს ამგვარად დავქსელოვთ. ამ დაქსელებილ ძაფს მოვხარშავთ. მოხარშულ ძაფს ცოტას გავაცივებთ და გავწურავთ, შემდეგ ჩამოვკიდებთ გასაშრობად.

¹ ეს სიტყვა ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.



თუ შეღებვა გვინდა, ვლებავთ მოხარშვამდე. ვლებავთ მწვანედ, წითლად და ყვითლად. რამდენადაც მახსოვს, საღებავს ქალაქში ვყიდულობდით; ყველადაც შეიძლება ქართული ზაფრანით.

ასე დამზადებულ ძაფს დოხვიცანა (დავებეწვავთ, დავგრებავთ)², ე. ი. თავიდან ბოლომდე დავწნავთ. გრძლად დაქსელილი ძაფი დაწვინის შემდეგ მოკლდება. ეს ძაფი მიგვაქვს საქსოვ დაზავზე. ამ დაზავს უკანა მხარეზე ოკუდალე კეტი აქვს, რომელიც თერთმეტ ადგილას ჩაჭრილია. დაწვნილ ძაფს დავუხსნით დავსკვნილ ბოლოებს და ჩავეამაგრებთ ოკუდალეს ნაჭდევებში. ძაფების მეორე ბოლოს ზინგში გავუყრით. ერთი ზინგი ორ[ი] ერთნაირ[ი] ნაწილისაგან შედგება. თითოეულს ზევით და ქვევით აქვს ზინგის კეტები. ეს ზინგის კეტები შეერთებულია ზინგის ძაფებით. ზინგის ძაფები მზადდება ნაღუდა-ნათა³ (პირველად ამოღებული) ძაფისაგან. ამ ძაფს დავერთავთ და დავგრებთ. თითო ზინგს სამასი სათვალე აქვს. თითო სათვალათ ოთხი ზინგის ძაფი ითვლება. ზინგის ორივე ნაწილი შეერთებულია მოკლე ბაწრით და ზინგის კიტოლით. ზინგები საორშუალოზე ამ კიტოლებით არის ჩამოკიდებული.

ზინგებში რომ გავუყრით ძაფს, შემდეგ აფხაში ვუყრით. საქსოვს ერთი აფხა სჭირდება. აფხა შედგება ორ[ი] დაფისაგან. ამ დაფებს კაბრასაც უწოდებენ. დაფებს გული აქვს ამოღებული და შიგ ჩამაგრებულია კბილები. კბილებს ცოცხის ღეროს ძირისაგან აკეთებენ. კბილები დაწყობილია კბილების კეტებზე, გარშემო ამ კეტებზე დადებულია ნაჭერი, რომელიც დამაგრებულია ძაფით. აფხის ზევითა და ქვევითა დაფა აფხის ლაკვით არის შეერთებული. აფხის თავებში ჩამოკიდებულია ბაწრის რგოლები. აფხა საორშუალოზე ზინგის გასწვრივ არის ჩამოკიდებული. აფხაში ძაფის ჩასაყრელად ორი კაცია საჭირო. ერთი ზის აფხის თავში და დანით პირს უხსნის კბილებს, მეორე ამ დროს ძაფს უყრის.

ზონარის მოსაქსოვად ძაფს გავწევთ დაწნით იქ, სადაც მქსოველი ზის, ძაფებს ბოლოში მოვაბამთ ლურებს. ამის შემდეგ მქსოველი მიუჭდება და ქსოვს.

საქსოვად საჭიროა კიდევ მარქვა (მაქო). მარქვა ზისაგან კეთდება. მარქვას ამოღებული აქვს გული, ზედ ჩხირებია გადებული და ჩხირებზე — მარსა (მასრა). მარსა კალმის წერილ[ი] ღეროსაგანაა გაკეთებული. მარსაზე მი-საქსოვ ძაფს ახვევენ. მქსოველი ორივე ხელით აქეთ-იქით აგდებს მარქვას.

საორშუალოს ქვევით ორი ოკუჩხეა. მქსოველს ამ ოკუჩხეებზე ფეხები აქვს დადგმული. ოკუჩხეები ზევით ზინგებთანაა შეერთებული. ქსოვის დროს მქსოველი ხან ერთ ფეხს დააუერს და ხან — მეორეს. მქსოველი ჯერ მარჯვნიდან მარცხნივ გააგდებს მარქვას და ძაფს აფხათი მოსწევს, მერე მარცხნიდან მარჯვნივ გააგდებს და ისევ აფხათი ამტკაცებს. როდესაც ნახევარი არშინი მოიქსოვება, ლურეზე დაახვევენ. ქსოვას რომ გაათავებენ, დარაიას ასჭრიან. ეს უბრალო აბრეშუმია. მაგრამ ვიცოდით კიდევ რომაგის ქსოვა. ძაფი ისე მზადდებოდა და იქსილებოდა, როგორც დარაიასათვის, მხოლოდ მისთვის საჭირო იყო ოთხი ზინგი, რასაკვირველია, ოთხი ოკუჩხე. [რომაგისათვის] ზინგში ძაფის გაყრა ცოტა სხვანაირად უნდა.

² სიტყვა ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

³ სიტყვა ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.



რომაგი სამნაირი ვიცოდით: 1. უბრალო რომაგი, 2. ქინური რომაგი, 3. სახერთნაფლი რომაგი. ამის ქსოვაზე ძნელი იყო. ამ ნაქსოვისათვის იღებებოდა როგორც საქსოვი, ისე მისაქსოვი ძაფი. ქსოვის დროს ამ ქსოვილს სახეს ოკუჩხეთი უცვლდნენ.

ფორნა

მთხრ. ბერუ ბიზხაის ძე კვარაცხელია, 72 წ. (სოფ. ჭგალი).

ფორჩას აკეთებდნენ სუხვან. სუს (სელს)⁴ სიმინდში თესავდნენ. სუს მოჭრიდნენ და ერთი კვირით გაამწეურებდნენ. მზეზე სუ (სელი) ჭერ გათეთრდებოდა, მერე მოყვითალო ფერს [გაქდაიკრავდა. სუს თავთავს ხელით დაფშენიდნენ და მიჰქონდათ კულაში გასაყიდათ. იქ თათრები მარილზე ყიდულობდნენ.

სუს ღეროს კანს გააძრობდნენ და დაართავდნენ თითხტარზე. მრთველ ქალს თითზე რომ არ ტყენოდა, მარხა (მასრა) ჰქონდა ჩამოცმული. დაამზადებდნენ ძაფს და შემდეგ ქსოვდნენ დარაიასავეთ, მხოლოდ ფორჩა უფრო ვიწროა. მისი განი უღრის წყრთას. მოქსოვილ ფორჩას გარეცხავდნენ სამ-ოთხჯერ და ოკუჩხეთი ცემდნენ (ოკუჩხე ნიჩბის მსგავსი იარაღია). ოკუჩხეთი რომ ცემდნენ, თან ნამავდნენ, ფორჩა თეთრდებოდა. ფორჩისაგან ძველად მამაკაცის პერანგი იკერებოდა. ეს გრძელი პერანგი იყო. მუხლებამდე; გვერდები გახსნილი ჰქონდა და საყელო წვრილად გადატეხილი. ამ პერანგს უწოდებდნენ ჩარჩამ პერანგს. საყელოს ძაფებით [იკრავდნენ.

ფორჩისაგან ქალები ფოტას იკერავდნენ. იღებდნენ ერთ განს, მიაკერებდნენ ზონარს და წინ შემოიკრავდნენ.

მღმზრობა

მთხრ. ესმა ქანტურია ევარდავასი 67 წ. (სოფ. ჩქვალერი).

თუ ღართი უნდა შევლებოთ, ჭერ უნდა გაშრეს და ისე შეიღებოს. სამჯერ მოვჯავავთ კანიან ჰველას (ნორჩი თხმელა). ჰველას კანს ან ფურცელს კარგად მოხხარშავთ და საჩოხეს შიგ ჩავლებთ. გადავდგამთ გასაცივებლად. ასე გავიმეორებთ რამდენიმეჯერ. ეს არის ჭაკვა. მესამე მოჯაკვის შემდეგ საღებავში ვდებთ. როდესაც ქვრბაქით ვღებავთ, მესამე მოჯაკვის დროს ქვრბაქსაც [ვ]უშვრებთ. ქვრბაქი მარილისავეთაა. საჩოხეს ამ საღებავში ავადუღებთ, შემდეგ დავდგამთ გასაცივებლად. ამოვიღებთ, გავაშრობთ, ეს უკვე შეღებილია. მერე ცივ წყალში [კარგად] გავრეცხავთ. როდესაც ლეიბით (ლებით)⁵ ვღებავთ, საჩოხე სამჯერ უნდა მოიჯაკვოს. მესამე მოჯაკვის დროს შიგ შევურევთ ლეიბს, ჩავდებთ საჩოხეს და გადავდგამთ აუღუღებლად, მეორე დღემდე ასე დგას. დილას ამოვიღებთ, გავრეცხავთ ცივ წყალში და მზად არის.

ლეიბით მეორენაირად[აც] შეიძლება შეღებვა. აიღებენ საჩოხეს და ლეიბში ჩადებენ. მთელი ღამე შიგ არის. საჩოხე მთლ[იან]ად უნდა იყოს შიგ ჩაღულული. მერე ამოვიღებენ და გავრეცხავენ. საჩოხე შეღებილია.

4 სიტყვა სელი ყველგან ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.
5 სიტყვა ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.



წითლად თუ უნდა შეღებონ, მაშინ მარტო მოჭაკავენ და ისე ტოვებენ. თუ თეთრი საჩოხე უნდათ, არჩევენ თეთრ მატყლს და იმისგან ქსოვისფერი თუ უნდათ, მაშინ თავიდანვე აურევენ თეთრ და შავ მატყლს და ისე გაჩეხავენ და დაართავენ.

მთხრ. დესპინე კვირკველია გუგუნიავა, 79 წ. (სოფ. გარახა).

საღებავად კაკლის ან ბროწეულის ქერქს მოვხარშავდით. დაეაყენებდით ჭანკს. შემდეგ ჩაყვრიდით ჭოროხს. ჭოროხს ასე ვამზადებდით: მთიდან მოტანილ ტკილის ნატეხებს დავეწვავდით კეცზე ან ქვაბში. დამწვარ ტკილს დაენაცვავდით. ეს იყო ჭოროხი. ნაჭანუა წყალში შევეურევდით ჭოროხს და შიგ ჩავდებდით შესალებს ქსოვილს. ავადულებდით და შემდეგ მთელი ღამე შიგ ვტოვებდით. კუპრივით შავი ქსოვილი გამოდიოდა.

თუ ჭოროხი არ გვექონდა, მის მაგიერ ლეკს (შლაში) გავურევდით და ამით ვღებავდით. დარაიას კიდევ ვღებავდით წითლად ჭამფეზიის მარცვლებით. ჭამფეზიის მარცვლებს გამოვწურავდით, შაბს ვუხამდით, ავადულებდით და შიგ ჩავაგდებდით შესალებს. წამოვადულებდით, გადავღვამდით, გავაცოვებდით და შემდეგ ამოვიღებდით.

თუ ყვითელი ფერის გვინდოდა, მოვხარშავდით ვაშლის ქერქს. ქერქს ამოვიღებდით, ნახარშს შაბს გავურევდით და ისე ვღებავდით.

მთხრ. ლონგორი კვირკველია, 35 წ. (სოფ. ჩხოროწყუ).

ჭოროხი ეკის მთაზე არის. ეკის მთას ზისხირის მთას ეძახიან. ერთ მოხუცს ნათქვამი აქვს, რომ ჭოროხის ჰოენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მთვარე საესეა. ჭოროხი წითელი ფერის პატარა ბრტყელი ქვაა.

მთხრ. სანდა ჭანაშია აბულაძისა, 92 წ. (წალენჯიხა).

ჭამფეზიის პერანგს ვღებავდით ერთგვარ[ი] მცენარით, რომელსაც ინდოიას ვეძახდით. ინდოიის ძირს მოვხარშავდით, გავწურავდით და იმ ნახარშში ჩავდებდით ქსოვილს. ქსოვილი იხარშებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ამოვიღებდით და გავაშრობდით, იღებებოდა წითლად.

ქვემო სემპრელო

ფეიქროზა


მატყლის ქსოვილები

მთბრ. ფოტინე თედორეს ას. კობია, 70 წ. (სოფ. შხეფი, სენაკის რაიონი)¹.

შალის ქსოვა. ძველად ჩვენ ვამზადებდით სხვადასხვა ქსოვილებს: ხაჩოხე მაულს — მატყლისაგან, ხამლეს — ბამბისა და სუსგან, დარაიას — აბრეშუმისაგან. სუ და ბამბა ჩვენ თვითონ მოგვყავდა. მატყლს ვყიდულობდით მეჭოგეებში. აბრეშუმსაც ჩვენ ვამუშავებდით.

მატყლს ჭერ ვრეცხავდით, მერე ვაშრობდით. გამშრალ მატყლს ვწეწავდით და შემდეგ საჩენელზე ვჩეჩავდით. საჩენელიდან პირველად ამოღებულ მატყლს საქსელო ძაფად ვართავდით, მეორედ ამოღებულს კი საქსოვ ძაფად. ვართავდით თითისტარით.

საქსელო ძაფი უფრო წმინდა და სუფთა უნდა იყოს, საქსოვო ძაფი კი უფრო მომსხვილო. თითისტარიდან ძაფს გადავახვევდით ფირფიტაზე. ჩაეარ-



სურ. 95. ორცხონჯი

კობდით ორ სარს. მანძილი ამ ორ სარს შორის იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენი მეტრი ქსოვილიც მზადდებოდა. ამ სარებს შორის ჭვარებიანად გავაბამდით ორშუალს (ქსელს). ამ ქსელს შემდეგ დოფციხუნდით (ჯაჭვივით) ამოვიღებდით. ამას ჰქვია ზვიცილი ძაფი. მეორე თავში კი ორ-ორი იყო გაყრილი ზინგში, ზინგიდან — სავარცხელში იმ სიგანეზე, რა სიგანისაც ზეცალი ძაფი

¹ ამჟამად ცხაკიას რაიონი.




იყო. სავარცხელი და ზინგი ჩამოკიდებული იყო თოკებით. ძაფებს თავში მიკავაერებდით ქსოვილს, რომელსაც ვახვევდით რულეზზე. ამის შემდეგ მაქოთი ვქსოვდით. საქსოვად საჭიროა საორშუალო. საორშუალო მოწყობილია შემდეგნაირად: ოთხი წვრილი ბოძი ზევით და ქვევით დამაგრებულია ოთხ-ოთხ[ი] ლატანით; ზევით გადებულია ჯოხი, რომელზედაც ჩამოკიდებულია ზინგი და სავარცხელი. მთელ ამ მოწყობილობას ვუწოდებთ საქსოვს. ზინგზე მიმაგრებული იყო ორი თოკი. ქსოვის დროს მქსოველი აპერდა ფეხს ერთ თოკს. ამ დროს ძაფების ერთი წყება აიწვედა ზევით, მეორე კი ქვევით [ჩაიწვედა]. გადიოდა მაქო. შემდეგ მქსოველი დააპერდა [ფეხს] მეორე [თოკ]², ძაფების ის წყება, რომელიც ზევით იყო აწეული, დაიწვედა, დაწეული წყება კი აიწვედა, მაქო ბრუნდებოდა.

მთხრ. ოლდა ძაგულის ას. კუტალია, 55 წ. (სოფ. კორცხო, ხობის რაიონი, ხეთას თემი).

ქსოვა. ქსოვილებს ვამზადებთ აბრეშუმის, მატყლისა და ბამბისაგან.

აბრეშუმის პარკებიდან ძაფს მე თვითონ ვიღებ. ავადულებ ქვაბით წყალს. ამ ადულებულ წყალში ჩაყვრი პარკს და გადავდგამ. მერე ვიღებ ფიცხს და ამით ვეძებ ძაფის თავებს. ჯერ ამოდის მსხვილი ძაფი, რომელსაც ნადლუარს



სურ. 96. საქსოვი

(ნათავარს)³ ვეძახით. ამ ძაფს ვახვევ ცალკე სამითიაზე. შემდეგ მოდის უფრო წმინდა და სუფთა ძაფი. ამასაც ცალკე სამითიაზე ვახვევ; ბოლოს მოდის ნაბოლარა ძაფი. ამასაც მესამე სამითიაზე ვახვევ. ხანდახან ნადლუარს და ნა-

² ჩამწერს აქ შეცდომით უწერია „მეორე წყებას“.
³ ეს სიტყვა ივ. ჯავახიშვილის ჩამატებულია.

ბოლარს ერთ სამთითაზე ვახვევ. ამოღებულ ძაფს დავართავ ცალ-ცალკე. ასე ვამზადებ აბრეშუმის ძაფს საქსოვად.

ბამბა ჩვენ თვითონ მოგვეყავს. მოვკრეფთ ბამბას და გავშლით ჰაერზე ათ დღეს, რომ ნამბა დაჰკრას. ნამი ბამბას ათეთრებს. ამის შემდეგ ჩინიხით ამოვაცილით თესლს. გარჩეულ ბამბას დავწეწავთ და დავართავთ. ქსელისათვის ვართავთ უფრო წმინდა ძაფს, საქსოვად კი უფრო მსხვილს. საქსელო ძაფს ორშუალს ვეძახით, საქსოვს კი ომოშირს.

მატყლს წინათ ვციდულობდით მეჯოგეებისაგან. ნაყიდ მატყლს გავრეცხავდით, გავაშრობდით და დავწეწავდით. მერე საჩეჩელზე დავჩეჩავდით. საჩეჩელის ნაწილებია: კუჩხიში გილადგუმალი (ფეხების დასადგმელი), კიბირეფი (ებილები), შურგუტარი. საჩეჩელზე პირველად აღებული ძაფი ორშუალისათვის იყო, დანარჩენი კი ომოშირისათვის. ასე ზღებოდა დახარისხება ჩიჩვის დროს. მატყლს თითისტარზე დავართავდით. ორშუალისათვის ვართავდით უფრო წმინდა ძაფს, საქსოვისათვის კი უფრო მსხვილს. თითისტარზე დახვეულ ძაფს ამოვავლებდით ალში, რომ ბეწვები გასცლოდა. ძაფს დავძახავდით მხოლოდ მაშინ, როდესაც სქელი ქსოვილი უნდა მოგვექსოვა.

როგორც კ. კუტალია გადმოგვცემს, აბრეშუმის, მატყლისა და ბამბის ქსოვილების დამზადების ტექნიკა ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ ზინგშია. აბრეშუმის ქსოვილისათვის ზინგი უფრო ხშირია, მატყლის ქსოვილისათვის კი თხელი. ვიწყებთ ქსოვას [ასე]: მიწაში წყვილ-წყვილად ჩავარჭობთ ოთხ ბარჯგს (სარს). მანძილი ამ სარებს შორის იმდენია, რა სიგრძისაც ქსოვილი გვინდა. ამ სარებზე ვაკვირებთ ძაფს. შემდეგ ჯაჭვივით ამოვიღებთ (დობციხუნთ, დობლარჭუნთ) და დავამაგრებთ ზინგში. ოთხი ძაფი ითვლება ერთ სათვალავად. თუ ავიღებ ასი სათვალავი, გამოდის ერთი არზინი სივანის ქსოვილი.

ზინგებში დამაგრების დროს, გაუყურით ორ თითს და გამოვიღებთ ძაფს. მეორე კაცი, რომელიც გვეხმარება, გაჭრის ამ თავს. ზინგებში დამაგრებულ ძაფებს ჩავუყურით აბხაში (სავარცხელში). მერე ვიღებთ ათ-ათ სათვალავს, ვკრავთ და ამ შეკრულებში გაუყურით ჯოხს. ჯოხს მივამაგრებთ რულესს. რულე დაზგას აქვს წინ ნაქსოვის დასახვევად. ზევით დაზგაზე გადებულია ჯოხი, რომელზედაც თოკებით ჩამოკიდებულია ზიგნები და სავარცხელი. ქსელის მეორე ბოლო დამაგრებულია ხინტირზე. საქსოვი ძაფი დახვეულია მასრაზე, რომელიც მაქოში დევს. ზინგების ასამოძრავებლად ორი თოკია. როდესაც ფეხს დავაპერთ მარცხენა თოკს, ზინგი დაიწევა და მასთან ერთად [დაიწევა] ერთი წყება ძაფებისა, მეორე წყება კი აწეულია. ამ დროს მაქოს გავატარებთ მარცხნიდან მარჯვნივ და აბხათი დავტკეპნით. შემდეგ (ფეხს) დავაპერთ მარჯვენა თოკს. ახლა მეორე ზინგი დაიწევა და მასთან ერთად [დაიწევს] ძაფების მეორე წყება. ამ დროს მაქოს გავატარებთ მარჯვნიდან მარცხნივ და ისევ აბხათი დავტკეპნით. მზა ქსოვილს ვახვევთ რულეზე.

საორშუალო (დაზგა) შედგება ოთხი ბოძისაგან, რომელიც შეკრულია ოთხი დანით. დაზგას წინ გადებული აქვს მრგვალი ჯოხი, რომელზედაც ეხვევა ქსოვილი. უკან გადებული აქვს ოკუდალი, რომელზედაც დამაგრებულია ქსელის ბოლოები.


მთხრ. მაკი გახუას ახ. ხარებავა, 70 წ. (სოფ. ნახარებაუ, მარტვილის რაიონი).

ექსოვდით საჩოხე შალს, დარაიას და ხამლეს. მეტწილად იქსოვებოდა საჩოხე შალი.

ქსოვისათვის საჭირო იყო საორშუალო, ორი ზინგი და აბზა.

საორშუალოს ნაწილებია: გამერი — ზინგისა და აბზას ჩამოსაკიდებელი. ოთხი ბოძი (ორი მაღალი და ორი დაბალი) და ხინტიკირი (ქსელის ბოლოების დასამაგრებელი).

ზინგი ასე კეთდება: აღებულია ორი მრგვალი ჯოხი და მათ შესაერთებლად ჭვარედინად გადახლართულია ძაფი.



სურ. 97. საქსოვი, გაბბული ქსოლი


აბზა ასეთია: აღებულია ორი ლატანი, რომლებსაც დაფებს ვეძახით. დაფის თავები შეერთებულია გახეებით, შუაში ჩალამ-კალამის კბილები აქვს. ეს კბილები ჩარჭობილია დაფებში. ხინტიკირი ქსელის დასახვევი ჯოხია.

ექსოვდით ასე: ვიღებდით ძაფებს ქსელისათვის, ვუყრიდით ზინგებში და სავარცხელში, ზინგებს და სავარცხელს ჩამოვკიდებდით. გაყრილ[ი] ძაფების ათ-ათ სათვალს გავნასკევდით და ვავუყრიდით ჯოხს, რომელიც დამაგრებული იყო რულეზე. მეორე ბოლო მაგრდებოდა ხინტიკირზე. სარსიოლის საშუალებით ძაფს ვახვევდით მასრაზე. მასრას ჩავდებდით მაქოში. რომაგული

(ორმაგი) შალის მოსაქსოვად ვხმარობდით ოთხ ზინგს. გამოდიოდა სქელი შალი.



მოქსოვილ შალს ვთელავდით. ამისათვის ვიღებდით ლასტს, ზედ დავდებდით დასველებულ შალს და ფეხებით ვთელავდით. რომ შეშრებოდა, ისევ დავასხამდით წყალს. სამჯერ გვიხდებოდა დასველება. გავათავებდით თელვას, სივრცეზე გავშლიდით და ცოცხს გადავუსვამდით. ამას ვეძახდით **დობჯირქუნდით**. ცოცხით რომ გადავწმენდით, მერე ნელ-ნელა ვახვევდით და ხელით ვასწორებდით. სულ რომ დაიხვეოდა და გადაიწმინდებოდა, ჩავდებდით **წარწის** (პრესის) ქვეშ. გავაჩერებდით ერთი დღე-ღამე, მერე გავშლიდით და გავკიდებდით გასაშრობად. საჩოხე უკვე მზად იყო.



სურ. 98. აბა, ზინგი

ძაფის დამზადება და მისი შეღებვა ხდება იმეთივე წესით, როგორც სენაკის რაიონში.

მთხრ. ცაცუ ბაკურუას ახ. ლატარია, 60 წ. (სოფ. თორსადღება, ხობის რაიონი).

ძაფის დამზადებაზე, ღებვაზე და ქსოვაზე იმასვე გვიამბობს, რაც მოგვიოთხრეს მარტვილის რაიონში.

მთხრ. ეკა საბას ახ. ხაჯაია, 60 წ. (სოფ. ახალი აბაშა, აბაშის რაიონი).

ხაჯაია ამბობს, რომ ახალ აბაშაში განსაკუთრებით აბრეშუმს ქსოვენ. საჩოხე შალს არ ქსოვენ.


ძაფის დამზადების, ღებვისა და ქსოვის ტექნიკა ისეთივეა, რაც ზემოაღნიშნულ რაიონებში, მხოლოდ საქსოვის ნაწილების სახელწოდებაშია განსხვავება. ასე მაგალითად, **სავარცხლის დაფებს უწოდა გოდო, ვახეს — კიბირიში ეკაუნალი** (კბილების შესამკიდრობელი), საორშუალო ბარჯებზე გადადებულ ხეებს — **ლანდური**, ზინგისა და სავარცხლის ჩამოსაკიდებელ თოკზე დამაგრებულ ჯოხს — **მაკინტო**.

მთხრ. შინაღორა გოგიას ახ. ეხებუა, 57 წ. (სოფ. ხობი, ხობის რაიონი).

ჩვენ ვქსოვდით ბამბანარეც საჩოხეს, მატყლისაგან — ხალაროე (საჩოხე) შალს და აბრეშუნისაგან — დარაიას.

საჩოხე შალისათვის მატყლს ვახარისხებდით ჩეჩვის დროს. პირველად ამოღებული მატყლისაგან ვამზადებდით ძაფს ქსელისათვის, დანარჩენი მატყლისაგან კი საქსოვ ძაფს. ორშუალო (ქსელის) ძაფი უნდა იყოს კუმოხილი (მაგრად დართული). ომოშირი (საქსოვი) ძაფი უნდა იყოს ლექინქალ დართული, შველია თუხილი (სუსტად დართული).

საჩოხე შალისათვის კრავის მატყლს ვიღებდით. ძაფის დასამზადებლად გვჭირდებოდა ოფეთაში (საჩეჩელი), ჩერია (თითისტარი), წყურისა (თითისტარის თავი), ელართაში (სამთითა) და ფირფიტა. საქსოვად გვჭირდებოდა საორშუალო, ზინგი, აბზა, ხარხიოლი, მარქვა (მაქო) და მარხა (მასრა).



სურ. 99. ოფეთაში

დავდგამდით საორშუალოს, ჩაეუყრიდით ზინგის თითო თვალში ძილა (წყვილ) ძაფს. შეიძლებოდა კაკა (თითო) ძაფის გაყრაც. მაშინ ქსოვილი უფრო თხელი გამოდიოდა. ძაფებს შემდეგ სავარცხელში გაეუყრიდით. ზინგს და სავარცხელს ჩამოვკიდებდით საორშუალოზე. მარხაზე (მასრაზე) ხარხიოლის საშუალებით დავახვევდით ძაფს და ჩავდებდით მაქოში. ამის შემდეგ ვიწყებდით ქსოვას.

ქსოვილებს ვამზადებდით სადას და სახიანსაც. სახეები შემდეგი იყო: კუმბოს, ზოღებიანი, მარგალიტური და კინური. როდესაც გვინდოდა ზოღებიანი ქსოვილის დამზადება, ზოგ ძაფს წინდაწინვე ვღებავდით. ქსელის გაბმის დროს იმდენ სათვალ ფერად ძაფს ვავაბამდით, რა სიფართისაც ზოლი გვინდოდა. როდესაც გვინდოდა კუმბოს სახე, ვიღებდით რამდენიმე მაქოს სხვადასხვაფერის ძაფებით. ქსოვის დროს მაქოებს ვცვლიდით. კანური სახის გამოსაყვანად იქსოვებოდა ორი სათვალე თეთრი ძაფი, მერე — ორი სათვალე შავი ძაფი, კიდევ — ორი სათვალე თეთრი ძაფი და ა. შ. მერე ვქსოვდით თეთრ[ი] ძაფით.



მთხრ. ელისაბედ პეტრეს ას. დონდუა, 60 წ. (სოფ. მარანი, აბაშის ტერიტორიაზე)
 ექსოვდით ბამბის, აბრეშუმისა და მატყლისაგან, მატყლისაგან — ნაკ-
 ლებად.


მატყლნარევი ბამბისაგან ვამზადდებით ბამბა-შალს, ხამგარეულს; ბამბი-
 საგან დამზადებულ ქსოვილს ხამს ვეძახდით, აბრეშუმნარევი მატყლისაგან
 დამზადებულს — შალ-აბრეშუმს, აბრეშუმისა და ბამბისაგან — ბამბა-აბრე-
 შუმს და აბრეშუმისაგან — დარაიას.

ქსოვის ტექნიკა ისეთივეა, როგორც ბანძაში.

მთხრ. შაშნიკა ალექსანდრეს ას. დამენია, 58 წ. (სოფ. ხობი, ხობის რაი-
 ონი).

ექსოვდით ბამბის, მატყლის, აბრეშუმისა და სელისაგან. ბამბა, სელი და
 აბრეშუმი ჩვენ თვითონ მოგვეყავდა, მატყლი ქალაქიდან მოგვექონდა. ყიდვის
 დროს ვარჩევდით წვრილბეწვა მატყლს, გრძელბეწვა დასართავად არ ვარგა.
 საჩეჩელზე ვახარისხებდით მატყლს.

დარაია იქსოვებოდა აბრეშუმისაგან, საჩოხე შალი — მატყლისაგან. მატყლ-



სურ. 100. ფარდავი

გარეული აბრეშუმისაგან ექსოვდით ყაბალახს და საზაფხულო საჩოხებს. სუს-
 გან ექსოვდით კორჩას.

ქსოვისათვის საჭირო იყო საორშუალო, ზინგი, სავარცხელი, მარქვი (მა-
 ქო), სარსიოლი, მარსა (მასრა). სარსიოლის, ანუ ფარფალიას საშუალებით ვახ-
 ვევდით მასრაზე ძაფს. სარსიოლს ჰქონდა პეპელას სახე, ამიტომაც ვეძახდით
 ფარფალიას.




მოუხარშავი აბრეშუმის ძაფს დავქსელავდით (მოუხარშავ ძაფს ვეძახდით ურცხულ ძაფს). სუს ჯერ გავახამებდით მოხარშული მარცვლებით. ვახამებულს დავწნავდით (დობციხუნდით). ჩავუყრიდით ორ ზინგში და აბხაში. ჩამოვკიდებდით თოკით საორშუალოზე. ქვევით იყო ჩამოკიდებული ჯოხი რომელსაც **საფეხმუს** ვეძახდით. ზინგში და აბხაში გაყრილ ძაფებს ლურჯზე ვამაგრებდით. ქსოვის დროს ერთი ზინგი ზევით აიწყოდა, მეორე ქვევით დიწყოდა. ძაფები აღებდენ პირს და შივ მაქო გადიოდა. რომაგულ ნაქსოვებს სჭირებოდა დაგრებილი ძაფი.

მთხრ. ედუ პეტრეს ას. მოწაფია, 40 წ. (სოფ. აბედათი, მარტვილის რაიონი).

ფარდაგის ქსოვა. მატყლისაგან დაეართავდით ძაფს. მატყლს არ ვახარისხებდით. დრშუალ (დასაქსელ) ძაფს **სამწვერად ვგრებდით**, **საქსოვ** ძაფს კი **ორწვერად**.

დასაქსელად გვქონდა **ჩარჩო**, რომელსაც ვეძახდით **გახეს**. ჩარჩოს ორი გვერდის **დამოკლება** და **დაგრძელება** შეიძლებოდა. **გახეს გამართავენ** იმ



სურ. 101. იოზეგალი, ფსალი, სარსიოლი

სიგრძისას, რა სიგრძისაც ფარდაგი უნდა გამოსულიყო. ჩარჩოს გვერდებს ვამაგრებდით სოლებით, რომელსაც ვურჭობდით გაზის გვერდების ნახვრეტებში. გავაბამდით იმ ფერის ძაფის ქსელს, რა ფერისაც **მიწა** უნდა ყოფილიყო. მერწვილად **მუჭი ყავისფერი** იყო.

სახეების გამოსაყვანად სხვადასხვაფერის ძაფები **გორგოლებად** იყო დახვეული. ვიწყებდით ერთი ფერით, მოვქსოვდით ორი თითის სიფართოვეს და ამის შემდეგ გამოვიყვანდით სახეებს. **ვატარებული ძაფების დასამკიდრობელად** გვქონდა **ორცხოწი** (სავარცხელი). გამოგვყავდა **ოთხუთხედები** და **სამკუთხედები**. მოვქსოვდით იმ სიმაღლემდე, სანამ ხელი მისწვდებოდა. ამოვიღებდით **იოზეგალებს**, **ნაქსოვს** უკან დავწევდით. ქსელი წინ წამოიწვება. იოზეგალები ძაფების დასამაგრებელი სოლები იყო. ასე ირგვლივ ვქსოვდით. ვასაჭრელად დავტოვებდით პატარა მანძილს. ამ ადგილას **ფარდაგს** გადავკრიდით და გამოდიოდა **ფოჩები**.



მთხრ. რებეკო იონების ას. გაბუნია, 60 წ. (სოფ. ბანძა, მარტვილის რაიონი).

დარაიას ქსოვა. მე სულ ვქსოვდი და ვქსოვ დარაიას, რომლისთვისაც მასალა თვითონ მომყავს. მიღებულ პარკს ვახარისხებთ. პირველ[ი] ხარისხის პარკს ვეძახით ხას პარკს, მეორე ხარისხისას — დომბალა პარკს. აღუღებულ წყალში ვყრით კოთხოთი დარწყულ პარკს. მეორე ჩაყრაზე ცეცხლიდან გადმოდგმულ ქებას ნაღვერდლიან კეცზე ვდგამთ. ერთი ქებაი წყალი მხოლოდ სამ ჩაყრაზე გამოდგება. ფირფიტით ქებაში დავშლით პარკს, თითისტარით ამოვიღებთ ძაფის თავს და სამხელზე ამოვახვევთ. შემდეგ წმინდა ძაფს (ქვეშ საქსოვს) გადავიღებთ მეორე სამხელზე. როდესაც ძაფი შესუსტდება (პარკი დაილევა), ვწყვეტთ და ისევ ვეძებთ ძაფის თავს. ამოდის მსხვილი ძაფი და ამას ვახვევთ პირველ სამხელზე. როდესაც ძაფი დაწვრილდება, ვახვევთ მეორე სამხელზე. მსხვილ ძაფს ვიღებთ მოსაქსოველად. როდესაც მისაქსოველი ძაფი მოილევა, თავს მოუყრით ჩხაპილით. ჩხაპილა რამდენიმე თითიანი ჯოხია, რომლითაც თავს მოუყრით ამოსახვევ ძაფს. ამ ძაფს ამოვსამფავთ. ეს ძაფი საქსოვში არ გაირევა. წმინდა ძაფს ამოვახვევთ ფირფიტაზე, მსხვილს — სამხელზე, ფირფიტის ძაფს თითისტარზე დავართავთ და ამოვახვევთ სამხელზე.

ამის შემდეგ ძაფს გამოხარშვა უნდა. ამისათვის კალათში ჩაყვრით ნაცარს, მუჭით გულს გავუყვითებთ. კალათს დავკიდებთ ჯოხზე თოკით ან თავისივე ხელით, შევუდგამთ ტაშტს. ზევიდან ვასხამთ ცოტ-ცოტა წყალს, რომ ერთბაშად ნაცარი არ ჩარეცხოს. კალათიდან გამოვონავს ნაცარწყალი. წყალი საკმარისად რომ დაგროვდება, ჩავასხამთ ქებაში და ავადულებთ. წინასწარ ძაფს [და]ქსავლებთ. ამ ძაფს აღუღებულ ნაცარწყალში ჩავდებთ. რომ არ დაიბურდოს, შულოს ნაჭრით თავს დავუმაგრებთ. კარგად რომ დარბილდება, ამოვიღებთ და ცივ წყალში გავრეცხავთ. მისაქსოველს გავკიდებთ, დასაქსოვს კი გავახამებთ. ამისათვის ნახევრად გამომცხვარ მჭადის გულს ვავხსნით წყალში, ამაში ამოვავლებთ დასაქსოვ ძაფს და გავაშრობთ, შემდეგ ისევ ფირფიტებზე ამოვახვევთ და დავქსელავთ. მისაქსოვს მასრებზე ამოვახვევთ. ძაფს გავუყრით ჯერ დვიში, მერე სავარცხელში და დავკიდებთ საქსოვის ხელეზე. ძაფს დავხიფავთ მოკლე პირის ამოსაწყობ ჯოხზე და ბაწრით დავახვევთ ლილუაზე. დავიწყებთ ქსოვას. ქვედა მისაქსოვ ძაფს მოვხიფავთ და ვეძახით ხიფს. ქსოვის გათავების შემდეგ, რაც ძაფი დარჩება, ანაქერს ვეძახით და ვიყენებთ საღამბავად. თუ წმინდა ნაქსოვი გვინდა, წმინდა ძაფს დავამზადებთ, თუ მსხვილი გვინდა — მსხვილს.

სახიანი ნაქსოვი. სახიანი ნაქსოვისათვის ძაფს შევლებავთ სხვადასხვაფერად. ჯერ გავახამებთ ქსელს ისე, რომ ფერადი ძაფით აღნიშნული იყოს ჯოლები და უკრედები. დასაქსოვი სხვადასხვაფერის ძაფი დავხვეულია მასრებზე და იმითი ვიწყებთ ქსოვას.



ზონარების ქსოვა

მთბრ. ნინო პავლეს ას. კედია, 60 წ. (სენაკი, სენაკის რაიონი).

ფირფიტებით ქსოვა. ვქსოვდით სხვადასხვა ზომის ზონარებს, წვივსაკრავებს და პაიჭების შესაკრავს. იქსოვებოდა ბამბისაგან და აბრეშუმისაგან. ბამბა და აბრეშუმი ჩვენ თვითონ მოგვეყავდა. ძალსაც ჩვენ თვითონ ვამზადებდით. ძაფი წმინდა უნდა ყოფილიყო. დავართავდით ძაფს, დავძახავდით, ნაცარწყალში მოვხარშავდით (დობავდით) და გავაშრობდით.

ვქსოვდით საღა ზონარებსაც და სახიანსაც, უფრო მეტად — პირდაპირ-ზოლებიანს ირიბზოლებიანს და გვიმრის ფოთლების მსგავს სახიანს.

ქსელს ვიღებდით იმ სიგრძისას, რა სიგრძის[აც] ზონარი უნდა ყოფილიყო. მიწაში სიგრძეზე ჯოხებს ჩავარკობდით და ამ ჯოხზე ვქსელავდით. სარგებზე გაბმულ ქსელს ჯაჭვივით ამოვიღებდით (დოვბლარქუნდით, დიბციხუნდით). შემდეგ ამ ძაფებს გავუყრიდით ფირფიტებში. თითო ფირფიტაში ოთხი ძაფი იყო გაყრილი. ზონარის განი დამოკიდებული იყო ფირფიტების რიცხვზე. ქსელის ერთი ბოლო ჩამოცმულია ჩანგალზე, რომელსაც ვიმაგრებდით სართულში. ფირფიტებს გავწვევდით წინ, გადავებრუნებდით. პირდაღებულ ძაფებში გავუყრიდით ძვლის დანას და ამოვიღებდით ძაფს. ფირფიტებს ისევ გადავებრუნებდით, ძაფებში გავუყრიდით დანას, შევამჭიდროვებდით გატარებულ ძაფს და ისევ უკან გამოვუყრიდით. ფირფიტებს კიდევ გადავებრუნებდით, დანით გამოვუყრიდით ძაფს, ფირფიტებს ისევ გადავებრუნებდით, გამოყრილ ძაფს უკან წამოვიღებდით და ა. შ.

განიერ ზონარებს ზოგჯერ ვქსოვდით უაღზე (ქარგაზე).

ჭილღვის ქსოვა

მთბრ. ნატალია სვიმონის ას. კვირკველია, 65 წ. (სოფ. გვიმარონი, ზობის რაიონი, ქვალონის თემი).

მასალა მოგვაქვს ქაობიანი ადგილებიდან. ქილს ვგლეჯთ ხელით, მოგვაქვს სახლში და ვყრით მზეზე. მზეზე გამოშრება და გათეთრდება. გამოშრობას სჭირდება თხუთმეტი დღე.

სამუშაოდ გვეჭირდება ორცხონჯი (სავარცხელი). ორცხონჯი წარმოადგენს ლატანს, რომელსაც სიგრძე არშინ-ნახევარი აქვს და განი ორი ვერშოკი. ლატანში ამომწვარია თვლები. ამ იარაღს ვხმარობთ ქილოფის განის ვასაწორებლად. ქსოვის დროს ნაქსოვი იწელება და, როდესაც ორცხონჯს ჩამოვწვეთ, სწორდება.

ჯერ დავაბამთ ქსელს დავრგებილი სუს (სელის) ძაფისას. ქსელში მოვაქცევთ ორცხონჯს ისე, რომ მის თითო თვალში ვადიოდეს თითო ძაფი. ქსელს ასე ვაბამთ: ზევით დამაგრებულია ორი ჯოხი, ქვევითაც დამაგრებულია ჯოხი, რომელზედაც რიგზე დაჭედელია ლურსმნები. ზევითა ორ ჯოხზე ვადაგდებულა ქსელის ძაფი, ქვევით კი ძაფი ლურსმნებზეა მოდებული. შემდეგ ვიღებთ რამდენიმე ქილს და ვიწყებთ ქსოვას. ამ ქილს ვუყრით ძაფგამოშვებით. როდესაც ერთ წყებას ვავივლით, ჩამოვწვეთ ორცხონჯს, რომელიც მას ამჭიდრო-



ვებს და განსაც ასწორებს. როდესაც ქსოვას დავამთავრებთ, გავუმარგებებთ ვებს და ვკრით დარჩენილ წვერებს.

ჩვენთან **ჭილოფის დამზადებას** დიდი ხნის ისტორია აქვს. ჭილოფებს ბევრს ვქსოვდით, რადგანაც დაფნის გადასაგზავნად ვხმარობდით. ჭილოფებს შევეკრავდით ტომარასავით, ჩავეყრიდით შიგ დაფნას, შევეკრავდით და ისე ვაგზავნიდით.

კალათისათვის ვქსოვთ პატარა, ვიწრო განის ჭილოფებს. მას ორად მოვკეცავთ, გავუკეთებთ თავებს და დავამარგებთ **დაგრებილ სახელურს**.

მ ლ ე ბ რ ო ბ ა

მთხრ. ფოტინე თედორეს ას. კობია, 75 წ. (სოფ. შხეფი, სენაკის რაიონი).

თუ გვიხდოდა სახიანი ქსოვილის დამზადება, ვღებავდით **თხმელის ქერქით, მუხის, კაკლისა და ლეფნის ფოთლებით, წენგოთი**. თხმელის ქერქი იძლევა ყვითელ ფერს, მუხის ფოთოლი — ყავისფერს, კაკლის ფოთოლი და წენგო — შავს, ლეფანი — მუქ ყავისფერს. ქერქი იქნებოდა თუ ფოთოლი ჩავეყრიდით ქვაბში, დავასხამდით წყალს, დიდხანს ვაღუღებდით. შემდეგ ქერქს და ფოთოლს ამოვიღებდით და შეღებულ წყალში ჩაედებდით ძაფს. ცოტა ხანს იხარშებოდა. მერე ამოვიღებდით და გავკიდებდით ჯოხზე გასაშრობად.

მთხრ. ნინო პავლეს ას. კელია, 60 წ. (სენაკი, სენაკის რაიონი).

დავართავდით ძაფს, დავძახავდით, ნაცარწყალში მოვხარშავდით (დობგიბუნდით) და გავაშრობდით. რომ გაშრებოდა, შევღებავდით უფრო მუქ ყვითლად. ვღებავდით მცენარე **მალაკიფას ფურცლების ნახარში**. ნახარში ჩადებამდე **შაბწყალში** ამოვავლებდით. გამოდიოდა მუქი ყვითელი ფერის. ვღებავდით აგრეთვე შავად მცენარე **ლეფონით, წენგოთი და ლეიბით**⁴ (ერთგვარი მიწაა).

ქ ა რ გ უ ლ ო ბ ა

მთხრ. ნინო პავლეს ას. კელია, 60 წ. (სენაკი, სენაკის რაიონი).

ჩვენ ვქარავდით **ნემსით და ყაისნალით**. ჯვარედინ ნაყერს ვქარავდით **საღად, საქარგებზე და ყაისნალით**. ქსოვილს, რომელიც უნდა მოგვექარგა, გავჭიმავდით ქარგაზე და ისე ვმუშაობდით. **სახის გადასაღებად** ისე ვიქცევოდით: **ქალაღზე აღებულ სახეს დავჩხვეტდით** და დავადებდით ქსოვილს. დავაყრიდით ნაცარს. ქალაღს ავიღებდით, ქსოვილზე დარჩებოდა **ნაცრის კვალი**. მერე წვეტიან ჯოხს ამოვავლებდით რქეში და ამ კვალზე ვავატარებდით. ქსოვილზე გამოდიოდა სახე. ამას გავაშრობდით.

საქარგავ ძაფს ჩვენ თვითონვე ვამზადებდით. დავართავდით, მოვხარშავდით და შევღებავდით. ვქარავდით **ბალიშის პირებს, მუთაქის პირებს, ასაღს**

⁴ უნდა იყოს „ლები“.



და სხვ. ვჭარგავდით უფრო მეტად ყვაელებსა და ფოთლებს ყვითელ[ი] ფებით.

მთბრ. მინა ლობკას ას. ჩაგინავა, 78 წ. (სოფ. ქვემო ლედგებზე, მარტვილის რაიონი).

ვჭარგავდით ყადაზე. ყადაზე გავჭიმავდით მოსაჭარგავ ქსოვილს, რომელზედაც გადადებული იყო სახე. ვჭარგავდით ყაისნალით მუთაქის პირს, ბალიშის პირს და ასალს. ქვემოდან მარცხენა ხელით ვაწოდებდით ძაფს და მარჯვენა ხელში მომარჯვებულ[ი] ყაისნალით ვიღებდით.

ბურია

უიქროზა

მთბრ. პელაგია ხუტუს ას. ჩხარტიშვილი, 60 წ. (სოფ. ბაილეთი)¹.

ქსოვა და ღებვა ჩვენში უხსოვარი დროიდან იყო. როგორც გამიგონია, მეტნაწილად აბრეშუმს ქსოვდენ, რადგან ჩვენში მეაბრეშუმეობას უძველესი დროიდან მისდევდენ. გარდა აბრეშუმისა და შალისა, ტილო-ბამბეულსაც ქსოვდენ. ვქსოვდით **ღარაიას** აბრეშუმისაგან და **ხამს** — ბამბის ძაფისაგან.

საქსოვ მასალებს ვამზადებდით შემდეგნაირად: აბრეშუმის ძაფს **ვსტავდით ჩერიაზე** და შემდეგ **შეეძახავდით**. ჩერიას ბოლოზე წამოვაცმევდით **კვირისთავს**, რომელიც სიმძიმეს აძლევდა ჩერიას და ამით დასტვა ადვილდებოდა. დასტულს აბრეშუმის ძაფს გამოვავებობდით **საპონ-წყალში** ან ნაცრის ზალში. ნაცრის ზალში მოხარშვა აბრეშუმს აბრწყინებს. ვადულებდით ნაცარს წყალში; როცა დაიკრფეს ნაცარს, ადულების შემდეგ, გადაწურავთ, რომ ნაცარი არ შეერიოს (შეყვეს), თორემ დასწყავს. მერმე ვადულებთ და მოვხარშავთ ძაფს. აბრეშუმის ძაფი დაილაღებდა მოხარშვის დროს და, როცა შესრება, უნდა დაირეკოს. შემდეგ ამისა **დავქხელავდით**. ქსელვა ხდებოდა ასე: სუფთა მინდორში მიწაზე დავასობდით ოთხ-ხუთ პალოს, ნახევარი ალაბის სიმაღლეზე. ამ პალოებს **საქხელე ძაფიან** ჩერიით ხელში [ვეუვლით და ვახვევთ ძაფს პალოს გარშემო. როცა მოვათავებთ ჩაქსოვას, გადმოვიღებთ პალოებიდან და ავთოკავთ ხელში ქსელს და **დავახვევთ ლიღვზე, ჩილებად** (ოთხი ძაფი თითო ჩილში) და შემდეგ **გაუყრით ღვიშ-სავარცხალში** და იწყება ქსოვა. **მისაქხელიც** იგივე დასტული აბრეშუმის ძაფი იხმარება. მისაქსველი დაიხვევა **მასრებზე** (ეს იყო ხმელი კანაფის მოკლედ დაჭრილი ღერები). მასრაზე ძაფი იხვევა **ტარაბოთი**, რომელსაც მქსოველი ხელით ატრიალებდა და ჩერიიდგან ძაფს ახვევდა.

ტარაბო, ანუ **სრიფუთა** წარმოადგენს ჩერიაზე დაგებულ მრგვალ ფირფიტას. ერთ წვერზედ წამოეცმება მასრა, მეორე წვერით სწრაფად ატრიალებს

¹ დასახლებული მთხრობელი — პელაგია ხუტუს ას. ჩხარტიშვილი, ქვეით (იხ. ფირფიტ. ქსოვა და კილოფის წენა) ორჯერ მოხსენებულია როგორც სოფ. ჭუმათის მცხოვრები 70 წლისა.



ამ ჩერიას და ახვევს ზედ საქსელე ძაფს. დახვეულ მასრას ჩაუდებთ **მაქოში** და იწყება ქსოვა.

ქსელის ასაწევ-დასაწევი ისეა საქსოვ დაზგაზე მოწყობილი, რომ ფეხის დაწოლით დაიწევა ქსელის ნახევარი (გარიგდება ორად). ამ დროს მქსოველი ხელით გაისვრის ამ აწეულ პირში **მაქვას**, რომელსაც გააქვს მისაქსეველი ერთი კედრით. ამ დროს მქსოველი მეორე ფეხის დაჭერით ასწევს დგიმებს და ამით მეორე ნახევარი ქსელისა აიწევს და უჩვენებს ღია პირს. მქსოველი მეორე მხრივ გაიჭნევს ხელის მაქვას და მეორე მხარეს გაიტანს ქსელის ძაფს. შემდეგ მქსოველი მოარტყამს **სავარცხელს** და **მიაბეშდავს**. ამრიგად გაიმართება ქსოვა. როცა ქსელი თავდება, ქსოვილი გაიწმინდება, ე. ი. აიჭრება ზედმეტი ძაფები თუ აქვს დაყოლილი, ან თუ ბურკები ახლავს ქსოვილს; შემდეგ გაუთოვდება და ქსოვილიც მზად არის. თუ საჭირო იქნებოდა, ასეთი ქსოვილები იღებებოდა სხვადასხვაფერებში.

ასეთივე წესით იქსოვება **ბამბის ხამი**. მხოლოდ მატყლის საქსოვად მომზადდება კი ასე უნდა: მატყლი გაირეცხება, გაშრობის შემდეგ **საჩრჩელზე** დაიჩრება და ჩერიაზე შეისტვება, შემდეგ **მოიძახება** და იმავე წესით იქსელება და იქსოვება, როგორ [ზევით] მოვახსენეთ.

მქსოვის შემდეგ **ნაქსოვი ითვლება** საპონ-წყალში, დიდ ორეში, ფეხით. თუ საჭიროება მოითხოვს, იღებება იგიც სხვადასხვაფერად.

მზადდებოდა შალის საჩოხე, საშარველ და საყაბალახე. საჩოხე [იქსოვებოდა] უფრო სქელი, საშარველ და საყაბალახე — უფრო თხელი და სუფთა.

აბრეშუმის ქსოვილს ზოგჯერ ვამზადებდით ზოლიანს. ამის ქსელში, თითოეულ ჩილში ოთხი ძაფი თეთრი უნდა, ორი — შავი ან სხვა ფერის. დანარჩენ ქსოვილებს ჩვენში არ ვამზადებდით.

საქსოვი იარაღები: **დგიმი** — კედის ან აბრეშუმის ძაფისაგან დამზადებული; **სავარცხელი** — ხის ჩარჩოში გაკეთებული ჩალამ-კალამის სუფთად დათლილი კბილებით; **მაქვა** — ხისა; **მახლები** — კანაფის ღეროებიდან მოკლედ დაჭრილი; **დგიმ-სავარცხალი** მოწყობილი იყო ოთხ ბოძზე; **ჩერია** — ექვსი ვერშოკის სიგრძის სუფთად გათლილი ხე, შუაზე მომსხო. ზემო ნაწილი წვრილი აქვს ძაფის დასართავად. **კვირისთავი** — მრგვალი პატარა ლითონი ან ქვა, გახვრტილი, რომელიც ჩერიას წამოგება ბოლოზე სიმძიმისათვის. **ფირფიტები** — ძაფის დასახვევი, პატარა, ბრტყელი ხის ნაჭერი.

ქსოვილებს ვამზადებდით სადათ, საქიროებისა მიხედვით ვლებავდით.

მთხრ. ეკა თედორეს ას. ანთაძისა, 80 წ. (სოფ. ხევი).

მე ვქსოვდი ძველად **დგიმ-სავარცხლით**. ვქსოვდი უმეტეს ნაწილად აბრეშუმს, შალეულს და ხამს. **დგიმები** მქონდა უბრალო ძაფისა, **სავარცხალი** — ჩალამ-კალამიდან გაკეთებული, **მაქვას** ხელით ვისვრიდი აქეთ-იქით. **მასრებად** ვმარობდი გამხმარ კანაფის ღერებს. მასზე ვახვევდი **მისაქსეველ ძაფს**, ჩაუდებდი მასრაში და ვიჭნევდი მაქვას ხელით. მასრაზე ძაფს ვახვევდი **ტარაბოთი**. ვქსოვდი შალებს და აბრეშუმის ქსოვილებს. **დგიმ-სავარცხალი** მქონდა გამართული უბრალო ბოძებზედ.

ზონრების ქსოვა

მთხრ. პელაგია ხუტუს ახ. ჩხარტიშვილი, 70 წ. (სოფ. ჭუმათი).

ფირფიტებით ქსოვდენ ჩვენში მხოლოდ **ზონრებს (ხვანჯრებს)** აბრეშუმის ან ყაჰის ძაფისაგან, სიფართით — 1—1,5 ვერშოკს, სიგრძით — ორ ალაბამდე; თავბოლოში უმზადებდენ პატარა, მოკლე ფოჩეებს. ლეზავდენ წითელ საღებავში. ხმარობდენ ასეთს ზონარებს მეგრულ შარვლების სათავეში, შარვლის შესასკვენად. დღეს ეს ქსოვა თითქმის მივიწყებულია, ვინაიდან ადგილობრივი მცხოვრებნი მეგრულ შარვალს ძალიან იშვიათად იცვამენ და რუსულ შარვალზე ზონარი აღარ არის საჭირო.

ზონარის საქსოვ მოწყობილობას შეადგენს ოთხკუთხი ჩარჩო, სიგრძით ერთი-ორი ალაბი, ამ ჩარჩოზე გაიდგამდენ ლარს და ქსოვდენ ფირფიტებით. წვივსაკრავი, ჩახსაკრავი, ლეკვერთხი არ ვიცი.

ჭილოფის წვევა

მთხრ. პელაგია ხუტუს ახ. ჩხარტიშვილი, 70 წ. (სოფ. ჭუმათი).

ჩვენ სოფელში ამზადებენ ჭილოფასაგან **ჭილოფებს**, სიმინდის ქურჩენასაგან — **ხელის ჩანთებს**; ჭვავის და პურის ჩაღისაგან, [ავრეთვე] ჭილოფასაგანაც **წნავენ სხვადასხვა ზომის ჩანთებს, საწაფხულო ქუდებს, რომლებიც დიდი მოსახმარია მზეზე მუშაობის დროს (განსაკუთრებით ჩაის კრეფის დროს იენის-იელისისა და აგვისტოს თვეებში).**

ჭილოფის საწნავედ იხმარება **ჭილოფაი**, რომელიც იზრდება ქ. ფოთის ახლომდებარე ადგილებში (ქაობებში). იენისის თვეში სჭრიან და ახმობენ ზამთრისთვის დასამუშავებლად. ქსოვის დროს ჭილოფას წყალში ალბობენ.

ჭილოფის საქსოვი იარაღი არის უბრალო ხის ოთხკუთხი ჩარჩო, სისქით — ერთი-ორი ვერშოკი, განით — თექვსმეტი-ჩვიდმეტი ვერშოკი, სიმაღლით — სამ ალაბამდე. [ჩარჩო] კედელზე[ა] მიყუდებულია. ამაზედ გაიდგამის ჭილოფის საქსოვად კედის ძაფის ქსელი, თხუთმეტი-თვრამეტი წყვალი, ერთმეორეზე ვერშოკით დაშორებით. ამაზე იწყება ჭილოფის ქსოვა. ერთი მოხელე ერთ ჭილოფს დაამზადებს ორს დღეში საოჯახო საქმესთან ერთად.

ჭილოფის მოთხოვნილება ჩვენში დიდია. იგი ყველა ოჯახში აუცილებელი მოსახმარია ნოზი-ფარდავის მაგიერ; განსაკუთრებით ჭილოფი მოსახმარია ლარიბ ოჯახში.

ჩალის ქუდის მასალას აგროვებენ ზაფხულში და ზამთრის ღამეებში ქსოვენ საწაფხულოდ. ავრეთვე ქსოვენ ხელის ჩანთებსაც. ჯერ ჩალას ქსოვენ ხელით, გრძელ ლენტებად და შემდეგ ჰკერავენ ნების და ძაფით ქუდებად და ჩანთებად.

მთბრ. პელაგია ხუტუს ას. ჩხარტიშვილი, 70 წ. (სოფ. ჭუმათი).

საერთოდ ვღებავდით ბალახებით და ხის ქერქით, მაგ., ვაშლის კანი ღებავს ყვითლად; მცენარე ხარო, რომელმაც საისლეში იცის ამოსვლა, ღებავს ყვითლად, იასამანი ღებავს მოწითალოდ, ხახვის ქურჩენა და ცოცხის ხაზარულა კაკალი ღებავს ყვითლად; კინაწილა და ლაფანი ღებავს შავად; აგრეთვე შავად ღებავს ნიგვზის ნაქა [და] თხემლას კანი, ენდრო — მიხაკისფერად.

მთბრ. ეკა თედორეს ას. ანთაძისა, 80 წ. (სოფ. ხევი).

შავად ვღებავდით ამგვარად: შესაღებავად მომზადილ, მოთელილ შალს და აგრეთვე აბრეშუმის ქსოვილსაც გავაფენდი და ზედ მოვაწყობდი დაფნის ფურცლებს მისივე ღერებით, ჩავდებდი წყლით სავსე ქვაბში და ვაღუღებდი. შემდეგ ამისა ამოვიღებ[დი] და ვაშრობდი; ასე ვიმეორებდი სამჯერ. შემდეგ გავსძრავთ მიწანელას ლაფნის წვენიში და ჩავდებდით შესაღებავ შალს, აბრეშუმს და სხვას, წამოვადუღებდით და შიგ ჩავაციებდით; შემდეგ გაირეცხება და გაშრება. ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ მეორეხელ ჩავდებდით ამ გამზადებულ მიწანელაში და მზად იქნება.

ქარგვა-მოჭარგვის, აგრეთვე ოქრომკედლის, ოქრონემსულის და ოქროქსოვილების შესახებ ცნობები გურიაში არ მოიპოვება, ვინაიდან ამგვარ ხელსაქმეს აწარმოებდნენ უმეტესად თავად-აზნაურების ოჯახებში, რომელთაგან ჩვენში თითქმის აღარავინ დარჩენილა, რომ მათგან შეგვეძლებოდა საჭირო ცნობების მიღება [— ს. ა.]

უპსარბ

უპიქრობა

მატყლის ქსოვილები

მთხრ. რუსხეთ ზერძე (სოფ. ზუნდიდი, ქედის რაიონი).

ძალის დამზადება და ქსოვა. მატყლს გავწმენდავთ, ზელოთ გავწეწავთ, ჰაჩეჩელზე დავჩეჩავთ და მერე დავართავთ. პირველათ ერთ წვერს დავართავთ ხეტარზე¹ (ხეტარს კვირითავი აქ). რომ ვრთავთ ძაფს, დავაკავებთ, ერთ წვერ ძაფს მეორეს მიუტოლებთ და დავძახავთ. თუ ყაპის ძაფია, დავხვეწავთ წინდისჩირით, ბამბის ძაფს — ეჩ (არა).

ბამბის ძაფით მოვქსოვთ ტილოს. მატყლის ძაფით მოვქსოვთ შალს. შალს სამექსლოზე (დაზგაზე) ვქსოვთ. შალს მაინდამაინც ალა² იკერავენ. ალა კალრულობენ ახლა.

აბრეშუმის ძაფს ასე ვაკეთებთ: ავადულებთ წყალს და ჩაყარით პარკშით. ამეველებთ ძაფს, გავაკეთებთ ხეს და დავახვევთ ძაფს. იმ ხეს ვეტყვით მახურას და ვაკეთებთ ლანდი. ლანდ გავაკეთებთ და მეე იმა ვიქთ — დავახოვთ. გავრეცხავთ, ამიდან „ჩულქს“ მოვქსოვთ, ეი პერანგს მოვქსოვთ.

ყაქ ა დავალბოვთ, აბრეშუმს რომ ამეველებთ და მერე რომ დარჩება, იმას მოვხარშავთ საპონში, გავრეცხავთ, დავართავთ, დავძახავთ, დავხვეწავთ. წინდეს მოვქსოვთ ყაქით, ძველებს მოვკერავთ.

ელდევანს (ხელთათმანს) და წინდას აბრეშუმი ძაფით ვქსოვთ, შალითაც მოვქსოვთ, მარა შალით ზამთარში მოვქსოვთ, არ შეგვიცოდესო. ელდევანსაც წინდისჩირით ვქსოვთ. თორს, ბალს, ჰამარს მოვქსოვთ აბრეშუმის ძაფით. მოვქსოვთ ყდაით. ბალს კიდი წივსაკონას ვეტყვით.

მთხრ. ჰაჯერა თურმანძე (სოფ. ნამონასტრევი, ქედის რაიონი).

თორის ქსოვნა. თორის საქსოვ ყდას აკეთებენ კაცები. ხეი ყველაი შეიძლება ყდაიზა.

პირველათ ეველებ ძაფს და ჩამოვქსნლავ ყდაზე. ძაფი აბრეშუმისაა კიი. მაკარა ძაფითაც, კოქი (კიქიქი) ძაფითაც იქსოვენბა. დავქსნლავ ბევრ ძაფს

¹ ხეტარი — თითისტარი.

² ალა — აღარ.



და მეე დევწყუფ ქსოვნას; მეე შევდეფ ფირფიტას ძაფში, პირველათ — ფირფიტას, მეე — მეორეს და ასე ბევრს. ერთ ძაფს ევლეფ საჩვენებელს თით და მეე ორ ძაფს გამეველეფ. პირველათ თითო-თითოს გამეველეფ, მეე სულ თითო-თითოს გამეველეფ და ჩავაგდეფ კიღო. რომ გავალ ბლომდი, ფირფიტას დაგტეეფ; აქ დანას ევლეფ და ჩუბეჭეფ და ასეთ სულ.

უდაზე იქსოვნება თორი ქალის, კაცის. ფერადი თუ გვინდა, ფერადი ძაფით დავქსელაფ. ქალის თორი უმფო ფართეა, კაცის უმფო მიწროა, თორი ჰრელიც იქნება.

თორი მუხლზეც იქსოვნება, ამას მუხლის თორს ვეტყვით. ავც ისე მეიქსოვნება, რაეაც უდაზე.

თორს რომ მოექსოეთ, მერე ღილის გუკეთეფ, მერე ლერწმ გამუბამ იმ



სურ. 102. შალის საქსელავი დორია

ღილში; ლერწმე ფუსქულებ გუკეთეფ. თორს სადესაც, უსახოსაც გავაკეთეფთ და სახებინასაც. სახეები იქნება: ჩიტისთვალა, თენთენია ჰრელი, წყაღაი.

რაცხამეთი გინდა მოქსოვ. ჩვენში ომ გოგო ვეეთხუებან, ასე წეილებს თორებს, წინდებს — დედამთილისათვის, ჩილისათვის. უთოროთ ეაი იქნება აქ.

3 დედანში ასეა.

მთხრ. ხოზრევანიძე, 80 წ. (სოფ. დიდაქარა, ხულოს რაიონი).



შალის ქსოვნა. დაეჩივებო მატყლ საჩიჩელზე, გავაკეთებ ფითილას (ფარტენას), მერე ევლეფ და ჩავართავ ხერტალზე.

ბამბას დავებნავდით და დავართავდით იმასაც, მოვქსოვდით ქსელზე⁴. დავქრიდით და შუუყერავდით ნიფხავ-პერანგებს კაცებს.

ახლანდელი ქალები... პაზირები⁵ მოდიან, მაქინებიც⁶ აქვან. ზათი პერანგს ვქსოვდით ბამბით ქსელზე. „შეყერვა უნდოდა?“ — ვეკითხებით ჩვენ, — „შეყერვა პელებზე უნდოდა. ცხვარი ხავდენ, მატყლი ქონდენ, პელებზე ქსოვდენ პერანგს“.

მთხრ. ფადიმე ბერიძე, 60 წ. (სოფ. ზენდიდი, ქედის რაიონი).

წინ-წინ მატყლ გავრეცხავთ, მასკან დაეჩიჩავთ, გავაკეთებთ ფარტენებს; საჩიჩელში დარჩება გონჯი ნაგულაჲ. ნაგულა მატყლ ბალიშში ჩავყრით. გონჯია, არ დეირთვება. ფანტერებს დავართავთ და დავძახავთ ხრეტალზე. ხრეტლის თავი, ხრეტალი რომ კარქა დააბრუნოს, იმას ქვია. წინ-წინ დავართავთ ერთწვერათ: მეე მოვყათავთ (ორწვერათ დავძახავთ), მოვართავთ და გავაკეთებთ მურგს.

ლაზლას, ბამბას, სელს, კანაფს დავართავთ. ღაზლიდან წინდას ვქსოვთ, ზათინ⁷ შალს ვქსოვდით. ბამბიდან ფეშტემალ ვქსოვთ, სადეს ან ქრელს, ლოგინზე⁸ გადავავთარებთ. უწინ კილო ნიფხავ-პერანგებსაც ვქსოვდით.

სელიდან ძაფს გავაკეთებთ და მოვქსოვთ ფეშტემალს, თუნდა ძაფათ ვიხმართ. სელსაც ხეტალზე დავართავთ. დაჩიჩვა არ უნდა. კანაფიდან თოკებს ვგრებავთ; ვგრებავთ თუთუნის ხაფებს, ვქსოვთ თევზის ბადეს.

მთხრ. ასიმე თურმანიძე, 15 წ. (სოფ. ნამონასტრევი, ქედის რაიონი).

ძაფის მოსახვიელი⁹ ჩამოსახვიელია. მოსახვიელზე⁹ ჩამუცემეთ ბამბის ან აბრეშუმის ხიფს (ლანდს), იბრუნებს აგი ჩამოსახვიელია და მუახვევ მურგვად ძაფს.

მთხრ. აიშე თურმანიძე, 47 წ. (სოფ. ნამონასტრევი, ქედის რაიონი).

აბრეშუმის ძაფის ჩამოსახვიელი. ჩამოსახვიელაზე⁹ სახვიელაზე აბრეშუმს ლანდს. ქვაბში წყალია დღღარე. ქვაბს ამოხთვის დროს ცხელ ნაცარზე ვდგამთ. წყალში ჩაყრილია ყაჭი პარკი. ასხამ ძაფს და სახვიელაზე ახვევ. ამ საქმეს ორი ქალი უნდა — ერთი ახვევს, ერთი — პარკები ომ წყაყება, იმას მოაშორებს, ძაფს მოუმატებს, გაწმენდს და ასე. ყაჭი პაწა-პაწა მოგვყავს, ერთი-ორი კვერცხი ძაფი რომ ამეღონ, იმდენი.

ძაფის საძახვი ქაბრაკი. ქაბრაკზე შალ დავძახავთ, ბამბა ჰად გვაქ, თორე ისიც დეიძახვება. აბრეშუმი ამაზე არ დეიძახვება, იმიზა ომე, ხრუწები შეყ-

4 ქსელი — სამექსლო (საფიოქრო, საფრიოქო).

5 პაზირა — მზა, მზამზარეული.

6 მაქინა — „მაშინა“, მანდანი (საკერავი).

7 ზათინ — უწინ, წინათ.

8 ლოგინი — ქვეშაგები.

9 მოსახვიელი — უჩამუცეში ორგველია ქვია.

ვება. აბრეშუმს ღუჭრთავს ძახავენ ხე(რ)ტალზე. ჭახრაკზე დეიძახება კელი
 ძაფი. კელი ძაფ ხერტალზე დაა(რ)თავენ. ჭახრაკზე თხისურასაც¹⁰ დაეძახავეთ.
 ძაფი რომ დაეძახოთ ჭახრაკზე, ამიზა ჭახრაკის ლარი'ნა მუბათ ჭახრაკის
 ჩარხზე და ჭიკჭიკაზე [და] გუყაროთ ჭახრაკის ტარს. ჭახრაკის ხელს წალმა რომ
 დააბრუნეფ, დეიძახვება; მერე უკულმა'ნა დააბრუნო და დეიძახევა ძაფი ტარზე.

მთხრ. ოსმან ბეჟანიძე, 55 წ. (სოფ. ჭვანა, ზულოს რაიონი).

ძველათო, ჩემი ნენე იტყოდა, მატერიის გაჭირვება იყო და ლერწამას
 დავჩენდიოთ და მისი ღრო რომ შევიდოდა, გაეწმენდიოთ და მოვქსოვდი-
 თო ლეჩაქსო.



სურ. 103. ხსისხა და ხსირის ქსოვნა

